# კვირის პალიტრა

## ყოველკვირეული გაზეთი

№ 3 (248) ◆ 17–23 იანვარი, 2000 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.





## თუ რუსეთის მასმედიას „დავუგდებთ“ ყურს, — ჩეჩნეთში ომი თურქებს დაგვიწყია...



— სრუტეში ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ მხოლოდ და მხოლოდ კასპიის ადრეული ნავთობი...

ძირითადი ნავთობის გზა კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანია... რასაც ამის თაობაზე რუსეთი ლაპარაკობს, ეს აბსურდია...

— საქართველოს და თურქეთის წინააღმდეგ წაყენებული რუსეთის ბრალდებები უსუსურია...

— ნუ დააკარგვინებთ თურქ ბიზნესმენებს სურვილს და ნუ შეუქმნით ბარიერებს ურთიერთსასარგებლო ბიზნესისათვის...

გვ. 3

— ბატონო ედუარდ, უკულმა გიჭირავთ.

— უკულმადაც კარგად ვხედავ მე!

გვ. 27

**ფოტოპალიტრა**

## ეს კანონი ხელოვნური მშობიარობით იშვა...

— თქვენ რა, არ იცით რა ხდება ქვეყანაზე... ვინ უნდა დაემორჩილოს ამ კანონს? ახლა გინდათ „ერთი დამღერებით“ გარდაიქმნას ყველაფერი?

— ეგ თქვენი კანონი არც დედას ჰგავს, არც მამას, მეზობელს ჰგავს გაჭრილი ვაშლივით.

გვ. 3

## „მოდი, ერთი კიდევ ვჭამოთ...“

— მე ამ საქმეში იმდენ დარღვევას და საეჭვო მომენტებს ვხედავ, რომ მას უშიშროების საბჭოს სხდომებზეც განვიხილავთ...

ამ საქმეს განსაკუთრებული ჩაღრმავება სჭირდება — *რევაზ შავიშვილი*

შსს–მ თითო პენსიონერის „ადგილსამყოფელის“ დაზუსტებაში კონტროლის პალატას თითო დოლარი მოსთხოვა.

გვ. 5



ჩუსთავის სამართალდამცავებმა მანიაკის მესამე (ახალი) ფოტორობოტი შემოგვთავაზეს...

გვ. 6

## ქართული მადლი და ბედოვლათობა



ისრაელი... 2000 წელი, უფლის შობის ტაძარი... სადღესასწაულო წირვისას იქ მყოფი ყველა ავტოკეფალური ეკლესიის წარმომადგენლებს დართეს ნება, მშობლიურ ენაზე წაეკითხათ სახარება. ყველამ წაიკითხა... ქართველებმა კი...

გვ. 4

## (ვერსია) როგორ იშოვოს ქვეყანამ ფული

სანამ ქვეყანაში უზარმაზარი საკუთრება ეკუთვნის ნომენკლატურას, მეჯლისის წარმართველიც იგი იქნება...

გამოსავალი ერთია — ჩამოერთვათ ჩინოვნიკებს საკუთრება, სამართლებრივად გაუუქმდეთ ყველა პრივილეგია... არავითარი აგარაკები, არავითარი — სახელმწიფო მილიონები... გაიყიდოს ათ-ათი კარმიდამოდან — ცხრა... ამას შეიძენენ ისევ ჩვენი მილიონერები, ვისაც დოლარი უცხო ბანკში აქვს გადამალული... ქვეყანა იშოვის ფულს.

გვ. 10

## ყურაშვილი ალაპარაკდა?!

გუჯარ ყურაშვილი, რომელიც პაპუაშვილის მსგავსად ჩვენების მიცემისაგან თავს იკავებდა, პაპუაშვილის საეჭვო სიკვდილის შემდეგ ითხოვს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წარმომადგენელთან შეხვედრას.

გვ. 7

## პოლიციასა და პროკურატურას სერიოზული ბრალდებები დაუდეს წინ...



— მალიან დათრგუნვილი დავრჩი... სოსო ალავიძემ განაცხადა, სიკვდილის მიზეზი ცემა კი არა, ექიმების დაუდევრობააო... არადა ექსპერტიზის დასკვნაშიც მითითებულია, რომ სიკვდილი ცემამ გამოიწვია.

*ელენე თევდორაძე*

— ქალბატონი ელენეს შეფასებები და ბრალდებები, ეს არის პირდაპირი ზეწოლა გამოძიებაზე საკუთარი იმიჯის ამაღლების მიზნით.

*სოსო ალავიძე*

გვ. 7

## სელინ დიონის სიძე საქართველოს პრეზიდენტობას აპირებს...

— მე საკმაოდ შეძლებული სიმამრი მყავს კანადაში. იგი დამპირდა, რომ ყოველნაირად ხელს შემიწყობს და 2005 წელს, მე აუცილებლად ვიყრი კენჭს პრეზიდენტობაზე.

გვ. 5

## ქართლის მეფე — დელი სვიმონი

ხმალზე არანაკლებ ჭკუა უჭრიდა... ელჩად გადაცმული შევიდა ოსმალთა სამხედრო ბანაკში... ყველაფერი კარგად დაიმახსოვრა — მეომართა განლაგება, იარაღი და სიმაგრეები... მშვიდობიანად დაბრუნდა თავისიანებში და იმავე ღამით სულ სხვა მხრიდან, მოულოდნელად დაესხა მტერს და დიდი მარცხი აგემა...

გვ. 25


ფირმა „ბერმუხა“



ბრტყელი სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50


## საკვირაო



ტელე-კინოაფიშა 10-16 იანვარი

გვ. 14-15

Неделя
КОММАНДОС
ЧАСТНАЯ ЖИЗНЬ
ТЕЛОХРАНИТЕЛЬ
За РУБЕЖОМ
МОСКОВСКИЕ НОВОСТИ
Newsweek
FOCUS
Общая газета
DER SPIEGEL
КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА
stern
СЕГОДНЯ
КЛЮКВА
ИЗВЕСТИЯ
ТРУД
СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО
АРГУМЕНТЫ И ФАКТЫ
Иностранец
LE FIGARO magazine
MATCH
ТВ ПАРК
ЛИЦА
ОГОНЁК
daily
Le nouvel Observateur
Итоги

**წმიდა ნათლისღების დღესასწაულს გილოცავთ!**

## დემირელს — „ოქროს საწმისი"

საქართველოში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვიზიტისას, შევარდნაძე-დემირელმა გააკეთეს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური განცხადება, რომლის თანახმადაც „საქართველოსა და თურქეთის პოზიციები თანხვედრია რეგიონული თუ გლობალური პოლიტიკის პრინციპულ საკითხებში". ეს, ფაქტობრივად, ნიშნავს იმას, რომ ორი მეზობელი ქვეყანა ერთიანი ფრონტით გამოვა საერთაშორისო ასპარეზზე. შევარდნაძემ დემირელი „ოქროს საწმისის" ორდენით დააჯილდოვა. თურქეთის პრეზიდენტი აირჩიეს თბილისის საპატიო მოქალაქედ, გაუმართეს გრანდიოზული კონცერტი ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიურ თეატრში. შევარდნაძისა და დემირელის გამოსვლებში ხშირად ისმოდა სიტყვა — ძმა, ანუ პრეზიდენტები ამ სიტყვით გამოხატავდნენ თავიანთ მეგობრულ გრძნობებს... თბილისში ვიზიტის შემდეგ, დემირელი თავის და შევარდნაძის „მესამე ძმასთან" — ჰაიდარ ალიევთან გაემგზავრა ბაქოში...

## საქართველო ითხოვს 3%-ს

მოლაპარაკებაზე დიდი ყურადღება დაეთმო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის რეალიზაციის დაჩქარებას, რაც ბოლო დროს გაჭიანურდა და რამაც საბაბი მისცა რუსეთის მასმედიას, ეთქვა — პროექტი ჩაშლის ზღვარზეო. ამის მიზეზი შემდეგია: შევარდნაძეს არაერთგზის განუცხადებია, რომ ბაქო-სუფსის ნავთობსადენისგან განსხვავებით, საიდანაც საქართველოს მიზერული შემოსავალი რჩება, ბაქო-ჯეიჰანის პროექტთან დაკავშირებით საქართველო დაიცავს თავის ინტერესებს და როგორც ნავთობის სატრანზიტო ქვეყანა, მოითხოვს ღირსეულ შემოსავალს, ანუ იმდენს, რამდენიც ეკუთვნის... მოარული ხმებით, ლაპარაკია კასპიის ძირითადი ნავთობის (რომელიც ჩვენს ტერიტორიაზე გაივლის) 3%-ის დატოვებაზე საქართველოში ანუ ბარელიდან 20 ცენტის მიღებაზე.

სწორედ ეს მოთხოვნა გახდა უთანხმოების მიზეზი ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის; თუმცა ქართველი ხელისუფალნი უარყოფენ ამ ციფრებს და არც არაფერს აკონკრეტებენ, ჯერჯერობით...

საქმე იქამდეც მივიდა, რომ ამ პრობლემის დასარეგულირებლად ვაშინგტონიდან თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდა კასპიის ენერგორესურსების საკითხებში ბილ კლინტონის მრჩეველი ჯონ ვულფი, რომელმაც კონფიდენციალური მოლაპარაკება გამართა ედუარდ შევარდნაძესთან და შემდეგ ჰაიდარ ალიევს მიაშურა ბაქოში... დემირელის მსგავსად! ყველაფერი კი 21 იანვარს, ანკარაში დაგეგმილი საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის დელეგაციების საბოლოო სამუშაო შეხვედრაზე გადაწყდება, გაირკვევა და შეთანხმება ამ ქვეყნების პარლამენტებს დაეგზავნებათ რატიფიცირებისთვის.

## რას გვპირდება „შეზღუდული კონტინგენტი"

რუსეთის გაპრეზიდენტებულმა პრემიერმა ვლადიმირ პუტინმა გასცა საიდუმლო განკარგულება, რომლის საფუძველზეც 22 იანვრამდე რუსეთის ძალოვანმა სტრუქტურებმა უნდა შეიმუშაონ ოპერატიული გეგმა სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ, საქართველოსა და აზერბაიჯანში, რუსეთის ფედერალური ძალების შეზღუდული კონტიგენტის შესაყვანად(!) ინტერნეტში გავრცელებული ამ სენსაციური ინფორმაციის თანახმად, პუტინმა გეგმის შესრულება დაავალა რუსეთის საგარეო საქმეთა, შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და საგანგებო სიტუაციათა მინისტრებს, უშიშროებისა და დაზვერვის უწყებათა ხელმძღვანელებს. საგულისხმოა, რომ გაპრეზიდენტებული პუტინის ეს განკარგულება რუსეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს მიერ დეკემბერში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად მომზადდა, რომელშიც დაფიქსირებული იყო, რომ „რუსეთის უშიშროებას საფრთხე ემუქრება სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებიდან, რაც საჭიროებს კონტრზომების მიღებას(!)"

ჩეჩნეთის სააგენტო „კავკაზცენტრის" მიერ მოპოვებულ და ინტერნეტში გავრცელებულ ამ ინფორმაციას ეჭვის თვალით შეხვდნენ ჩეჩენი ხელისუფალნი, თუმცა მას გამალებით ამოწმებენ ქართული სპეცსამსახურები... საქართველოს ხელისუფლება კატეგორიულად აცხადებს, რომ არ დაუშვებს საქართველოში არსებულ რუსეთის სამხედრო ბაზებზე დამატებითი სამხედრო კონტინგენტის შემოყვანას. მეტიც, არ დაუშვებენ ამ ბაზების გააქტიურებას და მათ ჩართვას ჩეჩნეთის ომში...

გაჩნდა მოსაზრებაც, რომ ეს ინფორმაცია „შემოგდებულია" და მიზნად ისახავს შევარდნაძის რეაქციის ზონდირებას... პრეზიდენტს კი, ჯერჯერობით, არაფერი განუცხადებია. მკითხველს შევახსენებთ, რომ ავღანეთში შესულ საბჭოთა ჯარებსაც კრემლი „შეზღუდულ" კონტინგენტს უწოდებდა, ხოლო რა მოიმოქმედა ამ „შეზღუდულმა" კონტინგენტმა ავღანეთში, მთელი მსოფლიოსთვისაა ცნობილი...

## ჯგუშიამ ისევ იცვალა ფერი

ქართულ პოლიტიკურ სპექტრში არა და არ ილევა სკანდალები. თავის დროზე „მოქალაქეემ", შემდეგ გასოციალისტებულმა და, შესაბამისად, „მოქალაქეებთან" რამდენჯერმე ნაჩხუბარმა, ამჯერად კი ბლოკ „აღორძინების" წევრმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა ზუგდიდიდან, თენგიზ ჯგუშიამ, გაკეთა განცხადება, რომელმაც დიდი „ღრიანცელი" გამოიწვია მასმედიაშიც და პოლიტიკურ სპექტრშიც. მის მიერ გამოთქმული პოზიცია, რომ ზუგდიდელი ამომრჩევლების აზრის გათვალისწინებით, იგი საპრეზიდენტო არჩევნებში მხარს დაუჭერს ედუარდ შევარდნაძეს, ერთხმად დაგმეს და „დასწყევლეს" ბლოკ „აღორძინების" წარმომადგენლებმა, ჯგუშიას უშუალო პარტიული შეფის, ვახტანგ რჩეულიშვილის გარდა, რომელიც შეეცადა, „გაგებით" მოკიდებოდა მაჟორიტარი დეპუტატის განზრახვას... რჩეულიშვილის თქმით, ეს არის ჯგუშიასა და მისი ამომრჩევლების პოზიცია და არავითარ შემთხვევაში სოციალისტური პარტიისაო...

ჯგუშიას საქციელი, როგორც ვთქვით, დაგმეს „აღორძინების" ლიდერებმა, მაგრამ საგულისხმოა, რომ საქმეში... ციხიდან ჩაერია ლოთი ქობალიაც(!), რომელმაც ასევე დაგმო ჯგუშიას ნაბიჯი, ხოლო ქობალიასთან მობილური ტელეფონით მოსაუბრე ვახტანგ ბოჭორიშვილმა ჯგუშიას არარაობა და მოღალატე უწოდა... მართალია, „მოქალაქეებისგან", ჯერჯერობით, არაფერი ისმის, მაგრამ მოელიან, რომ „გასოციალისტებულ-გააღორძინებული" ჯგუშია კვლავ „გამოქალაქდება"...

## კოდორის ხეობას უჭირს

კოდორის ხეობაში არსებულმა მრავალწლიანმა კრიმინალურმა განუკითხაობამ, რომელმაც ბოლო დროს კულმინაციას მიაღწია, ადგილობრივი მოსახლეობა იმ ზომამდე მიიყვანა, რომ რამდენიმე ოჯახმა უკვე დატოვა ხეობა, ხოლო 30-მდე ოჯახი ასევე გუდა-ნაბადს კრავს... მარტო ორი თვის მანძილზე ხეობაში რამდენიმე საზარელი მკვლელობა მოხდა, ბევრი დაჭრეს, ერთმანეთს გადაკიდებულ გვარებსა და კლანებს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკებები და ა.შ.

კოდორის ხეობაში შექმნილი ვითარება აფხაზეთის დევნილმა მინისტრთა საბჭომ განიხილა, სადაც ითქვა, რომ „კრიმინალებმა, მთელი საქართველოდან, კოდორის ხეობაში მონახეს თავშესაფარი, სადაც, ფაქტობრივად, არ მუშაობს არც ერთი სამართალდამცავი სტრუქტურა..." კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი ვენერა ჩოფლიანი აცხადებს, რომ შეცდომა იყო თავის დროზე ხეობიდან სამართალდამცავი საჯარისო ფორმირებების გაყვანა, რამაც მიგვიყვანა დღევანდელ სავალალო მდგომარეობამდე, როცა სისხლით შენარჩუნებულ კოდორის ხეობას, კრიმინალთა თარეშის გამო, ტოვებს ადგილობრივი მოსახლეობა და იგი ხალხისგან დაცლის რეალური საშიშროების წინაშე დგას!!!

## პენსიონერი პოლიციელები პროტესტს აცხადებენ

უპენსიობით გაწამებულ საქართველოს პენსიონერთა არმიის საპროტესტო აქციებს თავისი ხმა შეუერთეს... შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილმა თანამშრომლებმა და ამჟამად პენსიონერებმა. საგანგებოდ გამართულ თავყრილობაზე ვეტერანმა ჩეკისტებმა კატეგორიულად მოსთხოვეს ხელისუფლებას მრავალთვიანი საპენსიო დავალიანების დაფარვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კანონის ყოფილი დამცველები იმუქრებიან... კანონის დარღვევით, ანუ არასანქციონირებული აქციების მოწყობით — გზების ბლოკირებით, პარლამენტისა და კანცელარიის შენობებთან მჯდომარე აქციების გამართვით, შიმშილობით და ა.შ. ექს-ჩეკისტებმა ხელისუფლებას 10 დღის ვადა მისცეს მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად!

## საზღვარი დაცულია

საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარი უმკაცრესი რეჟიმითაა დაცული, — აცხადებს დეკემბრიდან იქ საგანგებოდ მივლინებული საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე გელა ხუციშვილი. მისი თქმით, ჩეჩნეთის მხრიდან საზღვარზე განლაგებულ რუსის ჯარის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა მოწესრიგებულია და ნებისმიერი პირის მიმართ, რომელიც დაარღვევს საზღვარს, კანონით გათვალისწინებული ზომები იქნება გამოყენებული...

## მოეწყობა საიუბილეო გამოფენა

**(გეა)** ქრისტეშობის 2000 წლის და ქართული სახელმწიფოებრიობის 3000 წლის იუბილესთან დაკავშირებით, მიმდინარე წლის მარტში მოსკოვში გაიხსნება გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება მოსკოვის მუზეუმებსა და სხვადასხვა არქივებში დაცული საქართველოს ისტორიული ფასეულობები. იგი თითქმის სამ თვეს გაგრძელდება.

ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ორგანიზატორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტი.

გამოფენა მოეწყობა აგრეთვე სანქტ-პეტერბურგში, ვლადიმირ-სუზდალში, ნოვგოროდში, ფსკოვსა და ნიჟნი ნოვგოროდში.

## ლიცენზიები გაუგრძელდა

**(კავკას-პრესი)** ქართულმა მხარემ გადაწყვიტა, თავიდან აეცილებინა სკანდალი და დააკმაყოფილა ორი უცხოური კომპანიის — „SWISSAIR"-სა და „BRITISH AIRWAYS"-ის მოთხოვნა — გაუგრძელა მათ საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების უფლება. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს საჰაერო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა გიორგი ნიჟარაძემ.

უთანხმოება საჰაერო დეპარტამენტსა და უცხოურ კომპანიებს შორის მას შემდეგ წარმოიშვა, რაც ქართულმა ავიაკომპანიამ „აირზენა" საკუთარი „ბოინგ 737" შეიძინა და გადაწყვიტა, გადაეხედა „BRITISH AIRWAYS"-სთან 1994 წელს ხელმოწერილი შეთანხმებისთვის, რომელიც ითვალისწინებს ბრიტანელების ექსკლუზიურ და შეუზღუდავ უფლებებს საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენებაზე. ქართული მხარე მხოლოდ მთავრობათაშორის დადებული შეთანხმების შესრულებას ითხოვს, რომელიც ითვალისწინებს პირდაპირი რეისების განხორციელებას თბილისიდან ინგლისსა და შვეიცარიაში. „მათ კი მგზავრები ტრანზიტით გადაყავთ მესამე ქვეყნებში, რაც ქართული ავიაკომპანიის პრეროგატივა უნდა იყოს", — აღნიშნა ნიჟარაძემ.

დეპარტამენტი იძულებული გახდა, გაეგრძელებინა ლიცენზია ორივე ავიაკომპანიისთვის თებერვლის შუა რიცხვებიდან. ბრიტანელებთან მოლაპარაკებები ლონდონში გაგრძელდება, მაგრამ ინგლისური მხარე არ თმობს პოზიციებს და კონტრაქტის პირობების გადახედვას აპირებს. შემდგომი დათმობების შემთხვევაში, ქართული ავიაკომპანია „აირზენა", რომლის შექმნაშიც დაინტერესებული იყო სახელმწიფო, გაკოტრდება, რადგან მან ყოველთვიურად „ბოინგის" იჯარისთვის 600 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოს.

## აჭარა მოითხოვს...

**(გეა)** 15 იანვარს ბათუმში შეკრებილმა ბლოკ „საქართველოს აღორძინების" პოლიტიკურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მმართველი პარტიისგან მოითხოვოს საქართველოს კონსტიტუციაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის" ოფიციალურად დაფიქსირება.

„ძალიან უცნაურია, რომ ამ თემამ დღეს წამოიწია წინა პლანზე, თავის დროზე ეს საკითხი სპეციალურად დავტოვეთ ღიად, რათა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიების წარმომადგენლებთან ერთად გვემსჯელა ამაზე. ჩვენ ვფიქრობდით, რომ აჭარის ხელისუფლება ცენტრალურ ხელისუფლებას გვერდში დაუდგებოდა, ჩვენ შევძლებდით აჭარის მაგალითის გამოყენებას აფხაზეთთან ურთიერთობისთვის. ეს საქართველოსთვის სერიოზული იარაღი იქნებოდა. სწორედ ეს იყო ერთადერთი მიზეზი, რომ კონსტიტუციაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა არ ჩაიწერა", — განაცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა გიორგი ბარამიძემ. მისი თქმით, მმართველ პარტიას ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ გააჩნია. როგორც მან აღნიშნა, პარტია იმსჯელებს ამის თაობაზე. თუ საჭირო გახდება, შეიქმნება მუშა ჯგუფები და საკითხი კონსტრუქციულ ვითარებაში განიხილება. „ეს არ არის ისეთი დონის საკითხი, რომ მოკლე ხანში გადავწყვიტოთ. იგი სერიოზულ მსჯელობას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასწორ გადაწყვეტილებას მომავალი თაობა არ გვაპატიებს... დღეს ამ საკითხის წინა პლანზე წამოწევა არჩევნებს უკავშირდება, რათა ცენტრსა და რეგიონს შორის დაძაბულობა კიდევ უფრო გამწვავდეს", — აღნიშნა გიორგი ბარამიძემ.

## დელფინარიუმი დელფინების გარეშე

**(ბეილ- ექსპრესი)** ბათუმის დელფინარიუმი შეიძლება დელფინების გარეშე დარჩეს, — განაცხადა საქართველოს მწვანეთა პარტიის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის პოლიტიკურმა მდივანმა. საყოველთაო გაჭირვების დროს ბათუმიდან დელფინები იუგოსლავიაში გადაიყვანეს, ხოლო ბალკანეთის საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ ისინი ევაკუირებულნი იქნენ მალტაში, სპეციალურად აშენებულ დელფინარიუმში. ბათუმის დელფინარიუმის რეკონსტრუქციის საკითხის დღის წესრიგში დადგომისას საქართველო მალტელი კოლეგების მხრიდან დელფინების დაბრუნების პრობლემას წააწყდა. მწვანეები დელფინების სამშობლოში დაბრუნების მიზნით ფართომასშტაბიან ღონისძიებებს გეგმავენ. პრობლემის მოგვარებას და დელფინების მშობლიურ აკვარიუმში დაბრუნებას ისინი გარემოს დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით იმედოვნებენ.

## წინ მნიშვნელოვანი შეხვედრაა



მოსკოვში, 24-25 იანვარს, დსთ-ის სამიტის დროს ედუარდ შევარდნაძე და ვლადიმირ პუტინი პირისპირ შეხვედრას აპირებენ. თუ მანამდე საქართველოს პარლამენტი ურჩევდა თავის პრეზიდენტს, თანამეგობრობის ქვეყნების მეთაურებს არ შეხვედროდა, ახლა ნათელი გახდა, რომ შევარდნაძე გაემგზავრება მოსკოვს, მაგრამ არა მხოლოდ დსთ-ის ინტერნაციონალური პრობლემების განსახილველად, არამედ იმისთვის, რომ ნათელი მოჰფინოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების საკითხებს — ყველა ეს საკითხი დაკავშირებულია ჩეჩნეთთან.

## დახვრიტეს ტერორისტები

უზბეკეთის პრეზიდენტის ისლამ ქარიმოვისა და ქვეყნის მთავრობის სხვა წევრების წინააღმდეგ განხორციელებულ ტერორისტულ აქტებში ბრალდებული ექვსი ტერორისტი დახვრიტეს ტაშკენტის ციხეში. ტერაქტების დანარჩენ მონაწილეებს მიუსაჯეს 10-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთა. ტერაქტების შედეგად დაიღუპა 16 და მძიმედ დაიჭრა 100 ადამიანი.

## სომხეთმა რუსეთს უგანა?

სენსაციური ცნობა მოვიდა ერევნიდან, რომლის თანახმად სომხეთის ხელისუფლების კულუარებში უკვე სერიოზულად ლაპარაკობენ სომხეთის შესაძლო ინტეგრირებაზე... სუუამის ორგანიზაციასთან, რომლის წევრებიც არიან საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა. ამ ინფორმაციას მკვეთრად გაღიზიანებული რეაქცია მოჰყვა კრემლში, რადგან, აშკარაა, რომ თუ ეს მართლაც მოხდა, რუსეთის გავლენა და პოზიცია სამხრეთ კავკასიაში კიდევ უფრო შესუსტდება. როგორც ჩანს, სომხებიც მიდიან დასკვნამდე, რომ მათი ქვეყნის მომავლისთვის რეგიონულ თანამშრომლობას და მეზობლებთან ურთიერთობის მოწესრიგებას ალტერნატივა არ გააჩნია...

## პინოჩეტი გამარჯვებას ზეიმობს

ჩილეს ყოფილი პრეზიდენტი, მარადიული სენატორი აუგუსტო პინოჩეტი უგარტე გამარჯვებას ზეიმობს. 84 წლის გენერალი სტოვებს ბრიტანეთს და შინ ბრუნდება. დიდი ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯეკ სტროუმ, რომელმაც 15 თვიანი „პინოჩეტის საქმის" წყალობით მსოფლიოში გაითქვა სახელი, პრინციპული გადაწყვეტილება მიიღო — შეწყვიტოს ექსტრადიციის პროცესი და გაათავისუფლოს (ავადმყოფობის გამო) ჩილეს ყოფილი დიქტატორი.

## 10 წლის ბიჭები — ბოევიკებად მიიჩნიეს

ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვარზე ვითარება უკიდურესად გამწვავდა მას შემდეგ, რაც რუსმა სამხედროებმა 10-დან(!) 60 წლამდე ასაკის ჩეჩენ მამაკაცებს ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შესვლის უფლება აუკრძალეს. ამ ფაქტს დასავლეთის მხრიდან მკაცრი კრიტიკა მოჰყვა. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯეიმზ რუბინმა მოსკოვი ადამიანის უფლებათა დარღვევაში დაადანაშაულა, ხოლო ინგუშეთის პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა მკაცრი ტონით დაგმო რუსების მიერ შემოღებული ეს რეჟიმი და მას არაადამიანური უწოდა...

## დაძაბულობა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის

**(გეა)** მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის კვლავ დაიძაბა ურთიერთობა იმის გამო, რომ აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის საგარეო საქმეთა მინისტრი ილიას ახმადოვი მიიღეს.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იგორ ივანოვმა განაცხადა, რომ აშშ-ის მხრიდან ასეთი მოქმედებები ტერორიზმისა და სეპარატიზმის მხარდაჭერას გულისხმობს, მაგრამ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლის თქმით, ვაშინგტონი რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს და ახმადოვს განიხილავს — როგორც კერძო პირს. ამის პარალელურად ჩეჩნეთში განლაგებული ფედერალური ძალების ხელმძღვანელობამ დაადასტურა, რომ ჩეჩნებმა დააზიანეს ვერტმფრენი, რომელშიც მაღალჩინოსანი რუსი გენერალი გენადი ტროშევი იმყოფებოდა. ვერტმფრენმა გროზნოსთან ახლოს იძულებით დაჯდომა მოახდინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თუ რუსეთის მასმედიას „ვენდობით“, გამოდის, რომ ომი ჩეჩნეთში ჩვენ, თურქებს დაგვიწყია...

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობათა პრაქტიკაში დამკვიდრებულია ცნება — განსაკუთრებული ურთიერთობები! მაგალითად, ისტორიულად ასეთი განსაკუთრებული ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს, აშშ-სა და ისრაელს, სხვა სახელმწიფოებს... ბოლო დროს თითქმის ანალოგიური განსაკუთრებული ურთიერთობები დამყარდა საქართველო-უკრაინასა და საქართველო-აზერბაიჯანს შორის და, როგორც ჩანს, უკვე იმავეს თქმა შეიძლება საქართველო-თურქეთის ურთიერთობათა შესახებაც, ყოველ შემთხვევაში, თბილისში პრეზიდენტ სულეიმან დემირელის ამჟამინდელი ვიზიტის ფორმა, შინაარსი და მნიშვნელობა ამ განცხადების გაკეთების რეალურ საფუძველს გვაძლევს... თუ არ ვცდები, ედუარდ შევარდნაძემ მსგავსი გრანდიოზული შეხვედრა და მასპინძლობა მხოლოდ ალიევსა და კუჩმას გაუმართა. არადა, დღეს შექმნილ უმძიმეს ვითარებაში, როცა ლამისაა რეალობად იქცეს ზბიგნევ ბჟეზინსკის მიერ ამ ორიოდე თვის წინ გაკეთებული გაფრთხილება-პროგნოზი, რომ რუსეთი აუცილებლად შეეცდება ჩეჩნეთის ომის მასშტაბის გაფართოებას და მის გადმოტანას სამხრეთ კავკასიაში, რასაც მაშინ, ფაქტობრივად, სკანდალი მოჰყვა მოსკოვის მხრიდან, თურქეთის პრეზიდენტისთვის ხაზგასმულად დიდი პატივის მიგებას ის დანიშნულებაც ჰქონდა, რომ ოფიციალურ თბილისს მიენიშნებინა ჩრდილოელი მეზობლისთვის — რეგიონში საქართველოს ჰყავს ძლიერი დასაყრდენი და მოკავშირე სახელმწიფო, მით უმეტეს, რომ ამასვე მიანიშნებდა პრეზიდენტი დემირელი თავის გამოსვლებში...

დემირელის ვიზიტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანი ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ირგვლივ წამოჭრილი პრობლემების განხილვაც იყო, თუმცა სჯობს, ამ და სხვა საკითხებზე მოვუსმინოთ საქართველოში თურქეთის ელჩს **ბურაქ გიურსელს,** რომელსაც ექსკლუზიურ ინტერვიუში ვესაუბრები:

— დიახ, პრეზიდენტ დემირელის ვიზიტი თბილისში მხოლოდ ბაქო-ჯეიჰანის პროექტის რეალიზაციის დაჩქარების შესახებ არსებული საკითხების განხილვას არ ისახავდა მიზნად, ახლახან ანკარაში გამართული ალიევ-დემირელის მოლაპარაკება, შემდეგ კი შევარდნაძე-დემირელის უმაღლესი დონის შეხვედრა თბილისში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური მოვლენებია, რადგან რეგიონში უმძიმესი ვითარებაა შექმნილი და ძალიან ბევრი საკითხი მოითხოვს სერიოზულ განსჯასა და დასკვნების გაკეთებას. ამ ვიზიტებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთისთვის. მოგეხსენებათ, პრეზიდენტი დემირელი თბილისიდან ბაქოს გაემგზავრა პრეზიდენტ ალიევთან მოლაპარაკების კიდევ ერთი რაუნდის გასამართავად. ვფიქრობ, ეს შეხვედრები, რომლებსაც პრეზიდენტი დემირელი პერიოდულად აწარმოებს მეგობარ ქვეყნებში, ხელს შეუწყობს რეგიონში მშვიდობის განმტკიცებას... და სწორედ საქართველოში ამ ვიზიტის შედეგებს მალე გააცნობიერებს ყველა, ვინც კი ხედავს, თუ რა პროცესები მიმდინარეობს კავკასიაში...

რა თქმა უნდა, დემირელ-შევარდნაძის მოლაპარაკების ერთ-ერთი მთავარი საკითხი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორციელების დაჩქარებაც იყო. გასული წლის 15 დეკემბერს უნდა მოწერილიყო ხელი სატრანზიტო ქვეყნის შესახებ ხელშეკრულებაზე, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტია ბაქო-ჯეიჰანის პროექტის დიდი ხელშეკრულებისა, რომელსაც სტამბოლის ეუთოს სამიტზე მოეწერა ხელი, მაგრამ სატრანზიტო ქვეყნის, ანუ საქართველოს შესახებ ხელშეკრულების ირგვლივ გაჩნდა აზრთა სხვადასხვაობა ქართულ და აზერბაიჯანულ მხარეებს შორის, რის გამოც დოკუმენტის ხელმოწერა გაჭიანურდა...

— **ქართული მხარე მოითხოვს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტიდან მისთვის, როგორც ნავთობის სატრანზიტო ქვეყნისთვის, მაქსიმალური მოგების მიღებას, რაც, დამეთანხმებით, სამართლიანი მოთხოვნაა...**

— ეს პრობლემა საქართველო-აზერბაიჯანის გადასაწყვეტია და დარწმუნებული ვარ, მის მოგვარებას ხელს შეუწყობს დემირელი-შევარდნაძის მოლაპარაკების შედეგები. შემიძლია გითხრათ, რომ დემირელმა სთხოვა შევარდნაძეს, დააჩქაროს ამ საკითხის გადაწყვეტა, რათა 2001 წელს დავიწყოთ ნავთობსადენის მშენებლობა და დავამთავროთ 2004 წელს, რის შედეგადაც წამოვა კასპიის დიდი ნავთობი. ვფიქრობ, საქართველო და აზერბაიჯანი უკვე იანვრის ბოლოსთვის გამონახავენ საერთო ენას და პროექტის რეალიზაციის ფორმირებაც დაიწყება!

— **ფაქტია, რომ ბაქო-ჯეიჰანის პროექტის შეუფერხებელი რეალიზაცია დიდად იქნება დამოკიდებული რეგიონის სტაბილურობაზე, რასაც რეალურ საშიშროებას უქმნის ჩეჩნეთში მძვინვარე ომი, რომლის განვრცობასაც საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიებზე დღენადაგ ცდილობს რუსეთი. როგორ აფასებს ამ მოვლენებს თურქეთი?**

— ჩვენ დიდი გულისყურით ვადევნებთ თვალს ჩეჩნეთში მიმდინარე პროცესებს. რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ვგმობთ მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურების ფაქტს. ეს ხალხი არაფერ შუაშია და არ უნდა იღუპებოდეს, ამასთან, ჩვენ დიდი შიში გვაქვს იმისა, რომ ომი შეიძლება გავრცელდეს სამხრეთ კავკასიაშიც, თუმცა ჩვენივე დაკვირვებითა და ანალიზით, ჯერჯერობით, საამისო სერიოზული „პირობები“ არ არის, საფრთხე კი, მართლაც რეალურია.

— **მაპატიეთ, მაგრამ მე მაინც მეჩვენება, რომ თურქეთი, დიპლომატიური თვალსაზრისით, ამ მხრივ პასიურობს...**

— რატომ? ძალიან ბევრი განცხადება გაკეთდა ოფიციალური ანკარის მიერ, სადაც კატეგორიულად აღინიშნა, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტი უნდა მოგვარდეს საერთაშორისო სამართლის მიერ აღიარებული ნორმების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ პატივს ვცემთ რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობას, მიგვაჩნია, რომ რადგან მიმდინარეობს მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა, ირღვევა ადამიანის უპირველესი უფლება სიცოცხლეზე, ეს საკითხი მარტო რუსეთის საშინაო საქმე აღარ არის და იგი საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებში უნდა გადაწყდეს. გახსოვთ, ალბათ, სწორედ თურქი პარლამენტარები იყვნენ პირველნი, რომლებიც საქართველოში ჩეჩენ ლტოლვილებს საგანგებოდ ეწვივნენ და ჰუმანიტარული დახმარება აღმოუჩინეს. ეს დახმარება გრძელდება. თურქმა პარლამენტარებმა მადლობა გადაუხადეს საქართველოს ხელისუფლებას ჩეჩენი ლტოლვილების მიღებისა და მათთვის აღმოჩენილი დახმარებისთვის...

— **სწორედ მაშინ გაისმა ბრალდება რუსეთის მასმედიაში, რომ „თურქეთს ძალიანაც აძლევს ხელს ჩეჩნეთის ომი, რადგან ამით ბაქო-ჯეიჰანის პროექტს ალტერნატივა აღარ ექნება ჩრდილოეთის მარშრუტის სახით...“**

— თუ რუსეთის მასმედიას „ვენდობით“ და მას დავუგდებთ ყურს, მაშინ ომი ჩვენ, თურქებს, დაგვიწყია... მაგრამ ამ ომის შედეგი რა იქნება და რას მოუტანს იგი თავად რუსეთს, ანუ ომის დამწყებს, ამაზე, რატომღაც, აღარაფერს ამბობენ...

თავის დროზე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტთან დაკავშირებით, თურქეთმა წამოაყენა არგუმენტები, რომელსაც ყველა დაეთანხმა, კერძოდ: კასპიის ძირითადი ნავთობის ერთადერთი სწორი და მისაღები მარშრუტი არის სწორედ ბაქო-ჯეიჰანის პროექტი, რადგან, თუ ძირითადი ნავთობი წავა ბაქო-სუფსის ან ბაქო-ნოვოროსიისკის მიმართულებებით,



შემდეგ ამ ნავთობმა ტანკერებით უნდა გაიაროს თურქეთის სრუტეები. მათი გამტარუნარიანობა კი, არათუ შეზღუდულია, არამედ უკვე ამოწურულიცაა. ანუ, სრუტეებში ჩვენ შეგვიძლია გავატაროთ მხოლოდ და მხოლოდ კასპიის ადრეული ნავთობი. ძირითადი ნავთობის გზა კი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანია და აბსურდია, რასაც ამის თაობაზე ლაპარაკობს რუსეთის მასმედია...

— **ბატონო ელჩო, მოგეხსენებათ, ოფიციალური მოსკოვი გაუთავებლად ადანაშაულებს საქართველოს, რომ თითქოს აქედან შედიან ისლამისტი ბოევიკები ჩეჩნეთში და შეაქვთ იარაღი, რაც სინამდვილეში სიცრუეა. იყო ისეთი ინფორმაციაც, რომ ისლამისტი ბოევიკები თურქეთიდან გემებით გადადიან აფხაზეთში, იქიდან კი ჩრდილო კავკასიაში...**

— დიახ, ცნობილია ეს ინფორმაცია, მაგრამ ჩვენ განვაცხადეთ, რომ მსგავს ფაქტებს ადგილი არ ჰქონია. რუსებმა ვერ იპოვეს ამის დამადასტურებელი კონკრეტული ფაქტები. უსუსურია მათი არგუმენტებიც, რითაც ისინი ბრალს უყენებენ საქართველოს და თურქეთს.

— **მაგრამ, ხომ ფაქტია, რომ თურქეთიდან სოხუმში გემების შესვლის ფაქტებს კვლავაც აქვს ადგილი...**

— ასეთი მიმოსვლა მართლაც იყო, მაგრამ ჩემმა ხელისუფლებამ მკაცრი კონტროლი დააწესა, მეტიც, აკრძალა გემების მიმოსვლა და თურქეთის ყველა გემთმფლობელი ფირმა კატეგორიულად გააფრთხილა... მაგრამ თუ მაინც აქვს ადგილი მსგავს ფაქტებს, ეს უფრო კონტრაბანდასთანაა დაკავშირებული. კონტრაბანდა კი, მოგეხსენებათ, ისეთი რამაა, რომლის გაკონტროლება თვით აშშ-საც უჭირს. მით უმეტეს, მისი აღმოფხვრა უჭირს თურქეთსაც.

— **თავად თურქეთის სამართალდამცავებმა თუ გამოავლინეს თურქეთში შესული არაბი და სხვა ისლამური ქვეყნების მოჯაჰედები, რომლებიც ჩეჩნეთში აპირებდნენ გადასვლას...**

— არანაირი ინფორმაცია არა მაქვს არაბ მოჯაჰედებთან დაკავშირებით... ის კი შემიძლია გითხრათ, რომ თურქი ტელეჟურნალისტები იყვნენ ჩეჩნეთში და იქ თურქი მოქალაქეები არ უნახავთ. თურქეთი არანაირ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს არ სჩადის რუსეთის ტერიტორიაზეც და რუსეთის მიმართაც. არაბეთის მოქალაქეებზე მხოლოდ კანონით დადგენილი წესებით გაიცემა ვიზები. ბოლოს და ბოლოს, ხომ ცნობილი ფაქტია, რომ თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს არანაირი სურვილი არა აქვთ, რაიმე ფორმით ჩაერიონ ჩეჩნეთის ომში. ერთადერთი, რაც შეგვიძლია გავაკეთოთ, არის ის, რომ ჩეჩენ ლტოლვილებს აღმოვუჩინოთ ჰუმანიტარული დახმარება...

— **დავუშვათ და, თუ რუსებმა მოიგეს ომი და მასხადოვის ხელისუფლებას მოუხდა ჩეჩნეთის დატოვება, თურქეთის ხელისუფლება მისცემს მათ თავშესაფარს?**

— წინასწარ ნურაფერს ვიტყვით... ისე კი, არა მგონია, რომ საქმე აქამდე მივიდეს. მე არა ვარ ასე პესიმისტურად განწყობილი...

— **გასაგებია. ბატონო ელჩო, ჩვენი ბოლო შეხვედრისას თქვენ გარკვეული პრეტენზიები გამოთქვით იმასთან დაკავშირებით, რომ თურქ ბიზნესმენებს, მძღოლებს, საქართველოში პრობლემები ექმნებათ. დღეს რა ვითარებაა ამ მხრივ?**

— იგივე სიტუაციაა. აბსოლუტურად ყველა თურქულ ფირმას ექმნება საქართველოში პრობლემები, უმეტესწილად, ხელოვნურად. მძღოლებსაც ტრასაზე კვლავინდებურად სძალავენ ფულს და სცემენ კიდეც... თურქეთსა და საქართველოს დიდი პოტენციალი აქვთ ურთიერთსასარგებლო ბიზნესის განსავითარებლად, მაგრამ ხელოვნურად შექმნილი პრობლემებისა და ბარიერების გამო ვკარგავთ ამ პოტენციალს. მაგალითად, სასტუმრო „თბილისის“ რეკონსტრუქცია თურქულ ფირმას უნდა განეხორციელებინა, მიიღო კიდეც უფლება, მაგრამ უკანასკნელ წუთს გარკვეულმა პირებმა ეს უფლება სხვა ქვეყნის ფირმას მისცეს. იგივე პრობლემა აქვს თურქეთის ავიაკომპანიასაც, რომელიც კარგ სამსახურს უწევს საქართველოს... ამას თავი დავანებოთ და, საქართველოსთვის განკუთვნილი ჰუმანიტარული დახმარების განაწილებისას იმდენ პრობლემას ვაწყდებით აქ, სანამ მას ადრესატამდე მივიტანთ, რომ საერთოდ ყველაფრის სურვილი გვეკარგება...

— **იმის თქმა ხომ არ გსურთ, რომ გარკვეულწილად ცივდება თურქეთ-საქართველოს შორის თანამშრომლობა ეკონომიკის, ბიზნესის სფეროში?**

— არავითარ შემთხვევაში, მაგრამ სასურველია არსებული პოტენციალის ბოლომდე გამოყენება და ეფექტიანადაც. ამასთან, თურქეთში ორმილიონნახევარი ქართული წარმოშობის მოქალაქეა, რომლებსაც უყვართ საქართველო და სურთ აქ საქმიანი თანამშრომლობის განვითარება. ამას კი ხელი უნდა შევუწყოთ.

— **გმადლობთ.**

*ზურაბ მჭედლიშვილი*

# „ადმინისტრაციული კოდექსი იმ ბავშვს ჰგავს, რომელიც ვერც დედისთვის მიუმსგავსებიათ და ვერც მამისთვის“...

2000 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა წინა პარლამენტის მიერ, ფაქტობრივად, არსებობის ბოლო წუთებში მიღებული ადმინისტრაციული კოდექსი. ამ კოდექსის შესახებ საუბარს შეთქმულებივით გაურბიან ძალოვანები, პარლამენტის წევრები, კომპეტენტური პირნი. „ერთხმად“ დუმს უმრავლესობაც და უმცირესობაც. კანონი კი, რეალურად ძალაში შესვლის შემდეგ, სახელმწიფო მოხელეებს სწორედ ამ დუმილისთვის დასჯის და მათ ხელთ არსებული ინფორმაციის (ცხადია, გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა) გაცემა-რეალიზებას დაავალებს. თუ ადრე სახელმწიფო მოხელეებს შეეძლოთ, სურვილისამებრ ანდა გარკვეული მოსაზრებებით, საზოგადოებისთვის დაემალათ ესა თუ ის ინფორმაცია და ამისთვის მათ პასუხს არავინ სთხოვდა, ადმინისტრაციული კოდექსის ამოქმედების შემდეგ ამას ველარ გააკეთებენ.

სკანდალი, რომელიც ამ კოდექსის ძალაში შესვლას მოჰყვა, სწორედ იმ ნაწილმა გამოიწვია, რომელშიც ინფორმაციის გამჭვირვალობაზეა საუბარი. ამ ფაქტმა მავანნი საფუძვლიანად შეაფუცხუნა. სანდო წყაროს ცნობით, კახა თარგამაძე აღნიშნული კოდექსით უკვე „დაინტერესდა“ და სულ მალე კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანის მოთხოვნით წარდგება კანონშემოქმედთა წინაშე. დიახ, შს მინისტრს არ მოსწონს იგი და, ეს ბუნებრივიცაა. ცხადია, არ მოეწონებათ დანარჩენ ძალოვან უწყებებსაც, იმავე უშიშროებისა და სხვა სამსახურებს, რომელბსაც მათ ხელთ არსებული ინფორმაციების გამოაშკარავება — ფული, ხშირად სიცოცხლეც, უღირთ. არ მოეწონება არც ერთ ჩინოვნიკს, რომლისთვისაც „დუმილი ოქროა“ და აღნიშნული კანონი „სამწუხაროდ“ ანგარიშვალდებულს გახდის ნებისმიერი რიგითი მოქალაქის წინაშეც კი.

სკეპტიკოსები კოდექსს „მკვდრადშობილს“ უწოდებენ და, პრაქტიკულად, გამორიცხავენ მისი განხორციელების შესაძლებლობას.

სტატიის მომზადების პროცესში ერთი თვალშისაცემი ფაქტი დავაფიქსირეთ: ყველა კომპეტენტური პირი, ვისაც კი ადმინისტრაციულ კოდექსს ვუხსენებდი, ხელებს ასავსავებდა და საუბარზე მოკრძალებულ, ხანაც სასტიკ უარს გვეუბნებოდა იმ მოტივით, რომ კოდექსს არ იცნობდა. შეკითხვაზე, — აქამდე რატომ არ გაეცანით-თქო, პასუხი თითქმის ერთნაირი იყო: ჯერ ვერ მოვასწარით, ვერ მოვიცალეთ, ვერ მოვახერხეთ, კოდექსი ხელში ვერ ჩავიგდეთ, ვინაიდან მხოლოდ ერთი ეგზემპლარი მოიპოვებაო და ა.შ.(?!)

შს სამინისტროს ერთ-ერთი სერიოზული სამმართველოს თანამშრომელი კი ზოგად საუბარზე მხოლოდ მას შემდეგ დავითანხმეთ, რაც ანონიმურობის გარანტია მივეცით. თუმცა აქ ვინაობის გამხელა-არგამხელაზე უფრო მნიშვნელოვანი იმ შიშის თუ სიფრთხილის განცდა გახლავთ, რომელმაც ამდენი ადამიანი მოიცვა. ეტყობა, ადმინისტრაციული კოდექსი კიდევ ბევრს დაუფრთხობს ძილს და სიზმრებს.

„რევოლუციურ ნაბიჯად“, „მკვდრადშობილად“, „უდღეურად“ და ა.შ. მონათლულ ადმინისტრაციულ კოდექსს ჩვენმა სკეპტიკოსმა რესპონდენტმა „ქართული დემოკრატიის ბლეფი“ უწოდა, თავად კანონშემოქმედთ კი ქართველი მიუნჰაუზენები, რომლებიც საზოგადოებასაც ატყუებენ და საკუთარ თავსაც:

— ეს არის კანონი, რომელიც ხელოვნური მშობიარობით იშვა და რომელსაც მინიმუმ 10-15 წლის განმავლობაში პრაქტიკული განხორციელება არ უწერია. კანონპროექტი მიღებულია მხოლოდ ევროსაბჭოსა და ევროკავშირის თვალის ასახვევად, რათა შემდგომ ერთმანეთს და სხვებსაც ყურები გამოვუჭედოთ, — აი, ნახეთ, რა დემოკრატიული ქვეყანა ვართ, კანონების მიღების თვალსაზრისით როგორ რევოლუციებს ვახდენთო. არადა, ჩვენ ხომ ვიცით, რომ ეს ნამდვილი ბლეფი და უაზრობაა. ეტყობა, გასულ პარლამენტს 2000 წლისთვის ქვეყნის აღსასრულის „იმედი ჰქონდა“ და ამ კანონის მიღებით კაცობრიობის წინაშე ვალი მოიხადა.

— **კოდექსი, თავისი შინაარსით, ძალზე მნიშვნელოვანია და თუკი დემოკრატიულობის პრეტენზია გვაქვს, მაშინ კანონმორჩილნიც უნდა ვიყოთ...**

— თქვენ ისე ლაპარაკობთ, თითქოს არ იცოდეთ, ქვეყანაზე რა ხდება.

— **მე კი ვიცი, რაც ხდება, მაგრამ თქვენი, როგორც ერთ-ერთი კანონდამცველის აზრი მაინტერესებს.**

— კარგი. ერთი, ეს მითხარით, ვინ უნდა დაემორჩილოს ამ კანონს? რომელი სახელმწიფო მოხელე? სტრუქტურები, რომლებიც კომუნისტური რეჟიმის პირობებში ჩამოყალიბდნენ და დღემდე ყოველ ფეხის ნაბიჯზე საკუთარი წესრიგის დამყარებას ცდილობენ, ახლა გინდათ, ერთი „დამღერებით“ გარდაიქმნან? კი ბატონო, განა ცუდია, მაგრამ არარეალურია. ამისთვის, პირველ რიგში, საზოგადოების ცნობიერება, ცხოვრების წესი, მენტალიტეტი უნდა გარდაიქმნას. ამას კი წლები სჭირდება, მრავალი წელი. ამ ეტაპზე მისი განხორციელებისთვის არანაირი პირობა არ არსებობს, თორემ თავად კოდექსის წინააღმდეგი კი არ ვარ. ეს კანონი იმ ბავშვს მაგონებს, რომელიც ვერც დედისთვის მიუმსგავსებიათ და ვერც მამისთვის, სამაგიეროდ, მეზობელს ჰგავს გაჭრილი ვაშლივით.

— **ბარემ ის თქვით, რომ უბრალოდ არ გაძლევთ ხელს...**

— მარტო მე კი არა, ვინც ეს კანონი მიიღო, თვითონ მათაც არ ეხატებათ გულზე და პირველნი ისევ თავად დაარღვევენ.

— **თუ არ მოსწონდათ, რატომ მიიღეს?**

— სხვა გზა არ ჰქონდათ და იმიტომ. დავალება იყო ასეთი.

— **რა დავალება?**

— ჩვენ უნდა მივიღოთ ისეთი კანონები, გავატაროთ ისეთი რეფორმები, რითაც მსოფლიოს დავუმტკიცებთ, რომ დემოკრატიული ქვეყანა ვართ.

— **ე.ი. არ ვართ?**

— დიახ, როგორ არა, ყოველ შემთხვევაში, ვცდილობთ, რომ ვიყოთ, მაგრამ ვჩქარობთ. ადმინისტრაციული კოდექსის მიღებაც ვიჩქარეთ. აი, ნახავთ, ამ კანონს თანდათან კიდევ უფრო მეტი მოწინააღმდეგე გამოუჩნდება.

დიახ, ადმინისტრაციულმა კოდექსმა აღმასრულებელ სტრუქტურებში გარკვეული დისონანსი შეიტანა. მიუხედავად ამისა, ალბათ დროა, უკვე დავიცვათ კანონის უზენაესობის პრინციპები. ნებისმიერი სახელმწიფო მოხელე უნდა მივიდეს იმ შეგნებამდე, რომ კანონს თუ არ დაემორჩილება, კეთილი ინებოს, ქუდი დაიხუროს და სამსახურიდან წავიდეს. თუ საკითხს ამგვარად მივუდგებით, მაშინ აღარც შეკითხვები გაჩნდება და აღარც ასეთ წინააღმდეგობებს წავაწყდებით.

*ხათუნა ყვირალაშვილი*

# გაცხადება უფლისა ღვთისა და მაცხოვარისა ჩვენისა იესო ქრისტესი — ნათლისღება

როდესაც იესო ქრისტეს ხორციელად შობიდან 30 წელი შეუსრულდა, მივიდა იორდანეს მხარეში. ამ ადგილებში უფლის წინამორბედი, იოანე, ხალხს ამზადებდა მაცხოვრის ქადაგების მოსასმენად. მოინანიეთ, რადგან მოგვიახლოვდა სასუფეველი უფლისა, — ამბობდა იგი და ხალხს ასწავლიდა, — ვისაც ორი ხელი ტანსაცმელი აქვს, ერთი უქონელს მისცეს, ვისაც ბევრი საჭმელი აქვს, მშიერს უწილადოს, არავის აწყენინოთო. ვინც ცოდვებს აღიარებდა, იოანე მას ნათლავდა წყლით, — მე წყლით გაზიარებთ ნათელს, ჩემს შემდეგ მოსული — სულიწმიდითო.



იორდანეს მხარეში მოსვლამდე იესო ქრისტე ცხოვრობდა პატარა ქალაქ ნაზარეთში, მარიამისა და იოსების ოჯახში. 30 წლის შესრულების შემდეგ მოახლოვდა დრო, როდესაც იესოს უნდა აღესრულებინა თავისი მისია. მანამდე, ებრაული წესის თანახმად, ადამიანს არ ჰქონდა უფლება, ხალხის სწავლებისა და ღვთისმსახურების შესრულებისა. ამას გარდა, უფალმა ამ ასაკამდე იმიტომ არ ინება ნათლისღება, რომ სურდა, გაეწმინდა ყრმობისა და სიჭაბუკის ბუნება, რომელიც ადვილად იხრება ნებისმიერი ცოდვისკენ და მიენიჭებინა მისთვის ვნებათა დაძლევის უნარი.

მდინარე იორდანესთან მისული მაცხოვრის დანახვისას იოანემ მიატოვა ნათლობა, მიუახლოვდა უფალს და უთხრა, რომ მას, როგორც ცოდვილს, არ ჰქონდა უფლება უპირველესის მონათვლისა. მაცხოვარმა იოანეს საღვთო სჯულის შესრულება სთხოვა და მდინარეში შევიდა. წყლიდან ამოსვლისას ცა გაიხსნა, სულიწმიდა მტრედის სახით გადმოვიდა მასზე და ხმა მოისმა: „ესე არს ძე ჩემი საყვარელი, რომელი მე სათნო ვიყავ".

ამ დღეს განცხადდა უფალი წმინდა სამების სახით: „ძე ნათელს იღებდა, მამა — ზეგარდმო მოწმობდა და სულიწმიდა სახითა ტრედისაითა გადმოვიდოდა მასზე". ნათლისღების დღესასწაულს სხვანაირად განცხადების დღეც ჰქვია.

აქ დასრულდა ძველი აღთქმა და დაიწყო ახალი აღთქმა. ამ დღიდან მიენიჭა ადამიანს უნარი ცოდვებისგან განთავისუფლებისა.

ეს დღე იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ იკურთხა დედამიწის წყლები და მიეცა ძალა, სულიწმიდის მადლთან ერთად, ადამიანის განწმენდისა. ნათლობის დროს წყალი ადამიანს წმენდს ფიზიკური უძლურებისგან, ხოლო სულიწმინდა — სულის სისუსტისგან. ამ დროს ნათელღებულს ყველა ცოდვა მიეტევება და ღებულობს ღვთის შვილად წოდების პატივს. ახლდება სულიერი ძალები და წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ცოდვებისგან თავისუფლდება.

ზეცად ამაღლებამდე უფალი მოწაფეებს მოუწოდებდა, რომ ნათელი ეცათ ყოველი წარმართისთვის, რადგან მის გარეშე ადამიანი ვერ შევა ცათა სასუფეველში.

*ანა ჩხეიძე*

## ჩემო საყვარელო „კვირის პალიტრელებო"

თბილისში დიდი ხანი არ არის რაც ვარ, სულ ორი წელი. ამ ორი წლის მანძილზე ამ რთული ქართული ენის თავიდან ბოლომდე შესწავლა მგონი მოვახერხე. ოჯახში, სადაც ვცხოვრობ, მუდმივად ყიდულობენ „კვირის პალიტრას". სწავლა რომ დაიწყება, სოფიაში მინდა მშობლებთან წასვლა, ჩემს ინსტიტუტს უნდა მივაკითხო. იქაც თქვენთან ვიქნები – „კვირის პალიტრის" რამდენიმე ეგზემპლარი მიმაქვს. ამ დონის გაზეთები ჩვენთან თითზე ჩამოსათვლელია.

ამაზე კარგად ვერ ვწერ მაპატიეთ ძალიან გთხოვთ

თქვენი ქერინი

# ქართული მადლისა და ბედოვლათობის ერთდროული გამოვლინება

## ანუ შემთხვევით არაფერი ხდება

*ძალიან დიდი გამოხმაურება მოჰყვა „კვირის პალიტრის" წინა ნომერში გამოქვეყნებულ ინფორმაციას ბეთლემში, შობის დღესასწაულზე, ზიარების საიდუმლოების ქართული ფეშხუმით აღსრულებასთან დაკავშირებით. ვაკმაყოფილებთ ჩვენი მკითხველის დაინტერესებას და ამ ფაქტის უფრო ვრცლად მიმოხილვას ვთავაზობთ.*

ბეთლემი. ღამის 12 საათია. მაცხოვრის შობის ტაძარში საგანგებო წირვა აღესრულება. თვალში საცემია ქართული დელეგაციის სიმრავლე. ბერძენი მღვდელმთავარი ზიარების საიდუმლოს აღსასრულებლად ემზადება. იქვეა წესისამებრ შემოსილი ქართველი მღვდელიც — მამა ტარიელი (რომელიც საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა).



აი, დგება ყველაზე საზეიმო და ამაღელვებელი მომენტი, როდესაც მორწმუნეები მაცხოვრის შობის 2000 წელს, უშუალოდ შობის ადგილზე, ქრისტეს სისხლსა და ხორცს უნდა ეზიარონ... გამოაბრძანეს ბარძიმ-ფეშხუმი და მის მნახველ ქართველ მღვდელს, მამა ტარიელს სიხარულის ელდა ადგილზე აშეშებს. როგორც შემდეგ, უკვე თბილისში, იხსენებდა ამ ფაქტს ჩემთან საუბარში, თქვა: „ასეთი სიხარული მე არსად განმიცდია, არც მაცხოვრის საფლავზე, არც ღმრთისმშობლისა და წმიდა გიორგის საფლავზე (ღმერთმა შემინდოს, თუ მკრეხელობას ვამბობ, თქვა და პირჯვარი გადაიწერა). ფეშხუმი ქართული აღმოჩნდა, რომელზეც ქართული მხედრულით შემდეგი სიტყვები იყო ამოტვიფრული: „უფალო, მოიხსენე რაჭის ერისთავი შოშიტა და მამა, ერისთავი პაპუნა. 1707 წელი".

**ცნობისთვის:** ბარძიმ-ფეშხუმი ეს არის ზიარების საიდუმლოების აღსრულებისთვის საჭირო განუყოფელი წყვილი ჭურჭელი. დაუშვებელია, რომ ამ წყვილის რომელიმე კომპონენტი (ბარძიმი ან ფეშხუმი) სხვა ბარძიმთან ან ფეშხუმთან იხმარებოდეს. ყველა ბარძიმს მხოლოდ თავისი ფეშხუმი ახლავს. ბარძიმი არის ის ჭურჭელი, რომელშიც ღვინო ასხია და მაცხოვრის სისხლად გადაიქცევა, ფეშხუმში კი არის პური, რომელიც ასევე მაცხოვრის ხორცად გადაიქცევა.

საინტერესოა ის, რომ ბერძენ ეპისკოპოსს, რომელიც საიდუმლოს აღასრულებდა არ ცოდნია ფეშხუმის ქართული წარმომავლობა და როგორც გაირკვა, ჩვენს სამღვდელოებას გარკვეულ მოსაზრებათა გამო თავი შეუკავებიათ ამ ფაქტის გახმაურებისგან. როგორც მამა ტარიელი ამბობს: „ბერძნებისგან საიდუმლოდ დავტოვეთ ეს ამბავი, რადგან, ვინ იცის, მაინც ადამიანები ვართ და შეიძლება შურმა იმოქმედოს, რამე არ უქნან, არ შეცვალონ ან არ გადამალონ საერთოდ. ჯობია იყოს იქ, როგორც დამალული მადლი".

შემთხვევითობა იყო თუ არა, რომ ამ დიდებულ დღეს, მაცხოვრის შობის 2000 წლის თავზე, ქართული ფეშხუმით აღესრულა პურის ქრისტეს ხორცად ქცევის საიდუმლოება?

მამა ტარიელი ამბობს, რომ შემთხვევით არაფერი ხდება. ეს ნიშანი ღვთისგან მოდის და მისი დიდი მადლისა და წყალობის გამოვლინებაა, ჩვენი დიდი წინაპრების ღვაწლით განპირობებული. ვისაც ამის გაგება გაუჭირდება, შეუძლია, რაც ნებავს, ის სახელი დაარქვას ამ ფაქტსო.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეს წყვილი ბარძიმ-ფეშხუმისა ერთადერთი არ ყოფილა ამხელა ტაძარში. ამ გაორმაგებულ სიხარულთან ერთად, ერთი გულდასაწყვეტი ფაქტიც უნდა მოვიხსენიოთ, რომელიც ალბათ ქართული ბუნებისთვის დამახასიათებელი დაუდევრობის აშკარა გამოხატულებას წარმოადგენდა: წირვისას, იქ მყოფი ყველა ავტოკეფალური ეკლესიების წარმომადგენლებს დართეს ნება, მშობლიურ ენაზე წაეკითხათ სახარება. ყველამ წაიკითხა. ქართველებმა კი, ვაჰ, ჩვენი ბედი... ქართველებს, არცერთს არ აღმოაჩნდა სახარება ხელთ.

თუმცა ვინ იცის, იქნებ ესეც არ იყო შემთხვევითი და ორივე ფაქტი ქართველთა წარსულისა და აწმყოს სიმბოლური გამოხატულებაც კი იყო.

*მამუკა გიორგაძე*

გთავაზობთ ფეშხუმისა და ბარძიმის ენციკლოპედიურ განმარტებებს:

ფეშხუმი — მართლმადიდებელ ეკლესიაში დაბალფეხიანი თეფში, რომელიც იხმარება ღვთისმსახურების დროს ბარძიმთან ერთად. ფეშხუმზე აწყობენ ტარიგს – ნაკვეთ სეფისკვერს (ლიტურგიის დროს). ფეშხუმს ძვირფასი ლითონისგან აკეთებენ.

ბარძიმი — მაღალფეხიანი სასმისი, ქრისტიანული ეკლესიის „სიწმინდის ჭურჭელთაგანი". იხმარება ზიარების რიტუალის შესრულებისას. სიმბოლური მნიშვნელობით იესო ქრისტეს სასმისი საიდუმლო სერობაზე.

საქართველოს ეკლესიებში ჰქონდათ ოქროს, ვერცხლის, ბროლის და სხვა სახის ბარძიმები.





სერვის-ცენტრი

COMPUS კომპუსი — ყოველი კომპიუტერი კლიენტი

ეს დევიზი არაა, ეს არის პრინციპი!

- კარტრიჯების დატენვა
- საყოფაცხოვრებო და საოფისე ტექნიკის რემონტი
- პროგრამების ჩატვირთვა
- სპეციალისტების გამოძახება
- ინტერნეტში ჩართვა
- კონსულტაციები

ალ. ყაზბეგის 24ა
ტელ: 250-255



ყურადღება! კბილის ტკივილს ვერ ვაყუჩებთ!

WWW.MANTEX.CAUCASUS.NET

MANTEX Computers მანტექსი

კომპიუტერული ტექნიკა

პროფესიული სარისხის კომპიუტერული სისტემები
პორტატული კომპიუტერები (Notebooks)
პროფესიული ვიდეო და აუდიო პლატები
კომპიუტერული ქსელები
პრინტერები, სკანერები და ასლგადამღებები
კომპიუტერული ტექნიკის რემონტი და მომსახურება
საბუღალტრო პროგრამები ინდივიდუალური შეკვეთით
კომპიუტერული გრაფიკა და ანიმაცია

Intel
AMD
ASUSTeK
3Dlabs
MATROX
Diamond
nVidia
LG
brother
HP
SONY
D-Link
3COM
miro
DPS
Event
MOTU

კომპიუტერული სისტემები




თბილისი. ჭავჭავაძის 5. ტელ: 252848; ფაქსი: 233510

# „ᲛᲝᲓᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲕᲭᲐᲛᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲥᲝᲜᲔᲑᲐ...“

საპენსიო ფონდის შავ-ბნელი საქმიანობის შესწავლა კონტროლის პალატამ დაასრულა და იგი დღის სინათლეზეც გამოიტანა. ფონდის კვალდაკვალ პალატამ სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მუშაობაც შეისწავლა. თუმცა, ამ უკანასკნელის „საქმენი საგმირონი“ ზღვაში წვეთია საპენსიო ფონდის „ვაჟკაცობასთან“ შედარებით.

თავდაპირველად, მოკლედ სამინისტროს შესახებ: ძირითადი დარღვევა, ეს არის თანხების არამიზნობრივი ხარჯვა, რაც, უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, კორუფციასთან არის ახლო. სამინისტროს აპარატის დასაფინანსებელმა ხარჯებმა ბიუჯეტით განსაზღვრულს 13 ათასი ლარით გადააჭარბა მაშინ, როცა არ ფინანსდებოდა დაცული მუხლები. თენგიზ გაზდელიანის მინისტრობისას მივლინებებით კარგად უსარგებლიათ მის თანამშრომლებს. მათ ისე მოიარეს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანა და ისე დაიფინანსეს ეს მოგზაურობანი, რომ არ წარუდგენიათ სათანადო დოკუმენტაცია სასტუმროსა და კვების შესახებ. ასეთ სიამოვნებებზე სამინისტროდან რამდენიმე ათასი ლარი გაიცა. რისთვის დაიხარჯა ეს თანხები — დაზუსტება ვერ ხერხდება. როგორც კონტროლის პალატის მასალებში ვკითხულობთ, საფოსტო განყოფილებებს თანხები უკანონოდ, ზედმეტად ერიცხებოდათ. ასეთი 27 ფაქტია დაფიქსირებული. სად წავიდა ეს ფული — ეშმაკმა უწყის. ვინ იქნება პასუხისმგებელი ამ ყველაფერზე?! კონკრეტული გვარები არ სახელდება. არავინ ახსენებს არც გაზდელიანს. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო და თავსაც უშველა, როცა დეპუტატობა მოინდომა. ძველი სამინისტროს ცოდვებზე კი, ბუნებრივია, პასუხისმგებელი არ იქნება ავთანდილ ჯორბენაძე.

ახლა საპენსიო ფონდის საქმიანობასაც გადავხედოთ. 1998 წლიდან მოყოლებული, დღემდე, ფონდს 78 მილიონი დავალიანება აქვს. როგორც გაირკვა, 1998 წლის პირველი 6 თვის მანძილზე ფონდს საკუთარი შემოსავლების 91% მიუღია — 59 მლნ ლარი. ეს თანხა სავსებით საკმარისი იყო საპენსიო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ დავალიანება არ დაიფარა. წლის ბოლოს კი, დავალიანებამ უკვე 52 მლნ ლარს მიაღწია. ფონდის ხელმძღვანელობას არც ამჯერად შეტოკებია ნერვი. მეტიც, როგორც გაირკვა, ფონდი თურმე ასეთ ტრიუკსაც აკეთებდა: ხალხს პენსიიდან უკავებდნენ ელექტროენერგიის გადასახადს მაშინ, როცა მას ეს გადასახადი სხვა სახის (მომუშავე ოჯახის წევრის) შემოსავლიდანაც უკავდებოდა.

ადგილობრივი საპენსიო ფონდის ოფისების შეძენისა და კეთილმოწყობისთვის ათასობით ლარი გაიცა, ეს კი ფონდის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ ყოფილა. საიდან „გამოიჩეკა“ ეს ფული — პასუხის გამცემი არავინაა. ამას გარდა, ფონდის თანამშრომლებს საკმაოდ ძვირადღირებული მობილურები დაურიგდათ: მათთვის 20 მობილურ ტელეფონში 15 ათასი(!) ლარი იქნა გადახდილი, ხოლო 11 მობილური, ფონდმა სხვა პიროვნებებზე გასცა და მათში 10 ათასი(!!!) ლარი გადაიხადა. ვინ არიან ხსენებული სხვადასხვა პიროვნებები, კონტროლის პალატამ ვერაფრით მიაკვლია.

ყველაზე დიდი აფერა კი (ჯერჯერობით ასე ჩანს) ფინანსთა სამინისტროსთან იქნა გათამაშებული. საოჯახო დახმარებებისთვის ფონდმა სამინისტროს 14 მლნ ლარი მოსთხოვა. აქედან 4 მლნ ცხრალარიან საპენსიო დავალიანებას უნდა მოხმარებოდა. ფონდმა მილიონები მიიღო, მაგრამ გაურკვეველია, როგორ დაიხარჯა. აღმოჩნდა, რომ 9 ლარიანი პენსიები საერთოდ არ გაცემულა, 60 ლარიანი საოჯახო დახმარებები კი როგორც ირწმუნებიან — დარიგდა, თუმცა ამის შემოწმება ვერ ხერხდება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფონდს 78 მილიონიანი დავალიანება გააჩნია. მისი დაფარვის იმედი (და მით უმეტეს გრაფიკი) ჯერჯერობით, არ არსებობს. სამაგიეროდ, ხელისუფლებაში საუბრობენ და თავს იწონებენ მდგომარეობის გამოსწორების ახალი მექანიზმებით. ეს მექანიზმები, ძირითადად, მკვდარ სულებს [illegible]

**ᲠᲔᲕᲐᲖ ᲨᲐᲘᲨᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ᲙᲝᲜᲢᲠᲝᲚᲘᲡ ᲞᲐᲚᲐᲢᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ:**



**— ამ მასალებზე დაყრდნობით, რომელიც კონტროლის პალატამ მოიძია, ვის პასუხისმგებლობის საკითხს დასვამდით?**

— პასუხისმგებლობა აუცილებლად უნდა დაეკისროს ჯერ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს და შემდეგ ფონდს. პროკურატურას მასალები გადაეგზავნა. [illegible]

**— ზემოხსენებულ 14 მილიონზე რა აზრის ხართ?**

— ხელმძღვანელობის [illegible] რომ არ ყოფილიყო, 60 ლარიანი დახმარების გაცემა მოხერხდა და 9 ლარიანი — ვერა?! [illegible]

**— ვინ უნდა მოაწესრიგოს აღრიცხვიანობა? რამდენადაც ვიცი, ამ საქმეში კონტროლის პალატას რაღაც სამუშაოები აქვს გაწეული.**

— დიახ, ასეა. საერთოდ, აღრიცხვიანობა ძალიან რთული პრობლემაა. [illegible]

P.S. როგორც მოგახსენეთ, [illegible]

*ქეთი ბერეკაშვილი*

# ᲡᲔᲚᲘᲜ ᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲘᲫᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲐᲡ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ ...

რედაქციაში დაგვირეკეს და გვითხრეს: ქრისტიან-ლიბერალური პარტიის ყოფილი ლიდერი, დღეს კი პოლიტიკური ემიგრანტი ორიოდე დღით არის თბილისში ჩამოსული. ერთი წლის წინ მან იძულებით დატოვა საქართველო. პარიზში გაიცნო და ცოლად მოიყვანა ცნობილი ამერიკელი მომღერლის სელინ დიონის და. ვფიქრობთ, მისგან ბევრ საინტერესო ინფორმაციას მიიღებთო.

რა თქმა უნდა, ასეთი შესავლით მასმედიის ყველა წარმომადგენელი დაინტერესდებოდა... ჰოდა, ჩვენც ოპერატიულად ვესტუმრეთ გიორგი გოლიაძეს, რომელიც თავის დასთან სტუმრად იმყოფებოდა გლდანში (პირდაპირ პარიზიდან).

**— გიორგი, არ გეწყინოთ, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის შემდეგ იმდენი პარტია, კავშირი და ასოციაცია აღმოცენდა, რომ შეუძლებელია ყველას ახსოვდეთ, ამიტომაც გაგვახსენეთ თავი თქვენი პარტიიანად!**

— ჩვენი პარტია — ქრისტიან-ლიბერალური, ერთ-ერთი პირველი პარტია გახლავთ, იგი შეიქმნა 1988 წელს, როცა ეროვნულმა სიომ დაბერა, თუმცა მას დაარსების პერიოდში ქრისტიან-ლიბერალური ახალგაზრდობის კავშირი ერქვა. ამიტომ, გთხოვთ, მას ნუ აურევთ ბოლო წლებში სოკოებივით „აღმოცენებულ“ პარტიებში!



სიძე-ცოლისდა

**— რა ადგილი ეჭირა თქვენს პარტიას ეროვნულ მოძრაობაში, ვინ იყვნენ თქვენი თანამოაზრენი?**

— პარტია დავაარსეთ სამმა: მე, ირაკლი კაკაბაძემ (ჭაბუა ამირეჯიბის დისშვილმა), რომელიც დღეს ამერიკაში ცხოვრობს და მაია შერვაშიძემ, იგი უნივერსიტეტის ფიზიკის კათედრის დოცენტია. ჩვენი პარტია თავდაპირველად არსებობდა როგორც სტუდენტური მოძრაობა. მასში თავმოყრილი იყო უნივერსიტეტის, სამხატვრო აკადემიისა და თეატრალური ინსტიტუტის ბევრი სტუდენტი. მე მაშინ კონსერვატორიაში ვსწავლობდი, ჩემი „მაესტრო“ ნოდარ ანდღულაძე გახლდათ და დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩემზე, მომავალ კარუზოს მეძახდნენ, მაგრამ მუსიკოსებს იმედი გავუცრუე, პოლიტიკამ გადამიბირა. გახსოვთ, ალბათ, ეროვნული კონგრესის ფორუმზე ზვიადმა დატოვა ფორუმი და მას ერთ-ერთი პირველი მე გავყევი. შემდეგ ირაკლი კაკაბაძემ რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული ქრისტიან-დემოკრატიული პარტია დააარსა და ჩვენ გამოგვეყო. ჩემი პარტიის მოკავშირედ (ანუ წევრად) ითვლებოდა ფიქრია ჩიხრაძე. სად იყვნენ მაშინ, დღეს აღორძინებული ყოფილი „კომსომოლები“ გიორგი ბარამიძე და მიშა სააკაშვილი? მახსოვს, კომკავშირის ცეკაში თანამდებობის პირებს კაბინეტები რომ ავუქეთ, პირწავარდნილმა კომკავშირელმა გიამ უბნის ბიჭები მომიგზავნა „საქმის გასარჩევად“. ახლა ის „დიდი“ კაცია, მე კი პოლიტიკური ემიგრანტი. არა უშავს, ეს ცხოვრება ერთი დიდი კიბეა: ზოგი ადის, ზოგიც ჩადის. ჩემი „ასვლის“ დღეც მოვა.

მოგვიანებით, უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დავამთავრე, რადგან მიმაჩნია, რომ კარგი პოლიტიკოსისათვის აუცილებელია იურიდიული განათლება.

**— და დღეს, მიუხედავად თქვენი პოლიტიკური ემიგრანტობისა, კარგ პოლიტიკოსად თვლით თავს?**

— პოლიტიკოსს ხანდახან უწევს თავისი ქვეყნის გარეთ ცხოვრება, ეს სხვა საკითხია, თუ რატომ გავემგზავრე საფრანგეთში. რაც შეეხება, კარგი პოლიტიკოსი ვარ თუ ცუდი, ამაზე ჩემი მომავალი საქმე ილაპარაკებს.

**— დავუბრუნდეთ ისევ ახლო წარსულს...**

— როდესაც პრეზიდენტმა დატოვა თბილისი და სომხეთისკენ წავიდა, ერევნის შესასვლელამდე გავყევი. ბატონმა ზვიადმა მეც და კიდევ რამდენიმეს გვთხოვა უკან დავბრუნებულიყავით და ჩვენი საქმე გაგვეგრძელებინა. ჩემი ინიციატივით ჩატარდა დიდუბეში მაშინდელი ავადსახსენებელი მიტინგი, როდესაც ნიღბიანებმა ხალხში სროლა დაიწყეს და იყო კიდეც მსხვერპლი. ამას მოჰყვა ცირკთან მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევა. შედეგად ბევრი დაიჭრა, ერთი ბიჭი გარდაიცვალა. მოგვიანებით, სახელმწიფო საბჭოს წევრობა შემომთავაზეს, რაზედაც კატეგორიული უარი ვთქვი. ჩემს მიმართ რეპრესიები იმ დღიდან დაიწყო, როდესაც ედუარდ შევარდნაძე ჩამობრძანდა თბილისში და მე ხმამაღლა გამოვთქვი ჩემი აზრი: ეს კაცი საქართველოს დაღუპავს-მეთქი. წინასაარჩევნო პერიოდში დათმობილი ტელეეთერი გამოვიყენე: გამოვედი ტელევიზიით, დავგმე სამხედრო გადატრიალება, მოვუწოდე ხალხს პროტესტი გამოეცხადებინა ამ არჩევნებისათვის და ყოველივე ამის შემდეგ მოვხსენი ჩემი კანდიდატურა. 1995 წელს სამტრედიის რკინიგზის საკვანძო ხაზის გადაკეტვისათვის ბრალი დამდეს ყაჩაღობაში (რკინის მილები მოიპარეო) და დამაპატიმრეს. დაკითხვისას ფიზიკურად მისწორდებოდნენ და თან მაძალებდნენ, ხელი მომეწერა შეთითხნილ ახსნა-განმარტებით წერილზე, სადაც „ვაღიარებდი“ ჩემს „ყაჩაღობას“. გაუთავებელ ფიზიკურ და მორალურ ზეწოლას, მოჩვენებითი „აღიარება“ ვამჯობინე და გამომიშვეს.

**— თქვენ თქვით, რომ შარშან იძულებული იყავით დაგეტოვებინათ საქართველო. რა გახდა მიზეზი?**

— შარშან, 1999 წლის 8 იანვარს ჩავატარე პრესკონფერენცია და ვთქვი, რომ ქვეყანას არაფერი არ ეშველება, სანამ მას მართავენ მაფიოზური კლანები-მეთქი. ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ჩამკითხა: ნუგზარ შევარდნაძე (პრეზიდენტის ძმისშვილი) და თემურ ბარამაშვილი (პრეზიდენტის დისშვილი) ხომ არ გყავს მხედველობაშიო. მე მათთვის არ დამიდია ხელი, მაგრამ აღვნიშნე, რომ შეიძლება ისინიც წარმოადგენენ დღევანდელ მაფიას-მეთქი. ჟურნალისტებმა ეს ფრაზა აიტაცეს და გამოაქვეყნეს მთელი რიგი სტატიებსა, სადაც ვითომ მაფიაში მე ვგულისხმობ მხოლოდ პრეზიდენტის ნათესაობას. 10 მარტს „სამართალდამცავებმა“ ქუჩაში ბორკილები დამადეს და პროკურატურაში მიმაბრძანეს. ჩემს „საქმეს“ იძიებდა ვინმე ჩივიაშვილი. მან მაიძულა ხელი მომეწერა წერილზე, სადაც „ვამტკიცებდი“, რომ ნავთობმაფია „მიჰყავთ“ ძმებს თემურ და ავთო ბარამაშვილებს. მცემეს, კვლავ იძულების წესით ხელი მომაწერინეს ამ წერილზე. ჩემი პარტიის საბუთები დამატოვებინეს და დროებით გამომიშვეს.

**— რაში სჭირდებოდა პროკურატურას თქვენგან ეს „აღიარება“?**

— მათ სურდათ ჩემი, როგორც არასასურველი პიროვნების თავიდან მოშორება, ამიტომაც ცილისწამებისათვის რამდენიმე წლით ციხეში მიპირებდნენ გაშვებას. აქ გაჩერება შეუძლებელი იყო; სასწრაფოდ გავყიდეთ ერთოთახიანი ბინა (ნაძალადევში) და ერთ-ერთი ახლობლის დაკვალიანებით გავემგზავრე საფრანგეთში, მოვძებნე ვარლამ დევდარიანი (იგი არის საფრანგეთში პირველი ქართველი იუნკრის შვილი) და ვთხოვე დახმარება. მან დიდსულოვნად გამომიწოდა დახმარების ხელი. მასთან ორი თვის განმავლობაში ვცხოვრობდი. ბატონ ვარლამს საკუთარი ყვავილების მაღაზია ჰქონდა. ვერ გეტყვით, რომ არ გამიჭირდა, პირველივე თვეებში 20 კილო დავიკელი.

**— მოგვიყევით, როგორ გაიცანით პოპულარული მომღერლის სელინ დიონის და (სელინ დიონი ამერიკული ფილმის „ტიტანიკის“ სიმღერის შემსრულებელია-მ.ბ.).**

— მუსიკისადმი სიყვარული ხშირად მაიძულებდა პარიზის „გრანდ-ოპერაში“ შევსულიყავი და დავსწრებოდი წარმოდგენებს. ერთხელაც, პირველ რიგში მოვხვდი. ორკესტრში შევამჩნიე მშვენიერი გოგონა, რომელიც ალტზე უკრავდა. მან შეამჩნია ჩემი დაჟინებული მზერა და გამიღიმა. მე თვალი ჩავუკარი. ცოდვა გამხელილი სჯობს და უნდა ვაღიარო, რომ მექალთანე ვარ. რა ვქნა, მიყვარს ლამაზი გოგონები. სპექტაკლ „ტურანდოტის“ მერე თეატრის გამოსასვლელში დავხვდი მშვენიერ მუსიკოსს, ვუთხარი, რომ მუსიკისა და ამიერიდან მისი თაყვანისმცემელიც ვიყავი და იქვე, სადღელამისო კაფეში შევიპატიჟე. მან დიონად წარმიდგინა თავი, მითხრა, რომ კანადელია, ხოლო პარიზში სამუშაო კონტრაქტით იმყოფება. ამის შემდეგ ხშირად ვხვდებოდით. მერე აღმოვაჩინე, რომ იგი ცნობილი სელინის ნახევარდა გახლდათ. (დედით სხვადასხვანი არიან). უნდა გითხრათ, რომ ქეთრინისნაირ გოგონას იშვიათად შევხვედრივარ. მან ქართველზე უკეთ გამიგო და შემითვისა. ჩვენი ერთად ყოფნა საბოლოოდ მაშინ გადაწყდა, როცა ელისეს მინდვრებზე საერთაშორისო გალა-კონცერტი მოეწყო. ამ გრანდიოზულ კონცერტზე მიწვეულები იყვნენ პავაროტი, დომინგო და კარერასი. ჩემი ქეთრინიც მონაწილეობდა. კონცერტის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს სიყვარული შევფიცეთ.



სელინ დიონი

**— ქეთრინიც ისეთივე მომხიბლავია, როგორც სელინი?**

— უფრო უკეთესია. მისი გარეგნობა და ტანადობა ნებისმიერ თოფ-მოდელს შეშურდება.

**— პოლიტიკური თემის შემდეგ თქვენ განსაკუთრებული სიამოვნებით იხსენებთ პარიზს და ქეთრინ დიონთან ურთიერთობას. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ თქვენს ცხოვრებაში პოლიტიკამ მეორე პლანზე გადაიწია?**

— არამც და არამც! პოლიტიკას ჩემს ცხოვრებაში თავისი ადგილი აქვს, ქეთრინს კი — თავისი. მე ახლა ვიგრძენი რა არის ნამდვილი სიყვარული. ჩვენ რამდენიმე თვეში ბავშვიც შეგვეძინება.

**— თქვენი მეუღლე სად აპირებს ბავშვის გაჩენას — მშობლიურ კანადასა თუ პარიზში?**

— რა თქმა უნდა, კანადაში! მეც მალე მივიღებ კანადის მოქალაქეობას.

**— პოპულარულმა სელინმა მოისურვა ემიგრანტი ქართველი სიძის გაცნობა?**

— დიახ, პარიზში ჩამოვიდა და მოგვილოცა ბედნიერება.

**— რით დაგასაჩუქრათ?**

— გასაღებით.

**— რისი გასაღებია, ვიოლინოსი თუ...**

— (ეღიმება) მერსედესის გასაღებით დამასაჩუქრა.

**— სამწუხაროა, რომ მეუღლესთან გადაღებული ფოტოსურათი არ ჩამოგყვათ!**

— ერთადერთი სურათი მქონდა და ისიც ჩემმა პრესმდივანმა დავით გუჯაბიძემ გამომართვა. ამ დღეებში ფინეთში მივემგზავრები ქეთრინთან ერთად, მერე კი ისევ უკან დავბრუნდები და აუცილებლად თქვენ გისახსოვრებთ იმ ფოტოსურათს, რომელზედაც მე, ქეთრინი და სელინი ვართ გადაღებულნი.

**— თქვენი სამომავლო მიზნები?**

— მე საკმაოდ შეძლებული სიმამრი მყავს კანადაში. იგი დამპირდა, რომ ყველანაირად ხელს შემიწყობს პოლიტიკურ მოღვაწეობაში. 2005 წელს, როდესაც ხელახლა მოეწყობა საპრეზიდენტო არჩევნები, მე აუცილებლად კენჭს ვიყრი პრეზიდენტობაზე. მანამდე კი ჩემს გასაკეთებელ საქმეს გავაკეთებ, რათა სამშობლოში „ხელცარიელი“ არ დავბრუნდე.

**— გაქვთ გამარჯვების იმედი?**

— იმედი რომ არ მქონდეს, ამის შესახებ ხმამაღლა არ ვიტყოდი.

**— ახლო მომავლის თქვენეული გეგმა როგორია?**

— ხვალ ბათუმში მივდივარ, რათა ბათუმის კოალიციური საბჭოს წევრი გავხდე. მერე გავემგზავრები ფინეთში (რამდენიმე დღით), შემდეგ გადავინაცვლებ პარიზში. თბილისში ცოტა ხნით ისევ დავბრუნდები „საქმეების“ გამო.

**— რეპრესიების შემდეგ არ გეშინიათ თბილისში ჩამოსვლის?**

— მე აქ თითსაც ვერავინ დამაკარებს, რადგან ადამიანთა უფლებების დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ვარ... ამას გარდა, როგორ ფიქრობთ, მე რომ აქ დამაპატიმრონ, ქეთრინ დიონი იქ წყნარად გაჩერდება?

**— ალბათ, არა! დაბოლოს, რას ისურვებდით?**

— ვიხილო საქართველო და მთლიანად კავკასია აღზევებული და ბედნიერი!

**— არ აპირებთ მეუღლესთან ერთად თბილისში ჩამოსვლას?**

— რა თქმა უნდა, ჩამოვალ! აბა, იქ დიდხანს რა გამაძლებინებს. სხვათა შორის, ჩემი მეუღლე ქართულს ეუფლება... განა მარტო სააკაშვილის ცოლს ეცოდინება ქართული, ქეთრინიც ქართულად იმეტყველებს და ისევე ეყვარება ქართველი ხალხი, როგორც მე ვუყვარვარ...

*მარინა ბაბუნაშვილი*

# მშვიდობაა ცხინვალში?!

## სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს...



ყოველთვის, როცა საყვარელი ხეობის დატოვება მიხდება და თბილისში მოვდივარ (რაც ძალიან იშვიათად ხდება), დილით, გაღვიძებისთანავე ამედევნება დიდი ილიასეული კითხვა: რას ვეტყვი მე ჩემს დედაქალაქს და რას მეტყვის მე ჩემი დედაქალაქი? პირის ბანისას, საუზმობისას, ჩაცმისას და ეზოდან გამოსვლისას მარტო ეს სიტყვები მიტრიალებს თავში. სოფლის ორღობეებში მომავალს დროებით მავიწყდება სულმნათი პოეტის დანატოვარი პასუხისმგებლობა ქვეყნის (ჩემს შემთხვევაში — დედაქალაქის) წინაშე, რადგან ეზოებიდან გამოვარდნილი ნაგაზები ფეხებში მაფრინდებიან და თუ ამათ ვერ გავექცევი მშვიდობიანად, სულაც ვერაფერს ვეტყვი დედაქალაქს. ნაგაზების მოგერიებაში მათი პატრონებიც მეხმარებიან, რის შემდეგაც ვალდებული ვარ, ყველას მივესალმო:

— დილა მშვიდობისა, ჩაჩო ძია.

— იცოცხლე, შვილო, თბილისში მიდიხარ, ზურა?

— ჰო, მივდივარ, რას ვეტყვი...

— ვის რას ეტყვი, შვილო? — გაიოცებს ძია ჩაჩო.

— დედაქალაქს.

— ასე უთხარი, შვილო, რომ მაინც ვერ დავიხოცეთ.

— ვეტყვი, ჩაჩო ძია, მაგრამ რომ არ დამიჯერონ? იქნებ, ავტოგრაფი მოგეცა დღევანდელი დღით დათარიღებული და ნოტარიუსით დამტკიცებული?

თითოეულ ეზოსთან რომ დიდხანს არ გაგაჩეროთ, მოკლედ ვიტყვი იმას, რომ ყველამ ის დამაბარა, რაც ჩაჩო ძიამ, ავტოგრაფებზე კი ცივი უარი მტკიცეს — ორიოდ კვირის წინ ვილაც ჯეელს დაუვლია, ღრმად შეწუხებულს და ავტოგრაფები შეუგროვებია თურმე, ვითომ იმ მიზნით, რომ შავ ზღვასთან პირდაპირი არხით დაგაკავშირებთო. მერე იმ ჯეელს მოტყუებული გლეხების ავტოგრაფები საარჩევნო კომისიაში წარუდგენია და თავი დეპუტატობის კანდიდატად გამოუცხადებია მაჟორიტარული წესით.

სოფლის შარაზე გასულს ისევ ამეკვიატა დიდი ქართველის სიტყვები — „ნეტავ, რას ვეტყვი... ნეტავ, რას მეტყვის?" იმას ნამდვილად არ ვეტყვი, რაც სოფელმა დამაბარა — იმის მტკიცებით, თითქოს სადღაც, სამაჩაბლოში, ხალხი ისევ ცოცხალია, თბილისელებს ვერ გავაკვირვებ, თვითონაც ცოცხლები არიან მაინც. იქნებ ის ვუთხრა, რომ დენი ცხინვალს მიეწოდება, ცხინვალი კი, თავის მხრივ, არ აწვდის ელექტროენერგიას ქართულ სოფლებს, რაზეც თბილისი თვალს ხუჭავს იმიტომ, რომ ეს მასაც ხელს აძლევს? ვერც ამით გააკვირვებ თბილისელებს — ყოველ ზამთარს ამ დღეში არ არიან? დენი თბილისამდე მიდის და ქალაქში შეაღწევს თუ არა, ორთქლდება (ნამეტანი თბილ ადგილზეა გაშენებული დედაქალაქი). აბა, რა ვუთხრა?

იქნებ, გამბედაობა მოვიკრიბო, ცხენიც ვითხოვო და ის ვუთხრა, რომ სამაჩაბლოს მილიცია და სამხედრო ნაწილი ბუტაფორიებად იქცნენ? ამ შემთხვევაში მეც ბუტაფორიად ქცევა დამემუქრება, რადგან გზად მათი ყაზარმების წინ უნდა ავიარჩავიარო.

ახლა რაც შეეხება გზას. გზა, როგორც ასეთი, როგორც თანამედროვე ადამიანის ცნობიერებაში დამკვიდრებული საშუალება ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა გადასაადგილებლად, არა გვაქვს. ჩვენი სოფლის გზაზე ტრანსპორტი 15-20 კმ/სთ სიჩქარით დადის, ფეხით მოსიარულენი გაცილებით ნელა დავდივართ — მოგეხსენებათ, მანქანისთვის უფრო ადვილი ასატანია თვლების დამტვრევა, ვიდრე ადამიანისთვის ფეხების მოტეხა. როგორც იქნა, მოვრჩი „კანკანის" ცეკვას ოღროჩოღრო შარაზე და დაღლილ-დაქანცული თამარაშენი — კეხვის მაგისტრალზე გავედი. რიდით ჩავუარე წინ საქართველოს ძლევამოსილი არმიის ერთ-ერთი მშვენების — აჩაბეთის სამხედრო ნაწილის შენობას, თვალი ვკიდე მის ეზოში მტრის თავზარდასაცემად მდგარ ერთადერთ მძიმე ტექნიკას — დამწვარ BMP-ს და ნაადრევად მომეჩვენა ოცნება დაკარგული მიწების დაბრუნებაზე. ეზოდან უშველებელმა ციმბირულმა ნაგაზმა — ჯულბარსმაც შემომყეფა, რითაც მაგრძნობინა, რომ: ჰოპლა და ჰოპლა, ზურაბ, ჩვენც ვცოცხლობთო. „ვეტყვი, ჯულბარსს, ვეტყვი, მაგრამ ამ მზის გულზე რომ ხვრინვა მესმის ყაზარმიდან, თვალი დავხუჭო?" „დახუჭე, ზურაბ, დახუჭე, თუ გინდა, რომ ამ გზაზე პერსონა ნონ-გრატად არ გამოგაცხადონ", — მანიშნა ჯულბარსის აზრიანმა გამოხედვამ.

სხვათა შორის, სანამ თბილისის ავტობუსი ჩამოივლის, ძაღლ ჯულბარსზე იმასაც გეტყვით, რომ იგი ერთადერთია, რომელიც საქართველოს არმიელის საპატიო სახელს ღირსეულად ატარებს. ჯულბარსი თვეში რამდენიმე შეხვედრას მართავს ცხინვალიდან ამოყვანილ ოს ძაღლებთან და ყოველთვის გამარჯვებული რჩება, ნაძლევის ფულით კი ქართველი არმიელები პურმარილობენ.

ზაფხულობით, სამხედრო ნაწილის ოფიცრები, ჭრელაჭრულა „შორტებში" გამოწყობილნი, წვრთნიან ჯარისკაცებს, რითაც სამოქალაქო ცხოვრების ნირი შეაქვთ სამხედრო ყოფის მკაცრ ერთფეროვნებაში. ოფიცრები ჯარისკაცების მიმართაც მამაშვილურ ლოიალობას იჩენენ და გულს არ სწყვეტენ, თუ მათ საყვარელი კერიის, მშობლების, ახლობლების ნახვა მოუნდებათ, ოღონდ ერთი პირობით — სამალარიჩოთი უნდა დაბრუნდნენ ყაზარმაში, რაიც პატივისცემაზე მადლობის გამოხატულებად ითვლება.

რადგან მაინც გამოვიჩინე გამბედაობა და თოფიანებზე ავლაპარაკდი, არ შემიძლია სამაჩაბლოს მილიციაზეც არ ვთქვა სამიოდ სიტყვა (ეწყინებათ).

სამაჩაბლოს მილიცია (პოლიცია ცოტა უხერხულია, თანაც შეიძლება ვერც მიხვდნენ) აბსოლუტური გაგებით ეკიდება საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლების კურსს. ჩვენს მილიციელებს არა მარტო ჰააგის, ჰელსინკის, პრაღის, სტრასბურგისა თუ ოჩამჩირის ხელშეკრულებათა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვთ გათავისებული, არამედ სულ სიტყვასიტყვითა და წერტილ-მძიმით იციან ზემო მალთაყვის მორატორიუმის თითოეული პუნქტი. მეტსაც გეტყვით (სანამ თბილისის ავტობუსი მოვა, სიგარეტსაც გავაბოლებ): ჩვენი მილიციელები ვერ კმარობენ მათთვის განკუთვნილ ტოლერანტობას და საცოდავი ოსი სამართალდამცავებისთვის განკუთვნილ ტოლერანტობასაც ითვისებენ, რისი შედეგიც ის გახლავთ, რომ ოსებს ტოლერანტობა აღარ გააჩნიათ, ჩვენებს კი ორმაგად მოსჭარბებიათ. ჩემი ნათქვამი რომ ლიტონ სიტყვებად არ მოგეჩვენოთ, მაგალითებით დაგიმტკიცებთ იმას, თუ როგორ ჩაგრავენ ჩვენი სამართალდამცავები მცირე ერის სამართალდამცავებს:

ცხინვალის „ომონს" ორი დამნაშავე დაუსხლტა ხელიდან და თავის შველის იმედით ჩვენს ხეობას შემოეფარნენ (ლიახვი გამოტოპეს და ჭალებში იმალებოდნენ), ოსი „ომონელები" კვალში ჩაუდგნენ, მოსდიეს, მათაც გამოტოპეს ლიახვი და უმისამართო სროლა გააჩაღეს ჩვენი სოფლის (ხეითის) ჭალებში. აი, ამ საპასუხისმგებლო მომენტში ჩვენი შინაგანები არ წამოეგნენ უტოლერანტო ოსების ანკესზე და იმით გახარებულებმა, რომ არ წამოეგნენ, ყაზარმაში დურთეს თავი;

ორი ჯეელი (სხვათა შორის, ჩემი ბიძაშვილები არიან), ცხინვალის გავლით გორიდან სოფელში მანქანით ბრუნდებოდა. ცხინვალში შესულებმა წინ მომავალ მანქანას გაუსწრეს ანგარიშმიუცემლად (წესით, ეს დასაშვებია). ამით გამწარებულმა ოსებმა, რომლებიც ჩამოტოვებულ მანქანაში ისხდნენ, სიჩქარეს უმატეს, დაეწივნენ, გააჩერეს ბიჭები და მაგრადაც მიუეუეს;

ისევ ჩემმა სოფლელმა, რომელმაც ვაშლი გაყიდა რუსეთში და იმ ფულით დიდი ხნის ნაოცნებარი „07" იყიდა და რომელსაც ამის გამო ცა და ქვეყანა თავისი ეგონა, ალალად შეაგრიალა თავისი თვალისჩინი ცხინვალში. ოსებმა დიდხანს არ აცალეს ცის ქუდად მორგება (ქალამნებამდე არც მისულა საქმე), გააჩერეს, გადმოიყვანეს და ავტომატის კონდახიც უთავაზეს უქუდო თავში. გონზე მოსულმა უთვალისჩინოდ აიარა აღმართი და დღემდე დაეძებს ქათქათა „07"-ს. თუმცა, ცხინვალში მყოფი ნაცნობებისგან გაიგო, რომ მისი მანქანა ოსებმა ვილაც პატივსაცემ სტუმარს მიართვეს საჩუქრად.

ჩვენი მილიცია ყველა ასეთ შემთხვევაში ტოლერანტობას იჩენს.

კიდევ ერთი ფაქტი, სანამ ავტობუსი გამოჩნდება. ალბათ მიხვდებოდით, რომ ოსებს საოცარი გართულება აქვთ მანქანებზე. ეს ამბავიც, ახლა რომ უნდა მოგიყვეთ, მანქანასთანაა დაკავშირებული.

სამმა „ომონელმა" ცხინვალში, რა თქმა უნდა, გააჩერეს „ვიდიანი" „ბმვ", რომელშიც ქართველები ისხდნენ (ორი ძმა), რა თქმა უნდა, წართმევის მიზნით და არა იმიტომ, რომ ეთქვათ — მოდი, ქართველებო და შევრიგდეთო. ძმები მაგრები გამოდგნენ, მაგრადაც მითეთქვეს კანონდამცველნი და მანქანაც არ დაანებეს. იცით, მერე რა მოხდა? რომ გითხრათ, სიამაყით აღივსებით ჩვენი მილიციის მიმართ და მეშინია.

აგერ, ავტობუსიც გამოჩნდა. სანამ მოაღწევს, იმასაც გეტყვით, რომ კიდევ ერთი ღირსება აქვს ხეობის მილიციას — მათ ნებაყოფლობით შეითავსეს მაწანწალა ძაღლებთან მებრძოლი სამსახურის ფუნქციები და ყოველი „შარაფის" შემდეგ მოძრავ „მიშენებზე" ნადირობენ „ავტომატ კალაშნიკოვა სოვერშენსტვოვანებით". რაც მთავარია, უფასოდ!

რას ვეტყვი დედაქალაქს, ან რას მეტყვის იგი მე! ვზივარ ავტობუსში და გავცქერი დასეტყვილ ბაღებს. საცოდაობაა, საცოდაობა. მთელი წლის ნალოლიავები ხეხილი, ვაზი, ბოსტანი, ჩათეთქვილ-ჩამოლეწილი, თვალს ვერ უსწორებს პატრონს. თუმცა, პატრონი მაინც მოეფერება დაკოჟრილი ხელებით და ანუგეშებს — „ღმერთმაც არ დაგვინდო, ჩემო ლაბავ, ხედავ? რა ვქნათ, ორივეს ერთნაირად გვტკივა. შენ გგონია, მე მეტყველი ვარ? მეც პირუტყვი ვარ, ჩემო ვენახო, მეც ისევე უჩუმრად მდის ცრემლი, როგორც შენ, გადატეხილი რქიდან. შენ რა გიშავს, შენ ღმერთმა არ დაგაყოლა მეტყველების უნარი, მე რომ დამაყოლა, ამაზე ვგიჟდები სწორედ".

რამდენიმე დღის წინ თავზარდაცემულ გლეხებს ვანუგეშებდი, — ნუ გეშინიათ, აგერ, გაზეთში წავიკითხე, მთავრობა დახმარებას გპირებთ-მეთქი და ყველამ ისეთი ღიმილით შემომხედა, მთვარიდან ჩამოფრენილი მეგონა თავი.

გლეხმა იცის, რომ მთავრობა დაეხმარება. ისიც იცის გლეხმა, რომ მათ არაფერს მიაქვავებენ, მთავრობის დახმარება გაზეთშივე აორთქლდება იმ დენივით, რომელსაც თბილისელები ვერ იღებენ ზამთრობით.

ეს ყველაფერი იცის გლეხმა და აღარ უნდა არავის დახმარება, ფეხებზე ჰკიდია მთავრობაც, ხახამიც (ხეობის გამგებლის მეტსახელი), პარლამენტიცა და პრეზიდენტიც, ფეხებზე ჰკიდია ყველა მეგობარი ქვეყანა ერთად და ცალ-ცალკე, გაეროცა და მსოფლიო ბანკიც, ევროკავშირიცა და ევროსაბჭოც, ნატოც კი ფეხებზე ჰკიდია, რადგან მათმა უზომო დახმარებებმა გაალოთა და გააბინძურა ისედაც კომუნისტურ-მენტალიტეტიანი ჩვენი ჩინოვნიკები, მათმა სტრატეგიულმა ინტერესებმა უძღებ შვილებად აქცია ქართველობა, ისინი თავისას მოიკითხავენ, როცა იქნება...

გამომელვიძა — იგოეთში ვართ. რას ვეტყვი, ნეტავ? სამაჩაბლოში არ ვრცელდება რესპუბლიკური პრესა. წინასაარჩევნოდ შემოყარეს სახელდახელოდ გამოცემული პარტიული გაზეთები უფასოდ, სადაც ყველა იღიმება, როგორც კახპები თბილისის ცირკთან. მე მეგონა, ინფორმაციას მოკლებული ხალხი დაინტერესდებოდა „საქართველოს აღორძინებით", „სახალხო სიტყვით", „ჩვენი სამკვიდროთი", მაგრამ მათ მხოლოდ გაღიმებულ სიფათებს დახედეს, გაღიზიანდნენ და ერთადერთი დასკვნა გააკეთეს: „იმიტომ იღიმებიან, რომ ეღიმებათ".

— იცით, რა ჯდება ამ გაზეთების გამოცემა და უფასოდ დარიგება? — ვკითხე სოფლელებს.

— რა აზრი აქვს, — ზიზღით მომიგო სამოცდათხუთმეტი წლის გოგია პაპამ, რომელსაც საკმაოდ აკლია ყურთ.

— ის აზრი აქვს, რომ თუ ღმერთმა არ დაგინდოთ და ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ, თქვენი კისრებიდან ამოიღებენ იმ ფულს, რაც თქვენს მოტყუებაში დახარჯეს, — ჩავყვირე მარჯვენა ყურში.

— ეე, კისრებიდან ველარაფერს ამოიღებენ, შვილო, — და მოხუცმა გაწვრილებული კისერი მაჩვენა, — ხედავ? აი, ესლა დამიტოვეს, შვილო, ამოსალები და თუ უნდათ, ესეც ამოიღონ (ხვანჯარზე დაირტყა გალეული ხელი).

— მაგასაც ამოიღებენ, გოგი, მაგასაც. ფრთხილად იყავი! — შეუძახეს სოფლიკაცებმა.

— ამოიღონ და ამოიღონ, მაინც არაფერში მადგება, — არ შეეპუა ესეც და გაზეთის ქნევით წაჩანჩალდა სახლისკენ, კასტრაციის სამწუხარო პერსპექტივაზე ჩაფიქრებული...

რას ვეტყვი მე ჩემს...

აი, თბილისიც. შემომეგება დედაქალაქი სასტუმროებში, ტურბაზებში, საერთო საცხოვრებლებში, ნათესავმეგობრებში განთავსებული ლტოლვილებით.

— ვაა, ზურაბ, ჩამოხვედი? რა ამბავია ცხინვალში?

— მშვიდობაა, მშვიდობა! — ვეტყვი მეც, ხელსაც ავიქნევ დარდიმანდული მისალმების ნიშნად და მარჯვნივაც გავაპურჭყებ ირიბად.

— ვაა, მართლა? არ მოგწყინდათ ამდენი მშვიდობა? — მუხანათური ცინიზმით ზურგში ლახვარს ჩამცემს თბილის-ქალაქი, მე კი სასიკვდილო ჭრილობით სახეალეწილი დავიკლაკნები, დავილმანჭები და ჩავიკეცები საქმეში ჩაუხედავ გამვლელთა გასაოცრად...

*ზურაბ გოჩაშვილი*
*ცხინვალი*

**P.S.** *დიდი ხანია, „ლიახველ" ცხინვალელებზე აღარაფერი გვითქვამს, ვითომდა წაყრუებით რამე გამოვიდოდა... (ამ წერილის შემდეგ ველარ მოვითმინეთ და...) ახლა კი, დრო დადგა, თბილისმა ცხინვალ ქალაქის პატაკს მიუგდოს ყური, ჩაჩო ძიასა და გოგია პაპას მოუსმინოს, ტოლერანტობამოჭარბებული პოლიც-მილიციის „საქმენი საგმირონით" გაიხალისოს ჯერ კიდევ საახალწლო-ნაახალწლევი განწყობა და ბოლოს ჩაფიქრდეს... ოღონდ, ფიქრი ექნება თბილისს მწარე:*

*...როდემდე გაძლებენ „მაინც ვერდახოცილები" ხეობაში?!*

*...როდემდე იპურმარილებენ ჯულბარსის „ნაძლევით" ქართველი არმიელები?*

*...უტოლერანტო ოსების ანკესზე როდემდე წამოეგება ჩვენი ტოლერანტი სამართალდამცავი?!*

*...და საერთოდ, — როდემდე უნდა „იყოს მშვიდობა" ცხინვალში!*

# რუსთაველი მანიაკის ახალი ფოტორობოტი

რუსთაველი მანიაკის შესახებ ამ ბოლო დროს იმდენს ლაპარაკობენ, რომ მოსწავლე გოგონები შეიარაღდნენ. (ერთმაორმა წერილიც მოგვწერა — მართლა არსებობს მანიაკიო? ვერაფერს გეტყვით ჩვენო პატარა ქალბატონებო! ყოველი შემთხვევისათვის — იფხიზლეთ!) დღეისათვის, როგორც გამომძიებლები ამბობენ, რაიმე მნიშვნელოვანი სიახლე რუსთაველი „მანიაკის" ძიების საქმეში არ არის (უკვე, მერამდენედ).



აპრილის მეორე ნახევარში რუსთავში ძალადობის მცდელობის 4 შემთხვევა იყო. გოგონებს თავს ესხმოდა მამაკაცი, სცემდა და დახრჩობას უპირებდა მათ. გოგონები აღწერენ საშუალო სიმაღლის წვერგაუპარსავ მამაკაცს, რომელიც არყის სუნად ყარდა. ძალადობის მცდელობის შემთხვევა მანამდეც ყოფილა.

1998 წლის სექტემბერში ორ გოგონას უცნობმა მამაკაცმა თავი „დაქრავებულ კოდურ მკვლელად" წარუდგინა, — ათასკაციანი „დესანტის" ერთ-ერთი წევრი ვარ და ქართველების განადგურება გვაქვს დავალებულიო. „კოდურმა მკვლელმა" გოგონებს უთხრა, — უნდა მოგკლათო და თავისი „ნომერიც" გაუმხილა. საუბარში გოგონები სახლს მიუახლოვდნენ, მან ერთ-ერთის სახელი გაიგო, შემდეგ მისამართიც შეიტყო და მთელი ღამე უბრახუნებდა კარზე — გააღეთ, — უნდა მოგკლათო. იმ დღის შემდეგ კი აღარ გამოჩენილა.

აღსანიშნავია, რომ ამ უბანში (სადაც ზემოთ აღწერილი შემთხვევა მოხდა, — მ.ლ.) სხვა შემთხვევაც არის დაფიქსირებული. გოგონას წინ გადაუდგა მამაკაცი და უბრძანა, — წამომყევი, თორემ მოგკლავო. გოგონა შეშინებული გაჰყვა, მაგრამ შემდეგ გაექცა (სწრაფად შევარდა მალაზიაში და გამყიდველებს სთხოვა, დაემალათ, თუმცა ის კაცი მალაზიაში აღარ შეჰყოლია, — მ.ლ.)

პანიკამ არა მარტო რუსთავი, არამედ თბილისი და ქუთაისიც მოიცვა. ქუთაისში გავრცელდა ჭორი, რომ პოლიციის პატრული მანიაკს ეძებს, თუმცა ძალადობის შემთხვევები ქუთაისში არ დაფიქსირებულა.

„კვირის პალიტრა" გთავაზობთ მანიაკის ახალ (მესამე) ფოტორობოტს.

*მანოლი ლილუაშვილი*

## ყველა დანაშაულს

# ყოველთვის(!) უმკაცრესი შეფასება უნდა მიეცეს

დღეს უკვე ალარავინ დავობს იმაზე, თუ რამდენად პოლიციურ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ვირწმუნოთ, რომ საქართველო პოლიციური სახელმწიფოა და ჩვენი სამართალდამცველები ზოგჯერ მეტისმეტად თავდაჯერებულნი და გამალიზიანებლად პომპეზურნიც არიან? ხშირად გაიგონებთ: რამდენად არის დაცული ჩვეულებრივი მოქალაქე (ასეთი თავმომწონე და ხიბლში ჩავარდნილი) პოლიციისაგან? ნუთუ ვერც ვაცნობიერებთ და სავალალო პარადოქსის წინაშე ვდგავართ, — თავდაცვა მათგან გვიწევს, ვინც ჩვენ უნდა გვიცავდეს.

რამდენიმე დღის წინ პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტისა და პოლიცია-პროკურატურის წარმომადგენლების არასაიდუმლო სერობის ანუ საკომიტეტო მოსმენის მომსწრეთ ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდათ, რომ პოლიცია და პროკურატურა თავად არის დაჩაგრული, დამცირებული და შეურაცხყოფილი, რადგან (მათივე მტკიცებით) ყველა მათ საქმეში ყოფს ცხვირს და უფრო მეტიც, მათზე ზეწოლას ახდენენ. შესაძლოა „არ ახალი", საუკუნეების მანძილზე აპრობირებული „გალმა შეუდავე, გამოლმა შეგრჩებას" მეთოდით სარგებლობენ ქართველი სამართალდამცველები.

ძალიან გვინდა დავიჯეროთ, რომ ჩვენი პოლიცია ჩვენ გვიცავს და მათიც ვირწმუნოთ, ვინც შსს-ს თანამშრომელთა უმწიკვლო და მუხლჩაუხრელ შრომაზე საუბრობს, მაგრამ „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს"... უთქვამს ადამიანს, რომელიც ალბათ საქმისა და სიტყვის დაშორების მომსწრე გამხდარა. ამის თქმის საფუძველს კი ის მასალები გვაძლევს, რომელიც „კვირის პალიტრამ" ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტში მოიძია. მკითხველს ალბათ ახსოვს 1999 წლის 13 დეკემბერს დათო ვაშაყმაძის მკვლელობის ფაქტი. (ავტოინსპექტორებთან შელაპარაკების მიზეზით რიყეზე მომხდარი მკვლელობა).

დედაქალაქელ პოლიციელებს არც სიღნაღელი კოლეგები „ჩამორჩნენ". შარშან, 11 დეკემბერს წნორში, სიღნაღის შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომელმა ნოდარ აბულაშვილმა „მაკაროვით" (3-ჯერ გასროლით) მოკლა 19 წლის ზვიად ბალაშვილი.

ავტომანქანა, რომლითაც პოლიციელები შემთხვევის ადგილზე მივიდნენ არ განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ავტომობილისაგან. აბულაშვილს პოლიციის ფორმა არ ეცვა. იგი იარაღმომარჯვებული წავიდა ბალაშვილისაკენ. არ წარუდგენია მისთვის პოლიციის თანამშრომლის საბუთი, არ განუმარტავს რა მიზეზით აკავებდა მას, ამიტომ ბალაშვილს სრული უფლება ჰქონდა, არ დამორჩილებოდა აბულაშვილს. მან ვერ გაარკვია, ნოდარ აბულაშვილი პოლიციელი იყო თუ თავდამსხმელი.

დარღვევებია ამ საქმის ძიებაშიც. მკვლელობის ფაქტის მოწმე, დათო ნასყიდაშვილი გარდაცვლილის დაკრძალვის შემდეგ დაიკითხა. არ ჩატარებულა გვამის სრული ექსპერტიზა. სროლის შედეგად ბალაშვილს ტყვია მარცხენა მხარში მოხვდა. დაუზიანდა ფილტვი და აორტა, რაც ექსპერტიზამ მისი სიკვდილის მიზეზად ცნო. თუმცა ბალაშვილს მარცხენა თვალის ქვეშაც ჰქონდა ჭრილობა. დამოუკიდებელი ექსპერტის მაია ნიკოლეიშვილის აზრით, შესაძლოა, ეს კიდევ ერთი ნატყვიარი იყოს. მაგრამ სახელმწიფო ექსპერტმა ეს აზრი არ გაიზიარა და ოჯახის წევრებს სრულყოფილი გამოკვლევის ჩატარების უფლება არ მისცა, არგუმენტით, — მიცვალებული შეწუხდება... მაინც არაფერი ეშველებაო.

პროკურატურამ საქმე აღძრა სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების მუხლით, მაშინ, როცა ფაქტობრივად ორი დანაშაულია ჩადენილი — უფლებამოსილების გადამეტება და მკვლელობა.

მითქმამოთქმა გამოიწვია არჩევნების დღეს, 31 ოქტომბერს, რობერტ პეტრიაშვილის სიკვდილის ამბავმაც(!)

შარშან, 22 მარტს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკებმა დავით მიშველაძემ და რამაზ ჭოხონელიძემ დააკავეს ივანე კოლბაია, რომელიც ეჭვმიტანილი იყო (პირთა ჯგუფთან ერთად) 500 ლარის სამშენებლო მასალის ქურდობაში. დაკითხვა შინაგან საქმეთა სამმართველოს შენობის მეექვსე სართულზე მიმდინარეობდა. პოლიციელების თქმით, კოლბაიამ ახსნა-განმარტების ჩამორთმევის შემდეგ თავი დამნაშავედ ცნო, დაასახელა დანაშაულში მონაწილე სხვა პირები, შემდეგ ტუალეტში გაყვანა ითხოვა. მოულოდნელად ის ტუალეტის ფანჯარას ეცა, გაანგრია და მეექვსე სართულიდან გადახტა. მეზობლების თქმით, დაუჯერებელია, კოლბაიას (რომელიც ჯანმრთელობაზე ზრუნავდა და ექიმსაც ხშირად აკითხავდა) ასეთი წვრილმანი დანაშაულის გამო თავი მოეკლა.

1999 წლის დეკემბრის პირველ რიცხვებში შსს-ს თანამშრომლებმა სახლიდან აიყვანეს ზაზა წოწოლაშვილი. დაკავების მიზეზი მათ არ დაუსახელებიათ. რადგან ზაზა ავად იყო, სამინისტროში მას მხარდასაჭერად ძმები გაჰყვნენ. დაკავებული და მისი ძმები მე-6 სართულზე აიყვანეს, ზაზა წოწოლაშვილი ცალკე შეიყვანეს დასაკითხად. ძმები მეზობელ ოთახში იყვნენ. რამდენიმე წუთში მათ მინის მსხვრევის ხმა მოესმათ. (ამასობაში წოწოლაშვილი მე-6 სართულიდან გადახტა) შეცვივდნენ დაკითხვის ოთახში, სადაც იმყოფებოდა შს სამინისტროს ერთი თანამშრომელი. როგორც არაოფიციალურად დადგინდა, წოწოლაშვილი ეჭვმიტანილი ყოფილა ადამიანის გატაცებაში. სახელმწიფო ექსპერტის, ირაკლი ბახტაძის პრინციპული მოთხოვნის გამო გვამის გაკვეთას არ დაასწრეს დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი.

რამდენიმე დღის წინ პოლიციისა და პროკურატურის მაღალჩინოსნებს ეს და კიდევ მრავალი ფაქტი დაუდეს წინ. თუმც ამ ბრალდებებმა სამართალდამცავებს ნირი ვერ უცვალა. „ბრალმდებლებს" აქეთ შეუტიეს, ვინა ხართ? რა თქვენი საქმეა... ჩვენზე ზეწოლას თავი დაანებეთ. ელენე თევდორაძე საქმის ძიებაში ხელს გვიშლისო...

**ელენე თევდორაძეს** რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

— **საკომიტეტო მოსმენაზე სამართალდამცავებს თქვენ საკმაოდ სერიოზული მამხილებელი საბუთები წაუყენეთ, ექნება რაიმე შედეგი ამ ბრალდებების წაყენებას?**

— საკომიტეტო მოსმენიდან ძალიან დათრგუნვილი დავრჩი. სამწუხაროდ, მივხვდი, რომ უკეთესი შედეგის მოლოდინში არ უნდა ვიყო. ვაშაყმაძის მკვლელობასთან დაკავშირებით სოსო ალავიძემ სასაცილო არგუმენტები მოიყვანა. მან განაცხადა, რომ დათო ვაშაყმაძის სიკვდილის მიზეზი ცემა კი არა, ექიმების დაუდევრობაა. მაშინ, როცა ექსპერტიზის დასკვნაშიც მითითებულია, რომ სიკვდილი ცემამ გამოიწვია.

— **ზაზა წოწოლაშვილის საქმეში რატომღაც უცნობი პოლიციელები ფიგურირებენ, მითითებულია, რომ მას სახლში ვიღაც 2-მა დაუდგენელმა პიროვნებამ (პოლიციელმა) მაკითხა?**



— ვიცი, რომ ამ ფაქტთან დაკავშირებით თარგამაძემ ორი გამომძიებელი გაათავისუფლა (ისინი ვისი თანდასწრებითაც გადახტა ფანჯრიდან წოწოლაშვილი) მათ ვინაობას არ ამხელენ, რათა თავიანთი კოპორტის წევრებს პასუხისმგებლობა აარიდონ. სამწუხაროდ, წოწოლაშვილზე მეტი ინფორმაცია არ მაქვს, ოჯახი დაშინებულია და ფრთხილობს.

— **რამდენადაც ვიცი, ზეწოლა და სატელეფონო ზარები ვაშაყმაძის ოჯახშიც არის...**

— ძნელია ვინმეს დაადო ხელი, მაგრამ ვერსიის დონეზე შეიძლება დავუშვათ, რომ ვიღაცას უნდა ყველაფერი დარჩეს ისე, როგორც არის, ანუ ჯოხი ბზიშვილზე გადატყდეს. მან დუმილის უფლება აირჩია. ვერსიის დონეზე დაუშვებ, რომ მას როგორც პოლიციის თანამშრომელს, ეტყობა, რაღაცას დაჰპირდნენ...

— **თქვენ ჯიმი მიქელაძემ გამოძიებაზე ზემოქმედებაში დაგადანაშაულათ...**

— საკომიტეტო მოსმენის მიზეზი იყო კიდეც გამოძიებაზე ზეწოლა და არა მასში ჩარევა. მინდა, რომ გამოძიება ობიექტურად ჩატარდეს და დაისაჯონ ის პიროვნებები, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს. როცა მე მიყენებენ პრეტენზიებს, ასეთ კონტრშეკითხვას დავსვამ: როცა ნოდარ აბულაშვილი (ბალაშვილის მკვლელი) ტელევიზიით გამოიყვანეს და ალაპარაკეს, ეს არ იყო საქმის ძიებაზე ზეწოლა?

საკომიტეტო მოსმენაზე განსაკუთრებით გამოვყავი ვაშაყმაძის და ბალაშვილის საქმეები, ისინი ჩვეულებრივი მოქალაქეები იყვნენ, კანონი არ დაურღვევიათ და არც ეჭვმიტანილები ყოფილან. პოლიცია თავხედურად იქცევა. კი, პოლიციას პატივს უნდა ვცემდეთ და თანადგომასაც ვუწევდეთ, მაგრამ როცა პოლიციელი კანონს არღვევს, ის ისევე უნდა დაისაჯოს, როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე.

— **თქვენ გარდაცვლილთა ოჯახებზე ზეწოლა ახსენეთ, თქვენს მიმართ თუ არის ანალოგიური ზეწოლა?**

— არ მინდა ვთქვა... მაგრამ იყო ზარები ამ საკომიტეტო მოსმენასთან დაკავშირებით, საღამოს დამირეკეს და მითხრეს, რომ გავჩერებულიყავი. ვიცი, ვინც იყო, ვინაობას ვერ გეტყვით, მაგრამ მას მე საკადრისი პასუხი გავეცი. მინდა, რომ პოლიციამ თავისი სახე დაიბრუნოს და მეტი ნდობა იყოს მის მიმართ.

„კვირის პალიტრა" ქალაქის პოლიციის სამმართველოს უფროსს **სოსო ალავიძესაც** გაესაუბრა.

— **ამასწინათ საკომიტეტო მოსმენაზე პოლიციას საკმაოდ სერიოზული ბრალდებები წაუყენეს. არაერთხელ მიუთითეს იმის თაობაზეც, რომ პოლიცია გათავხედებულია და სანამ გვიან არ არის მისი თვითნებობა უნდა აღიკვეთოს.**

— ქალბატონი ელენეს შეფასებები და ბრალდებები მისი თანამდებობისა და კომპეტენციის ჩარჩოებს სცილდება. ეს არის პირდაპირი ზეწოლა გამოძიებაზე საკუთარი იმიჯის ამაღლების მიზნით. ზოგიერთებს ყველაზე ნაკლებად აინტერესებთ პატიმრისა და მოქალაქის მდგომარეობა, მიუხედავად ამისა პოპულისტურ განცხადებებს აკეთებენ და ავტორიტეტს იქმნიან. კანონის ენით ამას ზეწოლა ჰქვია. პარლამენტშიც განვაცხადე, რომ ასეთ ზეწოლას ადრე სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირებები ახორციელებდნენ, როდესაც რიგ საქმეებთან დაკავშირებით თვითნებური გადაწყვეტილებები გამოჰქონდათ. ჩვენ გაოგნებული დავრჩით, თუ რა შეუძლია კანონის უცოდინრობას და ერთმანეთისადმი ზიზღს. ეს ხომ „კარგად ორგანიზებული" ე.წ. მოსმენა იყო. ორგანოს მიერ ჩატარებული იყო საპროცედურო კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი გამოძიება და განაჩენიც გამოტანილი იყო. ჩვენ მართლაც სერიოზული ბრალდებები დაგვიდეს წინ. რაც შეეხება კონკრეტულ დანაშაულებს, მათ უმკაცრესი შეფასება უნდა მიეცეს. გასულ წელს რესპუბლიკის მასშტაბით 14.500 დანაშაული მოხდა. ეს საზოგადოების ერთი პროცენტია. ე.ი. უნდა ვთქვათ, რომ საზოგადოება კრიმინალურია?

ჩვენც გვინდა, რომ შინაგან საქმეთა სისტემა იდეალური იყოს. რატომ ვნათლავთ ისე, თითქოს თვითონ სისტემა უბიძგებს პოლიციის თანამშრომელს დანაშაულისაკენ. არცერთ სხვა სტრუქტურას არ გააჩნია დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახური (სტრუქტურის შიგნით). საზოგადოებაში დანაშაული ყოველთვის არის და პოლიციაც ამ საზოგადოების შემადგენელი ნაწილია. რაც მოხდა, ის ფაქტები საგანგაშოა, მაგრამ ყოველივე ამას ისეთ სახეს ნუ მივცემთ, თითქოს ეს ჩვენი სისტემის კრედო იყოს. მტკიცება, რომ თითქოს პოლიციელთა მხრიდან ჩადენილ დანაშაულს ადეკვატური სამართლებრივი შეფასება არ მოჰყვა, ტყუილია. დანაშაულში მონაწილე ყველა პირი (ვინც ძიებით არის დადგენილი) პასუხისგებაშია მიცემული.

— **რატომ არ დაუკავებიათ არავინ რობერტ პეტრიაშვილის საქმეზე (მკვლელობა არჩევნებზე)?**

— არც დაკავდება. იმიტომ რომ დასაკავებელი ის ხალხი იყო, რომელთაც საარჩევნო კანონი დაარღვიეს და გზა გადაკეტეს. ცილისწამებაა, როცა ამტკიცებენ, რომ პეტრიაშვილი ნაცემი იყო, ეს გამომძიებელმაც დაადასტურა. გარდაცვლილს მკერდის არეში სამი სისხლნაჟღენთი ჰქონდა, რისი მიზეზიც შესაძლოა ინფარქტი ყოფილიყო, ამასვე ადასტურებს ექსპერტიზა, მითუმეტეს, რომ გვამის გაკვეთას ესწრებოდა ოჯახის ახლობელი, რომელიც პროფესიით ექიმია.

— **საზოგადოებამ ეს ფაქტი აღიქვა, როგორც მოსახლეობის დაშინება. არაერთხელ გაიგონებ, რომ პოლიციამ მმართველი პარტიის მხარე დაიჭირა არჩევნების დროს და ხალხის მიმართ აგრესია გამოიჩინა.**

— ასეთი შეფასება არის მარაზმი. ამას ხელმოცარული ხალხი ამბობს, რომელთაც ისღა დარჩენიათ, აკრიტიკონ, დისკრედიტაცია გაუკეთონ იმ სისტემას, რომელიც არის... ქვეყნის დასაყრდენი. ჩვენ ქვეყნის ბიუჯეტზე ვართ ავად თუ კარგად დამოკიდებული და უშიშროების სამართალდაცვითი სისტემის წარმომადგენლები ვართ. არ მჯერა, რომ ის ხალხი, რომელიც დაფინანსებას გაურკვეველი წყაროებიდან და გაურკვეველი ქვეყნებიდან იღებს (თითქოსდა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ) ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი თანაცხოვრებით იყოს დაინტერესებული. ვინც ფულს იხდის, მუსიკასაც ის უკვეთავს და ვინ ვის უხდის და ვის რას უკვეთავენ, კაციშვილმა არ იცის.

— **ამბობენ, პოლიცია მმართველ პარტიას მხარში დაუდგა და ამიტომაც შერჩათ სხვადასხვა დანაშაულებრივი ქმედებები.**

— ვის შერჩა? ყველა პასუხისგებაშია მიცემული. ეს იმ ხალხს შერჩათ, ვისაც სხვადასხვა ქალბატონები იცავდნენ და პრეზიდენტზე ტერაქტის განმახორციელებელნი, ლამის არის ეროვნული გმირების რანგში აიყვანეს. ჩვენთვის რევერანსი არავის გაუკეთებია, პოლიცია არც მმართველ და არც უმართავ პარტიას არ დახმარებია.

— **პოლიციის თანამშრომელი წერეთელი ჯერ ნარკოტიკების კონტრაბანდაში დაადანაშაულეს, შემდეგ კი მის მოხმარებაში. ამ ფაქტზე რას იტყოდით?**

— წერეთელი ადრე იყო პოლიციელი, შემდეგ სხვა სისტემაში მუშაობდა. დავუშვათ იგი პოლიციელიც იყო, ხომ თავად პოლიციამ ამხილა? სამაგიეროდ ჩვენმა ნაქებმა და მიუკერძოებელმა სასამართლომ მას აღმკვეთი ღონისძიება გაუსვლელობის ხელწერილით შეუცვალა.

— **კულუარული ინფორმაციით თვითონ პოლიციის თანამშრომლები არიან მჭიდრო კავშირში ნარკოტიკების გამსაღებლებთან და იმასაც ამბობენ, რომ ამ საქმით გვარიანადაც ითბობენ ხელს?**

— ჩვენი საზოგადოების ნაწილმა ღვთის შიში დაკარგა. ღმერთს მაინც აეხედოთ ასეთ რამეს როცა ვიტყვით.

— **ბუნებრივია, რომ თქვენს უწყებას კბილებით დაიცავთ... უარყოფთ, რომ პოლიციაში ნარკომანები არიან?**

— პოლიციის რიგებში იმდენი დამნაშავე ან ნარკომანია, რამდენიც ჩვენს საზოგადოებაში, თუნდაც ჟურნალისტებს შორის. ჩვენს რიგებს ვწმენდთ, მაგრამ ძალიან ბევრი „გულაღტკინებული" სამართალდამცველის მხრიდან ხშირია სატელეფონო ზემოქმედების ფაქტები: იქნებ დარჩეს, იქნებ არ დაითხოვოთო. უნდა ვაღიარო, რომ ამ კუთხით სასამართლოებიც ცოდავენ.

— **არაერთხელ გამიგია, რომ ქუჩაში ახალგაზრდებს კაიფში მყოფი პოლიციელები აჩერებენ და ეკითხებიან: „ბიჭო წამალი გაქვს გაკეთებული?"**

— როდესაც გვინდა პიროვნების შემოწმება, არის თუ არა ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, სერიოზულ ლაბორატორიულ გამოკვლევას ვუტარებთ. ეტყობა ის ახალგაზრდები ძალიან გამოცდილი ნარკომანები არიან, როდესაც კაიფში მყოფ პოლიციელებს აფიქსირებენ.

— **პრესასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?**

— პრესა ასე თუ ისე ობიექტურია და ვთანამშრომლობთ კიდეც მასთან. ბოლო ორი წლის მანძილზე ყოველ ორშაბათს ვყიდულობ „კვირის პალიტრას", მომწონს იგი ზომიერებისა და რედაქციის მიუმხრობლობის გამო.

*იზო რიკაძე*

## ყურაშვილი ალაპარაკდა?!

როგორც ცნობილია, 1999 წლის 22 მაისის არშემდგარი ტერაქტის ერთ-ერთ ორგანიზატორად ქართველმა სამართალდამცავებმა გუჯარ ყურაშვილი დაასახელეს. მას ქვეყნის „№1 ტერორისტთან" ალიანსი ბრალდებოდა. უშიშროების საგამოძიებო ჯგუფმა, მალხაზ სალაყაიას ხელმძღვანელობით, აღნიშნული საქმის გამოძიება გასული წლის 30 დეკემბერს დაასრულა. თუმცა საქმის მასალების სასამართლოსთვის გადაცემა, პაპუაშვილის სიკვდილის გამო, გაჭიანურდა. ყურაშვილი, პაპუაშვილის მსგავსად, ჩვენების მიცემისგან თავს იკავებდა, თუმცა, როგორც ჩანს, „კოლეგის" საეჭვო სიკვდილმა მასზე იმდენად იმოქმედა, რომ ორიოდ დღის წინ უშიშროების იზოლატორში მისულ ელენე თევდორაძეს თითქმის ყველაფერი უამბო.

„კვირის პალიტრა" ადამიანის უფლებათა თავდაცვისა და ეროვნული უმცირესობის კომიტეტის თავმჯდომარეს ელენე თევდორაძეს ესაუბრება.

— **ქალბატონო ელენე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ორიოდ დღის წინ თქვენ უშიშროების იზოლატორში იყავით, სადაც ტერაქტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილ გუჯარ ყურაშვილს შეხვდით, ე.ი. იგი ალაპარაკდა?**

— არა, რადგან, როგორც ამბობს, სათქმელი არ აქვს. ყველაფერი, რაც მან იცოდა, წერილობით ჩამოაყალიბა უშიშროების სამინისტროში, დაკავებამდე.

— **რატომ მაშინვე არ დააკავეს?**

— როგორც ყურაშვილმა მითხრა, იგი 1999 წლის 23 მაისს მივიდა უშიშროებაში და ყველაფერი განაცხადა. არც ის დაუმალავს, რომ მოსკოვში იგორ გიორგაძეს ნამდვილად შეხვდა.

— **სად და როდის მოხდა ეს შეხვედრა?**

— სიმართლე გითხრათ, არ აკონკრეტებს, როდის და ვისი ინიციატივით დაესწრო იგი რუსეთის გენერალიტეტის შეხვედრებს. თუმცა მან სამ შეხვედრაზე მომითხრო. პირველ შეხვედრას მხოლოდ რუსი გენერლები ესწრებოდნენ; მეორეზე საგანგებოდ მიიწვიეს იგორ გიორგაძე, რომელიც მხოლოდ მსმენელი იყო. გენერალიტეტის მესამე შეხვედრის დროს კი, ყურაშვილმა გიორგაძისგან კონკრეტული დავალებები მიიღო.

— **უფრო ზუსტად?**

— ის, რომ გიორგაძის გეგმის თანახმად, როდესაც ის თანამებრძოლებთან ერთად საქართველოში შემოვიდოდა, ყურაშვილს ოფიცრებისა და ჯარისკაცებისთვის წინააღმდეგობის გაწევის უფლება არ უნდა მიეცა.

— **ამას ყურაშვილის რა რეაქცია მოჰყვა?**

— როგორც ამბობს, საკმაოდ აღშფოთებულა. ისიც მითხრა, საქართველოში ჩამოსვლისას უშიშროების თვალთვალს ვგრძნობდიო. როგორც ჩანს, ჩვენმა საიდუმლო სამსახურმა იცოდა ამის შესახებ. შემდეგ, როდესაც ყურაშვილი მიხვდა, შეიძლებოდა საკმაოდ უსიამოვნო სიტუაციაში აღმოჩენილიყო, საქართველოს უშიშროების სამინისტროში ზემოთნახსენები განცხადება დაუწერია.

— **ქალბატონო ელენე, თუ დაგისახელათ ყურაშვილმა რომელიმე რუსი სამხედრო ოფიცრის ვინაობა?**

— მსგავსი არაფერი უთქვამს და სიმართლე გითხრათ, არც მე მიკითხავს. რადგან პატიმართან შეხვედრისას ვცდილობ, ზედმეტი კითხვებით არ შევაწუხო და საერთოდ არ გავუქრო მოყოლის სურვილი. თუმცა, როგორც ვიცი, შეხვედრას მისი ძველი თანამებრძოლებიც ესწრებოდნენ — მოგეხსენებათ, იგი ავღანეთშიც იბრძოდა.

— **თქვენი და ყურაშვილის შეხვედრა ვისი თაოსნობით მოხდა?**

— შეხვედრამდე ორი დღით ადრე ჩემთან მოვიდა პაპუაშვილის გარდაცვალებით შეშინებული ყურაშვილის და და მის ძმასთან შეხვედრა მთხოვა. თანაც დაკავების შემდეგ ყურაშვილი ოჯახის არც ერთ წევრს არ უნახავს.

— **ქალბატონო ელენე, ყურაშვილზე, იზოლატორში ხომ არ ყოფილა ზეწოლის ფაქტები?**

— როგორც მითხრა, ფიზიკურ ზეწოლას ადგილი არ ჰქონია, თუმცა მომითხრო ერთი შემთხვევის შესახებ. მასთან ორი ნიღბოსანი შესულა. ერთ-ერთს ყურაშვილისთვის შვილების ფოტოები უჩვენებია და უთქვამს, — თუ ყველაფერს არ იტყვი, შენს შვილებს ან მანქანა დაეჯახება, ან სხვა მიზეზით დაიხოცებიანო. მეორეს გაუჩერებია, — რას ლაპარაკობ, ხომ არ გაგიჟდიო.

— **როგორია ყურაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა?**

— საკმაოდ მძიმე. ნატყვიარების გარდა მას კუჭის წყლულიც აქვს, რის გამოც თითქმის ყოველ კვირა სისხლდენა ეწყება. კამერებში არ არის ელექტროგაყვანილობა, ძალიან ცივა. პატიმრები მხოლოდ ცივ საჭმელს იღებენ. ყოველივე ამის გამო, ვთხოვე ბატონ სალაყაიას, გადაიყვანონ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. შეიძლება მართლაც მოვახერხოთ რამე.

— **თქვენს გარდა სხვა ვინმეს თუ მოუთხრო ყურაშვილმა გიორგაძესთან შეხვედრის შესახებ?**

— როგორც მითხრა, ანალოგიური შინაარსის წერილით მას საქართველოს პრეზიდენტისთვისაც მიუმართავს.

— **რამდენად გულწრფელი მოგეჩვენათ ყურაშვილი?**

— მე იგი გულწრფელი მომეჩვენა. თუმცა ამ დიალოგმა ძალიან დიდი საფიქრალი გამიჩინა. იმედია, სასამართლოს მსვლელობისას ყველაფერი გაირკვევა. ვფიქრობ, საკმაოდ საინტერესო პროცესი იქნება. რაც შეეხება ყურაშვილს, საკმაოდ ძნელია მისი ბედის პროგნოზირება, იგი ხომ არ უარყოფს გიორგაძესთან შეხვედრას.

როგორც ხედავთ, თემურ პაპუაშვილის სიკვდილმა ბევრი მსჯავრდებული თუ ეჭვმიტანილი შეაშინა. შესაძლოა, სწორედ ამან აალაპარაკა გენერალი ყურაშვილი. საინტერესოა, ვინ იქნება შემდეგი?

*ზურა ქარჩიშვილი*

ეზოტერიკის, თეოსოფიისა და რელიგიის აკრძალვამ ყოფილ საბჭოეთში ადამიანებს სავსებით დაუკარგა ისედაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჭეშმარიტებაზე. მოსწყვიტა კოსმოსს, ბუნებას, ეკლესიას და უაზრო დანამატად აქცია. უფრო მეტიც, სამყაროსგან გაუცხოებული, „ღმერთის ხატად და დარად" შექმნილი არსება მტრად შემოუბრუნდა თავისსავე შემოქმედს, დამბადებელს, მარჩენალს და ეკლესიებს ქვის სროლა დაუწყო, ბუნებაზე გამარჯვება მოინდომა, ხოლო კოსმოსის — დაპყრობა.

განგებამ არ აპატია უძღებ შვილებს ასეთი მკრეხელობა და თითქოს თვალი და ყური დაუხშო, რათა ვერ დაენახათ, ვერ გაეგოთ, ვის კლავენ, ვის ჰპარავენ, ვინ სძულთ, ვისთან მრუშობენ... „და გამრავლდა ქვეყანასა ზედა ცოდვანი კაცთა". ცოდვებმა, როგორც ჩანს, კიდევ უფრო დააკნინეს და გააუგუნურეს ადამიანები, კუჭის მონებად აქციეს. „საშოვარზე გადაგებულ ერსა და ბერს" კი, ელემენტარული მიხვედრილობის თუ მოვლენათა არსში წვდომის უნარიც დაეკარგა. ხომ უბრალო არითმეტიკაა ორი ათასამდე დათვლა, ვერ დავთვალეთ! და დღევანდლამდე ვერ გავარკვიეთ, ქრისტეს დაბადებიდან ოცი საუკუნე გავიდა თუ არ გავიდა.

სწორედ ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ვთხოვეთ განმარტება ეზოტერიკულ საკითხთა მკვლევარს საქართველოში, ბატონ **ტარიელ ორველაშვილს** (რატომ მაინცდამაინც ბატონ ტარიელს? ეზოტერიკულ მოძღვრებას (საიდუმლო, დაფარული, მისტიკური ცოდნა, მისტიკური მოძღვრება) საქართველოში სულ რამდენიმე მეცნიერი მისდევს და ბ-ნი ტარიელი ერთი მათგანი გახლავთ, ვინც ინტენსიურადაა ჩაბმული ამ საქმეში).

— საქმე ის გახლავთ, რომ ახალი წელთაღრიცხვა ქრისტეს დაბადების დროს კი არ დაწყებულა, არამედ მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგ დაწესდა. იგი პირველად 525 წელს გამოიყენეს. ხოლო ოფიციალურ დოკუმენტებში მხოლოდ 742 წელს გვხვდება.

ასე რომ, ქრისტეს დაბადებიდან 525 წელს რომ დაიწყებდნენ დათვლას, ე.ი. იგი უკვე იყო 525 წლისა. როდესაც ადამიანის იუბილეს აღნიშნავენ, ასე ამბობენ: „დაბადებიდან 70 წლისთავი" ან — „დაბადებიდან ასი წლისთავი", და ამ იუბილეებს, შესაბამისად, 70 ან 100 წლის გასვლის შემდეგ აღნიშნავენ. ჩვენ დღეს ვამბობთ — „ქრისტეს შობიდან 2000 წელი", რაც ნიშნავს, რომ ქრისტეს დაბადებიდან 20 საუკუნეა გასული. ამის შემდეგ კი პირველივე დღე 21-ე საუკუნეს ეკუთვნის. ასე რომ, არავითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ 21-ე საუკუნეში არ გადავაბიჯეთ!

— ***მაშ, რას ემყარება ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის განაცხადი, თითქოს მე-20 საუკუნე ჯერ არ დამთავრებულა?***

— არ არის გამორიცხული, იმ საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან, რომლებიც საწინააღმდეგო არგუმენტებს ეყრდნობიან, ადგილი ჰქონდეს ფაქტის მიზნობრივ გაყალბებას, რაიმე ბუნებრივი კატასტროფის შემთხვევაში მასობრივი ფსიქოზის თავიდან ასაცილებლად. ხომ გახსოვთ, შარშან, თურქეთში მომხდარმა მიწისძვრების სერიამ შეაშფოთა მოსახლეობა — აპოკალიფსი დაიწყოო.

— ***წელთაღრიცხვის არსის სწორ აღქმას ისიც ხომ არ უნდა უშლიდეს ხელს, რომ ჯერ ახალი წლის დადგომას ვზეიმობთ, შემდეგ კი — ქრისტესშობას?***

— სწორი შენიშვნაა! ასტრონომთა გადაწყვეტილებამ თითოეული წელიწადის ხარჯზე დაგროვილი წუთებით შემდგარი 13 დღით კალენდრის, ასე ვთქვათ, უკან გადაწევის თაობაზე, გარკვეულწილად დააბნია ხალხი. ფაქტობრივად, ხომ ჯერ ქრისტე იშვა და შემდეგ დაიწყო ახალი წელთაღრიცხვა?! ამ დაბნეულობას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქრისტიანული ქვეყნების დიდმა ნაწილმა არ გაიზიარა ასტრონომთა ეს გადაწყვეტილება. ასე მოექცა ქრისტეს დაბადება ახალი წლის შემდეგ და იგი დღესაც 7 იანვარს აღინიშნება. ბოლოს და ბოლოს, იესო 25 დეკემბერს დაიბადა და არა 7 იანვარს. ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს. არაფრით შეიძლებოდა ქრისტე სხვა დღეს დაბადებულიყო, გარდა 25 დეკემბრისა.

— ***რატომ არ შეიძლებოდა?***

— ქრისტეს დაბადება, ისევე, როგორც მისი ცხოვრება და გარდაცვალება



უდიდესი მისტერიაა, უდიდესი საიდუმლოებებით მოცული და მისტიკური კანონზომიერებებით განპირობებული. 25 დეკემბერი — ეს არის ნათლის ბნელზე აღზევების დასაწყისი. როგორც იცით, სწორედ ამ დღეს იწყებს დღე მატებას და ეს შემთხვევითი სულაც არ არის. ღვთაება თავის შექმნილ კანონზომიერებას კი არასოდეს არღვევს, იგი ყველაზე მეტად ემორჩილება მას. ამიტომაც ვამბობ, ქრისტე მხოლოდ და მხოლოდ 25 დეკემბერს, ნათლის შობის დღეს უნდა დაბადებულიყო და, როცა ჩვენ ამ ბრწყინვალე დღესასწაულს სხვა დღეს აღვნიშნავთ, ამით ხელს ვუწყობთ ადამიანების ფსიქოლოგიურ გაორებას, დაბნეულობას და სულიერ გახლეჩას.

— ***ბატონო ტარიელ, თქვენ ამბობთ რომ ქრისტეს დაბადება უდიდესი მისტერიაა, ამავე დროს, თუ არ ვცდები, მისტერიას ასტროლოგიასთან აკავშირებთ.***

— რა თქმა უნდა. ესა თუ ის მისტერია, კონკრეტული მიზნით, სამყაროში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი მოვლენების ადამიანების ცნობიერებაზე გადატანის, გარკვეული ფორმით საცნაურყოფის მიზნით ხდება. ქრისტეს დაბადება, გეოცენტრული ასტროლოგიის მიხედვით, დაკავშირებული იყო ჩვენი პლანეტის თევზის თანავარსკვლავედში შესვლასთან. ზოდიაქოს ეს ნიშანი, მოგეხსენებათ, ორი სხვადასხვა მიმართულების და ზოგჯერ სხვადასხვა სახეობის თევზითაა გამოხატული. ეს სულიერთა გათიშვის, სხვადასხვა აზრისა და მრწამსის ქონის და დაქსაქსულობის სიმბოლოა, რაც, საბოლოო ჯამში, იწვევს კიდეც იმას, რითაც ყველაზე მეტად გამოირჩეოდა განვლილი 20 საუკუნე: ათასობით დიდი და პატარა ომი, ურთიერთღალატი, სიძულვილი, ქიშპობა და ორსულოვნება.

ქრისტემ თავისი დედამიწაზე მოსვლით და კაცთა ცოდვების საკუთარ თავზე აღებით, გარკვეულწილად, „გამოისყიდა", ანუ გააწონასწორა სამყაროში ადამიანთა ზემოთ აღნიშნული ქმედებით მოსალოდნელი კოსმოსური დისჰარმონია და ამით გადაარჩინა დედამიწა და კაცთა მოდგმა.

— ***თქვენი აზრით, ქრისტეს მეორედ მოსვლაც ასტროლოგიურ მოვლენას უნდა დაემთხვეს?***

## „ქრისტეს მეორედ მოსვლა გლობალური კატაკლიზმების გარეშე მოხდება"

— სულ მალე დედამიწა მერწყულის თანავარსკვლავედში გადავა. ქრისტეს მეორედ მოსვლაც მას უკავშირდება. ასტროლოგია ოდითგანვე ქრისტიანულ მოძღვრებასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. ამის ერთ-ერთი მაგალითია სვეტიცხოველში, საკურთხევლის მარცხენა კედელზე გამოსახული ზოდიაქოს მთლიანი წრე თორმეტივე სახლითა და ნიშნებით. ამ ნიშანთა თანამედროვეთაგან განსხვავებული ფორმები მის სიძველეზე ლაპარაკობს და საფუძველს მოკლებულია აზრი, თითქოს ეს ყველაფერი ჩვენში ჩინეთიდან თუ იაპონიიდან ახლა შემოსულიყოს.

— ***და როდის მოხდება ქრისტეს მეორედ მოსვლა?***

— ქრისტეს მეორედ მოსვლა ერთ დღეს არ მოხდება, რადგან ამჯერად იგი ახალი ცნობიერების სახით უნდა მოგვევლინოს. ეს ცნობიერება კი ადამიანებს სხვადასხვა დროს და სულიერი მდგომარეობის შესაბამისად მიეცემა — „წყალი მწყურვალს მიეწოდება"!

მერწყულის თანავარსკვლავედი ადამიანთა სულიერი განვითარების ახალი სტადიაა. გრძნობების საშუალებით მართვადი ადამიანი — რაც თევზის თანავარსკვლავედმა შექმნა — შეიცვლება გონით მართული პროგრამული არსებით. სწორედ ახალი ცნობიერება მისცემს საშუალებას კაცობრიობას, თავი დააღწიოს დღევანდელ საყოველთაო სულიერ და ფიზიკურ კრიზისს. რა თქმა უნდა, იქნება მსხვერპლიც მათთვის, ვინც ამ „რუბიკონს" ვერ გადალახავს. ყოველივე ახალი, მოგეხსენებათ, ტკივილით იბადება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მეორედ მოსვლა გლობალური კატაკლიზმების გარეშე მოხდება და კაცობრიობა ევოლუციის ახალ ფაზაში გადავა.

— ***ეს ყოველივე ქრისტეს მეორედ მოსვლის მიზანია თუ მერწყულის თანავარსკვლავედში გადასვლის შედეგი იქნება?***

— ერთიც და მეორეც. კოსმოსური კანონები, რადგან იგი ღმერთის მიერაა შექმნილი, ამავე დროს ღვთაებრივი კანონებია. ამდენად, ისინი არასდროს განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

— ***რაც ბრძანეთ, ეს ცოდნა რა საფუძველს ემყარება?***

— ბევრ რამეს: საიდუმლო ეზოტერიკულ ასტროლოგიას, უძველეს ღვთაებრივ ფილოსოფიას, ძირითადი რელიგიების მოძღვრებებს... ავიღოთ, თუნდაც ძალიან მარტივი მინიშნება, რაც ყველასთვის გაცხადებულია მერწყულის ზოდიაქოს ნიშანში. თქვენ იცით, რომ ამ ნიშნის მიხედვით გამოხატული ქალი, რომელსაც ხელში ჭურჭელი უჭირავს, წყალს ღვრის. ეს წყალი კი, უძველესი ეზოტერიკის მიხედვით, ღვთაებრივი ცოდნის, სიბრძნის სიმბოლოა. უფრო ადრეულ ნახატებში უშუალოდ ქალის სხეულიდან გადმოდის წყალი. აქ უფრო ზუსტი მინიშნებაა, რომ მერწყული, ანუ გონის თანავარსკვლავედი, ცნობიერების მომფენია. და მისგან სულ სხვა ფიზიკურ გავლენას უნდა ველოდოთ.

— ***ეს კაცობრიობის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზეც მოახდენს გავლენას?***

— რაღა თქმა უნდა. ღვთაებრივ-კოსმოსური ცოდნის ნაკადის შემოსვლა დედამიწაზე გარკვეულწილად დაათბობს ადამიანთა შორის და ქვეყნებს შორის ურთიერთობას. დასრულდება ომისა და იარაღის ენით ლაპარაკი. ადამიანები ისწავლიან გრძნობების მიღმა აზროვნებას. ეს მინიმუმამდე შეამცირებს ეგოისტურ, მანიაკურ და პარანოიკულ გამოვლინებებს. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ ერთ მშვენიერ დღეს ყველას ანგელოზად გაგვეღვიძება. სულიერი სრულყოფის გზა კვლავაც გრძელი და მომქანცველი იქნება, მისი დაძლევა, როგორც აქამდე, მხოლოდ ჩვენს გარჯასა და ძალისხმევაზე იქნება დამოკიდებული. უბრალოდ, ახლა, კოსმოსის გავლენით ამისათვის უკეთესი გარემო და ნაკლებ ხელის შემშლელი პირობები იქნება.

ხალხი აუცილებლად უნდა შემობრუნდეს ეკლესიისკენ, რადგან ვინ მიიტანს მათთან ახალ ცნობიერებას, თუ არა ეკლესიის მსახურნი? სწორედ მათი ძალისხმევით უნდა მოხდეს ახალი სიტყვის, ანუ ახალი ცნობიერების ხალხში გატანა.

კაცობრიობის ურწმუნო ფენა თანდათან შემობრუნდება ღმერთისკენ. რწმენა კვლავაც უდიდეს როლს ითამაშებს ადამიანთა სულიერების განვითარებასა და გონებრივი სრულყოფის საქმეში. ისინი გონით ჩასწვდებიან ღმერთის არსებობას, შემეცნებით შეიყვარებენ და შეიგნებენ მის სიდიადეს, მის ძლევამოსილებას და უზენაესობას.

მხოლოდ ასე მიეწოდება თითოეულ ჩვენგანს პური არსობისა (და არა — არსებობისა).

***ფირუზ ფურცელაძე***

## შეშლილი, შეშლილი, შეშლილი ახალი წელი

თვალებჩალურჯებული და ერთი შეხედვით უჟმური მძღოლი (დაახლოებით 45 წლის იქნებოდა) შინამდე შეღავათიან ფასად მიყვანაზე დამთანხმდა, ოღონდ, ერთი პირობით — ფული წინასწარ უნდა გადამეხადა. საკმაოდ გრძელი გზა გვქონდა გასავლელი. ვიფიქრე, ჩუმად ხომ არ ვისხდებით, გამოველაპარაკები-მეთქი და უგუნებობის მიზეზი ვკითხე. პასუხის ნაცვლად ხელი ჩაიქნია, რამაც, ბუნებრივია, ცნობისწადილი უფრო გამიმწვავა.

— ჩემთვის ახალი წელი ჩვეულებრივი დღეა, საზეიმო განწყობა არც მაშინ მქონია და არც ახლა მაქვს, — დაიწყო მან, — ვიფიქრე, ახალი წლის ღამეს (31 დეკემბერი — 1 იანვარი) ვიმუშავებ და შინ ფულს შევიტან-მეთქი. თორმეტ საათს თავისუფლების მოედანზე შევხვდი. შორიახლო ქალი და კაცი იდგნენ. არც მათ ემჩნეოდათ ალტაცება; თუმცა, ჩემი გასაჭირით გულდამძიმებულს იქამდე არ მიმიქცევია ყურადღება, სანამ დამტვრეული რუსულით სასტუმრო „მეტეხამდე" მიყვანა არ მთხოვეს...

სტუმრები პარიზელები ყოფილიყვნენ. რადგან პარიზი დაინგრა, გამოსაზამთრებლად თბილისში წამოსულან. აქ თურმე მათი მეგობრები, ფრანგები მუშაობენ და იმათ მოუწვევიათ. თავისუფლების მოედანზე ახალი წლის შეხვედრის მიზეზი ძალზე მარტივი აღმოჩნდა — გაუგიათ, დედაქალაქის ცენტრში ფეიერვერკი ეწყობაო და უფიქრიათ, გავერთობითო. გაოგნებულან, როცა მოედანზე ხალხმრავლობის ნაცვლად სიხალვათე დახვედრიათ.

ფრანგებს მძღოლისთვის ლაპარაკში მოკრძალებულად შეუპარებიათ, — ასეთ ფეიერვერკებს ჩვენთან ბავშვები დაბადების დღეებზე აწყობენო.

მძღოლს აუხსნია, — თბილისში ეს პირველად მოეწყო. ისე, ფეიერვერკი კი არა, დენი რომ გვაქვს, იმაზეც მადლობელი ვართო.

ხუმრობთ, არა? — უკითხავთ შეშფოთებულ ფრანგებს. ამ მწარე სიმართლეში მათ დარწმუნებას საკმაო ხანი დასჭირვებია. ფრანგები ძალიან განაწყენებულან მეგობრებზე, რომლებმაც ძალით განათებულ თბილისში ურჩიეს გამოზამთრება.

თქვენ ახალი წელი კი არა, ელექტროენერგიის დღესასწაული გქონიათო, — უთქვამთ და უკვე სასტუმრომდე მისულებს აეროპორტის სალაროებამდე მიყვანა უთხოვიათ, რათა გაეგოთ, როდის მიფრინავდა უახლოესი თვითმფრინავი საფრანგეთის ნებისმიერი კუთხისკენ. მძღოლი კარგი მომსახურებისა და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებისთვის კარგად დაუსაჩუქრებიათ.

იმათ კი უშველეს თავს, მაგრამ რა გვეშველება ჩვენო, — წაიწუწუნებდა მძღოლი და იქვე უმატებდა, ტაქსს თავი უნდა დავანებოო. ამ ამბის მოყოლის შემდეგ ორივენი გავხალისდით. გავთამამდი და თვალის ჩალურჯების ამბავიც ვკითხე. ახალწლის ღამეს ტაქსოპარკის დისპეტჩერს გადამცემით მისამართი უთქვამს და გაუფრთხილებია, — რომ მიხვალ, სამჯერ ზედიზედ გაბმული სიგნალი მიეცი და კლიენტიც ჩამოვაო. მძღოლი ასეც მოქცეულა, მაგრამ არავინ გამოჩენილა და რამდენჯერმე კიდევ გაუმეორებია. როგორც იქნა, სადარბაზოდან ორი მოსული ახალგაზრდა გამოსულა და რატომღაც, საზოგადოებრივი წესრიგის, სიჩუმის დარღვევა დაუბრალებიათ და მაგრად უცემიათ. მძღოლს ყვირილი დაუწყია, — მიშველეთ, მკლავენო. ამის გაგონებაზე სულ გადარეულან მუტრუკები, ჩვენ ხომ გაგვაღვიძე, ახლა ხალხსაც არ ასვენებო. ცემა — ცემად და რაც ფრანგებს უჩუქებიათ, ისიც წაურთმევიათ. შინ ხელცარიელ მისვლას მერჩივნა, ისევ გარეთ მეხეტიალაო, — მითხრა მან.

ამ საახალწლო ცემა-ტყეპის შემდეგ მძღოლს გადაუწყვეტია, მხოლოდ ქალბატონებს მომსახურებოდა და ორი შუახნის ქალი შინამდე მიუყვანია. ლიფტი არ მუშაობდა და ქალებს უთხოვიათ, ბარემ ბარგი მეცხრე სართულამდე აგვიტანეთ და მგზავრობის ღირებულების გარდა, თითო სართულის ავლაზე თითო ლარს მოგცემთო. მძღოლს უარი არ უთქვამს — აუტანია.

სანამ ქირას ელოდებოდა, მეზობელი გამოვარდნილა და ქალბატონებისთვის ჩხუბი აუტეხავს. გაირკვა, კორპუსში საახალწლოდ გაზი შემოჰყავდათ და მრიცხველებს აყენებდნენ. ამ ქალებს კი, გაზის ხელოსნისთვის ფული მიუციათ და ჩუმად (ლევად) შემოუყვანიათ გაზის ხაზი, რის გამოც მთლიანად კორპუსისთვის გაზი აღარ ჩაურთავთ. სამეზობლოში იყვნენ ისეთები, რომლებმაც მრიცხველები დააყენებინეს და მერე ფული არ გადაიხადეს. ჩვენ მთავრობამ გაგვაღარიბა, ახლა მათ გადაიხადონ გაზის ფულიო, — ამბობდნენ თურმე ისინი. ეს კი მეზობლებს შორის მწარე განხეთქილების საბაბი გახდა. რა დააშავა იმან, ვინც გადაიხადა და ურჩი მეზობლის გულისთვის ზარალდება? მოკლედ, ამ თემაზე ატეხილ წივილ-კივილზე მთელი კორპუსი გამოცვენილა და ისეთი ამბავი დატრიალებულა, რომ კინაღამ უდანაშაულო ტაქსის მძღოლიც მიუყოლებიათ. ერთხელ კარგად ნაცემს, შეშინებულს არც ფული გახსენებია და არც



შეპირებული, ისე გამოქცეულა. თანაც მოჩხუბართაგან ერთ-ერთი ხელს ადებდა, — ეს ის ხელოსანია, ფულს რომ იღებდა და გაზი ჩუმად გაჰყავდაო. მძღოლი ვარ, მძღოლიო, — ყვიროდა თურმე ის. არა, ხელოსანი ხარო, — უმტკიცებდნენ გაავებული მეზობლები.

იქიდან აკანკალებული წამოვედი და გზაში, ასე ოც წლამდე ასაკის გოგონამ გაჩერება მთხოვა. მივიყვანე ალმაშენებლის გამზირზე და ის იყო, ფული უნდა გადაეხადა, რომ აივანზე ვიღაც ქალი გამოვიდა, გოგონამაც ხელი დაუქნია და, დედაო, — დაუძახა. ახლავე შევირბენ, რაღაც ნივთს ავიღებ და გზა გავაგრძელოთო, უთქვამს გოგონას მძღოლისთვის.

იტალიური სახლის ეზოში ვიდექით და ვიფიქრე, აქედან სად გამეპარება-მეთქი. ამიტომ გავუშვი და მერე თვალითაც აღარ მინახავს. თურმე, მეორე გასასვლელიდან გასულა. დედამისს ავაკითხე და ფული ვთხოვე. მე გოგო არ მყავსო, — უთქვამს უცხო ქალს. კი მაგრამ, ახლა არ გელაპარაკათ თქვენი შვილიო, — გაცხარებულა მძღოლი, — გინდა არ გინდა, ფული გადამიხადეო. ახლავე მილიციას გამოვიძახებ, შე გამომძალველოო, — გაკაპასებულა ქალი.

ჩემს საახალწლო „ბედნიერებას" პოლიციაღა აკლიაო, — უფიქრია და იქიდანაც გამოპარულა.

მერე გადაუწყვეტია, — კლიენტს ფულს წინასწარ გამოვართმევო. ამის შემდეგ ახალგაზრდებს გაუჩერებიათ, კარი გამოუღიათ, ახალი წელი მიულოცავთ და რამდენიმე ცალი კარგად შეკრული პატარა ასაფეთქებლები, — თანაც მოკიდებული — შეუყრიათ.

გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, რომ აფეთქდა და იმხელა ხმა ჰქონდა, მეგონა, კონტუზიას მივიღებდიო, — მითხრა, — ბიჭებმა კარი ისევ გამოაღეს და — ხომ არ შეგეშინდაო, — მკითხეს, არაო, — ძლივს ამოუღერღავს მძღოლს. ახალი წელი მოგვილოცე და ღლდანში უფასოდ წაგვიყვანეო, სულ გათავხედებულან. აღარ ვმუშაობ, თავს ვანებებ და საერთოდ შემეშვითო, — გამწარებულა მძღოლი. ასე და ამგვარად, დაზარალებულს იმ დღეს მსუბუქი ავარიაც მოსვლია.

ვიღაც თვალებჩაწითლებულ ბიჭს ნარკოტიკის მოწევა დაუძალებია, — არ მოწევ და შენი აჯობებს, მოწევ და ორივეს „გაგვისწორდებაო".

ამის მერე სულ გადარეულა, ფეხებში გრძნობა დაუკარგავს, — ვერც გაზს ვაძლევდი ზომაზე და ვერც მუხრუჭსაო, — შემომჩივლა. ვიგრძენი, რომ ჩემი საქმე ცუდად იყო, ამიტომ გავაჩერე მანქანა და ნარკომანს მტკიცედ განვუცხადე — არსად არ მივდივარ, თუ გინდა აქვე მომკალი-მეთქი. ისიც დაბნეულა, მანქანიდან გადასულა. ყოველივე ამ სიკეთეს ისიც დამატებია, რომ კლიენტს ათლიტრიანი ქილა გადატანის დროს გასტეხია, მაგრამ შიგნით ღვინო კი არა, რატომღაც ძმარი აღმოჩენილა. თევზის სუნი აკლია და მანქანაში ლუდის ბარი მექნება, ხუმრობის გუნებაზე დადგა მძღოლი.

ამ ამბების მოსმენისას მეც გულიანად ვიცინე და, სხვათა შორის, მასაც შეეცვალა განწყობა, მაგრამ არც ჩვენ მივსულვართ შინამდე დაუბრკოლებლად — გზაში საბურავი გასკდა. ა, კიდო, — თქვა მან და ხელი ჩაიქნია, — ახლა ნამდვილად დავტოვებ ამ სამსახურსო, — სასოწარკვეთით დაუმატა. მერე მოგვიანებით დასძინა, — სად წავიდე, ვის ვჭირდებიო!

დამშვიდობებისას შემომჩივლა, — ჩემთვის როგორი შეშლილი ახალი წელიც გათენდა, ისეთი საუკუნე რომ იყოს, ალბათ, ყველა გავგიჟდებითო.

***თამაზ ხაბეიშვილი***

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუთუ ქართულ სპეცსამსახურებს არ ეყოთ გამოცდილება ან ფინანსები?!

ჩვენ თავის დროზე უკვე შევეხეთ იმ საჭირბოროტო თემას, როგორიცაა საქართველოს წინააღმდეგ გაჩაღებული საინფორმაციო ომი.

დღემდე ამ საინფორმაციო ომში ყველა კოზირი კრემლის ხელში იყო — უნდოდათ, ჩეჩნებისთვის იარაღის მიწოდებას დაგვაბრალებდნენ, მოისურვებდნენ და — მთელ მსოფლიოს დეზინფორმაციას მოსდებდნენ — საქართველოში ჩეჩენი ტერორისტების ბაზები ეწყობაო.

მხოლოდ 10-11 იანვარს მოახერხა ოფიციალურმა თბილისმა ამ, თითქმის წაგებულ საინფორმაციო ომში, რაღაც სერიოზული დაეპირისპირებინა მოსკოვისთვის — უშიშროების სამინისტრომ დააფიქსირა, თუ როგორ იყიდებოდა ვაზიანის რუსული სამხედრო ბაზიდან იარაღი და, რაც მთავარია, საბრძოლო საჭურველი, რომელიც შემდგომში, არ არის გამორიცხული, რომ ჩეჩენი მებრძოლების ხელში აღმოჩენილიყო.

არადა დაკავებული საბრძოლო საჭურვლის რაოდენობა საკმაოდ შთამბეჭდავი გახლდათ — 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნის ასამდე ნაღმი, 45 ათასზე მეტი ავტომატის ვაზნა, 30 ცალი „მაკაროვის" სისტემის პისტოლეტი და დაზგის ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნი РПГ-9 „დრაკონი" თავისი ჭურვებით (და არა სამთო ქვემეხი, როგორც მას ქართული მასმედია თუ ოფიციალური ხელისუფლება მოიხსენიებს).

თითქოს ქართულ მხარეს არანაკლები კოზირი გაუჩნდა მიმდინარე საინფორმაციო ომში — ხელთ ჰქონდათ დოკუმენტური ვიდეომასალა — ფარული ვიდეოკამერით გადაღებული სატვირთო მანქანის საბრძოლო საჭურვლიანი ყუთების დატვირთვის პროცესი, მაგრამ რუსული მხარე ჯიუტად უარყოფს მთლიანად ამ ფაქტს და აცხადებს — „კამაზი" ნებისმიერ ადგილას შეიძლება დატვირთულიყოო.

არადა რუსი სამხედროები, რასაკვირველია, თავს გაიმართლებენ — ჯერ ერთი, ისინი ქართველ სპეციალისტებს ცალი თვალითაც არ ჩაახედებენ იარაღის საწყობების დავთრებში დაკავებული საბრძოლო საჭურვლის მარკირების შესადარებლად. ამასთან, „კამაზის" ძარაზე დაყენებული ფარული ვიდეოკამერა მხოლოდ ძარის შიგთავსს აფიქსირებს. ნუთუ ქართულ სპეცსამსახურებს არ ეყოთ გამოცდილება ან ფინანსები, რომ კიდევ ერთი ფარული ვიდეოკამერა უშუალოდ „კამაზის" კაბინაში ჩაემონტაჟებინათ? იგი ხომ ნამდვილად დააფიქსირებდა, მართლა ვაზიანის სამხედრო ბაზაში ჩაიტვირთა საბრძოლო საჭურველი თუ არა.

ვაზიანის ინციდენტთან დაკავშირებით „კვირის პალიტრის" შეკითხვაზე კომენტარი გააკეთა საქართველოს უშიშროების მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა ნუგზარ ბაბუციძემ, — ჩვენთან შეხვედრისას ГРВЗ-ს სარდალს, ვლადიმირ ანდრეევს გარკვეული პრეტენზიები ჰქონდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ დამატებითი მასალები გავაცანით (ტელევიზიით უშიშროებამ მხოლოდ განსაზღვრული ვიდეომასალები გამოაქვეყნა), იგი დაფიქრდა და სხვანაირად ალაპარაკდა. ჩვენთან ამ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება. უახლოეს მომავალში საქართველოში ჩამოვა რუსეთის მთავარი სამხედრო პროკურატურის ГВП-ის გამომძიებელი, რომელსაც გარკვეულ მასალებს გადავცემთ. ჩვენ ბევრად მეტი ვიცით, ვიდრე ვლაპარაკობთ. შეგვეძლო, დაგვეკავებინა ის რუსი სამხედროებიც, რომლებიც სატვირთო ავტომობილს საბრძოლო საჭურვლით ტვირთავდნენ, მაგრამ ვამჯობინეთ, დაგვეფიქსირებინა თავად ფაქტი — საქართველოში განთავსებული რუსული სამხედრო ბაზებიდან თავად რუსი სამხედროები ყიდიან იარაღს, რომელიც საბოლოოდ შეიძლება მათსავე წინააღმდეგ ჩეჩნეთის ომში გამოიყენონ.


ფოტო ავტორისა. გროზნო, 1998 წ.

იჩქერიის დროშიანი ეს БТР-80-იც ჩეჩნებმა რუსი სამხედროებისგან იყიდეს.

სამხედრო სპეციალისტები დარწმუნებულნი არიან, რომ ეს სპეცაქცია საკმაოდ დიდხანს მზადდებოდა და კონკრეტულად ეს მძღოლი შემთხვევით სულაც არ აღმოჩენილა „კამაზის" საჭესთან. თუმცა, ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს — მთავარია, რომ შეთავაზებულ „წინადადებას" წამოეგნენ რუსი სამხედროები.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო არასოდეს აღიარებს, რომ მისი სამხედრო ბაზებიდან იარაღს ყიდულობენ ჩეჩენი მებრძოლები, მაგრამ ჩეჩნეთის პირველ ომში, 1994-96 წლებში, ასეთი შემთხვევა საკმაოდ ხშირი იყო. ეტყობა, ამჟამადაც ასე ხდება, რაზეც თავად რუსეთის სამხედრო დაზვერვის იძულებითი აღიარებაც მეტყველებს — ჩეჩნების შეიარაღებაში გამოჩნდა 12,7 მმ კალიბრის სნაიპერული შაშხანები В-94 (მათ შესახებ „არსენალმა" თავის მკითხველს უკვე მოუთხრო), რომლებიც მცირე რაოდენობითაა დამზადებული და ქარხნიდან პირდაპირ რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს საწყობებში გადაიტვირთა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ვაზიანის ინციდენტის მომზადება, განხორციელება და, რაც მთავარია, საინფორმაციო გაშუქება ქართულ სპეცსამსახურებს ბევრად უკეთ შეეძლოთ გაეკეთებინათ, რაც მათ რუს კოლეგებს არ მისცემდა დაცინვის საბაბს — ქართულმა სპეცსამსახურებმა კოლმეურნეობის დონეზე წაიმუშავესო.

ასეა თუ ისე, საქართველომაც გამოაჩინა თავისი პატარა „ბრჭყალი", რასაც თავისებური მხარდაჭერა უშუალოდ ვაშინგტონიდან მოჰყვა — აშშ-ში მყოფმა ჩეჩნეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა უყოყმანოდ დაადასტურა, — იარაღსა და ტყვია-წამალს, რა თქმა უნდა, რუსი სამხედროებისგან ვყიდულობთ, აბა, ჩვენი ამდენ ხანს როგორ გვეყოფოდაო!

ვაზიანის ინციდენტი რამდენიმე დღეში მთლიანად „დაჩრდილა" ახალმა სენსაციამ. „კავკასია-ცენტრმა" გაავრცელა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ვლადიმირ პუტინის საიდუმლო ბრძანება, რომლის თანახმადაც, 22 იანვრამდე რუსეთის ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა უნდა შეიმუშაონ ამიერკავკასიაში რუსეთის შეზღუდული კონტინგენტის დამატებითი ძალების გადმოსროლის გეგმა.

საქართველოს მოქალაქეებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ჩეჩნეთის ომს თან მოჰყვება საინფორმაციო ომიც, ამიტომაც გროზნოდან თუ მოსკოვიდან მოსული ყველა ინფორმაციის დაჯერება ალბათ არ ღირს.

თუმცა, იმედია, საქართველოს სპეცსამსახურები შეძლებენ დააფიქსირონ საქართველოში ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფის რაოდენობისა და შეიარაღების მცირეოდენი ზრდაც კი.

გვერდი, „სამხედრო თემაზე" კი თავის მკითხველს მიაწოდებს ГРВЗ-ის საქართველოში დისლოცირებული ძალებისა და შეიარაღების სრულ რაოდენობას.

ამჟამად საქართველოში განთავსებულია 4.947 სამხედრო მოსამსახურე, 141 საბრძოლო ტანკი Т-72, 165 ქვეითთა საბრძოლო მანქანა БМП და ჯავშანტრანსპორტიორი БТР, მათი მსგავსი სხვადასხვა დანიშნულების 275 ჯავშანმანქანა, 155 ერთეული 100 მმ-ზე მსხვილი კალიბრის საარტილერიო დანადგარი და 7 ცალი ხიდისგამშლელი. აგრეთვე, ვაზიანის სამხედრო აეროდრომზე განთავსებული 5 ერთეული სამხედრო-სატრანსპორტო Ми-8МТ და ამდენივე საბრძოლო Ми-24 შვეულმფრენები.

თუ „კავკასია-ცენტრის" მიერ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს შეეფერება და ზემოხსენებული მონაცემები გაიზრდება, ამის შემჩნევა ქართულ სპეცსამსახურებსა და თავდაცვის სამინისტროს არ უნდა გაუჭირდეთ.

## არსენალი




არღუნის ხეობაში, უშუალოდ საქართველოს საზღვართან რომ გადასხეს ტაქტიკური საჰაერო დესანტი და რუსი მესაზღვრეების დანაყოფები, ამის შესახებ ცნობილია; მაგრამ ბევრისთვის უცნობია, რომ სწორედ ჩვენი საზღვრის სიახლოვეს მოსკოვმა დაიტანა ის სამიზნეები, რომელთა გასანადგურებლად არაფერზე დაიხევს უკან.

ამ სამიზნეებში, პირველ რიგში, იგულისხმება ჩეჩენი მებრძოლების მიერ კლდეებში გამოკვეთილი ქვაბულები, რომელთა გასანადგურებლად ჩვეულებრივი იარაღი, მათ შორის ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემებიც, „გრადებიც" და „ურაგანებიც" უძლურია. ამან კი, ორიოდე დღის წინ რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალს ანატოლი კორნუკოვს წამოაცდენინა — იძულებულნი ვიქნებით, მთებში გამაგრებული ჩეჩნების გასანადგურებლად გაძლიერებული სიმძლავრის საავიაციო ბომბები გამოვიყენოთო (კორნუკოვი გულისხმობდა მოცულობით-დეტონირებად ОДАБ-500 საავიაციო ბომბებს).

თუმცა, რა ქნას მოსკოვმა მაშინ, როდესაც საფრენი ამინდი არ არის და ჩეჩნეთის სამხრეთი მთიანი რაიონი ბურუსშია გახვეული (სხვათა შორის, ზამთრობით ჩრდილო კავკასიის ამ რეგიონში თითქმის ყოველთვის ცუდი ამინდია, რაც ალბათ უნდა გაეთვალისწინებინათ რუს სტრატეგებს)?

ბუნებრივია, რჩება ერთადერთი გამოსავალი, რისი გამოყენებაც უკვე დაიწყეს ჩეჩნეთში რუსეთის ფედერალურმა ჯარებმა.

სახმელეთო ჯარების ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსი 9К79 „Точка" სწორედ ის იარაღია, რომლიდანაც გაშვებულმა მართვადმა რაკეტებმა უკვე დაიწყეს აფეთქება საქართველოს საზღვრიდან 7-10 კმ-ში.

„ტოჩკას" ტაქტიკურ-ტექნიკურ მონაცემებში პირდაპირ წერია, რომ იგი გამოიყენება წელიწადის ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ამინდში, ანუ ზუსტად ზედგამოჭრილია რუსი ფედერალების მიერ ჩეჩნების წინააღმდეგ საბრძოლველად.

მყარსაწვავიანი რაკეტა (მას შეიძლება ჰქონდეს როგორც მსხვრევად-ფუგასური ქობინი, ისე კასეტური, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — ბირთვულიც კი) 2 ტ-ს წონის და მოთავსებულია ყველგანმავლის დახურულ სატვირთო ნაკვეთურში. ასე შენიღბული რაკეტის შორიდან გარჩევა შეუძლებელია. სამღერძიან, მცურავ ყველგანმავალს (კომპლექსი მთლიანად 18 ტ-ს იწონის) შეუძლია ნებისმიერი ადგილიდან, ყოველგვარი მომზადების გარეშე (ტოპოგეოდეზიური და მეტეოროლოგიური პირობების გაუთვალისწინებლად) მოახდინოს რაკეტის სტარტი (ამ დროს ჰაერის ტემპერატურა შეიძლება მერყეობდეს -40-დან +50°C-მდე).

ბალისტიკური, მყარსაწვავიანი რაკეტის სროლის მაქსიმალური სიშორე 70 კმ-ს აღწევს, ხოლო საბრძოლო ნაწილში 480 კგ წონის ასაფეთქებელი ნივთიერებაა მოთავსებული. ადვილი წარმოსადგენია, რა მოჰყვება ხეობაში თითქმის ნახევარი ტონა ტროტილის აფეთქებას.

თუმცა, მიუხედავად შთამბეჭდავი სახელისა, „ტოჩკა" ზუსტად წერტილში ვერ ხვდება; მიზანს შეიძლება 160 მ-თაც კი ასცდეს. ამას არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა, თუკი „ტოჩკა" ბირთვული ქობინით იქნებოდა აღჭურვილი, ხოლო ჩვეულებრივი ტროტილით სავსე ქობინისთვის ეს აცილება საკმაოდ მნიშვნელოვანია.

სწორედ ამიტომ შეიქმნა მოგვიანებით „ტოჩკას" გაუმჯობესებული ვარიანტი 9К79-1 „Точка-У". იგი, ერთი შეხედვით, თავისი წინამორბედისგან თითქოს არაფრით განსხვავდება, მაგრამ მასზე შორს, 120 კმ-მდე მიფრინავს და, რაც მთავარია, მიზნიდან აცილება 100 მ-დეა შემცირებული.

ტაქტიკური რაკეტების გამოყენების ინტენსიურობის გაზრდა საქართველოს საზღვრის სიახლოვეს საკმაოდ შემაშფოთებელია. არავინაა დაზღვეული, რომ რაკეტის დამიზნების მართვის ინერციული სისტემა მოულოდნელად, ფრენის დროს არ გამოვა მწყობრიდან და „ტოჩკა", არღუნის ხეობის ნაცვლად, სადმე შატილის მიდამოებში არ ჩამოვარდება. ნურავის დაგვავიწყდება, რომ 1999 წლის 1 ოქტომბერს ჩეჩნებისთვის ნასროლი რუსული ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტა 8К14 „სკადი" აზერბაიჯანში, ზაქათალის რაიონში აფეთქდა.

# ერთი შეხედვით შორეული გოლანის მაღლობიდან საქართველო „მოჩანს"

შეიარაღებული კონფლიქტები XX საუკუნეს არასოდეს დაჰკლებია, განსაკუთრებით კი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ისრაელის სახელმწიფოს შექმნა იმ რეგიონში, სადაც თითოეული გოჯი მიწისთვის (და განსაკუთრებით წყლისთვის) დაუნდობელი ბრძოლები იმართებოდა.

ასე რომ, ახალშექმნილი ისრაელიც უმალვე ომების ხანძარში გაეხვია. სულ დღემდე გაიმართა ხუთი არაბეთ-ისრაელის ომი და მიუხედავად ძალების არათანაბრობისა, თელ-ავივმა თავისუფლად შეიძლება დაიკვეხნოს საბრძოლო წარმატებები.

1948-49 წლებში, შექმნის პროცესში მყოფ ისრაელის სახელმწიფოს ომი პირველმა დაუწყეს მეზობელმა არაბულმა ქვეყნებმა და სხვა ტერიტორიებთან ერთად, წაართვეს გოლანის მაღლობი; სწორედ ის რაიონი, რომელიც დღემდე ისრაელსა და სირიას შორის მთავარი განხეთქილების ვაშლია.

ცნობილი, მსოფლიო დონის პოლიტიკოსები, მათ შორის თვით აშშ-ის პრეზიდენტი ძალ-ღონეს არ იშურებს, რომ როგორმე ოფიციალურ თელ-ავივს დაათმობინოს გოლანის მაღლობი, მთლიანად ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების სანაცვლოდ. ერთი კვირის წინ აშშ-ში გამართული ისრაელსა და სირიას შორის მოლაპარაკებებისას სწორედ გოლანის მაღლობი იქცა მთავარ დაბრკოლებად. ეს მაღლობი სირიის ტერიტორიაზეა შეჭრილი, რაც ოფიციალურ დამასკოს მოსვენებას დღემდე არ აძლევს.

როგორც ხედავთ, ისრაელმა მხოლოდ მძიმე სისხლისმღვრელი ბრძოლების შედეგად მოახერხა გოლანის მაღლობის დაპყრობა და შენარჩუნება. უნდა ითქვას, რომ ეს ტერიტორია სირიას ეკუთვნის. თუმცა, თავისი პოზიციის გასამაგრებლად ისრაელი საკმაოდ საფუძვლიან მიზეზს იშველიებს — გოლანის მაღლობს არაბები ყოველთვის ეფექტიანად იყენებდნენ ებრაელების წინააღმდეგ ომებში და ამ კოზირის უკან დაბრუნებას თელ-ავივი სულაც არ აპირებს. ამასთან, გოლანის მაღლობის რაიონში არის მდინარე იორდანე და კინერეთის ტბა, ეს უკანასკნელი კი ისრაელის მტკნარი წყლის ერთადერთი წყაროა.

თელ-ავივი წლების განმავლობაში სწორედ გოლანის მაღლობზე ასახლებდა საბჭოთა კავშირიდან (მათ შორის საქართველოდანაც) ამოსულ ებრაელებს და თუკი ისრაელის არმია დატოვებს გოლანის მაღლობს, მაშინ ისინი საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩაცვივდებიან. თავის მხრივ, სირია კატეგორიულად მოითხოვს ებრაელი სამხედროების გაყვანას ამ მაღლობიდან, თუმცა სულაც არ იქნება წინააღმდეგი, თუკი იქ სამშვიდობო მისიით აშშ-ისა თუ საფრანგეთის ჯარები განლაგდებიან. ოფიციალური დამასკო ისრაელის არმიის გაყვანას ექვს თვეში მოითხოვს და გოლანის მაღლობზე არც ებრაელი მოსახლეობის დატოვებას აპირებს. ყოველივე ამას კი უკვე მოჰყვა ებრაელების დიდი საპროტესტო გამოსვლები უშუალოდ თელ-ავივში, რომელზეც მოსახლეობამ პრემიერ-მინისტრი ეჰუდ ბარაქი მკაცრად გააფრთხილა — არავითარ შემთხვევაში არ დათმოს გოლანის მაღლობი.

თითქოს საქართველო შორს უნდა იყოს გოლანის მაღლობის პრობლემებისგან, მაგრამ რეალობა ცოტა სხვანაირია. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები და, მათ შორის პირველ რიგში აშშ, ყველა ღონეს ხმარობს, მოაგვაროს ახლო აღმოსავლეთის ნახევარსაუკუნოვანი პრობლემა და მათი ძალისხმევა (მათ შორის ფინანსების დიდი ნაწილიც) აქეთკენ არის მიმართული. როგორც პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი ვარაუდობს — ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის მოგვარების შემდეგ მეტი ყურადღება დაეთმობა სხვა კონფლიქტებსაც, მათ შორის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის მოგვარებასაც.

**ჩვენი ცნობა:**

1967 წლის 5 ივნისს ისრაელი ჰაერიდან მოულოდნელად დაესხა ერთდროულად ეგვიპტეს, იორდანიასა და სირიას. ასე დაიწყო ცნობილი „ექვსდღიანი" არაბეთ-ისრაელის მესამე ომი. სირიის ფრონტზე ისრაელის ჯარებმა გადაისროლეს 9 დივიზია, რომელთაგან 6 ჯავშანსატანკო იყო. უკვე 10 ივნისისთვის ებრაელებმა დაიპყრეს გოლანის მაღლობი და სირიის ტერიტორიაზე 26 კმ-ის სიღრმეზე შეიჭრნენ. ასე დაიპყრო ისრაელმა გოლანის მაღლობი და სასწრაფოდ მის გამაგრებას შეუდგა. არაბეთ-ისრაელის მეოთხე (1973 წელი) ომის დასაწყისისთვის ისრაელის არმიამ გოლანის მაღლობზე 12-20 კმ სიღრმის თავდაცვითი ზღუდეები შექმნა, რომლებზეც ყოველ კილომეტრში 10-12 ტანკი და 4-5 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი იყო განთავსებული, ხოლო წინა, მიმდებარე ტერიტორია — მთლიანად დანაღმული. 1973 წლის 7 ოქტომბერს ეგვიპტემ და სირიამ ერთდროულად შეუტიეს ისრაელს. სირიის არმიამ მაინც გაბედა შეტევა განეხორციელებინა ძალზე გამაგრებული გოლანის მაღლობისთვის და 4-8 კმ-ის სიღრმეშიც შეიჭრა; თუმცა, მალე თელ-ავივმა გოლანის მაღლობის დამცველთა დასახმარებლად დამატებითი ძალები გადაისროლა, რომლებმაც არათუ შეაჩერეს სირიული ტანკების (სინამდვილეში კი საბჭოთა წარმოების Т-55 და Т-62) შემოტევა, არამედ კონტრიერიშზეც გადავიდნენ. 10 ოქტომბრისთვის ებრაულმა ტანკებმა სირიის ტერიტორიაზე ისე „გაილაღეს", რომ მათი „დაოკება", თქვენ წარმოიდგინეთ, მხოლოდ ერაყიდან საგანგებოდ გამოძახებულმა სატანკო დივიზიამ და იორდანიელთა ჯავშანსატანკო ბრიგადამ შეძლო.

*გვერდი მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა*

ეროვნული ბიბლიოთეკა

**წერილი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ, ისრაელის რუსულენოვან გაზეთ „ვესტში" დაიბეჭდა. სტატია ეხება რუსეთში გაბატონებულ კორუფციასა და ნომენკლატურულ კლანებს. რა თქმა უნდა, მონაცემები ვერსიულია, მაგრამ ალბათ სინამდვილესთან ეს ვერსია ახლოს დგას. მიგვაჩნია, რომ სტატიის შინაარსი ეხება მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეს, მათ შორის, საქართველოსაც („პოსტსაბჭოურობა", სამწუხაროდ, ჯერჯერობით საქართველოზეც ვრცელდება და მით უფრო, მის ნომენკლატურულ სტრუქტურებზე...). მასშტაბები იქნება უბრალოდ სხვა...**

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე რუსეთის სახელმწიფოში მმართველი აპარატის შემადგენლობამ 18 მილიონს მიაღწია, რაც შრომისუნარიანი მოსახლეობის მეოთხედია. ცუდი ის კი არ არის, რომ ეს მასა მძიმედ აწევა ეკონომიკას, არც ის, რომ შედეგების მიხედვით, ისინი თავს ვერ ართმევენ თავიანთ სამუშაოს. პრობლემა ის გახლავთ, რომ მათ არ შეუძლიათ უკეთ მუშაობა. ქვეყანას მართავს ნომენკლატურა, რომელიც თავისი ბუნებით შეუთავსებელია ბაზართან. სწორედ ეს არის რუსეთის უბედურების მიზეზი.

## 12 ათასი სახელმწიფო მილიარდერი

ერთ საკითხში ვეთანხმები კომუნისტებს — მოსახლეობის სხვადასხვა ფენის (კლასის) ადგილს ქვეყნის ცხოვრებაში განსაზღვრავს ის საკუთრება, რომელსაც ისინი ფლობენ. ნომენკლატურა, რომელიც მთლიანად ფლობს ქვეყანას, რუსეთის მმართველი ბლოკია იგი. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საქმეთა სამმართველო, რომელსაც 12 ათას უმაღლეს ფედერალურ ჩინოვნიკი ემსახურება, აკონტროლებს მოძრავი და უძრავი ქონების უამრავ ობიექტს — თვითმფრინავებითა და იახტებით დაწყებული, სახელმწიფო აგარაკებითა და სანატორიუმებით დამთავრებული. ამერიკელი სპეციალისტები ამ საკუთრებას, მიწისა და საინჟინრო ინფრასტრუქტურების ჩათვლით, 13 ტრილიონ დოლარად აფასებენ. რუსი ჩინოვნიკების შეფასება 6-8 ტრილიონიდან 600 მილიარდ დოლარამდე მერყეობს.

ამერიკელები რეალური საბაზრო ფასებით ოპერირებენ, რუსი ჩინოვნიკები — წარმოსახვითი საბალანსო ღირებულებით, რომელსაც თავად ადგენენ „პრივატიზაციის" შესამსუბუქებლად. საბაზრო პირობებში ამერიკული შეფასება უფრო ახლოსაა სიმართლესთან.

12 ათასიდან თითოეულ უმაღლეს ფუნქციონერზე საშუალოდ მილიარდი დოლარი მოდის. საკუთრების ასეთ კონცენტრაციას არ იცნობს მსოფლიოს არც ერთი უმდიდრესი ქვეყანა, თანაც ამ ქვეყნებში სიმდიდრე ბიზნესმენთა ხელშია და არა ჩინოვნიკებისა. ბიზნესმენები კი მუშაობენ ეკონომიკის გასაუმჯობესებლად და არა მის წინააღმდეგ. მაგრამ შემოვიფარგლოთ ქვედა მაჩვენებლით, ანუ ჩავთვალოთ, რომ პრეზიდენტის საქმეთა მმართველობის საკუთრება „მხოლოდ" 600 მილიარდი დოლარი ღირს. ეს ხომ ნომენკლატურული პირამიდის მხოლოდ წვერია. ქვემოთ არის დარგობრივი ფედერალური ნომენკლატურა. რეგიონალურ დონეზე 89 ნომენკლატურული სტრუქტურაა. სვერდლოვის ოლქის გუბერნატორის რეზიდენცია 700 მილიონი დოლარი ღირს. რეგიონალური ადმინისტრაციის მეთაურის კომფორტული შვეულმფრენი, ლამის საუნით, რომელიც 5 მილიონადაა შეფასებული — ყოველდღიური წვრილმანია. და გრძელდება ასე — თითოეული რეგიონის მეთაური თავისი გუნდით...

## კოლექტიური კორუფციონერი

რუსეთის მოქალაქეებს ეუბნებიან, რომ მთელი ეს ქონება სახელმწიფოს კუთვნილებაა და ჩინოვნიკები მას მხოლოდ „სამეურნეო გამგებლობით" ან „ოპერატიული მართვისთვის" ფლობენ. რუსეთის მოქალაქეებს უბრალოდ ატყუებენ. საკუთრება იმისია, ვინც აკონტროლებს და იყენებს მას. მუშები, გლეხები, მასწავლებლები და ექიმები სახელმწიფო „მერსედესებით" არ მგზავრობენ და სახელმწიფო აგარაკებზე არ ცხოვრობენ. მგზავრობენ და ცხოვრობენ ჩინოვნიკები და ამ სიკეთეს ერთმანეთს გადასცემენ „მემკვიდრეობით". მოსახლეობას უნერგავენ, რომ დაცვის ფედერალური სამსახურის 30 ათასი(!) მუშაკი ქვეყნის ხელმძღვანელობის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

მაინც როგორ უნდა მართო ხალხი, როცა ასე გეშინია მისი? ამერიკის პრეზიდენტს სულ 200-მდე კაცი იცავს. რუსეთში კი ეს 30 ათასი მუშაკი იცავს ძირითადად ნომენკლატურულ საკუთრებას გადასახადის გადამხდელთაგან, რომელთაც წაართვეს ეს საკუთრება.

ნომენკლატურულ საკუთრებას ორმაგი დანიშნულება აქვს. ჯერ ერთი, იგი ქმნის არსებობის საგანგებო გარემოს, რომელიც ნებას აძლევს ნომენკლატურას, გასუქდეს ძირითადი მოსახლეობის ხარჯზე. საგანგებო გარემო იქმნება საგანგებო საკვებით, ანუ პრივილეგიებისა და შეღავათების ღრმად ეშელონირებული სისტემით. თანამდებობრივი ხელფასი — აისბერგის მხოლოდ თხემია, განუსაზღვრელად მეტს იღებს ჩინოვნიკი ხელფასზე დამატებების, საგადასახადო შეღავათების, სამსახურებრივი, ბინების, სოციალური და სამედიცინო უზრუნველყოფის სახით.

ენციკლოპედიური ლექსიკონი კორუფციას ასე განმარტავს: „დანაშაული, რომელიც მდგომარეობს თანამდებობის პირის მიერ მისი უფლებების ბოროტად, პირადი გამდიდრებისთვის გამოყენებაში". ნომენკლატურა, რომელიც თავსდება ამ განსაზღვრებაში, კოლექტიურ კორუფციონერად გვევლინება.

მეორეც — ნომენკლატურული საკუთრებიდან გაიღებენ სახსრებს, რომელიც აუცილებელია ხელისუფლების შესანარჩუნებლად. პირებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი პოსტები უჭირავთ უმაღლეს, საარბიტრაჟო და სა-



კონსტიტუციო სასამართლოებში, პროკურატურაში, ძალოვან სტრუქტურებში, ზოგიერთ სხვა უწყებაში, ემსახურება პრეზიდენტის საქმეთა მმართველობა, რაც მათ დამოკიდებულს ხდის ამ მმართველობაზე. და ყოველივე ეს, ოღონდ უფრო უცერემონიოდ, ვრცელდება რეგიონალურ დონეზეც.

პრეზიდენტის საქმეთა მმართველობა თავისი სერვისით უზრუნველყოფს გოსდუმის დეპუტატებს თავის აპარატთან ერთად. პარლამენტის უმაღლესი პალატა კი, წარმომადგენლობითი ხელისუფლების ეს უმაღლესი ორგანო, შედგება რეგიონალური აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელებისგან, ანუ ნომენკლატურის საადგილმამულო მეთაურებისგან (ვერც შეედავებით — მოკრძალებულად და გემოვნებით). ამგვარი რამ არ არსებობს სხვა ქვეყნებში. წარმომადგენლობით ხელისუფლებას არა მხოლოდ კვებავს ნომენკლატურა, არამედ იგი ამ ნომენკლატურის ფილიალადაც იქცა.

ფლობს რა გიგანტურ რესურსებს, ნომენკლატურა დღემდე აკონტროლებს რუსეთში ყველა ძირითად სტრუქტურას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ჩათვლით, რისი დემონსტრირებაც იყო 19 დეკემბერს ჩატარებული არჩევნები. საბოლოოდ გახდა ნათელი, რომ ქვეყანას მართავს ნომენკლატურა, რომელსაც უპყრია საარჩევნო ტექნოლოგიის სადავეები. რუსეთისთვის ამას კატასტროფული შედეგების მოტანა შეუძლია.

## HOMO NOMENKLATURUS

ნომენკლატურულ საკუთრებას გააჩნია იმგვარი თავისებურებანი, რომელიც მის მფლობელებს კაენის დაღს ასვამს.

ჯერ ერთი, იგი კოლექტიურია. ეს აქცევს ნომენკლატურას კლანად, რომელშიც მფლობელთა ინტერესები სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა დგას.

მეორეც: ზღვარი, ნომენკლატურულ და სახელმწიფო საკუთრებას შორის, მოშლილია. სპეცკვება არა მხოლოდ ზრდის ჩინოვნიკთა შემოსავალს, არამედ ზრდის მას განუსაზღვრელად. დასავლელი მოძმისაგან განსხვავებით, რომელიც თანამდებობრივი ხელფასით ცხოვრობს, რუს ჩინოვნიკს არ შეუძლია თქვას, რა ღირს იგი სახელმწიფოს სპეცგარემოში, რომელშიც არ არსებობს მკაფიო ზღვარი „შეიძლებასა" და „არ შეიძლებას" შორის, ჩინოვნიკი იმგვარ ურთიერთობებში ებმება, რომელიც პირად ერთგულებას ემყარება, პრინციპით „ხელი ხელს ბანს".

ნომენკლატურული მენტალიტეტის მესამე თავისებურება ფისკალური აზროვნებაა, რაც ვლინდება მისწრაფებაში — აკონტროლოს ყველაფერი. უპირველესად, ბუნებრივია, ნომენკლატურული ჯიბე.

## ბაზრის ანგარებიანი მტერი

ეს ყველაფერი არ იქნებოდა ისე საშიში, რომ არა ნომენკლატურისა და კერძო საკუთრების ორგანული შეუთავსებლობა. ნომენკლატურა ბაზრის ანგარებიანი მტერია: რაც უფრო მეტ ფულს შეიტანს იგი ბიუჯეტში, მით მეტი ფული გაქრება მისი „სამეურნეო გამგებლობის" შავ ხვრელში.

ნომენკლატურა სამი ძირითადი მეთოდით ამუხრუჭებს ბაზრის ჩამოყალიბებას. ჯერ ერთი, უზომო გადასახადებით, რაც ართულებს პატიოსან ბიზნესს. მეორეც — მუშაკთა დაბალი ხელფასებით. დაბალი ხელფასი ზღუდავს მსყიდველობით მოთხოვნილებას, ეს კი დამღუპველია ეკონომიკისათვის. მესამეც — საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში მიღებული რეგისტრაციის ნაცვლად, რუსეთის ნომენკლატურამ შეგნებულად შემოიღო ურთულესი სისტემა ნებართვებისა. მაგალითად, რუსეთში მაღაზიის გასახსნელად ოთხჯერ მეტი ნებართვაა საჭირო, ვიდრე პოლონეთში. განსაკუთრებით დაუცველს ხდის კერძო საკუთრებას ის, რომ ნომენკლატურა მუდმივად ცვლის თამაშის წესებს, რისთვისაც ხშირად საკმაოდ საშუალო კალიბრის ბიუროკრატის კალმის მოსმაა საკმარისი.

ბაზრის კანონების იგნორირებით და

## ვამბობთ პარტიას, ვგულისხმობთ ლენინსაც, ვამბობთ რუსებს — ვგულისხმობთ ქართველებსაც

ყველა სადავის მართვით ნომენკლატურამ დაანგრია ეკონომიკა და შეარყია სახელმწიფო; მან თვითგადარჩენის ინსტინქტსაც კი არ მიუგდო ყური. ნომენკლატურა ჯიუტად ჭრის იმ ტოტს, რომელზეც თავად ზის.

## ოქტომბრის მემკვიდრეობა

კორუფციის შემზარავი მასშტაბები რუსეთში აიხსნება არა „ბნელი" წარსულით, არამედ ნომენკლატურისა და ბაზრის ანომალიური შერწყმით, რაც XX საუკუნის მიწურულის ფენომენია.

ამბობენ, რომ ნომენკლატურას რუსეთში ღრმა ფესვები აქვს და იგი სათავეს პავლე I-ის სამეფო კარის სამინისტროდან იღებს. არავითარი მსგავსი! საკუთრება, რომელსაც ეს სამინისტრო ფლობდა, არ იყო სახელმწიფოს მოწყვეტილი, ჩინოვნიკთა კოლექტიური საკუთრება. როგორც ჩანს, საკუთრების ამგვარი ფორმა 1917 წლამდე არ არსებობდა არც სხვა ქვეყნებში. რუსმა ბოლშევიკებმა პირველებმა აიშენეს ნომენკლატურული სახელმწიფო სახელმწიფოში თავისი საკუთრებით, თავისი სისხლის სამართლითა და თავისი მორალით. სკპ(ბ), შემდეგ კი სკკპ ნომენკლატურის პარტიები იყო.

სსრკ-ში კომუნისტები ყველაფრის ბატონ-პატრონები იყვნენ და თავი არ შეუწუხებიათ იმაზე ზრუნვით, რომ იურიდიულად გაეფორმებინათ ნომენკლატურული საკუთრება. თავის თავში ნაკლებად დარწმუნებულმა პოსტკომუნისტებმა კი შექმნეს ამ საკუთრებაზე სამართლებრივი ფუნდამენტი რფ პრეზიდენტის 1993 წლის 15 ნოემბრის („რფ პრეზიდენტის საქმეთა მმართველობის შესახებ") და 22 დეკემბრის („ფედერალური სახელმწიფოებრივი სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ") ბრძანების სახით.

## როგორ უნდა მოხდეს ნომენკლატურის დემონტაჟი?

სანამ ნომენკლატურას ეკუთვნის უზარმაზარი საკუთრება, იგი იქნება მეჯლისის წარმმართველი ქვეყანაში. და სანამ იგი ხელისუფლებაში იქნება, შეუძლებელი გახდება საბაზრო რეფორმების გატარება, კორუფციის აღმოფხვრა.

გამოსავალი ერთია — საჭიროა ჩამოერთვას ჩინოვნიკებს ნომენკლატურული საკუთრება, სამართლებრივად უნდა გაუქმდეს ყველა პრივილეგია. არავითარი სპეცუზრუნველყოფა, არავითარი სახელმწიფო აგარაკები, არავითარი სახელმწიფო მილიარდები. რუსმა ჩინოვნიკებმა უნდა ისწავლონ ცხოვრება თავის ხალხთან ერთად. მაშინ, ბოლოს და ბოლოს, ისინი შეეცდებიან, გააუმჯობესონ ყველა მოქალაქის ცხოვრება. ნომენკლატურის კანონგარეშე გამოცხადება — მხოლოდ დასაწყისია საბაზრო რეფორმებისა. შემდეგი ნაბიჯია იმ კანონმდებლობის შემუშავება და ცხოვრებაში გატარება, რომლითაც კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა უმაღლესი სახელმწიფოებრივი პრინციპია.

რუსეთს სჭირდება საბაზრო კანონების კოდექსი, რომელიც ჩინოვნიკებს თანმიმდევრულად და მკაცრად მიუჩენს ადგილს.

ეკონომიკის გამოსაცოცხლებლად აუცილებელი გადასახადების შემცირება და ხელფასების მომატება გამოიწვევს ბიუჯეტის შევსების დროებით შემცირებას, რომლის კომპენსაცია შესაძლებელია მოხდეს ნომენკლატურული საკუთრების ნაწილის პრივატიზაციით. ცხადია, კრემლის გაყიდვა არ შეიძლება, იგი წმინდა რამ არის. მაგრამ შესაძლებელია გაიყიდოს 4.000 სახელმწიფო აგარაკი და მიწა, პრეზიდენტის 10 კარ-მიდამოდან — 9, პრეზიდენტის საქმეთა სამმართველოს კუთვნილი 67 თვითმფრინავიდან — 65 და ა.შ. ასე გახდება შესაძლებელი რამდენიმე ათეული მილიარდი დოლარის შოვნა. მით უმეტეს, თუ ყოველივე ამას შეიძენენ რუსები, რომელთაგან თითოეულს 100-150 მილიარდი დოლარი აქვს გადამალული და ამდენივე — შენახული უცხოურ ბანკებში.

ისტორიულად ნომენკლატურა განწირულია. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი მანამდე წავიდნენ, სანამ საბოლოოდ დაანგრევენ რუსეთს.

*გვერდი მოამზადა მიხეილ ჩერქეზიამ*




უკონტაქტო ლაზერული ეპილაცია

**მ ე დ ი**

უმტკივნეულო გზა სრულყოფისაკენ

თანამედროვე ტექნიკის სასიამოვნო სიურპრიზს — ლაზერულ ეპილაციას, იმის მიხედვით, თუ რა აპარატით იქნა ჩატარებული, — სხვადასხვა შედეგები აქვს.

აპარატების უმეტესობას ეპილაციის გაკეთება შეუძლია მხოლოდ ჩხვლეტით, რაც დიდ დროს მოითხოვს, ხოლო პაციენტი გაუსაძლის ტკივილს განიცდის. ლალის ლაზერი კი ხშირად სხვადასხვა ხარისხის დამწვრობას და კანის პიგმენტაციას (გამუქებას) იწვევს.

კონტაქტური (ჩხვლეტით) ეპილაციის დროს, მიუხედავად იმისა, იგი ლაზერული აპარატით ხდება თუ ჩვეულებრივი ნემსით, კანის დაზიანების გამო მაღალია პროცედურის მიმდინარეობისას შიდსითა და ჰეპატიტით დაავადების რისკი.

სადღეისოდ, ლაზერული ეპილაციის ერთადერთი თანამედროვე აპარატი, რომელიც ეპილაციას უკონტაქტოდ, უმტკივნეულოდ, ჩხვლეტისა და კანის დაზიანების გარეშე აკეთებს, ამერიკული წარმოების უახლესი ტექნოლოგიის ალექსანდრიტის ლაზერული დანადგარია.

ამ აპარატით ჩატარებული ეპილაცია სრულიად უსაფრთხოა სხვადასხვა ინფექციური დაავადების გადადების თვალსაზრისით, ხოლო გაცივების უახლესი სისტემა და რბილი გამოსხივება, ლალის ლაზერებისგან განსხვავებით, კანს დამწვრობისა და პიგმენტაციებისგან იცავს.

პროცედურა შეიძლება ჩატარდეს სხეულის ნებისმიერ მონაკვეთზე (სახეზე, კიდურებზე, ტანზე, იღლიებისა და ბიკინის ზონებზე) და მიმდინარეობს საკმაოდ სწრაფად. მაგალითად, ზედა ტუჩზე თმის მოცილებისთვის საკმარისია 5-10 წუთი. პროცედურის შემდეგ არავითარი შეზღუდვა არ არსებობს, პაციენტს კოსმეტიკის გამოყენებაც შეუძლია.

2-3 თვეში საჭიროა პროცედურის გამეორება, რადგან ამოდის თმის 30-დან 50 პროცენტამდე, თანაც გაცილებით ნაზი სტრუქტურის, ხოლო სამუდამო განკურნებისათვის საკმარისია რამდენიმე პროცედურის ჩატარება.

ალექსანდრიტის ლაზერული საეპილაციო დანადგარი ამიერკავკასიაში ერთადერთია და ფუნქციონირებს მხოლოდ ფირმაში — „მედი", სადაც შეგიძლიათ მიიღოთ უმაღლესი კლასის უმტკივნეულო, ეფექტური და უვნებელი მომსახურება.

გააკეთეთ სწორი არჩევანი, ენდეთ პროფესიონალებს და გახდით ყველაზე მომხიბლავი და ელეგანტური!

25-02-02 22-50-43 MEDI ი. ჭავჭავაძის გამზ. №70

# ცხოვრებისეული კურიოზები

## აქტუალური დიალოგი



ნაბახუსევზე ცუდად შევიქენი.

— რა მოგივიდა? — მეკითხება მოსანახულებლად მოსული მეგობარი.

— რა და, გუშინ მთვრალი მობრძანდა! — დასვა დიაგნოზი ჩემმა მეუღლემ.

— მთვრალი არ ვყოფილვარ, ნასვამი ვიყავი! — გავაპროტესტე მე.

— აბა, მთვრალს შენ რას ეძახი? — არ ცხრება ჩემი ცოლი.

— რას და, მეორე დღეს, წინა დღის მოვლენებიდან რაიმე თუ არ მახსოვს, ე, მაშინ ვასკვნი, რომ მთვრალი ვყოფილვარ.

— გუშინდელი ყველაფერი გახსოვს?!

— დიახაც, მახსოვს!

— აბა, ერთი მოგვახსენე, სახლში რომელი გზით მოხვედი?

— რომელი და, არჩევნების გზით! რავა სამხედრო გადატრიალება მოგიწყვე თუ?! — შევძახე ამაყად.

*ნოდარ კიკნაძე*

## „სამართალმა ჰყოს ჭამა".



თხუთმეტი თუ ოცი წლის წინ მცხეთის „არმაზს" გასვლითი მატჩი ჰქონდა რუსთავში, მაშინდელ „მეტალურგთან". მცხეთელ „ბალეშჩიკებს" შორის ერთი ციხიდან ახალგამოსული კაცი ერია (დღეს ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს მცხეთის კოლორიტად). მთელი თამაშის მანძილზე „მეტალურგს" არაერთი საგოლე მომენტი შეექმნა, მაგრამ როგორც ხშირად ხდება, ბურთი მცხეთელებმა გაიტანეს და 1:0 მოიგეს.

ორი აღშფოთებული რუსთაველი ერთმანეთში საუბრობს:

— ამ მცხეთელებს რომ იღბალი აქვთ, ასეთი არაფერი მინახავს — ამბობს ერთი.

— მაგრად სწყალობთ ბედი. აბა, ამ თამაშის წაგება იქნებოდა? — კვერს უკრავს მეორე.

ეს რომ ჩვენმა გმირმა გაიგონა, ნიშნის მოგებით მიაძახა:

— თქვე დალოცვილებო, ორი „ზონის" აშენებას ერთი წმინდა სალოცავი აგეშენებინათ და ღმერთიც თქვენკენ იქნებოდა და ხატიც.

*„მუსტანგერი"*

## მამა მოუვიდა!

პატარა ზაზა მშობლებთან ერთად აგარაკზეა. ერთხელ, სეირნობისას, ბავშვთან უცნაური, უცხო ძაღლი მიცუნცულდა.

ზაზამ მოფერება დაუწყო.

ამ დროს ვიღაც, ასევე უცნაური კაცი მიუახლოვდა და ძაღლს დაუძახა.

— მამა მოუვიდა, მამა! — შეჰყვირა ზაზამ.

*ალექსანდრე ნეკრესელაშვილი, საგარეჯო*



## საიდან გაქვს?!



ერთხელ სანდრო ამალლობელი მილიციაში დაიბარეს, მილიციის უფროსმა დაკითხვა მოუწყო:

— ბატონო სანდრო, ყოველდღე რომ ქეიფობთ და დროს რესტორნებში ატარებთ, საიდან გაქვთ ამდენი ფული?

— საიდან მაქვს და, ცოლი მიდებს ყოველ დილით ჯიბეში.

— თქვენს ცოლს საიდან აქვს?

— ჩემს ცოლს დედაჩემი აძლევს.

— დედათქვენს ვინ აძლევს?

— მამაჩემი.

— მამათქვენს საიდან აქვს ის ფული?

— კომოდის ზედა უჯრიდან იღებს.

— კომოდის ზედა უჯრაში ვინ დებს იმ ფულს?

— მე!

— ჰოდა... თქვენ საიდან გაქვთ?..

— ხომ გითხარით, კაცო, ცოლი მიდებს ყოველ დილით ჯიბეში-მეთქი.

*მამუკა ჩაჩანიძე, თბილისი*

## მიეწიეთ?



ამას წინათ დასავლეთში, საჩხერის რაიონში ვიყავით გასვენებაში. მოგეხსენებათ, ჩვენი, ქართველების ამბავი: ხან იქ გავაჩერეთ მანქანა, ხან აქ და, დაგვიანებით ჩავედით. ვეძებთ იმ ახლობლის სახლს, ვისთანაც მივდივართ, მაგრამ ვერ ვპოულობთ. ამ დროს შავებში ჩაცმული ქალი შემოგვხვდა:

— ბოდიში, ქალბატონო, მიცვალებული სადაა ამ სოფელში?!

— ამ სოფელში, ბატონო, ხუთი მიცვალებულია;

— ჩვენ მიქელაძე გვინდა.

— ახლა გამოასვენეს, ბატონო და, თუ გაიქცევით, მიეწევით.

— შენ მიეწიე თუ გინდა — მიაძახა ჩვენმა თანამშრომელმა.

*ვახტანგ „თერჯოლელი"*

## ისე კი ვერ დააძინებ!..



ერთხელ ჟენიამ შვილი დააძინა და გვერდითა საწოლში გადაიყვანა.

ქმარმა დრო იხელთა და „საქმეს" შეუდგა. თურმე ბიჭს არ სძინებია, წამოყო თავი და მამას უთხრა: „აქანავე, აქანავე, შენმა მზემ, ისე კი არ დაეძინება, აი!".

*ციცინო ხუმარაძე, აგარა*

## კუჭი მაწუხებს



ერთმა ჩემმა მეგობარმა სასადილოში დაპატიჟა მეორე. მან თავაზიანი უარი უთხრა:

— კუჭი მაწუხებს და ვერ წამოვალ.

— ბიჭო, კუჭი რომ მაწუხებს, იმიტომ გპატიჟებ, თორემ სასადილოში რა მინდა — უპასუხა დამპატიჟებელმა.

*ალ კაპონე, ზესტაფონი*

# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი



ჭიჭიკიას ძაღლი მიჰყავს, შემოხვდა ბიჭიკია.

— სა მიგყავს მაგი ძაღლი, ჭიჭიკია?

— მესაათესთან.

— რა უნდა, ბიჭო, ძაღლს მესაათესთან?

— რა ვიცი, სულ უკან რჩება ეს შობელძაღლი.

*გივი, ხაშური*

კახეთში მკვდარს მიასვენებდნენ, კუბო გვერდზე ზომაზე მეტად იყო გადახრილი.

— სირცხვილია, კაცო, გაასწორეთ — უთხრა გამვლელმა.

— ე, რამდენიც გავასწორეთ, იმდენი ხვრინვა ამოუშვა — უპასუხეს კახელებმა.

*გურამ რეხვიაშვილი, თბილისი*



— მიხავ, გაიგე, თურმე ერთი ქალი დაკარგულა მთებში და 40 დღე გაუძლია მშიერს...

— ე, ბიჭო, მისამართი დამიდგინე, მაგი გამომადგება ამ შიმშილობაში ცოლად.

*გერა ჩიქვინიძე*

კურდღელი ბარში შევა და ყავას და ნამცხვარს მოითხოვს. მერე ცოტა ხნით გარეთ გავა, როცა დაბრუნდება, ყავა დალეული დახვდება.

— ვინ დალია ჩემი ყავა? ვინ დალია-მეთქი!

— მე დავლიე შენი ყავა — თქვა ლომმა.

— „პეჩოი" ვერ დააყოლე?

*ირაკლი გიგუაშვილი*





შალიკია კოკისპირულ წვიმაში ავტომანქანით დაადგა გზას, მალე მანქანას საბურავი დაეშვა. იქვე ხის ქვეშ მოკანკალე მეზობელ ქალს ეგონა, შალიკიამ მანქანა გამიჩერა და სახლამდე მიმიყვანსო. მიირბინა, კარი გამოხსნა...

— არ დაჯდე, „პაკრიშკა" დამეჩუტა... — მიაძახა შალიკიამ.

— შენ რავა სულ ჩემზე გეჩუტება — კარი მიუჯახუნა ქალმა.

*მ. ფეიქრიშვილი, თბილისი*

ქუთაისელებმა 20 გრადუსიანი არაყი გამოუშვეს და „უჩებნი" უწოდეს.

*გურამ რეხვიაშვილი, თბილისი*



სვანი ზღვაზეა დასასვენებლად. დედას უგზავნის სურათს, რომელზეც მხოლოდ ზღვა მოჩანს. სურათს უკანა მხარეს აწერია: „ჩაყვინთული ვარ".

*მიშა კორძაია, თბილისი*

სვანს ომში წაიყვანენ. გაოცებული გაიხედგამოიხედავს და იტყვის: „ესენი ისე ისვრიან, ვიღაცას მოკლავენ".

*ირაკლი გიგუაშვილი, ხაშური*

დედა აფრთხილებს შვილს:

— შვილო, ზურიკოს ერიდე, უზრდელია. მე წესრიგისკენ მივუთითე, მან კი სიტყვა ბანზე ამიგდო.

— მერე იქიდან ვინ ჩამოგიგდო, დედიკო?

*შალვა მოსეღვდლიშვილი, გურჯაანი*



**ბატონო მკითხველო, რედაქცია კვლავ ელის თქვენგან კურიოზებსა და ანეკდოტებს. გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე**

# გაქცევა ჩეჩნეთიდან ყინულის ბილიკებით

*რუსმა სამხედროებმა ჩეჩნეთიდან საქართველოსკენ მიმავალი ერთადერთი გზა გადაკეტეს. ჩვენი კორესპონდენტი მარი კალვინი ალყაშემორტყმულ ჩეჩნეთში ჩარჩა. ერთადერთი გამოსავალი მთის ბილიკებით საქართველოში გადასვლა რჩებოდა. ეს ბილიკები კი 4,5 კმ სიმაღლის უღელტეხილზე გადის...*



მოჰამედ ამინ კატაიევი, ამ მთებში გაზრდილი გამხდარი და მოქნილი ჩეჩენი, დაგვთანხმდა ჩვენი გამცილებელი ყოფილიყო და გადავეყვანეთ საქართველოში. კი, არსებობდა კიდევ ე.წ „უსაფრთხო კორიდორი", რომლითაც რუსები ლტოლვილებს ინგუშეთში გასვლას სთავაზობდნენ. მე ნანახი მყავდა ხალხი, რომლებმაც ეს ირწმუნეს და მართლაც სცადეს ინგუშეთში გასვლა. რუსი სამხედრო თვითმფრინავები მათზე ნადირობდნენ (ადრე ასეთი „ნადირობა" საკუთარ თავზე მქონდა გამოცდილი იმავე კორიდორში რეპორტაჟის მომზადების დროს), ვინც გადარჩა, ჩეჩნეთის სამხრეთში აფარებდნენ თავს. არა, ამ გზით სიარულს ისევ მთებზე ცოცვა მერჩივნა.

როცა ჩეჩნეთში გადავდიოდი, არ მეგონა, რომ ასეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი. საქართველოდან 10 დეკემბერს მშვიდად გადავედი ჩეჩნეთში მანქანით და გროზნოში ჩავედი, მაგრამ სანამ გამოვბრუნდებოდი, რუსებმა „მკვდართა ქალაქად" ცნობილი მელხისტი აიღეს და საქართველოზე მიმავალი ერთადერთი გზა გადაკეტეს. ასე რომ, მახეში აღმოვჩნდი.

მოჰამედი, მე და ჩემი ფოტოგრაფი დიმიტრი ბელიაკოვი გზას 21 დეკემბერს დავადექით. მალე შემოგვიერთდა მოჰამედის მეგობარი ვალედი. ის კამუფლიაჟში ჩაცმული და კალაშნიკოვის ავტომატით შეიარაღებული ნამდვილი ჩეჩენი ბოევიკი იყო. გაცნობისთანავე გვითხრა, რომ საფრანგეთის უცხოურ ლეგიონში შესვლა უნდოდა და ომის მერე სწორედ ამას გააკეთებდა. ვალედი გზაზე ადამიანების გამტაცებლებისა და კონტრაბანდისტებისაგან დაგვიცავდა. ყოველ შემთხვევაში, თვითონ ასე აგვიხსნა. მართალი გითხრათ, ეს იყო ერთადერთი ინფორმაცია გამტაცებლების შესახებ, რომელმაც ჩემამდე მოაღწია. ვალედი ისე ლაპარაკობდა მოსალოდნელ საფრთხეზე, როგორც ჩვენ მოსალოდნელ ამინდზე ვმსჯელობთ ხოლმე. წინ სწორედ ის გაგვიძღვა. მას მოჰამედი მიჰყვებოდა მსუბუქი ნაბიჯით. ბოლოს კი მე და დიმიტრი მივლოლავედით და წარუმატებლად ვცდილობდით, სუნთქვა აგვეწყო. მე გავიხსენე სიგარეტის თითოეული ღერი, რაც კი ცხოვრებაში მომიწევია და ყოველი მათგანის მოწევა მოვინანიე... ვალედი კი თითქოს ჯინაზე მთელი გზა სიხარულით საუბრობდა იმაზე, თუ რა კარგი ვარჯიშია ასეთი გადასვლები და რა კარგი იქნებოდა, ხშირად უნდევდეს ასეთი დავალებების შესრულება.

საღამოს, როგორც იქნა, შესვენების დროც მოვიდა. რაღაც წყაროსთან შევჩერდით. ვალედმა ფეხზე გაიხადა, დაიბანა და ლოცვას შეუდგა. მე მკვდარივით დავეცი. „ნორმალ?" — შემეკითხა მოჰამედი. რა მეპასუხა?

გარშემო მხოლოდ თეთრად დათოვლილი მთები მოჩანდა. დაღლილობის და სასოწარკვეთის მიუხედავად, მაინც შევამჩნიე, რამდენად ლამაზი იყო ყველაფერი. ლამაზი და უდაბური. თუმცა არც მთლად უკაცრიელი — 3 ადამიანი დავინახეთ. მოჰამედი და ვალედი დაიძაბნენ. მათი შეხვედრა ეჭვიანი ძაღლების შეხვედრას მიაგავდა. ჯერ წრედ დადგნენ და ხმადაბალი საუბარი დაიწყეს, შემდეგ, როცა ერთმანეთის სანდოობაში დარწმუნდნენ, გადაეხვივნენ და ერთად მოვიდნენ ჩვენთან.

გადაწყდა, რომ ლეჩე, მუსა და ომარი ჩვენთან ერთად წამოვიდოდნენ. მეორე დღე პირველზე გაცილებით რთული აღმოჩნდა. ბილიკი სულ უფრო და უფრო დამრეც აღმართებს მიუყვებოდა, ჰაერი კი უფრო იშვიათი ხდებოდა. ბოლოს დიმიტრი დაჯდა და თქვა, რომ ველარ წამოვიდოდა: „აქ დამტოვეთ, ჩემს გვამს ალბათ იპოვიან და დაუმარხავს არ დატოვებენ". მე მისი სავსებით მესმოდა... მოჰამედი გვერდით მიუჯდა და ჩუმად რაღაცას ელაპარაკა, თვითმკვლელობა გადააფიქრებინა და გზა განვაგრძეთ.

საცალფეხო ბილიკით რამდენიმე საათის სიარულის შემდეგ მივადექით მდინარეს, რომელიც მთლიანად გაყინულიყო. წარმოიდგინეთ ყინულის მოედანი, რომელზეც ფეხს ვერსად მოიკიდებ, ქვევით კი 300 მეტრიანი გადასავარდნია. გადაწყდა, რომ უკან უნდა დავბრუნებულიყავით და სხვა ბილიკით გვეცადა გავლა. წარმოიდგინეთ, რა დღეში ჩავცვივდით მე და დიმიტრი.

კარგა დიდ მანძილზე უკან დაბრუნების შემდეგ, სხვა ბილიკს შევუყევით. მე ფეხი დამისხლტა და კინაღამ ხრამში გადავიჩეხე. ჩვენი ახალი თანამგზავრები წინ წავიდნენ გზის დასაზვერად, დაბრუნებულებმა გვითხრეს, რომ კვლავ გაყინულ მდინარეს გადაანყდნენ და გასასვლელი ვერ იპოვეს. „აქედან საქართველოში ჩვენ ვერ გადავალთ. შანსი არ გვაქვს, სჯობს უკან დავბრუნდეთ". ისინი წავიდნენ.

მოჰამედმა ცეცხლი დაგვინთო და თვითონ წავიდა გზის საძებრად. ის უკვე დაღამებულზე დაბრუნდა და გვითხრა, რომ გასასვლელი იპოვა. მერე დამამშვიდა, მთხოვა, არ შემშინებოდა ლეჩეს, მუსას და ომარის წასვლის გამო. „ისინი ახალგაზრდა, „ქალაქის ბიჭები" არიან. უნდათ სწრაფი ფული გააკეთონ იარაღით ვაჭრობით. გზის სიძნელის გამო გაბრუნდნენ უკან". გამახსენდა, როგორ მათრია ლეჩემ 200 მეტრი თითქმის ვერტიკალურ კლდეზე. არა, ჩეჩნებს აშკარად განსხვავებული წარმოდგენა აქვთ „ქალაქის ბიჭებზე". დილით აღმოვაჩინე, რომ ვალედიც წასულიყო გაუფრთხილებლად, თუმცა თავის ნაცვლად სხვა ჩეჩენი — მურადი დაეტოვებინა ჩვენს თანამგზავრად.

შემდეგი 12 საათი აღმართს მივუყვებოდით. ჰაერი ძალიან ცოტა იყო. უკვე დასვენების დროსაც ველარ ვახერხებდი ნორმალურად სუნთქვას. ამასთან ისეთი ქარი უბერავდა, რომ რამდენჯერმე კინაღამ ხრამში გადამაგდო. დაღამებამდე ცოტა ადრე ორ მწვერვალს შორის პატარა მინდორზე გავედით. ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ სამყაროს მწვერვალზე ვიდექი. წინ ქვების გროვა იყო — ის საქართველოს საზღვარს აღნიშნავდა. უცებ სროლა გაისმა. ჩვენ თოვლში ჩავწექით. „რა უსამართლობა იქნება, უკვე თითქმის სამშვიდობოს გასულები რომ დავიღუპოთ" — გავიფიქრე მე. მოჰამედმა ჩეჩნურად რაღაცის ყვირილი დაიწყო და სროლა შეწყდა. საზღვარი გადავკვეთეთ.







მოჰამედმა გაუქმებული ბოსელი იპოვა და შობის ღამე იქ გავათიეთ. რაღაც სიმბოლური იყო იმაში, რომ ამდენი გაჭირვების გამოვლის შემდეგ შობას სწორედ ბოსელში ვხვდებოდით.

მე ტელეფონით დავუკავშირდი „სანდი თაიმსის" რედაქციას და ქართველ კონტრაქტორებს. ვთხოვე ვერტმფრენი. თემური, ჩვენი ქართველი კონტრაქტორი ვერტმფრენს დილის 11 საათისათვის დამპირდა. თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა და ჩვენ მთებში და ყინვაში ცხელ წყალსა და ორცხობილებზე 4 დღე გავატარეთ. თემურმა დანაპირები არ შეგვისრულა. ცალკე რედაქცია ცდილობდა მოეხერხებინა ვერტმფრენის გამოგზავნა ქართველი სამხედროების მეშვეობით. ჩვენი რედაქტორი შონ რაენი ქართველ გენერალს, გიორგი გვასალიას დაუკავშირდა, რომელმაც დაამშვიდა, რომ ვითომ ჩვენ ქართველმა მთიელებმა შეგვიფარეს და თბილად და უსაფრთხოდ ვიყავით სოფელში, სინამდვილეში ჩვენ ყინვაში, სოფელ გიმრის მიტოვებულ სახლებში ვათევდით ღამეებს. მოსახლეობა ზამთრობით ტოვებს ხოლმე სახლებს და მხოლოდ გაზაფხულზე ბრუნდება...

სხვა გზა აღარ იყო და ჩვენ ისევ თავად უნდა გაგვეკვალა გზა. ჩემი მობილურის ბატარეაც დაიცალა და აღარავის იმედი აღარ გვქონდა. მოჰამედმა შემოგვთავაზა მდინარეს ჩავყოლოდით: „კავკასიაში ხალხი მდინარის მახლობლად სახლდება ხოლმე. აქაურობას ისე კარგად არ ვიცნობ, მაგრამ იქნებ სოფელი შეგვხვდეს". სხვა გზას ვერც ჩვენ ვხედავდით და ისევ გზას გავუდექით. მართლაც შეგვხვდა კიდევ ერთი სოფელი, რომელშიც ჩვენდა გასახარად ერთი მოხუცი წყვილი დაგვხვდა ბარტანზ და ელიზაბეტა კაცუნკუბეევები. მათ დაგვაპურეს და გვითხრეს, რომ 5 კილომეტრში დიდი სოფელი ომალო იყო, სადაც ხალხიც ცხოვრობდა და რადიოც ჰქონდათ. ჩვენც იქით გავეშურეთ. დაბინდებამდე 1 საათილა იყო დარჩენილი, როცა დავინახეთ ვერტმფრენი. გიჟებივით ვიქნევდით ხელებს. ვერტმფრენი დაეშვა. იქიდან გადმოვიდა დიდი ტანის ამერიკელი და გაგვეცნო: „ჯეკ ჰარიმანი, აშშ-ის საელჩო". თურმე ჩვენმა რედაქციამ, დარწმუნდა რა, რომ ქართველმა გენერალმა ვერტმფრენის ორგანიზება ვერ (არ) გააკეთა, თბილისში ჩემი კოლეგა ჯონ სვეინი გამოგზავნა, რომელიც აშშ-ის საელჩოში მივიდა და დახმარება ითხოვა. ღმერთო, ცხოვრებაში ასე არ გამხარებია აშშ-ის პასპორტის ქონა.

ჰარიმანმა გვითხრა, რომ ომალო 5 კილომეტრზე გაცილებით შორს იყო, თუმცა ჩვენთვის ამას აღარანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა — ვერტმფრენი აფრინდა და თბილისისკენ წაგვიყვანა. იქ ჩვენ სითბო და დასვენება გველოდა.

*სანდი თაიმსი*

# კრემლის პოლიტიკის განჭვრეტა შესაძლებელი ხდება

ხელისუფლებაში პუტინის მოსვლა ეპოქალურ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. რუსეთში მთავრდება უტოპიების, დანაშაულთა, დამცირების, იმედგაცრუების, კონვულსიებისა და სისხლის ღვრის ათწლეული. ფაქტობრივად, მხოლოდ ახლა მიიღო რუსეთმა არცთუ უჭკუო და ძლიერი პრეზიდენტი (პუტინი რომ პრეზიდენტი გახდება, არავის ეეჭვება), რომელსაც თავის გუნდთან ერთად ძალუძს უკანასკნელი ათწლეულის არასტაბილურობა შეცვალოს მყარი წინსვლით.

საბოლოოდ გადაწყდა, 26 მარტს რუსეთი რიგით მეორე პრეზიდენტს აირჩევს. პრეტენდენტებიც ცნობილია — ზიუგანოვი, პრიმაკოვი, პუტინი. ანალიტიკოსების აზრით, დღესდღეობით ორი მათგანი საპრეზიდენტო რბოლის აუტსაიდერები არიან. რა თქმა უნდა, საქმე ეხება ზიუგანოვსა და პრიმაკოვს. ახლა ეჭვი არავის ეპარება, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ქვეყნის მთავარი კომუნისტი თამაშგარე მდგომარეობაში იმყოფებიან. სხვათა შორის, ის არ არის მთავარი, რომ გასული წლის ბოლო დღეს, ექსცენტრიკულმა ბორის ელცინმა ქვეყნის მართვის სადავეები პუტინს ჩააბარა, არც ის, რომ „მედვედმა" გაიმარჯვა. მთავარი და გასათვალისწინებელი გაირკვა — ვლადიმირ პუტინის ზურგს უკან ძლიერი და ყველასათვის საიდუმლო ძალა დგას.

რა ვიცით პუტინის შესახებ? ფაქტობრივად, თითქმის არაფერი. სანქტ-პეტერბურგის მერის ყოფილი თანაშემწე, შემდეგ ქვეყნის მთავარი ჩეკისტი, მერე უშიშროების საბჭოს მდივანი. ეს არის და ეს!

სამაგიეროდ, ვიცით, რეგიონალური პოლიტიკური კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული ტესტის შედეგები. რესპონდენტთა უმეტესი ნაწილი მხარს უჭერს ახალ პარტიას. საოცარია, ასეთ მოკლე დროში როგორ მოახერხა „მედვედმა" წარმატების მიღწევა?

თქვენ გენიოსი ხართ, ბატონო პუტინ! თქვენ ჯადოქარი ხართ, ფოკუსნიკი... თუმცა, შესაძლებელია თქვენ კი არა, არამედ ისინი, ვინც თქვენ შეგქმნათ! საინტერესოა, რატომ შეაჩერეს მაინცდამაინც თქვენზე ყურადღება? თითქმის ნახევარი წლის წინ პრეზიდენტმა თქვენ რატომ დაგასახელათ თავის მემკვიდრედ და არა ბორის ნემცოვი, რომელსაც ბრწყინვალე მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ან გამოცდილი ევგენი პრიმაკოვი, თუნდაც პრეზიდენტის „ერთგული" ჩუბაისი? ბოლოს და ბოლოს, არც ბერეზოვსკიზე შეჩერებულა არჩევანი.

ვისთან და რასთან გვაქვს საქმე? ისეთი რა საიდუმლო ძალაა, რომელმაც ერთი ჩვეულებრივი ჩეკისტი ისე ზევით აისროლა და პირამიდის მწვერვალზე მოაქცია? იქნებ თქვენ, როგორც ყოფილმა მზვერავმა, ისეთი რამ იცით, რაც დანარჩენებისთვის უცნობია? არა მგონია, ეს იყოს მიზეზი.

იქნებ, მომავალ პრეზიდენტს ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური პროგრამა აქვს, რომელიც ქვეყანას გადაარჩენს, გააძლიერებს და ააყვავებს? მაგრამ ასეთი პროგრამა, რომ არ არსებობს?

ვიმედოვნებთ, რომ რუსი ხალხი თავის მეორე პრეზიდენტის არჩევისას გონებას მოუხმობს და არ აჰყვება მხოლოდ ემოციებს.

*ვერსია №1*

## შურისძიების გრძნობა სიცოცხლეზე მეტია

ისლამური ფუნდამენტალისტები სიცოცხლის ფასად იცავენ თავიანთ რწმენას. 502 ირანელი მზად არის, „წმინდა საქმისთვის" გაიღოს თითო თირკმელი (მით უმეტეს, ირანის სამედიცინო უწყება არ კრძალავს ადამიანის ორგანოებით ვაჭრობას), რათა მიღებული თანხა „სალმან რუშდის სიკვდილით დასჯის" ფონდს მოხმარდეს (შეგახსენებთ, რომ სალმან რუშდი არის „სატანისტური ლექსების" ავტორი). თვით რუშდი ამჟამად ბრიტანეთში იმალება და მხოლოდ მცველთა თანხლებით თუ გამოჩნდება საზოგადოებაში. ისლამური „ჰორდად-15 ფონდი" სატანისტური ლექსების ავტორისთვის 2,8 მლნ დოლარს არ იშურებს. კასპიის ზღვის სანაპიროს მცხოვრებნი ამ საღვთო საქმისთვის თავიანთი ნაყოფიერი მამულების, ვენახების, სახლებისა და ხელით ნაქსოვი ხალიჩების გაღებას აპირებენ. შარშან ლიბერალი პრეზიდენტის მოჰამედ ჰათამის ხელისუფლებამ საგრძნობლად შეარბილა რადიკალების პოზიცია, აღმასრულებელი მთავრობა რუშდის სიკვდილით დასჯას მხარს არ უჭერს. პრეზიდენტი ცდილობს, სახელმწიფოს პოლიტიკის მოდერნიზებას და დასავლეთთან



ურთიერთობის ნორმალიზაციის პირობად რუშდის საკითხს მიიჩნევს. იმავდროულად, ლიბერალები სასულიერო წოდების აზრსაც იზიარებენ. პრეზიდენტმა ჰათამიმ არაერთხელ აღნიშნა, რუშდი კვლავინდებურად დამნაშავეა ისლამის დაგმობის გამო. ნებისმიერ შემთხვევაში, რუშდის ბედი ირანის პრეზიდენტის ხელში არ არის, იგი მხოლოდ და მხოლოდ სასულიერო წოდების განკარგულებაშია. ირანის სახელმწიფოს თუნდაც ფორმალურ მეთაურად სასულიერო ლიდერი აიათოლა ხომეინი გვევლინება.

*ნეზავისიმაია გაზეტა №3*

## დსთ: „ოჯახური" პოლიტიკის სხდომა

ევრაზიის მთვლემარე სამეფო — სსრკ-ის ყოფილი რესპუბლიკები, რომლებიც ამჟამად დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან — მთელი წლის განმავლობაში თვლემდა. აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის, აგრეთვე ბალტიისპირეთის ქვეყნები, დიდი ხანია დაემშვიდობნენ ტოტალიტარულ მემკვიდრეობას. ამ ქვეყნების ყოფილი საბჭოთა (ან პროსაბჭოთა) ლიდერები დიდი ხანია, ჩამოშორდნენ პოლიტიკურ სარბიელს, ლიტვასა და ლატვიას კი საერთოდაც უცხოელები, წარსულში ამერიკისა და კანადის მოქალაქეები ჩაუდგნენ სათავეში.

დსთ-ის ქვეყნებს კი, ძველებურად სკკპ ცკ-ის პოლიტბიუროს ყოფილი წევრები და პარტიული კომიტეტების მდივნები მართავენ და, რა თქმა უნდა, საბჭოურად. საბჭოთა ნომენკლატურა ებღაუჭება ძალაუფლებას და ოპოზიციასთან ბრძოლის მეთოდებს არ ირჩევს, რაც ცხადი გახადა შარშან, დსთ-ის ქვეყნებში გამართულმა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებმა.

ტაჯიკეთის პრეზიდენტად კვლავ აირჩიეს ენომალი რაჰმანოვი, უზბეკეთის პრეზიდენტია ქარიმოვი, რომელმაც ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში „განდევნა" ოპოზიცია რესპუბლიკიდან და მხოლოდ თავისი მომხრე პარტიები დატოვა. მორიგ ტრიუმფალურ წარმატებას მიაღწია უზბეკეთის პრეზიდენტმა, მას ამომრჩეველთა 92%-მა მისცა ხმა.

ყაზახეთის პრეზიდენტი, რომელმაც 2007 წლამდე გააგრძელა თავისი უფლებამოსილების ვადა, ამით არ დაკმაყოფილდა და 1999 წელს თავის სახანოში საპარლამენტო არჩევნებიც გამართა, რომელიც არადემოკრატიულად ცნო ევროსაბჭომაც და ეუთომაც.

ორმა ამიერკავკასიელმა ლიდერმაც — ქართველმა ედუარდ შევარდნაძემ და აზერბაიჯანელმა ჰაიდარ ალიევმაც შარშან საპარლამენტო და ადგილობრივი ქარტეხილები გამოიარეს, მაგრამ არაფერი დაშავებიათ. 1999 წლის დამლევს აზერბაიჯანში კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას ჰქონდა ადგილი — შეიქმნა ახალგაზრდა რეფორმატორთა პარტია, რომელსაც ჰაიდარ ალიევის ვაჟი, ილჰამი უდგას სათავეში. მრავალრიცხოვან დამკვირვებელთა მტკიცებით, მეტად ბინძური ბრძოლის შედეგად კვლავაც დაიტოვა უკრაინის პრეზიდენტის პოსტი ლეონიდ კუჩმამ.

საერთაშორისო ორგანიზაცია TRASPARENCY INTERNATIONAL-ის მიერ შარშან, წლის დამლევს გამოქვეყნებული მონაცემებით, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყირგიზეთი, ყაზახეთი, საქართველო, რუსეთი, სომხეთი, უკრაინა და მოლდოვა მსოფლიოს ყველაზე კორუმპირებული ქვეყნების პირველ ათეულში არიან.

*იტოგი №2*

## რომის პაპმა დაისვენოს

გერმანიის კათოლიკე ეპისკოპოსთა მეთაურმა, რადიოსადგურ „დოიჩლანდფუნკისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა — რომის პაპმა თავის თავს უნდა გაუმხილოს, რომ ვერ შევასრულებ ჩემს მოვალეობას ისე, როგორც საჭიროება მოითხოვსო.



79 წლის იოანე-პავლე II-ის ჯანმრთელობა დღითი დღე რთულდება და მრავალრიცხოვანი საეკლესიო რიტუალების ჩატარება უჭირს. რომის პაპი ბოლო დრომდე უარს ამბობდა დახმარებაზე, მაგრამ იესო ქრისტეს 2000 წლისადმი მიძღვნილ წირვაზე სპეციალური პლატფორმა მოითხოვა, რომელსაც საეკლესიო მსახურები დააგორებდნენ. მიუხედავად ყველაფრისა, დღემდე ვერავინ ბედავდა იმის თქმას, დროა, რომის პაპმა დატოვოს წმინდა ტახტიო... „ეკლესიას ახალი, ძლიერი ლიდერი სჭირდება, რომელიც შეძლებს მორწმუნეთა შეკრებას", — აცხადებს გერმანული ეპისკოპატის თავმჯდომარე კარლ ლემანი. იგი შეეხო „პოლონელი პაპის", კაროლ ვოიტილას მემკვიდრის საკითხს — ტახტის მემკვიდრე ლათინურ ამერიკაში უნდა ვეძებოთო. მეთვალყურეთა აზრით, შემდგომი რომის პაპი იტალიელი იქნება; თუმცა, ამ წმინდა პოსტისათვის ბრაზილიელიც იბრძვის. სულ 15 პრეტენდენტი დასახელდა, რომელთა შორის არიან: კარდინალი ანჯელო როდანო, კარდინალი კამილო რუინი, სან-სალვადორის არქიეპისკოპოსი ლუკაშ მორეირა ნევაში და სხვ.

*ნოვიე იზვესტია №1*

## კონტრდარტყმა

„ყველაფერი კონტროლდება" — ამ ფრაზას განუწყვეტლივ იმეორებენ უმაღლესი სამხედრო მოხელეები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ჩეჩნეთის საომარ ოპერაციებს. ჩეჩნეთის მთელ ტერიტორიაზე ბოევიკები შეტევაზე გადავიდნენ და აღადგინეს კონტროლი არღუნზე, შალიზე, ახჩოი-მარტანზე, შევიდნენ გუდერმესსა და ურუს-მარტანში. როგორც შემდეგ გაირკვა, ამ პუნქტებში ფედერალური ჯარები განაწილებულნი იყვნენ ბლოკპოსტებსა და კომენდატურებში და პოტენციური თავდასხმისათვის მზად არ იყვნენ, ამიტომაც ფედერალური ჯარების დიდი ნაწილი რამდენიმე შენობასა და ბლოკპოსტზე ბლოკირებული აღმოჩნდა.

არღუნსა და შალიში ჯარები დახმარების მოლოდინში თითქმის დღე-ღამის განმავლობაში იგერიებდნენ ბოევიკებს, მაგრამ მათ დასახმარებლად წამოსულმა ჯავშანტექნიკის კოლონამ შალიში ვერ ჩააღწია, ვერც არღუნამდე ჩავიდა, რადგან გზაზე ბოევიკები დაუხვდნენ. ეტყობა, კარგად ჰქონდათ შესწავლილი ფედერალური ჯარების დაჯგუფებათა სტრუქტურა და ისიც იცოდნენ, რა გზით წავიდოდნენ. ფედერალურ ჯართა მოკავშირეებმა ბოევიკებს გუდერმესში წინააღმდეგობა არ გაუწიეს. შესაძლოა იმიტომ, რომ მანამდე რამდენიმე დღით ადრე დაჭრეს მათი ლიდერი ს. იამადაევი. ფედერალური ჯარი იძულებული გახდა, ურუს-მარტანამდე დაეხია.

არც მთიან ზონაში განვითარდა მოვლენები ფედერალური ჯარების სასარგებლოდ. ის, რომ ბოევიკები კონტრდარტყმას მიაყენებდნენ ქალაქებსა და სოფლებს, განსაკუთრებით გუდერმესსა და არღუნს, ყველამ იცოდა, მაგრამ არავინ არაფერი ილონა. ბლოკპოსტებისა და კომენდატურების სისტემა კვლავაც ისეთი დარჩა, როგორიც იყო გასული სამხედრო კამპანიის დროს.

ბოევიკები, რა თქმა უნდა, დიდი ხნით ვერ გამაგრდებიან არღუნსა და გუდერმესში, მაგრამ ერთ-ერთი ოფიციალური ვერსიით, მათ ეს ოპერაცია იმისთვის დასჭირდათ, რომ ფედერალური ჯარები გროზნოდან გაეტყუებინათ. იმის მიუხედავად, თუ რამდენ ხანს შეინარჩუნებენ ბოევიკები დაკავებულ პუნქტებს, ერთი რამ სავსებით ცხადია — ჯარმა სერიოზული მარცხი განიცადა, აშკარა გახდა მისი მეთაურების შეცდომები. ტრიუმფალური გამარჯვებისა და ლამაზი სიტყვებით კეკლუცობის პერიოდი დამთავრდა. თუ რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ჩრდილო კავკასიის პოლიტიკაში სერიოზულ სტრატეგიულ ცვლილებებს არ შეიტანს, უფრო მძიმე დანაკარგი და დამარცხებაა მოსალოდნელი.

*იზვესტია №3*

## პატარა ბუდა კომუნისტებს გაექცა

ბუდისტთა უმაღლესმა სასულიერო პირებმა გადაწყვიტეს, გადამალონ ტიბეტის მე-17 ბუდა კარმაპა-ლამა. მის ადგილსამყოფელს არ გაამხელენ, ვიდრე არ მიჩუმდება კარმაპა-ლამას ინდოეთში გაქცევასთან დაკავშირებული სკანდალი. შესაძლოა, იგი ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოეთში სიკიმში გადაიყვანონ. მისი წინამორბედი მე-16 კარმაპა-ლამა 1959 წელს ტიბეტის დედაქალაქ ლჰასში წარუმატებელი ანტიჩინური აჯანყების შემდეგ გაიქცა და სწორედ სიკიმში დააარსა თავისი შტაბბინა. ამასთან, ბევრი ტიბეტელი ბუდისტი ფიქრობს, რომ სწორედ სიკიმის ერთ-ერთ მონასტერში იმყოფება კარმაპას სიმბოლო — შავი გვირგვინი. ჯერჯერობით, ცნობილი არ არის, რამ აიძულა 14 წლის უგიენ ტრინლეი დორჩჟე (ბუდა კარმაპას საერო სახელი) დაეტოვებინა ტიბეტში თავისი რეზიდენცია და ჩრდილო ინდოეთში გაქცეულიყო. ჰიმალაის საშიში გადასასვლელი მან ერთ კვირაში გადალახა.



ჩინეთის ხელისუფლებამ აღიარა კარმაპა-ლამას გაქცევის ფაქტი, მაგრამ ის კი არ უღიარებია, რომ იგი ჩინელი სეპარატისტების მფარველობის ქვეშ გადავიდა. სწორედ ეს არის პარადოქსი. მე-17 ბუდა კარმაპა ჩინეთის პირველი რელიგიური მოღვაწეა, რომელმაც 1992 წელს კომპარტიის ხელშეწყობით მიიღო სასულიერო წოდება. ამ წლების განმავლობაში ყმაწვილი ლამა პეკინის ნდობით სარგებლობდა, ჩინეთი კი, თავის მხრივ, ქვეყანას უჩვენებდა, რომ მხარს უჭერდა ტიბეტელ სასულიერო პირებს. ახლა ეს „რკინის" არგუმენტი საეჭვო გახდა.

*სეგოდნია №5*

## კოლს შეშურდება ელცინისა

ერთი თვის წინ გერმანელთა უმრავლესობა საუკუნის ადამიანად გერმანიის გამაერთიანებელ კანცლერს ჰელმუტ კოლს დაასახელებდა. დღეს კი, ამაზე გერმანიაში სიტყვას ვერ გაიგონებთ. მეტიც, ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ცდილობს, მთლიანად ჩამოშორდეს თავის საპატიო თავმჯდომარეს, რომელსაც დღეს ფინანსურ მაქინაციებში ადანაშაულებენ. ექს-კანცლერის საქმეს პროკურატურა იძიებს... „დიახ, 1993-98 წლებში ვღებულობდი შემოწირულობებს, რომელმაც დაახლოებით 2 მლნ მარკა შეადგინა. ეს არ იყო აღნიშნული არც ერთ ფინანსურ ანგარიშში. „ძალიან ვწუხვარ დაშვებული შეცდომების გამო", — აღიარა გერმანიის ყოფილმა კანცლერმა. გერმანიაში უკვე არ სჯერათ, რომ ეს საქმე მხოლოდ ორი მლნ-ით შემოიფარგლება. სხვათა შორის, ექს-კანცლერს ფული არც კუნძულ ჯერსის რომელიმე ბანკში გადაურიცხავს ან სასახლეები შეუძენია, მან ამ ფულით შეიქმნა თავისი „იმპერია", გააძლიერა პირადი ძალაუფლების რეჟიმი და გავლენა. ყოფილმა კანცლერმა „პოლიტიკური ურთიერთმოგების" საზრიანი ქსელი გააბა და, სწორედ ამის მეშვეობით დაიჭირა ქვეყნის სადავე 16 წლის მანძილზე. ერთი მხრივ, ფულს სთხოვდა მსხვილ ბიზნესმენებს ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის პარტიისთვის, ადგილობრივ პოლიტიკოსებს კი მიმართავდა პოლიტიკური მხარდაჭერისთვის და მათ პარტიის ხაზინიდან ფულით კომპენსირებას ჰპირდებოდა. ასე რომ, დღეს კოლს ადანაშაულებენ „პარტიების შესახებ კანონის" დარღვევისათვის, ეს კი პატარა საქმე არ არის; ბუნდესტაგის სპეციალურად შექმნილი კომისია და ბონის პროკურატურა ამ საქმის გარჩევას დიდ დროს მოანდომებს. ამ სკანდალის მთავარი მოქმედი პირებია: იურისტი მათიას ვალდრაფი, რომელიც ადანაშაულებს ყოფილ კანცლერს. „ქრისტიან-დემოკრატიული კავშირის" ხაზინის „მეპატრონე" ვალტერ ლიაისლერ-კიპი ყველაზე მეტ „დარტყმას" მიიღებს, არანაკლებ დამნაშავეა კავშირის ყოფილი გენერალური მდივანი ჰაისნერ გაისლერი.

შეწირულობათა თანხა ჯერჯერობით არ არის დადგენილი. კოლი არ ასახელებს იმ პიროვნებებს, ვინც თავის დროზე დიდი თანხა გაიღო. ბუნდესტაგის ახალშექმნილი საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარემ ამ საქმეში „მონაწილეებს" შეახსენა კანონი, რომლის თანახმად, ვინც ჩვენების მიცემას არ მოისურვებს, დაჯარიმდება ან დააკავებენ კიდეც. ამ შემთხვევაში დეპუტატის მანდატის ხელშეუხებლობა არ მოქმედებს. ყოფილი კანცლერის აპარატის ზოგიერთი თანამშრომლისათვის სავსებით რეალურია საციხო პერსპექტივა. რაც შეეხება კოლს, ამჟამინდელმა კანცლერმა გერჰარდ შრედერმა, რომელიც ძალიან კმაყოფილია კოლის ირგვლივ ატეხილი სკანდალით, განაცხადა, რომ კოლის დაპატიმრების შესახებ დისკუსია სრულებით უადგილოაო. გფრ-ის იუსტიცია ძალზე სერიოზულად არის დაინტერესებული ჰელმუტ კოლის დღეგრძელი პოლიტიკური ფენომენით.



კოლს სამშობლოში პატივისცემით „ევროზავრს" უწოდებდნენ. ეს იმის მაჩვენებელი გახლავთ, რომ უძველესი სამყაროდან ასეთი მასშტაბის პოლიტიკოსები არ შემორჩენილან. ხალხმა მას „ერის მამა" უწოდა; დღეს კი აღშფოთებული გერმანელები ერთმანეთს ეკითხებიან: „ნუთუ?"

გამოძიება გრძელდება.

*იტოგი №1*

## მოკლედ

**მოსკოვში**, 76 წლის ასაკში გარდაიცვალა სსრკ-ის სახალხო არტისტი, აკადემიკოსი მაჰმუდ ესამბაევი. დიდი მოცეკვავე ნოვოდევიჩის სასაფლაოზე დაკრძალეს.

**დიდი ბრიტანეთის** ტერიტორიაზე სახელმწიფო გადატრიალება მოხდა. სასექსის საგრაფომ თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა; ანუ ბრიტანული უღლისაგან განთავისუფლებული ეშხიორსტის სახალხო რესპუბლიკა უარს ამბობს ბრიტანული გადასახადების გადახდაზე, არ ცნობს ბრიტანულ პოლიციას, ადგილობრივ საბჭოსა და ხელისუფლებას; რაც უკვე მოახსენეს დედოფალ ელისაბედ II-სა და პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს. ახალი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა პრეზიდენტად აირჩიეს 43 წლის მარკ ეიჰნერი.

**„სიდნეის"** გრიპის მსხვერპლი გახდა ცნობილი სამბისტი კაირონ გრეგორი. იგი ამბულატორიული რეჟიმის დანიშვნის შემდეგ რამდენიმე საათში გარდაიცვალა.

**ინდოეთის** მთავრობამ გატაცებული მთავრობის 154 მძევლის გასათავისუფლებლად ციხიდან გამოუშვა ისლამ სეპარატისტთა ლიდერი მასუდ აზხარი. იგი მაშინვე სამშობლოში — პაკისტანში დაბრუნდა და დაიფიცა რომ კვლავაც იბრძოლებს ინდოეთიდან ქაშმირის გამოსაყოფად. ამასთან, ჯიჰადი გამოუცხადა რუსეთს ჩეჩნეთის გამო.

## ხოტბაშესხმული ფრინველი



ჩრდილო ირლანდიაში დღესაც სწამთ, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული გედში განსხეულდება, ამიტომ გედზე ნადირობა დაუშვებელია. ის, ვინც გედს მოკლავს, უბედური იქნება სიცოცხლის ბოლომდე.

ძველ საბერძნეთში მიაჩნდათ, რომ ქათქათა გედებშებმული ეტლით დაქროდა აპოლონი. გედის სახით გამოეცხადა მზეთუნახავ ლედას ზევსი და მათი კავშირის შედეგი იყო მშვენიერი ელენე — ტროას ომის მიზეზი.

სკანდინავიური ლეგენდები ამბობენ, რომ გედები — ვალკირიები არიან და საერთოდ, გედების ღვთაებრივი წარმოშობის შესახებ მითები მთელ მსოფლიოშია გავრცელებული.

დანიის ზოგიერთ სოფელში დღემდე სჯერათ, რომ გედის კვერცხი მხოლოდ ჭექა-ქუხილის დროს ტყდება და ელვის ნათების გარეშე ეს ზღაპრული, უმშვენიერესი ფრინველი არ გამოიჩეკება.

*შპიგელი №1*

## მაიმუნებმა იარაღი აიღეს



კონგოსა და ზაირის ჯუნგლებში გაჩნდა შეიარაღებულ მაიმუნთა ბანდები, რომლებიც მოსახლეობას თავს ესხმიან. თვითმხილველთა თქმით, გორილები ფართომასშტაბიანი ომისთვის ემზადებიან.

აფრიკული სოფლებიდან კონგოსა და ზაირის ტერიტორიებზე დაიწყო ხალხის საიდუმლო გაუჩინარება. პოლიციამ აღმოაჩინა 3 ქალისა და 2 მამაკაცის საოცრად დასახიჩრებული გვამი. დაადგინეს, რომ მკვლელობა ადამიანების ჩადენილი არ არის, ვინაიდან გვამებზე დარჩენილია „მისტიკური რიტუალებისთვის“ დამახასიათებელი რაღაც ნაკვალევი, თუმცა ის ვერც ერთი აფრიკული ტომის ნიშნად ვერ შეიცნეს.

ზოგიერთი სოფლის მცხოვრები ჯუნგლებში წააწყდა ბეწვიანი გიგანტების ჯოგს, რომელთაც თოფები ეჭირათ და რიტმულად მიაბიჯებდნენ: არავინ იცის, სად შეიძლებოდა ეშოვათ გორილებს იარაღი. ხელისუფლების აზრით, მათ ალბათ ჯარისა და პოლიციის საწყობები გაქურდეს. ამბობენ, მაიმუნებს ბომბები და ყუმბარებიც აქვთო. გორილების შეიარაღებული ბანდები საოცრად მობილურია, ისინი სულ სხვადასხვა ადგილას ნახეს.

ამბობენ, სოფლის ბევრმა მცხოვრებმა, ვინც შეიარაღებული გორილები ნახა, ისეთი ნერვული შოკი განიცადა, რომ ცივ უარს აცხადებს ამ თემაზე ვინმესთან საუბარზეო. ეს სულაც არ გვიკვირს, — ამბობს მეტყევე კიტიუე მონდგა, — ვინაიდან გორილებს ადამიანის საქციელის გამეორება ეხერხებათ. ეტყობა, მათ თვალყური ადევნეს აფრიკაში სამხედრო მოქმედებებს და იარაღის ხმარება ისწავლეს. მოხუცი მეტყევის აზრით, გორილები ერთად იმიტომ შეგროვდნენ, რომ ხალხს მიწები წაართვან. ასე რომ, მიმდინარე მოვლენებს კონგოსა და ზაირში თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ ტერიტორიული ომი. ადგილობრივი მოსახლეობა ყოველდღე ელის ომის დაწყებას. ჯარი და პოლიცია მზადყოფნაშია. მაგრამ ჯარი თითქმის უძლურია, ვინაიდან გორილებს საოცრად აქვთ განვითარებული სმენა და ამიტომ მათთან ახლოს მისვლა, პრაქტიკულად შეუძლებელია.

პანიკამ კულმინაციას მიაღწია, ზოგიერთი რაიონის ადმინისტრაციამ ტყის სოფლების ევაკუაცია დაიწყო.

*უიქლ უორლდ ნიუზი*

## ბეჰემოთების გენეალოგიური საიდუმლო ამოხსნილია

ჟურნალ „ამერიკის“ ნაციონალური აკადემიის ჩანაწერები იუწყება, რომ ბეჰემოთების უახლოესი ნათესავი ყოფილა არა ღორი, როგორც დღემდე ითვლებოდა, არამედ ვეშაპი. ზოოლოგებს დიდხანს მიაჩნდათ, რომ ვეშაპი ძუძუმწოვარა ცხოველია და მისი წინაპრები ოდესღაც დედამიწაზე ცხოვრობდნენ, შემდგომ კი დაბრუნდნენ ზღვაში. ვეშაპებმა ისე ძლიერ იცვალეს სახე, რომ მეცნიერებს ვერ დაუდგენიათ მისი უახლოესი წინაპარი. ბეჰემოთებიც ღორების უახლოეს წინაპრებად იყვნენ მიჩნეულნი. მისი ვეშაპთან სიახლოვეზე პირველად აზრი გამოთქვა ვინსენტ სარიჩმა, 1985 წელს. მაშინ ეს თეორია ვერც დაადასტურეს და ვერც უარყვეს. ამჟამად კი უკანასკნელი გენეტიკური კვლევების საფუძველზე მეცნიერებმა დაადგინეს, ვეშაპების წარმოშობის ახალი ვერსია. მათი წინაპრები აღმოჩნდნენ წყვილჩლიქოსნები. უხსოვარ დროში ამ ოჯახს გამოეყო აქლემი, შემდეგ ღორი, მოგვიანებით კი ჟირაფი და ირემი. ოჯახის შემადგენლობაში დარჩნენ ბეჰემოთის წინაპრები. შემდგომში ისინიც გაიყვნენ — ზოგი ხმელეთზე დარჩა და ბეჰემოთების სახეობას დაუდეს სათავე. ზოგმა კი ზღვას მიაშურა და მათგან ვეშაპები განვითარდნენ. მათი შტოა ვეშაპები და დელფინები.

*ფავორიტი №22*

## ობობათა ცხოვრების ადათები



ტროპიკებში ცხოვრობენ ობობები, რომლებსაც ცხოვრების საერთო წესი აქვთ. ისინი კოლექტიურად ქსოვენ ბადეს, შემდეგ აერთებენ მას, ერთად იჭერენ მსხვერპლს, არ დაობენ მის გაყოფაზე და აცდიან ყველას თავისი წილის მიღებას. იგი უფრო არტელს ჰგავს, რომელიც ორი ტიპისაა: კოლონია, რომელშიც ათასზე მეტი წევრია გაერთიანებული და არტელები, სადაც ორმოცდაათამდე მშრომელია, დიდი სოფლის ან ხუტორების მსგავსი. თუ მქსოველი კარგად გრძნობს თავს, ის ბევრ კვერცხს დებს, თუ არა — კვერცხის დება საგრძნობლად მცირდება. ხუტორებში ობობები გაცილებით უკეთ არიან, ვიდრე დიდ კოლექტივებში. ობობებს კრიტიკული პერიოდებიც აქვთ — ეს არის ტროპიკული წვიმების სეზონი. თავსხმა წვიმები უნგრევს მათ „სახლ-კარს“. ქსელები წყდება და ობობებისათვის დგება მძიმე პერიოდი. შიმშილით რომ არ დაიხოცონ, დიდ კოლექტივებში ჰყავთ მუშა ძალა ქსელების შესაკეთებლად; პატარა არტელებს კი ასეთი ძალა არა ჰყავთ და ისინი ნახევრდებიან. მოსალოდნელია ასეთ ვითარებაში მათი მთლიანად ამოწყვეტა, მაგრამ, არა! მათ გვერდით ხომ დიდი კოლექტივი არსებობს! ისინი ეხმარებიან პატარა ხუტორელებს და შველიან, მხარში უდგანან გაჭირვების ჟამს.

კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ობობათა დიდ კოლექტივებში არსებობენ უსაქმურები, რომლებიც მსხვერპლის დაჭერაში არ მონაწილეობენ — მხოლოდ მაშინ გამოჩნდებიან, როცა ნადავლის გაყოფაზე მიდგება ხოლმე საქმე. ასეთი პარაზიტები პატარა ხუტორებში არ არიან.

*ნლო №1*

## გაიცანით პინკი!



სამი თვის პინკი მსოფლიოში ყველაზე უნიკალური „ბავშვია“ — აქამდე ხომ მეცნიერებს ჯერ არ დაუფიქსირებიათ შიმპანზეებში ალბინოსის დაბადების შემთხვევა!

ლამაზ პინკის ქათქათა ბეწვი და საოცრად ცისფერი თვალები აქვს. იგი სიერა-ლეონეში ცხოვრობს, მაიმუნთა სპეციალურ თავშესაფარში, რომელსაც ცოლქმარი ბალა და შარმილა ამარსეკარანები მეურვეობენ. ბიოლოგებმა ალბინოსი პინკი ადგილობრივი მონადირისგან 280 დოლარად იყიდეს. პატარას გაუმართლა. ამ მხარეში მოზრდილი შიმპანზეების ხორცს მიირთმევენ, პანიებს კი შინაურ ცხოველებად ყიდიან. ახლა პინკი ამარსეკარანების ოჯახის სრულუფლებიანი წევრია — ტანთ მათი ორი წლის ბიჭის ტანსაცმელი აცვია, თანაც მისი საუკეთესო მეგობარიც გახდა. დღეში სამჯერ რძით კვებავენ საწოვარიანი ბოთლით. პინკი ძალიან ხალისიანი და მხიარულია, სწორედ ისეთი, როგორიც მისი ასაკის ბავშვები არიან, მათსავით ხშირად უცვლიან საფენებსა და აძლევენ მატყუარას.

თავშესაფარში 27 შიმპანზე ცხოვრობს. თავდაპირველად, აქ ისინი დაჭრილები ან ავადმყოფები მოჰყავთ. გამოჯანსაღებულ შიმპანზეებს ათავისუფლებენ. პინკის მომავალი ბიოლოგებს ჯერ არ გადაუწყვეტიათ. ისინი შიშობენ, რომ ჩვეულებრივი თანამოძმეები ალბინოს პინკის მტრულად შეხვდებიან.

*პოსლედნიე ნოვოსტი №1*

## თურმე, ცხოველის გათვალვაც შეიძლება



მაგები შინაურ ცხოველებს ოდითგანვე იყენებდნენ თავიანთი რიტუალებისთვის. მაგალითად, გერმანიაში მიაჩნდათ, რომ ავი თვალისგან ძროხის რძე სისხლად იქცეოდა, ან განყალდებოდა და საკვებად უვარგისი ხდებოდა. სკანდინავიის ქვეყნებში ავთვალს ბოსელში არ უშვებდნენ — საქონელი არ წაახდინოსო. ევროპელი გლეხები ცდილობდნენ, გათვალვისგან დაეხსნათ ცხვარი, ღორი, ინდაური, იხვი და ბატი.

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცხოველები, გარდა იმისა, რომ იოლად ემორჩილებიან გათვალვას, თურმე ამ გზით ადამიანებსაც იცავენ თვალის მავნე ზეგავლენისგან. ამიტომ ძველ ეგვიპტეში დამცავ თილისმად ატარებდნენ ოქროს ფირფიტაზე ამოტვიფრულ არწივის ფრთებს. აფრიკის ბევრ რაიონში თილისმად ანტილოპის რქას ხმარობდნენ. იტალიაში სახლის ზღურბლთან ავი თვალისგან დასაცავად მაიმუნის თავის ქალას კიდებდნენ. კუნძულ ბორნეოზე იგივე დანიშნულება ჰქონდა დათვის თავის ქალასაც. კუნძულ ლესბოსზე გათვალვისგან თავს იცავდნენ დათვის კლანჭებითა და ბეწვით.

ძველ საბერძნეთში მიაჩნდათ, რომ ძაღლის ყეფა აშინებდა მავნე სულებსა და მოჩვენებებს. დანიაში კი ბავშვებს გათვალვისგან უჩვეულო ხერხით იცავდნენ: კატას ფეხებში წაავლებდნენ ხელს, ჩვილს თავზე მოატარებდნენ და მთელი ძალით აკვანში მოისროდნენ. სილეზიასა და ბოჰემიაში სახლის დამცველებად სამფეროვან კატას შეარჩევდნენ ხოლმე. შოტლანდიაში ახალ სახლში შესახლებამდე, წინ კატას გაუშვებდნენ, ასეთივე ჩვეულება არსებობს დღემდე რუსეთში.

*კალეიდოსკოპი №49*

## რეკორდსმენი კატა



მწითურ კატა სპაიქს მალე 30 წელი შეუსრულდება. თუ მის ასაკს ადამიანური საზომით მივუდგებით, სპაიქმა უკვე 203 წელი იცოცხლა! მთავარია, რომ ინგლისის მკვიდრი უხუცესი ფისო ხანდაზმულობას არ უჩივის და „ქალებში“ დაიარება.

უნიკალური კატის პატრონი მო ელკინგტონი ძალიან ამაყობს, რომ მის საყვარელ ფისოს მალე გინესის წიგნში შეიტანენ. როგორც მან ჟურნალისტებს უამბო, სპაიქის დღეგრძელობის საიდუმლო მარტივია — პატრონი უკვე 29 წელია, რაც საჭმელში ამატებს ალოეს ექსტრაქტს. მისი აზრით, სწორედ იგი იცავდა ფისოს დაავადებებისგან, ამიტომაც არასოდეს დასჭირვებია ვეტერინარი. სპაიქს ყოველთვის შესანიშნავი მადა და მხიარული ხასიათი ჰქონდა. წინა რეკორდი 1957 წელს დამყარდა, როცა საფრანგეთში მცხოვრებმა კატამ 34 წელი იცოცხლა.

*მეგაპოლის-ექსპრესი №1*



## როდესაც ჩიტს ენა ებმის...

თურმე ყველა ჩიტი როდი გალობს უზადოდ. როგორც ადამიანებში, ფრინველთა შორისაც ყოფილან კარგი და ცუდი მგალობლები. თავად ჩიტები კარგად არჩევენ ამას, შეიძლება ითქვას, ისინი პროფესიონალი მსმენელები არიან.

მეცნიერებმა გამოავლინეს, რომ მგალობელთა უმეტესობას ერთმანეთის ენა ესმის...

მათ გააანალიზეს 100 ჭრელი სკვინჩის ჭიკჭიკი. უმეტესობა ერთსა და იმავე ბგერას რამდენჯერმე იმეორებს — მეორე ბგერაზე გადასასვლელად თითქოს ენა ებმისო; მგალობლები კი ოსტატურად ცვლიან ბგერებს. ვირტუოზი მოჭიკჭიკეები მარჯვეები არიან, დედლის გულსაც იოლად ინადირებენ, ამიტომ დედლები ცდილობენ, მათ დაუკავშირონ ბედი, რათა უკეთესი შთამომავლობა იყოლიონ.

მეცნიერების გამოკვლევის შედეგად ჭრელი სკვინჩების 70%-ს დარღვეული აქვს თავის ტვინის სამეტყველო სისტემა. იგივე პრობლემები შეინიშნება ენაბლუ ადამიანებშიც. ამიერიდან ჭრელი სკვინჩები დაეხმარებიან მეცნიერებს, უკეთ შეისწავლონ ენაბლუობა.

*ფოკუსი №44*

## ყველაზე მარტოსული არსება



ყველაზე მარტოსულ არსებად სამართლიანად მიაჩნიათ გიგანტური გალაპაგოსური მამალი კუ, სახელად მარტოხელა ჯორჯი. მას უკვე 77 წელი შეუსრულდა. როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ჯორჯს სიცოცხლის ხალისი დაკარგული აქვს. 25 წლის წინ ბრაკონიერებმა გულის სწორი მოუკლეს და საბრალო ახლა თავისი სახეობის უკანასკნელი წარმომადგენელია, ამის წყალობით გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. უბედური მარტოხელა ჯორჯის დახმარება გადაწყვიტეს ბიოლოგებმა და გენეტიკური ანალიზის გამოყენებით მისთვის საცოლის შერჩევაც მოინდომეს.

იმ კუნძულიდან, სადაც ჯორჯი ცხოვრობს, 320 კმ-ის დაშორებით აღმოაჩინეს 300 კგ-იანი კუს მშვენიერი სქესის რამდენიმე წარმომადგენელი. მათთვის სისხლის ასაღებად რამდენიმე კაცი შეიქნა საჭირო, რომ ზურგზე გადმობრუნებულებს სისხლძარღვებამდე მიეღწიათ. დნმ-ს ანალიზის შედეგებმა სენსაცია მოახდინა — დედალ კუთა გენეტიკური კოდი მარტოხელა ჯორჯის კოდის იდენტური აღმოჩნდა, რაც მათ ნათესაურ ქვესახეობასთან კუთვნილებას ადასტურებდა. მაგრამ, როცა მარტოხელა ჯორჯს საცოლეები მიჰგვარეს, სასიძოს მათ მიმართ არანაირი ინტერესი არ გამოუმჟღავნებია. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ჯორჯი ჯერ კიდევ დაკარგულ მეგობარს მისტირის და გადაწყვეტილი აქვს, სიკვდილამდე უნუგეშო ქვრივად დარჩეს.

*ნლო №50*

## მაჰამ!



ბუდაპეშტში გაიხსნა მსოფლიოში პირველი ქორწინების სასახლე შინაური ცხოველებისთვის, სადაც ცალ-ცალკე აქვთ გამოყოფილი ძაღლებისა და კატების დღე. ნეფე-პატარძლისთვის სადღესასწაულო ტანსაცმლის ქირაობა იქვე შეიძლება. დამსწრეთა აპლოდისმენტების თანხლებით, ახალდაქორწინებულებს ნიშნობის ბეჭდებს გადასცემენ, რომელთაც პატრონები იქვე წამოაცვამენ თათზე. შემდეგ კი პატარა დარბაზში შამპანურით სავსე ბოკალების წკრიალით, ჯიშიანი შთამომავლობის ქვეყნად მოვლინებას უსურვებენ. თავად ნეფე-პატარძალი ცდილობს სადმე დაემალოს ხმაურიან კომპანიას. მხოლოდ მაშინ მშვიდდებიან, როცა სანატრელ ძვალს ან ხორცის ნაჭერს მიიღებენ.

ქორწილების გრაფიკი გაზაფხულამდე შევსებულია. თუმცა როგორც ახალდაქორწინებულთა პატრონები ამბობენ, საქორწინო ცერემონიალის ტარიფები საკმაოდ მაღალია. ამ თანხებით ისინიც შესანიშნავად გაატარებდნენ თაფლობის თვის რამდენიმე დღეს.

*ეხო პლანეტი №50*

## უძველესი რიტუალი

კეჩუელი ინდიელები კონდორს პატივს უხსოვარი დროიდან მიაგებენ. იგი მზის ღმერთის ფრინველად მიაჩნიათ. მათი აზრით, ზეცაში ლივლივისას კონდორი აკვირდება ადამიანთა ცხოვრებას და ყველაფერს თავის ღმერთს აცნობებს. მზის ღვთაების დღესასწაულისთვის საგანგებოდ იჭერენ ფრინველს. დაჭერილი კონდორი განთიადისას ყველა მსურველს ხელში აჰყავს (იგი იწონის 10კგ, გაშლილი ფრთების სიგანეა 3მ), შეუსვენებლივ შემოურბენს სოფლის მოედანს და მომდევნოს გადასცემს. ეს რიტუალი გრძელდება მზის ამოსვლამდე; მზის პირველი სხივების ამოწვერისას კონდორს უშვებენ. ფრინველი თვალს ეფარება. ხალხი კი ჩურჩულებს: „უამბე მზეს ჩვენს ცხოვრებაზე, ჩვენს იმედებსა და გასაჭირზე“.

*ფავორიტი №20*

# ქალი და მამაკაცი
## Он и Она



**ნანი ჩიქვინიძე:** ჩვენ „ზემელზე“ ვცხოვრობდით — საათიან სახლში. ძალიან მენანება, რომ დაანგრიეს... დიდი, გრძელი აივანი გვქონდა. ჩვენი მეზობლები იყვნენ ქალბატონი კისა კილურაძე და ბატონი რეზო თარხან-მოურავი. ანცი ბავშვი ვიყავი, ამიტომ მათ, როცა ბატონები თენგიზ აბულაძე და რეზო ჩხეიძე „მაგდანას ლურჯასთვის“ ტიპაჟს ეძებდნენ, ჩემი კანდიდატურა შესთავაზეს. მათვე წამიყვანეს კინოსტუდიაში — ლექსი უნდა წამეკითხა. მაგრამ... ვიდრე სკამზე არ დამაყენეს, ვერ დამითანხმეს. თქვენ წარმოიდგინეთ, არც ეს მომეწონა. ბოლოს, როცა მაგიდაზე შემომასკუპეს, ლექსიც ვთქვი და ვიმღერე კიდეც და, როგორც ჩანს, საკმაო მონდომებითაც. ერთხმად თქვეს — გამოგვადგებაო! დღემდე მიკვირს, არა მხოლოდ ის, როგორ ვითამაშეთ ბავშვებმა, არამედ როგორ გავახმოვანეთ — მე 5 წლის ვიყავი, მიხო — შვიდის. ჯერ ხეირიანად წერა-კითხვაც არ ვიცოდი... მე ყოველთვის მიმართლებდა რეჟისორების მხრივ — მუდამ კარგ რეჟისორებთან ვმუშაობდი.

— *მათ შორის ბატონ თემურთანაც...*

— თემური ალბათ მაპატიებს, თუ ვიტყვი, რომ მასთან მუშაობა ბევრს სურს! და ამიტომ, გარკვეულად, ვერიდები კიდეც მის სპექტაკლებში თამაშს — ეს, რატომღაც, უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევს... ისე კი, თქვენ შეიძლება არც დამიჯეროთ, მაგრამ როდესაც მუშაობას იწყებს, იქ ყოველგვარი ნათესაური კავშირი ქრება და არჩევანი კეთდება პროფესიონალიზმის ნიშნით...

**თემურ ჩხეიძე:** სულ ხუთჯერ ვიმუშავეთ ერთად...

— *რატომ?!*

**თემურ ჩხეიძე:** ნანისთან ყოველთვის სიამოვნებით ვთანამშრომლობ. ხელს სრულიადაც არ მიშლის ის გარემოება, რომ მისი ქმარი ვარ. სპექტაკლზე მუშაობისას ეს არც მახსოვს, მაგრამ... — თუ ვინმეს, ნანის გარდა, შეუძლია როლის თამაში, თუნდაც ნანიზე ცოტათი ნაკლებად, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ფათერაკის თავიდან აცილების მიზნით, მე იმ სხვას ავიყვან... ნანი ჩემი მეუღლე რომ არ ყოფილიყო, შეიძლება უფრო ხშირად გვემუშავა ერთად...

— *ე.ი. ქალბატონი ნანი, ცოტა არ იყოს დისკომფორტს გრძნობს?*

**თემურ ჩხეიძე:** სამაგიეროდ, ქმრის კომფორტს გრძნობს!!!

**ნანი ჩიქვინიძე:** ახლა შედარებით თავისუფლად ვგრძნობთ თავს მეც და თემურიც, იმიტომ, რომ თემური თეატრის მთავარი რეჟისორი აღარ არის, ჩვეულებრივი რეჟისორია. ხელმძღვანელმა გაცილებით მეტი ფაქტორი უნდა გათვალოს — თეატრის ინტერესები, მსახიობის დასაქმება... ეს გარკვეულ კომპრომისებს განაპირობებს... ისე კი, მე არ შევსწრებივარ, რომ რეჟისორისა და მსახიობის ურთიერთობაში ნათესაობას ეჯობნოს...

— *ნუთუ როლზე მუშაობას ჩხეიძე-ჩიქვინიძე რეპეტიციაზევე წყვეტენ და საკუთარ ჭერქვეშ არ აგრძელებენ?*

**ნანი ჩიქვინიძე:** ძალიან იშვიათად, ისიც სხვათა შორის! შეიძლება თემურმა ჩვეულებრივ საუბარში ჩაურთოს: ნანი, აი, იქ ერთი ფრაზა გასასწორებელია... ესაა და ეს!

— *სახალხო არტისტი თემურ ჩხეიძე ყოველ თეატრალურ სეზონს პრემიერით აღნიშნავს, ხშირად პრემიერებით... დამსახურებული არტისტი ნანი ჩიქვინიძე ერთ-ერთი ყველაზე დაკავებული მსახიობია... და მაინც, შემოქმედებითი ურთიერთობით საკმაოდ განებივრებული წყვილი როგორ შეაფასებდა ერთმანეთის შემოქმედებას?*

**თემურ ჩხეიძე:** კარგად!!! რაც უფრო მეტად შეეცდება ნანი, იყოს სხვადასხვანაირი, მით უფრო გაიხანგრძლივებს სცენურ ხიბლს. ბუნებრივია, მას მოუწევს ახალგაზრდული როლებიდან ასაკოვან როლებზე გადასვლა, ეს საკმაოდ რთული პროცესია და ვცდილობ, იგი შედარებით უმტკივნეულო იყოს მისთვის.

**ნანი ჩიქვინიძე:** ამ მხრივ ორი წლის წინ მქონდა საკმაოდ საინტერესო ექსპერიმენტი „სოლომონ მორბელაძეში“. იქ ორ როლს ვთამაშობდი — ახალგაზრდა და ღრმად მოხუცებული ქალები განვასახიერე, თანაც გარდასახვა მინიმალური ეფექტით (სათვალე, თავსაფარი) პირდაპირ სცენაზე ხდებოდა...

— *ქალბატონო ნანი, ცოტა უხერხული შეკითხვა კია, მაგრამ... არის თუ არა თემურ ჩხეიძე თქვენი საყვარელი რეჟისორი?*

**ნანი ჩიქვინიძე:** (იღიმება) არის და რა ვქნა?!

— *ბატონო თემურ, რას იტყოდით მსახიობ ნანი ჩიქვინიძის როლებზე?*

**თემურ ჩხეიძე:** ბოლო ნამუშევრებიდან „სასიყვარულო ბარათები“ უნდა გამოვყო... ისე კი, უფრო ხშირად ნანი ქალბატონ მედეა კუჭუხიძესთან თამაშობს. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო „პროვინციული ამბავი“. იქ ყველა კარგად თამაშობდა, მათ შორის ნანიც — ერთ-ერთი საუკეთესო როლია! იაპონურ პიესაში, „შეყვარებულთა თვითმკვლელობა ციურ ბადეთა კუნძულზე“, ნანიმ საინტერესო სახე შექმნა. უნდა აღინიშნოს მარგო, „ჯაყოს ხიზნებში“... რაც შეეხება „სასიყვარულო ბარათებს“, იგი სარეპეტიციო დარბაზში იდგმება. თამაშობენ მხოლოდ ნანი და გია ბურჯანაძე, ასეთ ვიწრო და ინტიმურ გარემოში თამაშს თავისი სირთულეები აქვს და ვფიქრობ, ორივესთვის ეს გამორჩეული ნამუშევარი იქნება...

— *ბატონო თემურ, თითქოს დაებედათ, თქვენი სპექტაკლები ყოველთვის მძაფრ ვნებათაღელვებს იწვევენ...*

**თემურ ჩხეიძე:** დიახ, კამათობდნენ, — ვის სჭირდება ახლა „მარადი ქმარიო“... როგორც ჩანს, ვიღაცას მაინც სჭირდება, სამი სეზონია, მიდის და მაყურებელი არ აკლდება! „ჯაყოს“ პრემიერის შემდეგ უამრავი წერილი მოვიდა ტელევიზიაში. დავიწყე კითხვა და... ცუდად გავხდი! იძულებული ვიყავი, წერილების კითხვისგან თავი შემეკავებინა — აბა, თავი მომეკვლევინებინა მათთვის?!

— *თავის დროზე ცისფერთვალება ოტელოზეც გედავებოდნენ...*

**თემურ ჩხეიძე:** შექსპირს ჩემი დასაწუნი რა სჭირს, მაგრამ მხოლოდ „მაკბეტი“ და „ოტელო“ დავდგი და, თქვენ წარმოიდგინეთ, იმიტომ, რომ მყავდა ისეთი შესანიშნავი მსახიობი, როგორიც ბატონი ოთარ მეღვინეთუხუცესია. მართალი მოგახსენოთ, მე, როგორც რეჟისორი, აღფრთოვანებული ვარ ჩემი ცისფერთვალება ოტელოთი...

— *ბატონო თემურ, არ დაგენანათ თეატრის ხელმძღვანელის პოსტის დათმობა?*

**თემურ ჩხეიძე:** ჩემნაირი კაცისთვის უკეთესიც კია წმინდა შემოქმედებითი საქმიანობა. თანამდებობა შეიძლება მოგინდეს იმ შემთხვევაში, თუ რაღაცაში ხელი გეშლება... მე ისედაც მეძლევა მუშაობის საშუალება, რატომღა უნდა მინდოდეს ხელმძღვანელობა?

— *ბატონო თემურ, თქვენ არა ერთი სპექტაკლი დადგით პეტერბურგის დიდ თეატრში, მარინის თეატრში, საზღვარგარეთის არა ერთი ქვეყნის პრესტიჟულ სცენებზე. ამ თვალსაზრისით როგორ შეაფასებდით ქართულ სამსახიობო პოტენციალს?*

**თემურ ჩხეიძე:** ერთად თავმოყრილი იმდენი დიდებული მსახიობი, რამდენიც საქართველოშია, არც ერთ ქვეყანაში არ მინახავს. მათი უმრავლესობა ნამდვილად მსოფლიო სტანდარტების დონეზეა. ჩემზე ბევრჯერ თქვეს — წავიდაო! სად ჯანდაბაში წავალ — ამ უნიკალური არტისტების მიტოვება არ შემიძლია. ეგეც არ იყოს, აქ მყავს ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, ძვირფასი საფლავები, ბოლოს და ბოლოს. საქართველოს გარდა ვერსად ვიცხოვრებ, დადგმით — ყველგან დავდგამ! ჯერ ერთი, მატერიალური მომენტია გასათვალისწინებელი, მეორეც — ზნეობრივი ფაქტორი: ათი წელია, პეტერბურგში ვმოღვაწეობ. იქაც აქვთ მატერიალური პრობლემები და ამ მხრივ დიდი შეღავათი არ არის ჩემთვის, მაგრამ იქაურები იდეალურ პირობებს მიქმნიან, იმიტომაც ვერ ვწყვეტ თანამშრომლობას — არ იქნება ზნეობრივი, მიატოვო თეატრი, რომელმაც შესანიშნავად მიგიღო... არადა 1991 წელს მხოლოდ ერთი სპექტაკლის დასადგმელად ჩავედი პეტერბურგში... მათთან მუშაობა მაინტერესებს და, სულო ცოდვილო, იმათაც აინტერესებთ...

— *თქვენ ყოველთვის გაღელვებდათ ზნეობრივი გმირის პრობლემა. თქვენმა რაიკომის მდივანმა გიორგი თორელმა („მშობლიური ჩემო მიწავ!“) ერთ დროს ფურორი მოახდინა და ბევრ რამეზე შეცვალა საზოგადოების წარმოდგენები...*

**თემურ ჩხეიძე:** ზნეობრივი პრობლემა ყველა ხელოვანს აღელვებს... მთავარია, ყველამ ჩვენ-ჩვენს ზნეობას მივხედოთ. უცოდველი და უშეცდომო კაცი არ არსებობს... ერთნიშნად არაფრის დახასიათება არ მიყვარს. ჯერ ერთი, ვინ დაგსვა განმკითხველად, მეორეც — რა უფლება გაქვს, ილაპარაკო ერის სახელით... და კიდევ, არსებობს შემრიგებლური ფრაზები — „მე მგონი“, „ჩემი აზრით“ — რა უნდა ამის დამატებას?! ჩემი დაკვირვებით, ზნეობაზე უმეტესად ის ადამიანები ლაპარაკობენ და თანაც პათეტიკურად, ვისაც ზნეობა აკლია. უზნეობას ნუ გადავაბრალებთ პოლიტიკურ ორიენტაციას. ჩემს ახალგაზრდობაში არა ერთ მაღალი ზნეობის ადამიანს ვიცნობდი და ისინი კომუნისტები იყვნენ...

— *ქალბატონო ნანი, თქვენ კინემატოგრაფში ისე ადრეულ ასაკში, ისე ორიგინალურად, თამამად და ლამაზად შეაბიჯეთ, რომ ყველანაირი ლოგიკით, უფრო ხშირად გადასაღებ მოედანზე უნდა ყოფილიყავით, ვიდრე სცენაზე, პირიქით კი მოხდა...*

**ნანი ჩიქვინიძე:** დიახ, და ძალიან მწყდება გული... როგორც ჩანს, კინორეჟისორები უფრო ტიპაჟს ეძებენ და ალბათ ამ მხრივ ადრეულ ასაკში უფრო ვიყავი საინტერესო, თუმცა მოგვიანებითაც იყო შედარებით ნაკლებად ეფექტური როლი კინოში...

— *რაც შეეხება სცენას?*

**ნანი ჩიქვინიძე:** ბატონი მიხეილ თუმანიშვილის სკოლა გავიარე. პირველად რუსთაველის თეატრში მივედი. მაშინ „ანტიგონეში“ მე და მარინა ჯანაშია პაჟის როლებს ვთამაშობდით. სხვათა შორის, ჩემი ერთ-ერთი სცენური კურიოზიც მარინა ჯანაშიასთან არის დაკავშირებული. ჩვენ სცენაზე ურიკებით შემოვდიოდით. გასინჯვა გვქონდა და, როგორც ჩანს, მეტისმეტად მოვიწადინე — საჭიროზე სწრაფი ტემპი ავიღე, არც სათვალე მეკეთა და... კიდევ კარგი, მარინამ ბეწვზე გამასწრო, მე კი ურიკის დარტყმის ძალამ ჰაერში ამისროლა! როგორც შემდეგ მითხრეს, ძალიან დიდი სალტო გამიკეთებია... მახსოვს, მხოლოდ ერთზე ვწუხდი — უშნოდ არ დავვარდე-მეთქი, როგორც ჩანს, ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც ქალად ვრჩები. სხვათა შორის, მოვახერხე და კეკლუცად დავეცი... მთელმა დარბაზმა, — ვაი, დედაო, — ამოიგმინა.

— *მაგრამ ყოველთვის ქალად დარჩენა ოჯახური საზრუნავით დატვირთული შემოქმედისთვის ძნელად ხელმისაწვდომი ფუფუნებაა...*

**ნანი ჩიქვინიძე:** დედა ყოველთვის მანებივრებდა, ამდენად, საყოფაცხოვრებო პრობლემები არასოდეს მქონია...

**თემურ ჩხეიძე:** ყოველ შემთხვევაში, მეუღლე ნამდვილად არ უშლის ხელს! ქალბატონი თამარი რომ არ ყოფილიყო, ჩვენ ამდენს ვერ შევძლებდით — შეფერხება ჩვენს საქმეში — არ გვქონია.

დღესაც, 86 წლის ასაკში, ფეხზეა და... ჩვენს ნაცვლად სპექტაკლი ნამდვილად არ დაუდგამს და სცენაზე არ გასულა, მაგრამ თუ ჩვენ ამას ვაკეთებთ, მისი წყალობით...

**ნანი ჩიქვინიძე:** ჩვენ პატარა ბინაში ვცხოვრობთ. დედას უყვარს ხოლმე თქმა — მე რომ ცუდი სიდედრი ვყოფილიყავი, თემურს საკუთარი ბინა ექნებოდაო...

— *და მაინც, ნუთუ ყოფითი წვრილმანები არ გიქმნით დისონანსს?*

**თემურ ჩხეიძე:** ჩვენც იგივე პრობლემები გვაქვს, რაც ნებისმიერ ქართველს. წუწუნს ნამდვილად არ ვაპირებ. ყოველთვის მახსოვს, რომ ჩვენზე მეტად სხვას უჭირს... სამწუხაროდ, დღეს ჩვენში ჩვენი ხელობა არ იძლევა დალხინებული ცხოვრების საშუალებას.

— *ენ. საყოფაცხოვრებო კონფლიქტები თუ გიჩნდებათ ხოლმე?*

**ნანი ჩიქვინიძე:** ო, როგორ არა! აი, მაგალითად, დაკარგული ცალი წინდის გამო, ან ძალიან კარგად შენახული და საჭირო მომენტში ვერმიგნებული კაშნეს გამო — თემურს კი იმ დღეს სწორედ მისი გაკეთება სურს...



**თემურ ჩხეიძე:** რატომ უნდა დაიკარგოს, ვერ გავიგე? კაშნე დადეთ თავის ადგილზე!.. მე ვიცი ნივთებზე მიჩვევა. რომ გითხრათ, მაგის დარდს გადავყვები-მეთქი, ნამდვილად არა! არც გამოსაპრანჭად მინდა ის კაშნე... შინ ხშირად მეჩხუბებიან — რატომ იცვამ ერთსა და იმავე ტანსაცმელსო. რომ მივეჩვევი რაღაცას — მერე ველარ ვეხსნები. ვიცი მიჩვევა გარემოსი, საწოლის, ადამიანებისა — თავისთავად. არ შემიძლია და კიდევ კარგი, არც ხდება — რომელ ოთახშიც დავიწყებ მუშაობას, მის დასრულებამდე იქ უნდა ვიყო... მელანი რომ თავდება, ნერვები მეშლება იმიტომ, რომ ახალი კალმისტარი უნდა ავიღო. ერთი სიგარეტიდან სხვა სიგარეტზე გადასვლა პირდაპირ ტრაგედიაა, არადა მიწევს — ძვირდება! მანქანა (ამას ნუ დაწერ!..) ძველი მანქანა გავყიდე. საწყალი, დაბერდა და... ვიტირე, თუ დამიჯერებთ, ამდენი წელი მემსახურა უავარიოდ, უყველაფროდ და... გადავუსვი თავზე ხელი, როგორც ნიკორას, გამოვემშვიდობე და წამომივიდა ცრემლი... მოთქმით კი არ მიტირია, მაგრამ... ამას წინათ ქუჩაში დავინახე და ახლობელი ადამიანი მეგონა, იმან ვერ მიცნო! ამ მხრივ მაქვს გართულება, თორემ ისე... ძალიან მანებივრებენ და არანაირი საოჯახო პრობლემა არ მაქვს... ყოფაში მე სრულიად უპრეტენზიო ვარ!

**ნანი ჩიქვინიძე:** როცა ოჯახში კარგი სიტუაციაა, როცა ადამიანებს ერთად ყოფნა უყვართ და უხარიათ, როცა ერთად კარგად გრძნობენ თავს, იქ პრობლემები რაღაცნაირად მოხსნილია... იოლად გვარდება.

— *ბატონო თემურ, თუ საიდუმლო არ არის, როგორია თემურ ჩხეიძის პოლიტიკური ორიენტაცია?*

**თემურ ჩხეიძე:** პოლიტიკა მაინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი ჩემი ქვეყნის ბედიღბალს ეხება. როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, მეც მაქვს ჩემი სიმპათია-ანტიპათია, მაგრამ პოლიტიკოსობას ვერ დავიჩემებ... არ მიყვარს გაუთავებელი კრიტიკა — ეს რა ქნა? ეს რა თქვა? მე ჩემი თავი არ მიმაჩნია პროფესიონალ პოლიტიკოსებზე უფრო ჭკვიანად... არის პროფესია, არის უნარი, არის ნიჭი... იმიტომაცაა არჩევნები, რომ ხმა მისცე იმას, ვისაც ანიჭებ უპირატესობას. ჩემი პოლიტიკა არის ის სპექტაკლი, რომელსაც ვდგამ!!! სულ ბოლოს პუშკინის „ბორის გოდუნოვი“ დავდგი — წარსული შეუდარებლად დიდია, საქმე ისაა, წარსულმა თანამედროვედ გაიჟღეროს... ახლაც ერთ მასალას ვუტრიალებ — 50 წლის წინათაა დაწერილი. მგონი, ის დღეს უფროა აქტუალური, ვიდრე მაშინ, როცა შეიქმნა... საერთოდ კი, მასალა ჯერ მე უნდა მომერგოს, რომ მისი დადგმის სურვილი გამიჩნდეს... აი, მაგალითად, მე არ დავდგი „მეფე ლირი“, სხვებმა დადგეს... სტურუამ, დოიაშვილმა, მე არ გამჩენია ამის სურვილი...

— *რეჟისორის შემოქმედებითი პროცესი, საჭადრაკო პარტიის მსგავსად, წინასწარ ჭვრეტაზეა აგებული ალბათ... ასეთ ვითარებაში განმუხტვას თავისი არცთუ ნაკლებმნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს არა?*

**თემურ ჩხეიძე:** მარტო დიდ თეატრში 9 სპექტაკლი დავდგი, მარინის თეატრში — 5... მარჯანიშვილის თეატრში უკვე ორი პრემიერა მივეცი... შემოქმედებითად ნამდვილად კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს არ ნიშნავს ხარისხით კმაყოფილებასაც — სპექტაკლი ხან ძალიან კარგი გამოვა, ხან ნაკლებად კარგი, ხან ისე რა... მაგრამ, სანამ მეც მაინტერესებს მსახიობებთან მუშაობა და მათაც აინტერესებთ ჩემთან მუშაობა, ბედნიერი ვარ!

— *რაც შეეხება ოჯახურ ბედნიერებას?*

**თემურ ჩხეიძე:** შვილიშვილს მიაქვს ბევრი დრო. მიაქვს და წაიღოს, აბა, როგორ, კაცო!..

**ნანი ჩიქვინიძე:** იცით, სულ მეღიმებოდა, შვილიშვილების სურათებით რომ დადიოდნენ და სულ მათზე საუბრობდნენ ჩემი კოლეგები და... ამას წინათ თემურისთვის უთქვამთ — რა საინტერესო ადამიანი იყო ნანი, ყოველთვის რაღაც ახალი მოჰქონდა თეატრში, ახლა კი გაუთავებლად შვილიშვილზე საუბრობსო! მეც დავიწყე სურათებით სიარული. ორმოცდაათი წლის ასაკში თავდავიწყებით მიყვარს თემურ მაღრაძე, რომელიც ძალიან, ძალიან ჰგავს თემურ ჩხეიძეს!

— *თქვენს სამსახიობო ბიოგრაფიაში გყავთ გამორჩეული მამაკაცი... ამბობენ, ნოდარ მგალობლიშვილი რამდენადმე კატეგორიული პრეტენზიაა...*

**ნანი ჩიქვინიძე:** მართლა? არასოდეს, არანაირი პრობლემა ბატონ ნოდართან არ მქონია. ის გახლავთ არაჩვეულებრივი პიროვნება და პარტნიორი. იცით, რაღაცნაირად თემურს ვამსგავსებ... ალბათ ამიტომაც ვფიქრობ, რომ ჩვენი სცენური დუეტი შედგა.

— *როგორ აღმოაჩინეს ერთმანეთი თემურ ჩხეიძემ და ნანი ჩიქვინიძემ?*

**თემურ ჩხეიძე:** ეგ ნანიმ თქვას!.. ცოტა ხნით დაგტოვებთ...

**ნანი ჩიქვინიძე:** მე მაშინ III კურსზე ვიყავი. თემური ბატონ მიშასთან მოვიდა ასისტენტად. თავიდან გარკვეული სიმპათიები გაჩნდა. ორი წლის შემდეგ ითქვა კიდეც... კარგა ხანს ვამოწმეთ ერთმანეთი და სადღაც ხუთი წლის მერე გადავწყვიტეთ კიდეც, თუმცა არასოდეს არ გამჩენია ეჭვი — სწორი იყო თუ არა ჩემი არჩევანი...

— *ქალბატონო ნანი, ბატონი თემურის გასვლით ვსარგებლობ — გრძნობთ, რომ გენიოსის გვერდით ცხოვრობთ?*

**ნანი ჩიქვინიძე:** (იღიმება) თემურს მსგავსი მატერიები არასოდეს აღელვებდა. ეგეც არ იყოს, ახლობლისგან მართლაც უხერხულია... ვიცი, რომ არის თავისი საქმის ძალიან დიდი პროფესიონალი — ეს შემიძლია თამამად განვაცხადო... ისე კი, როცა ადამიანები ერთმანეთის გვერდით დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობენ, ყველაფერი გაცილებით ჩვეულებრივად აღიქმება...

— *ბატონი თემურის შემოქმედებითი საოჯახო ტრადიციები საყოველთაოდაა ცნობილი, რაც შეეხება ნანი ჩიქვინიძეს?*

**ნანი ჩიქვინიძე:** ბაბუაჩემი, პლატონ კორიშელი (ეს ფსევდონიმი გახლავთ), პროფესიონალი მსახიობი იყო. სამწუხაროდ, მე მას არ მოვსწრებივარ — 1937 წელს დახვრიტეს!

**თემურ ჩხეიძე:** (ბრუნდება) ადამიანები უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება ნაკლებად დავაშავოთ და... გამოსწორება — ზნეობისა და ცხოვრებისაც — საკუთარი თავით დავიწყოთ...

...უცნაურია, რომ ამ ფრაზას პირველ პირში ამბობს კაცი, ვის ცხოვრებასა და ზნეობასაც არაფერი აქვს გარდასაქმნელი, ვისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის წესი შეიძლება ეტალონად ჩაითვალოს...

მოგეხსენებათ, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება, რაც არ უნდა ეცადონ, ჭორისგან არ არის დაზღვეული, ყოველთვის მოიძებნება ერთი ან ორი „ყოვლისმცოდნე“, რომელიც კარგად დაყენებული ტონით, სასხვათაშორისოდ, იტყვის — ეგ? ნუთუ არ იცით?! ჩხეიძე-ჩიქვინიძის წყვილზე ამგვარი რამ არასოდეს თქმულა და არა იმიტომ, რომ ამის სურვილი მავანს არ ჰქონია! უბრალოდ, ნანი და თემური ძალიან, ძალიან უფრთხილდებიან იმას, რაც მხოლოდ მათია...

ინტერვიუმდე ბატონმა თემურმა ბრძანა კიდეც, — სწორად გამიგეთ, კი არ ვჯიუტობ, მეჩოთირება საკუთარ თავზე საუბარიო...

*P.S. ჟურნალისტს ბევრი რამის გათვალისწინება მართებს: ზოგს შენ არ უყვარხარ, ზოგს შენი რესპონდენტისა შურს, თანაც, როცა რესპონდენტების ავტორიტეტი თავისთავად გავალებს სიფრთხილეს, ორმაგად ფრთხილად უნდა იყო, რომ სიტყვა არ გაგექცეს, სადღაც ყალბი ნოტი არ გაერიოს... ყველაფერში სიზუსტეა საჭირო...*

*ამჯერად სათაურის მორგება გაძნელდა და არა იმიტომ, რომ მასალა არ იძლეოდა ამის საშუალებას. რატომღაც, ქალბატონ ნანის ერთი ადრეული როლი ამეკვიატა. თავად მსახიობი მიიჩნევს, რომ „სამოთხის ვაშლები“ არ იყო მის მიერ ნათამაშები გამორჩეული სპექტაკლი. როგორც ჩანს, განსხვავებული სახასიათო ნიშნის გამო დამამახსოვრდა, — მითხრა. მანამდე ნანი ჩიქვინიძე გულუბრყვილო გოგონებს ასახიერებდა. აქ კი მის გმირში პირველად შემოვიდა ტკივილი.*

*სხვათა შორის, „სამოთხის ვაშლებზე“ საკურსო შრომა დავწერე და სულ ცოტა, 12 წარმოდგენას მაინც დავესწარი... ქალბატონ ნანის პარტნიორი მაშინაც ბატონი ნოდარ მგალობლიშვილი იყო. მათ გმირებს არც სახელი ჰქონდათ, არც გვარი. უბრალოდ, Он и Она ერქვათ. ამ Он и Она-მ სხვა სათაურისკენ აღარ გამიხედა!!!*

*მანანა ბეგიაშვილი*

# სექსზე ოცნება ტკივილს დაამარცხებს



როგორც ბრიტანელმა მედიკოსებმა დაადგინეს, სექსუალური ფანტაზიები ფიზიკურ ტკივილს ამსუბუქებს. ცდის პირებად მედიკოსებმა სტუდენტები გამოიყენეს. ესპერიმენტის პირობა ასეთი იყო — სტუდენტებს გაყინულ წყალში ხელები, შეძლებისდაგვარად, დიდხანს უნდა გაეჩერებინათ. ერთ ჯგუფს სექსუალურ თემებზე უნდა ეფიქრა, მეორეს — რაიმე ნეიტრალურზე, თუნდაც ბუნების წიაღში სეირნობაზე.

აღმოჩნდა, რომ პირველმა ჯგუფმა ორჯერ უფრო დიდხანს გაუძლო ყინულიან წყალს, ვიდრე მეორემ.

*პოსლედნიე ნოვოსტი №1*

# ელოდეთ გოგონას



რომელ დედას არ სურს გაიგოს მომავალი ბავშვის სქესის შესახებ? ბავშვის სქესი რომ დაადგინონ, სრულიად არ არის საჭირო ულტრაბგერითი გამოკვლევას მიმართოთ, რაც, ბოლოდროინდელი მონაცემებით, არცთუ უვნებელი ყოფილა.

ინგლისელ მედიკოსთა ჯგუფმა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე იკვლევდა ფეხმძიმეთა შორის ტოქსიკოზს, დაასკვნა, რომ დილის გულისრევა გოგონას დაბადების უტყუარი ნიშანია. რაც უფრო ძლიერია გულისრევა და ხანგრძლივი, მით უფრო იზრდება შანსი გოგოს ამქვეყნად მოვლინებისა.

*ოგონიოკი №1*

# სიმთვრალის ეშველება



ნარკომანიის სამეცნიერო ცენტრის ტოქსიკოლოგიის ლაბორატორიის ხელმძღვანელის აზრით, ნაბახუსევს იწვევს დიდი რაოდენობით ალკოჰოლის დალევა. ორგანიზმი იცლება წყლისგან, ირღვევა კალიუმის იონების და ნატრიუმის ნორმალური თანაფარდობა, რადგანაც ალკოჰოლი უჯრედისგან კალიუმს ჩამორეცხავს. კომბოსტოს და კიტრის მწნილის წვენი ორგანიზმში სითხის დეფიციტს აღადგენს და ამასთანავე კალიუმ-ნატრიუმის თანაფარდობას აწონასწორებს. ცალკე კალიუმის მიღება უშედეგოა, რადგანაც მას ორგანიზმი მხოლოდ ნაწილობრივ შეითვისებს. სწორედ ეს თანაფარდობაა ჰარმონიულად წარმოდგენილი მწნილის წვენში. მსგავსი ეფექტის მქონე პრეპარატებია ასპარკამი და პანანგინი.

*იზვესტია №1*

**ხალხური მედიცინა – მაქსიმალური გარანტია!!!**

* „ნერვის ანთება";
* რადიკულიტი;
* ოსტეოქონდროზი;
* „დისკის ამოვარდნა"
* სახსრების დაავადებები (ანთება, მარილები).

მის: რესპუბლიკური პოლიკლინიკა, კაბ. №11 (მ. „ნაძალადევთან", ცოტნე დადიანის 87)

☎ 69-91-92 (კაბ.); 61-02-97

**21-ე საუკუნეს შეხვდებით 21-ე საუკუნის მეთოდებით**

დიაბეტის, სიმსუქნის, ფარისებრი ჯირკვლის, ენდოკრინული სისტემის და სხვა შინაგანი დაავადებების დიაგნოსტიკა, მკურნალობა და პროფილაქტიკა ევროპაში აპრობირებული მეთოდებით. საახალწლო ფასდაკლება.

საქართველოს დიაბეტის ცენტრი. რესპუბლიკური სამედიცინო სადიაგნოსტიკო ცენტრი.

*თბილისი, ლუბლიანის ქ. 5 (დიღომი) რკ/გზის საავადმყოფოს I სართულზე.*

*ტ. 52-70-10; 52-79-16*

**ოპერაციის გარეშე**

**საგვარეულო მცენარეული ნაკრებით PLANTA ვმკურნალობ:**

ციყვი (დიფუზური, კვანძოვან-კისტოზური); ცირქოვანი გლანდები (ძრ. ტონზილიტი); ლიმფადენტი (სხვადასხვა გართულებები); კისტა (ნებისმიერი ზომის); ფიბრომა (არაფორსნაზული ზრდები); კანქოვანი დაავადებები (1,5სმ-მდე); პოლიკისტოზით და ჰორმონული დარღვევებით გამოწვეული უნაყოფობა; შაკიკი (თავის სისხლძარღვოვანი ტკივილები); ფსორიაზი.

პრეპარატი შემოწმებულია თსსუ ექსპერიმენტული და კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში (დირექტორი: პროფესორი გ. ღუმბაძე) თემა №12-10/06. 1994წ.

მის: ქავთარაძის 16 (ყოფილი „ლენკომბინატი") ოთახი 431, ენვერ რამიშვილი (12-16 სთ-მდე)

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

**ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!**

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.

1. სქესობრივი აქტის ნატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის" პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლენკომბინატი"), მე-3 სართ. კაბ. 40-41-42-43. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე

# სასარგებლო რჩევათა [illegible]

## რა ვჭამოთ, რით ვუშველოთ

ჩვენს ზედმეტად განვითარებულ ტექნიკურ (სხვათა შორის, მედიკამენტოზურშიც) საუკუნეში ძნელად თუ იპოვით კაცს, რომელსაც საოჯახო აფთიაქი გამოტენილი არ ჰქონდეს ნაირ-ნაირი აბებით. მიუხედავად ამისა, იმისთვის, რომ თავი კარგად ვიგრძნოთ, სულაც არ არის საჭირო აბების ყლაპვა. ინგლისელი ექიმი ლუსი შეიქშეფთი ფიქრობს, რომ ყველაზე გავრცელებული დაავადებების თავიდან აცილება სწორი კვებით შეიძლება. თუ ქვემოთ მოყვანილ კითხვებს დადებითად უპასუხებთ, მაშინ წამალი საოჯახო აფთიაქში კი არა, მაცივარში უნდა ეძიოთ.

### ორგანიზმის საერთო სისუსტე

გრძნობთ თუ არა მუდმივ დაღლილობას?

ხშირად ღიზიანდებით?

ნასადილევს ძილის სურვილი გიჩნდებათ?

ხშირად უმიზეზოდ გრძნობთ თავს შეუძლოდ?

სვამთ ბევრ ჩაის, ყავას და ლებულობთ ბევრ შაქარს?

მაშინ, ასეთ შემთხვევაში ხშირად უნდა მიირთვათ ბანანი (ხელს უწყობს კარგ ძილს), ფრინველის ხორცი, ჭვავის პური და ნიგოზი (ენერგიას შეგმატებთ). სვით კარტოფილის წვენი. სადილად უმეტესად თევზს და მწვანე ბოსტნეულს მიეძალეთ, ამით ორგანიზმს მაგნიუმითა და კალციუმით უზრუნველყოფთ. კარგ გუნებაზე დაგაყენებთ მაკარონი, ყურძენი, იხვის ხორცი და ორთქლზე დამზადებული ხბოს ხორცი.

### სხეულის ტკივილი და ანთებები

განუხებთ თუ არა სახსრები, კისერი, მხრები და ზურგი?

ზოგიერთი სახსარი ხომ არ გისივდებათ?

გიყვართ თუ არა სახელდახელოდ, სიარულის დროს ნახემსება?

ხშირად ილებთ ტკივილგამაყუჩებელ აბებს?

ე.ი. უნდა ჭამოთ მარწყვი და ოსპი (ანთებსაწინააღმდეგო თვისებები აქვთ), ფორთოხალი და C ვიტამინის შემცველი სხვა ხილი. ეცადეთ, ნაკლებად მიირთვათ პომიდორი და კარტოფილი, რომლებიც ხელს უწყობს ანთების განვითარებას.

### მოუნელებლობა

გტკივათ თუ არა კუჭი ჭამის შემდეგ?

განუხებთ შეკრულობა?

ხშირად გაბოყინებთ?

ხშირად ღეჭავთ კევს?

რაციონში სისტემატურად უნდა გქონდეთ კომბოსტო ბროკოლი (შესანიშნავად წმენდს საჭმლის მომნელებელ სისტემას), ჩვეულებრივი კომბოსტო (უმ კომბოსტოს კუჭსა და ნაწლავებიდან გამოაქვს ტოქსინები), პაპაია და მანგო (აუმჯობესებს საჭმლის მონელებას და აღადგენს მჟავე-ტუტოვან ბალანსს), ხორბალი (ღვიძლს აძლიერებს). კუჭის წყლული თუ გაქვთ, გაიგებთ კარტოფილის ნაფცქვენების ნახარში.

### პრობლემური კანი

მზის სხივების ზემოქმედების შედეგად კანი თუ გინითლდებათ?

იოლად ემორჩილებით სტრესს?

ეტანებით ალკოჰოლს, გიყვართ ბუტერბროდები?

გიყვართ რძის პროდუქტები?



რაციონი ერთფეროვანი გაქვთ?

მაშინ, ხშირად მიირთვით საზამთრო (შესანიშნავად წმენდს ორგანიზმს და ამარაგებს ტენით), ორაგული და თინუსი (კანს უხდება), ხახვი (ორგანიზმიდან გამოდევნის მძიმე მეტალებს და კლავს პარაზიტებს), გოგრის თესლი უმად (მდიდარია სასარგებლო მჟავეებით).

### თავის ტკივილი და შაკიკი

ხშირად სვამთ ტკივილგამაყუჩებელ აბებს?

ჭამთ თუ არა ბევრ შოკოლადს, ყველს და სხვა რძის პროდუქტებს?

ჩამოთვლილი პროდუქტებისადმი სწრაფვა განსაკუთრებით გიძლიერდებათ თუ არა მენსტრუალური ციკლის წინ?

რომელ პროდუქტებზე გაქვთ ალერგია?

განუხებთ მოუნელებლობა?

ხშირ-ხშირად მიირთვით მზესუმზირა (გამოაქვს ტოქსინები და მძიმე მეტალები), ალუბალი (ამსუბუქებს თავის ტკივილს), ნიახური (რგებს შაკიკს).

### ნევროზულობა

მუდამ ცუდზე ფიქრობთ?

გიყვართ თუ არა ტკბილეული?

ხშირად სვამთ ყავასა და გაზიან წყალს?

თქვენ უნდა ჭამოთ პომიდორი, კივი, მანგო, ქლიავი, ნებისმიერი მწვანე ბოსტნეული, ზღვის პროდუქტები, ქუნჯუთი და გოგრის თესლი. ყველა ეს პროდუქტი ანტიოქსიდანტებს შეიცავს, რაც ეხმარება ორგანიზმს სტრესის დაძლევაში. ნერვებს სწრაფად დაიწყნარებთ, თუ პირს ჩაიგემრიელებთ ქაშაყიანი კარტოფილის სალათით, შებოლილი სკუმბრიის ფილეთი და ხორბლის კრეკერით, ჭვავის ნუშისზეთიანი ტოსტებით და მუხუდოს რძით.

### მაღალი წნევა, ქოლესტერინის მაღალი დონე, ტკივილები მკერდში

განუხებთ თუ არა ხშირი გულის ფრიალი და კანკალი?

გიშეშდებათ თუ არა ხელ-ფეხი?

კერძში მარილს უხვად ხმარობთ?

ეწევით თუ არა?

ხშირად მიირთვით სკუმბრია და სხვა ნებისმიერი ცხიმიანი თევზი, კომბოსტო, ქლიავი, კენკრა, ღვიძლი, ნიორი, ისპანახი, გრეიპფრუტი. ეცადეთ იშვიათად ჭამოთ შემწვარი პროდუქტები. თუ გული დაავადებული გაქვთ — ხშირად მიირთვით თევზი ბრინჯისა და მინიმუმ ორი სახის ბოსტნეულის გარნირით. მიიღეთ რაც შეიძლება ბევრი მარწყვი, ფორთოხალი, კარტოფილი, შავი მოცხარი, კომბოსტო და ის ხილი, რომელიც C ვიტამინის შემცველია.

### დეპრესია

თქვენი კვების გრაფიკს იცავთ თუ არა?

როცა ცუდ გუნებაზე ხართ, ხშირ-ხშირად ჭამის სურვილი ხომ არ გიჩნდებათ?

სისტემატურად ხართ აპათიურ მდგომარეობაში?

განუხებთ თუ არა უძილობა?

მაშინ, უნდა მიირთვათ ბრინჯი (ნერვებს აწყნარებს), ნუში, ბანანი, ხაჭო და ჭყინტი ყველი, ქუნჯუთი (შეიცავს თიროზინს, რაც სულიერ წონასწორობას შეგინარჩუნებთ).

### ალერგია

ხშირად გაქვთ სურდო და თავის ტკივილი?

მსუყე სადილის შემდეგ ზოგჯერ ხომ არ გაკანკალებთ?

ხშირად გიღიზიანდებათ კანი?

გამორჩეულად საყვარელი კერძი თუ გაქვთ?

მაშინ ხშირად მიირთვით ფეტვი და გრეიპფრუტი. მათთვის, ვისთვისაც ალვის ბუსუსები და ხეების ყვავილობა კოშმარად ქცეულა, რეკომენდებულია ქლიავი, გოგრა, კომბოსტო, ატამი, ბროკოლი, შავი მოცხარი, ხახვი, სკუმბრია, ქათმის ხორცი. დილა, შეძლებისდაგვარად, ერთი და იმავე საუზმით დაიწყეთ.

### მეხსიერების დაქვეითება

კვება რეგულარული გაქვთ თუ არა?

კბილები ამალგამით ხომ არ გაქვთ დაბჟენილი?

სვამთ თუ არა ბევრ ჩაისა და ყავას?

ერთსა და იმავე კერძს ხშირად ხომ არ მიირთმევთ?

თქვენთვის საჭიროა სიმინდი, ხბოს ღვიძლი, კვერცხი, ოსპი, არაქისი, ქიშმიში, ლუდის საფუარი, თევზი და მუხუდო.

*პოსლედნიე ნოვოსტი №1*

# როგორ ავიცილოთ თავიდან ოსტეოქონდროზი

ჯერ კიდევ ჰიპოკრატემ დაადგინა, გულის, ფილტვების, სახსრების დაავადებები ხერხემალთან არის დაკავშირებულიო. ადამიანი მკურნალობს გულს და არც ეჭვობს, რომ ამ ორგანოს დაავადების სათავე შეიძლება იყოს ზურგის ტვინის ნერვული დაბოლოებების დაზიანება (მოწნევა), რაც, აგრეთვე, იწვევს თავის საშინელ ტკივილსაც. რა მიზეზით ხდება ზურგის ტვინის ნერვული დაბოლოებების მოწნევა?



პირველი მიზეზი არის ძილის დროს არასწორი პოზა, ზურგში მოხრა, მძიმე ტვირთის, მოუხერხებელი ტანსაცმლის ან ფეხსაცმლის ტარება. გვავიწყდება სახსრების პერიოდული ცვლილებებიც (იგი ასაკის მომატებაზეა დამოკიდებული). რაც დასაშვებია 20 ან 25 წლის ასაკში, ძალიან მავნეა 40-45 წლისანებისთვის.

ცნობილია ოსტეოქონდროზის 4 სტადია. თავიდან დაავადების ამოცნობა არცთუ ისე ადვილია. პირველი ნიშნებია: უგუნებობა, დისკომფორტი, გაღიზიანება. შემდეგ ჩნდება ტკივილი. მიზეზი? ირღვევა ხერხემლის მალების ფიქსაცია, რაც უკვე სერიოზული პრობლემაა. თუ დროულად არ მიმართავთ ექიმს, დაავადება მესამე სტადიაში გადავა — ხერხემლის დაზიანებული ნაწილების დეფორმაცია — კიფოზი (კუზის ჩამოყალიბება, ხერხემლის უკან ამობურცვა), ლორდოზი (ხერხემლის წინ გამოზნექა), სქოლიოზი (ხერხემლის გვერდული გამრუდება). უნდა აღინიშნოს, რომ პროცესი ამით არ სრულდება მეოთხე სტადიაში წარმოიქმნება პათოლოგიური ძვლოვანი შენაზარდები. ავადმყოფს უჭირს გადაადგილება, ნებისმიერი მოძრაობა ძალიან მტკივნეულია. სხვათა შორის, ხშირად ეპიკონდილიტის, ჰაიმორიტის, ფრონტიტის, პერიართრიტის, შაკიკის, სმენისა და მხედველობის დარღვევის, ზედა სასუნთქი გზების ანთებისა და კარიესის დროსაც კი, მიზეზი შეიძლება იყოს კისრის ოსტეოქონდროზი.

თუ განუხებთ გული, ღვიძლი, თირკმლები, კუჭქვეშა ჯირკვალი, ხშირი ძმარვა, კუჭის რეგულარული აშლილობა, სავსებით შესაძლებელია, რომ ყველაფერი უკავშირდებოდეს ხერხემლის გულმკერდის არის ოსტეოქონდროზს.

შემოგთავაზებთ რაციონალური კვების რამდენიმე რეცეპტს ოსტეოქონდროზის დროს:

1) 1/2 ჭიქა თაფლი და 1 ჭიქა კანგაცლილი, გატარებული მინის თხილი კარგად აურიეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ 1 ჩაის კოვზი.

2) ერთი ულუფისთვის საჭიროა 2 სუფრის კოვზი გამხმარი ასკილი ან შინდი, 1 ჭიქა წყალი და ლიმონის წვენი — 1 ჩაის კოვზი. გამხმარი ასკილი ან შინდი კარგად გარეცხეთ და დაალბეთ (რამდენიმე საათის განმავლობაში). შემდეგ იმავე წყალში მოხარშეთ (სანამ კარგად არ დარბილდება) და საცერში გახეხეთ. მიღებულ მასას შეურიეთ ლიმონის წვენი და 1 ჭიქა წყალში გახსნილი 1 ჩაის კოვზი სახამებელი. ხარშეთ 10-15 წუთი, თან სულ ურიეთ. მიიღეთ ჭამის შემდეგ.

*ლიზა №2*

# ასთმა

კვების რაციონიდან ამოიღეთ ყოველგვარი რძის პროდუქტი. ყოველდღე, ორჯერ მიიღეთ 0,5 ჩაის კოვზი 100 გ გახეხილი პირშუშხას და 3 ლიმონის წვენის ნარევი. ნახევარი საათის განმავლობაში არაფერი ჭამოთ და დალიოთ. პირშუშხა ახალი უნდა იყოს. ნარევი მაცივარში შეინახეთ. ერთმანეთში აურიეთ წითელი ჭარხლის, შავი ბოლოკის, ხახვის, შტოშის, ლიმონის, ალოეს წვენის, თაფლის, შაქრის ფხვნილის, 96%-იანი სპირტის თანაბარი რაოდენობის ნარევი. შეინახეთ მაცივარში. მიიღეთ 2 სუფრის კოვზი 3-ჯერ დღეში, ჭამამდე ნახევარი საათით ადრე. ეს ნარევი უკუაგდებს დაავადების გამწვავებას, ხელს უწყობს სასუნთქი ორგანოების ფუნქციონირებას.

1 კგ თაფლი, 10 ლიმონის წვენი და 10 თავი ნივრის წვენი აურიეთ და ერთი კვირით მჭიდროდ თავმოკრულ ჭურჭელში დატოვეთ. ეს ნაზავი 2 თვეს გეყოფათ. რეკომენდებულია ასთმის, სტენოკარდიის, თავის ტვინის სისხლძარღვების სპაზმების, გულ-სისხლძარღვთა სპაზმების, ქოშინის დროს.

*პარი მაჩი*

## მაიკლ ჯორდანი ვაშინგტონში

მაიკლ ჯორდანი, რომელმაც ზუსტად ერთი წლის წინ დაასრულა ზღაპრული კარიერა, ეტყობა, კალათბურთის გარეშე ვერ ძლებს. ყველა დროის საუკეთესო კალათბურთელი NBA-ს კლუბის „ვაშინგტონ ვიზარდსის" ერთ-ერთი თანამფლობელი გახდა. ჯორდანი აქტიურ მონაწილეობას მიიღებს კლუბის საკალათბურთო საქმეებში, გააფორმებს მოთამაშეებთან კონტრაქტებს, მისი რეკომენდაციებით მიიღებენ გუნდში ახალ მოთამაშეებს. კლუბის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მაიკლ ჯორდანის უდიდესი ავტორიტეტი „ვაშინგტონ ვიზარდს" სასიკეთოდ წაადგება.

## მეჯიკ ჯონსონი შვედეთში თამაშობს



„ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ყოფილმა ვარსკვლავმა, ლეგენდარულმა მეჯიკ ჯონსონმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი შვედურ კლუბ „ბორასსთან", რომლის მფლობელი თავად ჯონსონია. კალათბურთის ნაციონალური ლიგისაგან (NBA) განსხვავებით, შვედურ ჩემპიონატში მოთამაშეს უფლება აქვს, ითამაშოს იმ კლუბში, რომლის მეპატრონეც თავად გახლავთ. შეგახსენებთ, რომ გასული წლის ოქტომბერში მეჯიკმა უკვე ჩაატარა ერთი მატჩი „ბორასის" შემადგენლობაში. კლუბი შვედეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ იაპონიაში გაემგზავრება და იქაურ კლუბებს შეხვდება, შემდეგ კი შვედები ამერიკაში გაივლიან პრაქტიკას. 40 წლის მეჯიკ ჯონსონს დაგეგმილი აქვს, აქამდე ყველასათვის უცნობი შვედური კლუბი ევროპის საკალათბურთო ელიტაში დაამკვიდროს.

## შესაძლოა, როდმანი კალათბურთს დაუბრუნდეს

შესაძლოა, სკანდალებით სახელგანთქმული დენის როდმანი კვლავ დაუბრუნდეს საკალათბურთო მოედანს. NBA-ს კლუბ „დალას მავერიკსის" გენერალურმა მენეჯერმა დონ ნელსონმა ოფიციალურად გამოთქვა როდმანის შეძენის სურვილი. მოლაპარაკება „დალასის" ხელმძღვანელობისა და კალათბურთელის აგენტს შორის უკვე დაწყებულია, თუმცა მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ „დალასი" NBA-ს ელიტარულ კლუბთა რიცხვს არ მიეკუთვნება და სავარაუდოა, რომ ფლეი-ოფში ვერ მოხვდება. ასეთი მოკრძალებული მიზნების მქონე გუნდში კი როდმანი ალბათ თამაშს არ ისურვებს. შეგახსენებთ, რომ როდმანმა წინა სეზონი „ლოს ანჯელეს ლეიკერსში" დაიწყო, საიდანაც რამდენიმე თვის შემდეგ გააგდეს. მას მერე მოედანზე აღარ გამოჩენილა.

## დაიღუპა ბობი ფილზი

ავტოკატასტროფაში დაიღუპა „შარლოტ ჰორნეთსის" კალათბურთელი ბობი ფილზი, რომელიც უკანასკნელი სამი სეზონის მანძილზე გამოდიოდა ამ კლუბში. პარასკევს, როდესაც „შარლოტა" შინ ხვდებოდა „ნიუ იორკს", მატჩის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მაყურებელმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგო განსვენებულის ხსოვნას, დარბაზში აღიმართა შავი დროშა, რომელზეც ფილზის მაისურის ნომერი — 13 ეწერა. შავი ალამი სეზონის ბოლომდე არ ჩამოიხსნება, ხოლო 13 ნომრიანი მაისურით ამიერიდან კლუბში ვეღარავინ ითამაშებს. როგორც წესი, მუდმივ ნომრებს იმ მოთამაშეებს აძლევენ, რომელთაც ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს გუნდს, თუმცა გარდაცვლილთათვისაც დაუდიათ მსგავსი პატივი. ფილზის დარად ავტოკატასტროფაში დაღუპულ დრაჟენ პეტროვიჩსაც მიაკუთვნეს მუდმივი ნომერი — 3.

## შტეფი გრაფი ცხოვრებით ტკბება



შტეფი გრაფმა დიდებული კარიერა დაასრულა და ანდრე აგასისთან სასიყვარულო ურთიერთობებით ტკბება. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა განაცხადა, რომ მთელ მსოფლიოში იმოგზაურებს და საჩვენებელ მატჩებს გამართავს ხუთივე კონტინენტზე. მიმდინარე წლის თებერვალში გრაფი მეხიკოს ეწვევა, სადაც მარტინა ჰინგისთან ითამაშებს, მოგზაურობის დასრულებას კი აპრილში აპირებს და ერთ შეხვედრას ავიამზიდზეც გამართავს. გასული წლის დეკემბერში გრაფი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში იმყოფებოდა, კეიპტაუნში უპატრონო ბავშვთა ინტერნატები მოინახულა და ფინანსური დახმარება გაუწია.

აფრიკაში გერმანელმა ბავშვობის ოცნებაც აისრულა — ეწვია იქაურ ჯუნგლებს, სადაც თავისუფლად სეირნობენ ლომები, ჟირაფები, სპილოები და სხვა ეგზოტიკური ცხოველები. აურაცხელ ფოტორეპორტიორთა თანხლებით შტეფი გრაფი იოჰანესბურგის აღმოსავლეთით მდებარე ერთ-ერთ ნაკრძალში ვერტმფრენით ჩაფრინდა, ვინაიდან სამანქანო გზა იქ საერთოდ არ არსებობს. ბუნებრივია, მოგზაურობით აღფრთოვანებული დაბრუნდა და რამდენიმე ეპიზოდი გაიხსენა. თურმე ერთხელ, ნაკრძალში სეირნობისას, ტყიდან ჟირაფი გამოვარდნილა და პირდაპირ მის წინ გაშეშებულა, სპილოებიც უნახავს...

ამჟამად გრაფი ავსტრალიაშია, სადაც წყალქვეშა ცურვით ერთობა და იახტით ერთკვირიან მოგზაურობას აპირებს.

## ტრავნიჩეკის მორიგი მსხვერპლი

ევროპელმა ჰოკეისტებმა აღარ იციან, რა ილონონ, ოღონდ ჩეხეთის ნაკრების წინააღმდეგ არ მოუწიოთ თამაში. საქმე ის გახლავთ, რომ ჩეხთა ნაკრებში მიხაელ ტრავნიჩეკი გამოდის, რომელთანაც ძალისმიერ ბრძოლაში ჩაბმა თითქმის სიკვდილის ტოლფასია. ტრავნიჩეკი სულ უფრო და უფრო თავხედდება, აღარაფერს ერიდება და არც არავის ინდობს. ამას წინათ ჰელსინკის საერთაშორისო ტურნირზე მატჩის დროს თავს დაესხა შვედეთის ნაკრების წევრს, მატიას ვაინხანდლეს და ჰოკეის ჯოხი პირდაპირ თვალში ატაკა. შედეგად, სპორტსმენმა მხედველობა დაკარგა და ექიმებს არც აქვთ იმედი, რომ დაზიანებული თვალით კვლავ იხილავს დღის სინათლეს. ამის შემდეგ თავხედმა ჩეხმა განაცხადა: „თვალის ამოგდებას არ ვაპირებდი, უბრალოდ მინდოდა, ჯოხი თავზე გადამემტვრიაო". აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა ტრავნიჩეკი საშინელ ტრავმებს აყენებს მოწინააღმდეგეს. საკვირველი ის გახლავთ, როგორ რთავენ ნერვიულ სპორტსმენს ყინულზე გასვლის უფლებას, ან რატომ არ ისჯება სამუდამო დისკვალიფიკაციით.

## ოლიმპიურ პლაჟებს შპრიცებისგან წმენდენ

სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ ფრენბურთელთა შეჯიბრებისათვის ქალაქის მთავარი პლაჟი „ბონდაი" საფუძვლიანად გაიწმინდება ნარკომანების მიერ გამოყენებული შპრიცებისაგან. საქმე ის გახლავთ, რომ რამდენიმე დღის წინ მელბურნში პლაჟზე მაშველთა რაზმის ერთ-ერთმა წევრმა ფეხი დააბიჯა გამოყენებულ შპრიცს და ფეხში ნემსი შეერჭო. ახლა იმას ნერვიულობს, შიდსით ან ჰეპატიტით არ დაავადდეს. ეს შემთხვევა ფართო მსჯელობის საგანი გახდა მთელ ავსტრალიაში და გადაწყდა, რომ პლაჟის ქვიშა რამდენჯერმე უნდა გაიცრას და არა მარტო შპრიცებისგან, არამედ წვრილი კენჭებისგანაც კი უნდა გასუფთავდეს.

## სექტანტები ოლიმპიადის ჩაშლით იმუქრებიან



შესაძლებელია, რომ იმ სპორტსმენებს, რომლებიც სოლტ ლეიკ სიტის ზამთრის ოლიმპიადისთვის ემზადებიან, არა მხოლოდ მოწინააღმდეგეებთან მოუწიოთ ურთიერთობის გარკვევა. ოლიმპიადის სტარტამდე ორი წელიწადია დარჩენილი, თუმცა ამერიკის ხელისუფლება უკვე გამოთქვამს შეშფოთებას, რომ ოლიმპიადის ჩატარებას სერიოზული საფრთხე ემუქრება. საქმე ის გახლავთ, რომ მორმონთა დედაქალაქში დაიდო ბინა ნახევრადფაშისტურმა ორგანიზაციამ „სტრაიტ ეიჯმა", რომელიც სადღეისოდ მთელ ამერიკას აზანზარებს. სოლტ ლეიკ სიტიში ორგანიზაციის წევრებმა უკვე ჩაიდინეს რამდენიმე მკვლელობა, ამიტომ ადგილობრივ პოლიციაში შეიქმნა ბანდის მეთვალყურეთა სპეციალური განყოფილება, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა.

„სტრაიტ ეიჯი" იუტას შტატის მოსახლეობისაგან პურიტანული ცხოვრების წესის შემოღებას მოითხოვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანი არ უნდა გაეკაროს სპირტიან სასმელსა და სიგარეტს, უარი თქვას სისტემატურ სექსზე. ვინც ამ „კანონებს" დაარღვევს, ფანატებისაგან მკაცრად დაისჯება. ბანდის წევრები შეიარაღებულნი არიან სამართებლებით, ბეისბოლის ჯოხებითა და ცრემლსადენი გაზის ბალონებით, ხალხს პირდაპირ ქუჩაში ესხმიან თავს. მათთვის მძიმე დანაშაული ლუდის სახალხოდ დალევა და სიგარეტის მოწევაა. მსხვერპლი ფანატებს უკაცრიელ ადგილზე გაჰყავთ, აწამებენ და სხეულზე სამართებლით ამოტვიფრავენ ასო „X"-ს. „სტრაიტ ეიჯის" აქტივისტები უმკაცრეს ბრძოლას უცხადებენ აგრეთვე დოპინგს, რომელსაც მრავალი სპორტსმენი მიმართავს. თუ ბანდიტთა დამსჯელი ოპერაციები არ აღიკვეთა, შესაძლოა, სპორტსმენებმა უარი თქვან ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღებაზე.

## სამპრასი და აგასი თამაშგარე მდგომარეობაში



ფაბრის სანტარო

2000 წლის 1 იანვრიდან მსოფლიოს საჩოგბურთო რეიტინგი ახალი წესებით გამოვლინდება. ყველა მოთამაშე სეზონს ნულიდან დაიწყებს. ჩოგბურთელ პროფესიონალთა ასოციაციის ამ გამოგონებამ მთელი საჩოგბურთო სამყარო თავდაყირა დააყენა. თავად განსაჯეთ: დღევანდელი კლასიფიკაციის მიხედვით პირველ ათეულში არ ფიგურირებენ არც ყოფილი №1 ჩოგანი ანდრე აგასი და არც პიტ სამპრასი.

2000 წლის დადგომამდე ქულების დათვლა მიმდინარეობდა უკანასკნელი 365 დღის (ე.ი. 1 წლის) შედეგების მიხედვით. დღეიდან კი მოთამაშეები ყოველ წელიწადს ნულოვანი ნიშნულიდან დაიწყებენ. ახალი სისტემა უფრო დემოკრატიულად და რიგითი გულშემატკივრისათვის უფრო გასაგებად იქნა მიჩნეული. ჩოგბურთელ პროფესიონალთა ასოციაციის პირველი რეიტინგი ოდნავადაც არ ასახავს ძალთა რეალურ თანაფარდობას. მსოფლიო საჩოგბურთო იმპერიას ფრანგი სპორტსმენი, ვინმე ფაბრის სანტარო ჩაუდგა სათავეში. შეგახსენებთ, რომ ეს რეიტინგი შედგენილია წელს გამართული რამდენიმე არცთუ მნიშვნელოვანი ტურნირის შედეგების მიხედვით, სადაც მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა უმრავლესობას არც უასპარეზია. მსოფლიოს პირველი ჩოგნის ტიტულის სახელისათვის ბრძოლა რეალურად ავსტრალიის ღია პირველობაზე დაიწყება, რომელიც 17 იანვარს აიღებს სტარტს. საინტერესოა, რომ ქალთა რეიტინგი ადრინდელი სისტემით გამოითვლება და მას კვლავ შვეიცარიელი მარტინა ჰინგისი ლიდერობს. რაც შეეხება ავსტრალიის ღია პირველობას, ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებს ავსტრალიის ღია პირველობის ოთხგზის გამარჯვებული ამერიკელი მონიკა სელეში, რომელმაც სექტემბერში ფეხის ტრავმა მიიღო და ბოლომდე ჯერ კიდევ ვერ მოიშუშა. მიუხედავად ამისა, ტურნირის მონაწილეთა შემადგენლობა მეტად შთამბეჭდავია. მსოფლიოს 50 უძლიერესი ჩოგბურთელი მამაკაციდან მხოლოდ ჩილელი მარსელო რიოსი და ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი ვერ მიიღებენ შეჯიბრში მონაწილეობას, 50 უძლიერესი ქალიდან კი მხოლოდ მონიკა სელეში ვერ იასპარეზებს მწვანე კონტინენტზე. „ეს დაუჯერებელია", — აღფრთოვანებას ვერ მალავს ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი პოლ მაკნეში — „წელს პირველი შემთხვევაა ჩემს მეხსიერებაში, როცა ერთეულ ჩოგბურთელთა არყოფნის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ტრავმებია".

## ანა კურნიკოვა ცხოველთა სამყაროში



გასულ კვირას რუსმა საჩოგბურთო ვარსკვლავმა ანა კურნიკოვამ კარიერაში 66-ე ტურნირში მიიღო მონაწილეობა ავსტრალიაში, თუმცა ტურნირის წარმატებით დასრულება ვერ შეძლო. ერთის მხრივ, შეჯიბრების ორგანიზატორები და მსოფლიო საჩოგბურთო ელიტის წარმომადგენლები კვლავ უდიდეს ყურადღებას უთმობენ რუს სპორტსმენს, მისი ფოტოები კი სისტემატურად იბეჭდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის ყდაზე. ავსტრალიაში კურნიკოვას 8 წლის დელფინთან ფოტოგრაფირება შესთავაზეს. დელფინთან ოცწუთიანი ალერსის შემდეგ კურნიკოვამ ჟურნალისტებს საყვარელი წყლის ბინადრის გაცნობით გამოწვეული აღფრთოვანება ვერ დაუმალა. ორიოდე დღის შემდეგ კი რუსი ჩოგბურთელი ავსტრალიის ერთ-ერთ ზოოპარკს ეწვია და ბენგალიურ ვეფხვთანაც გადაიღო სამახსოვრო ფოტოები.

## ალბერტო ტომბა გადასახადებს გაურბოდა

იტალიელი მოთხილამურე, ოლიმპიური ჩემპიონი ალბერტო ტომბა სპორტული მოღვაწეობის პერიოდში თურმე ხშირად ერიდებოდა სავალდებულო გადასახადების გადახდას. რამდენიმე დღის წინ ტომბა დათანხმდა, გადაიხადოს დაახლოებით 4 მილიონი დოლარი — თანხა, რომელსაც იტალიის საგადასახადო სამსახურები ედავებოდნენ. თუმცა, თანხმობის მიუხედავად, ტომბას მაინც არ აცდება სასამართლო პროცესი, რომელიც 29 მარტს დაიწყება. სავარაუდოა, რომ სასამართლო ტომბას მიერ ფულის უკანონოდ მითვისების რამდენიმე ფაქტს ახდის ფარდას. საინტერესოა, რომ ლეგენდარული სამთო მოთხილამურის ფინანსურ საკითხებს განაგებდა მამამისი ფრანკო, რომელიც აგრეთვე დაიკითხება ორ ბუღალტერთან ერთად. კანონსაწინააღმდეგო ქმედებებით ალბერტო ტომბას ადრეც მიუქცევია იტალიელ სამართალდამცავთა ყურადღება. რამდენიმე წლის წინ სპორტსმენმა უნებართვოდ გამოიყენა პოლიციის სირენა, რათა მანქანებით გადატვირთულ ქუჩაში საცობისაგან დაეღწია თავი; 1994 წელს კი იტალიელ მოთხილამურეს ფოტოგრაფმა უჩივლა, — რომ ტომბამ ერთ-ერთი გამარჯვების შემდეგ, დაჯილდოვების დროს, ბროლის თასი გადაამტვრია თავზე... თუმცა ამის ობიექტური მიზეზიც გაირკვა: დაზარალებულ პაპარაცის დედიშობილა გადაუღია მოთხილამურე, შემდეგ კი ფოტოები ერთ-ერთი ბულვარული ჟურნალისთვის მიუყიდია.

## ყაჩაღი გვადელუპელები

მსოფლიოში სახელგანთქმულ მილიონრებს, რომლებიც კუნძულ გვადელუპაზე ისვენებენ, კატეგორიულად უკრძალავენ ხალხმრავალ პლაჟებზე სეირნობას, სადაც მათზე ადგილობრივი მცხოვრებლების მოზარდთა ბანდა ნადირობს. თუმცა ცნობილმა ფრანგმა ჩოგბურთელმა ქალმა, ამელი მორესმომ არ დაიჯერა, რომ მზიან ნაპირზე რაიმე საშიშროება ელოდა და მეგობარ ქალთან ერთად უსაფრთხო ზონას გასცდა, სადაც პლაჟზე მყოფი ბანდის წევრების ყურადღება მიიქცია. ახალგაზრდა გვადელუპელები მორესმოს გულზე მბზინავმა ოქროს მედალიონმა შეაგულიანა და ფრანგი მეგობრები ალყაში მოაქციეს. თუმცა თავდამსხმელები საკმაოდ გვიან მიხვდნენ, ვისთან ჰქონდათ საქმე. მათ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ 20 წლის ლესბოსელ მორესმოს ჩოგბურთის სამყაროში „ტერმინატორად" იცნობენ და „ნახევრად მამაკაცს" უწოდებენ. მორესმომ თითო დარტყმით მიაწვინა ბანდის ორი წევრი, მესამე კი იძულებული გახდა, გაქცეულიყო, თუმცა მორესმოს მკერდიდან მედალიონის ჩამოგლეჯა მაინც მოახერხა.

## მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა რეიტინგი



ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ ლოზანაში ოფიციალურად გამოაქვეყნა მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეთა სია. რეიტინგს კვლავ გარი კასპაროვი ლიდერობს და უახლოესი მდევარი მას 82 ქულით ჩამორჩება. პირველი ათეული კი ასე გამოიყურება (ციფრებით სარეიტინგო ქულებია ნაჩვენები):

1. გარი კასპაროვი (რუსეთი) — 2851
2. ვიშვანთან ანანდი (ინდოეთი) — 2769
3. ვლადიმერ კრამნიკი (რუსეთი) — 2758
4. ალექსეი შიროვი (ესპანეთი) — 2751
5. ალექსანდრე მოროზევიჩი (რუსეთი) — 2748
6. პეტერ ლეკო (უნგრეთი) — 2725
7. მაიკლ ადამსი (ინგლისი) — 2715
8. ვასილი ივანჩუკი (უკრაინა) — 2709
9. ევგენი ბარეევი (რუსეთი) — 2709
10. ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) — 2702

საინტერესოა, რომ ბოლო 25 წლის მანძილზე ეს პირველი შემთხვევაა, როცა ათეულს მიღმა აღმოჩნდა რუსი დიდოსტატი, მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი ანატოლი კარპოვი. კასპაროვის უპირატესობა კი სხვებთან შედარებით აშკარაა და სავარაუდოა, რომ უახლოეს წლებში მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულს მას ვერავინ შეეცილება.

## საჭადრაკო კლუბი

„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.

შავების დამამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).

წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლe4.

თეთრები იწყებენ და აკეთებენ მათს ორ სვლაში.

3. ვინოკუროვი



# წინასწარმეტყველებანი 2000 წლისთვის



70-იან წლებში ჟურნალმა „ამერიკამ“ მკითხველს შესთავაზა გამოჩენილ მეცნიერთა პროგნოზები XXI ს-სთვის. 2000 წლის დადგომამდე მეოთხედი საუკუნით ადრე ამ ადამიანებმა სცადეს, წარმოედგინათ, რა მიღწევებით შეეგებებოდა კაცობრიობა XXI საუკუნეს. გთავაზობთ ამ წინასწარმეტყველებებს. თავად განსაჯეთ, რამდენად ახდა ოკეანისგაღმელ „ნათელმხილველთა“ პროგნოზები.

ა. საოცარი მანქანა — კომპიუტერი — გახდება ყველაზე გავრცელებული საყოფაცხოვრებო ხელსაწყო. ელექტროგამომთვლელი მანქანები შეადგენენ საოჯახო სამუშაოების განრიგს, მოახდენენ ფინანსურ გაანგარიშებებს, დაითვლიან გადასახადებს, ჩაატარებენ ყველა აუცილებელ ოპერაციას.

ბ. შემცირდება ავტომობილის ზომები. კონსტრუქცია გამარტივდება, გაიზრდება მათი უსაფრთხოების ხარისხი. გამონაბოლქვი აღარ დააბინძურებს ჰაერს. ავტოსტრადებს მოემსახურება ელექტრონული გამძღოლი ავტომატები.

გ. ადამიანი შეძლებს ღრუბლებზე თესვას, ამინდის მართვასა და რეგულირებას. გრიგალის ჩაცხრობას, ღრუბელთა გადარეკვას, ფერმერთა მოთხოვნით — წვიმის მოყვანას ან შეწყვეტას.

დ. რთული ტელემოწყობილობების — კედლის ეკრანისა და საბეჭდი დანადგარების მეოხებით, ადამიანები შეძლებენ შინ უყურონ ნებისმიერ ტელეგადაცემას, წაიკითხონ წიგნები თუ სხვა ბეჭდური გამოცემები.

ე. ავტომატიზაციისა და ტექნოლოგიური მიღწევების საშუალებით გაიზრდება სამუშაოდან თავისუფალი დრო.

ვ. ზღვებსა და ოკეანეებში მოიპოვებენ პროდუქტებსა და სათბობს, შეძლებენ ზღვის წყლის გამტკნარებას. ენერგიის მწარმოებელი ბირთვული დანადგარები, უსაფრთხოების მიზნით, მოთავსდება ოკეანეების ფსკერზე.

ზ. დედამიწის ირგვლივ განალაგებენ ხელოვნურ მზეებს, რომელთაგან არეკლილი ენერგია მოხმარდება დედამიწას.

თ. განიკურნება კიბოს უმეტესი სახეობანი, ექიმები შეძლებენ ორგანიზმში ხელოვნური გულის ჩანერგვას.

ი. ადამიანი რეგულარულად იფრენს მთვარეზე, სადაც მოეწყობა დასახლებული ბაზები, შემუშავდება მარსზე გაფრენის გეგმა.

კ. გაცილებით ადრე მომწიფდებიან ახალგაზრდები. ისინი აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფოს მართვაში.

*ტაინაია ჟიზნ №1*

# მოჩვენებები საიქიოში

ზაფხულის ერთ საღამოს შინ ველოსიპედით ვბრუნდებოდი. წინიდან მომავალი მანქანის ფარებმა თვალი მომჭრა და საჭე გამექცა. თვალის დახამხამებაში მანქანის ბორბლებში გავიხლართე. თვალებიდან ჩინჩხლები წამომცვივდა. მერე წყვდიადი ჩამოწვა.

უცებ ბნელ გვირაბში შევედი. შორს მკრთალი სინათლე შევნიშნე და მისკენ გავემართე. მალე პაწია სენაკში აღმოვჩნდი. იქ, ტახტზე, ჩემი შარშან გარდაცვლილი მეგობარი იწვა. გახარებული მივაშურე, მაგრამ არ გამიკარა, — გზა გააგრძელე, შენ ჯერ სამსჯავროს წინაშე უნდა წარდგეო.

გავყევი გვირაბს. როგორც იქნა, გავაღწიე სინათლეზე და მაღალ მთაზე შევდგი ფეხი. ჩემს ქვემოთ ღრუბლები დაცურავდა. პირდაპირ, ღრუბლის ქულებზე გრძელ, თეთრ კვართებში გამოწყობილი ადამიანები ისხდნენ. სავარძელში იჯდა მტრედისფერ სამოსიანი ქალი. უმალ მივხვდი, — დედა ღვთისმშობელი იყო! მან, დამინახა თუ არა, თქვა, — ალექსანდრე მოვიდა. მოდი ახლოს!

— როგორ მოვიდე, როცა ჩემს წინ უფსკრულია-მეთქი, — შევკადრე. მოდი, ნუ გეშინია, — გამიღიმა ღვთისმშობელმა. რაც არის, არის-მეთქი, გავიფიქრე და ნაბიჯი გადავდგი. ისე მივდიოდი, როგორც ასფალტზე, ოღონდ უხმაუროდ. მივუახლოვდი. მომეცი ხელიო, — მომმართა. მარცხენა ხელი გავუწოდე. მარჯვენაო, — მანიშნა. ახლა მარჯვენა გავუწოდე. ხელისგულზე დამხედა. „გაბრუნდი, საშა, უკან. შენი აქ მოსვლა ჯერ



ადრეა“, — მითხრა და მკვეთრად მიმატრიალა ზურგისკენ. უსასრულობაში გავფრინდი. გონს რომ მოვეგე, დალეწილ-დამსხვრეული საოპერაციოში ვიწექი.

ექიმმა მითხრა, — ორჯერ გაგიჩერდა გულიო.

დავრწმუნდი, რომ მართლა საიქიოში ვიყავი.

*დომაშნეე ჩტენიე №42*

# ზმანების ლოტოგება



ეს ამბავი ჩემს ახლობლებს შეემთხვათ. ერთადერთი ვაჟის დაკარგვის შემდეგ ცოლ-ქმარი ლამის სასაფლაოზე დასახლდა. ერთ წელიწადში ბალნარად აქციეს ხრიოკი. ისედაც კეთილები იყვნენ და ახლა სულ გაცემასა და სხვის დახმარებაზე ფიქრობდნენ. ყველაფერს ისე აკეთებდნენ, როგორც მათ შვილს უყვარდა. ეკლესიის მშენებლობაც წამოიწყეს სასაფლაოზე... წლისთავზე, ძილბურანში, შვილი ეჩვენა ანდროს, — მარტო რომ ხართ, მებრალებით. ბავშვი აიყვანეთ და გაზარდეთ... ოღონდ უსათუოდ გოგონაო.

მალე იშვილეს სამი თვის თვალხატულა გოგონა... იმავე ღამეს ეზმანა ანდროს შვილი. ძალიან კარგი ბავშვი გაიზრდება ანანო, ჭკვიანი, ლამაზი, ნიჭიერიო, — უთხრა სიზმარში.

სიცოცხლე მობრუნდა ოჯახში.

ერთ გვიან ღამეს ტელეფონი აწკრიალდა. ანდრომ ყურმილი აიღო. საოცრად ნაცნობი, სანატრელი ხმა გაიგონა:

— გამარჯობა, მამა!.. ივერი ვარ. არც გაგიკვირდეს და არც შეგეშინდეს... მე ამაღამ შენთან მოვალ...

ნაშუაღამევს გასაღების ჩხაკუნი გაისმა, მერე ნაცნობი ფეხის ხმა... ანდრო თვალებგაფართოებული მისჩერებოდა თითქოს გაცოცხლებულ შვილს.

— მამა, ჩვენი აგარაკი მოზიარეს დაუთმე. მევალეს ვალს ნუ გამოართმევ... ბებიაჩემის ცარიელი ბინა შენს ბიძაშვილს მიეცი — უჭირს... ანანოს ეს სახლ-კარიც ეყოფა, კარგი გოგო გაიზრდება და გაგახარებთ.

ესა თქვა და ივერი გაქრა...

*მარი ნამორაძე, თბილისი*

# ჯადოსნური ქვა



მე და მამაჩემი კურსკის მახლობლად, სოფელ უშაკოვოს ტბის სანაპიროს მივყვებოდით. ანაზდად აფეთქების ხმა შემოგვესმა. ტბასთან ეკოპოლიციის თანამშრომლები იდგნენ.

ნაპირთან ახლოს, მცირე მორევში ცისარტყელასავით მოციმციმე ქვა შევნიშნე. წყალში შევედი — ყინულივით იყო. მორევში — თბილი წყალი ბრუნავდა, თითქოს ის ლამაზი ქვა მხურვალებას გამოსცემდა. წინა დღეს ხელი გავიჭერი და ბინტით მქონდა შეხვეული. დავიხარე და სწორედ იმ ხელით დავაპირე ქვის ამოღება, მაგრამ ჭრილობა ისე ამეწვა, რომ შევყვირე, სწრაფად ამოვიღე ხელი წყლიდან და ნაპირზე გამოვვარდი. სველი ბინტი მოვიხსენი და გავოგნდი — კარგა მოზრდილი იარა შეხორცებულიყო და ნაწიბური ოდნავღა ეტყობოდა. მამასთან მივირბინე და ყველაფერი ვუამბე. ორივე ტბისკენ გამოვბრუნდით, რათა კარგად დაგვეთვალიერებინა ის სასწაულმოქმედი ქვა, მაგრამ ეკოპოლიციელებს იგი ყუთში ჩაედოთ და მიჰქონდათ...

*ვ. კანდაროვი*
*ნლო №58*

# რადიაცია მამაკაცს ქალად აქცევს

უახლესი ხელსაწყოებით ჩერნობილის ავარიის მსხვერპლთა თავის ტვინის შესწავლისას, რუსმა მეცნიერებმა საშინელი აღმოჩენა გააკეთეს.

ახალი ხელსაწყოები საშუალებას იძლევა, ჩაიხედოთ ცოცხალ ტვინში და გაარკვიოთ, თუ სად „ფუთფუთებს“ აზრი, გრძნობა, ემოცია; იგი აფიქსირებს ზესიხშირის გამოსხივებას, რომელიც, როგორც გაირკვა, ადამიანის ტვინის სიღრმიდან მოდის. გამოსხივების შედეგად, კომპიუტერის ეკრანზე შეგვიძლია დავინახოთ და კონკრეტულად განვსაზღვროთ, ტვინის რომელი უბანი მუშაობს რაიმე ზემოქმედების შედეგად, — ამბობს დოქტორი იური ობუსოვი.

ჩერნობილში დაზარალებულთა ტვინში აღმოაჩინეს ანომალია. მაგალითად, როცა ჯანმრთელ მამაკაცს აძლევდნენ უბრალო ამოცანას, ხელსაწყო იჭერდა ტვინის გამოსხივებას შუბლის მარცხენა ნაწილთან. ჩერნობილგამოვლილ მამაკაცებს გამოსხივება აღენიშნებოდათ ტვინის მარჯვენა მხარეს, ე.ი. ტვინმა, რომელმაც რადიაცია განიცადა, თავისი მუშაობა შეცვალა.

ჩვეულებრივ, მარჯვენა ნაწილით ქალები აზროვნებენ. მაშასადამე, გამოდის, რომ ტვინმა „სქესი“ შეიცვალა. ეს იმდენად საგანგაშო არ არის, მაგრამ თავად ტვინის „გადართვის“ ფაქტია უცნაური. მეცნიერები შიშობენ, — ვაითუ, ცვლილებები უფრო შორს წავიდაო და კვლევას განაგრძობენ.

*ექსპრეს-გაზეტა №2*

# ბერმუდის მსხვერპლნი
## აბრუნებს



მრავალი წლის დუმილის შემდეგ ბერმუდის სამკუთხედიდან კვლავ ისმის საოცარი ამბები; მაგრამ ახლა ლაპარაკია არა ხალხის გაქრობაზე, არამედ პირიქით, ოდესღაც უცნაურად გაუჩინარებულთა დაბრუნებაზე.

აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ბაზის, გრეითსაუნდის თანამშრომელთა ნაამბობით, მოხდა მკვდრეთით აღდგომის ორი შემთხვევა:

1998 წლის 28 დეკემბერს სამკუთხედში აღმოაჩინეს 1941 წელს დაკარგული სამხედრო თვითმფრინავი. იგი, თურმე, ეკიპაჟის 5 წევრით, ვენესუელიდან ლონდონში მიფრინავდა და მოჯადოებულ სამკუთხედში უკვალოდ გაქრა. 9 დღის ამაო ძებნის შემდეგ ოფიციალურად აღიარეს დაღუპულად. და აი, 57 წლის შემდეგ სამხედროებმა ზღვაში იპოვეს ადამიანი, რომელიც თავისი თვითმფრინავის ნამსხვრევს ჩაფრენოდა. მას ეცვა ძველებური მოდელის ბრიტანეთის სამხედრო ფორმა. ჯიბეში ედო პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომლის მიხედვითაც, ის 57 წლის წინ დაკარგული თვითმფრინავის პილოტი იყო. მისი ეკიპაჟის წევრები ვერ იპოვეს.

დაბრუნების მეორე შემთხვევა დაფიქსირდა 1999 წლის 5 სექტემბერს. იპოვეს 1957 წელს გამქრალი იახტა, რომლითაც ზღვაში სასეირნოდ გავიდა ცოლ-ქმარი და არავინ იცის, სად დაიკარგა. გემზე მხოლოდ ქალი იყო, მას ასაკი არ ეტყობოდა, მაგრამ ძალიან დაბნეული ჩანდა და ვერ იგონებდა, სად იყო ამ წლების განმავლობაში.

სამხედროები აპირებენ გამოაქვეყნონ ყველა ახალი უცნაური შემთხვევა.

*ნიუ ზუიქი*

# რას გვეტყვით, ვარსკვლავებო!

**17-23 იანვრის ასტროლოგიური პროგნოზი**




### ვერძი

შესაძლოა, ცხოვრების მონოტონური დინება პარასკევს სერიოზულად შეგეცვალოთ. კვირას თქვენს ყურადღებას მიიპყრობს საოცარი და ექსტრავაგანტური შემთხვევა.




### კურო

ნუ იქნებით ძალზე მომთხოვნი ყველას მიმართ... წარმატებებს მიაღწევთ ფინანსურ სფეროში. შესაძლოა, შეიძინოთ ავტომობილი.




### მარჩბივი

რომანტიკული გრძნობები ყველგან თან დაგდევთ. მოულოდნელი შეხვედრა თქვენი ცხოვრების წესს შეცვლის... ყურადღებით იყავით.




### კირჩხიბი

ყველგან წარმატება გელით; კოლეგები და მეგობრებიც მხარში გიდგანან. ხუთშაბათს ნუ გადაიტვირთავთ თავს.




### ლომი

მთელ კვირას წარსულის გაანალიზებას მოანდომებთ. გეგმები ჯერჯერობით შეუსრულებელი გრჩებათ. მეტი ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას.




### ქალწული

თქვენთვის დამახასიათებელი ორგანიზებულობა კოლეგებს აღიზიანებს. შაბათ-კვირას მეგობრების წრეში განიტვირთეთ და დაისვენეთ.




### სასწორი

გიჭირთ გადაწყვეტილების მიღება, მალე ყველაფერი გაგიადვილდებათ. სწორი ანალიზის შედეგად გაიმარჯვებთ. ნუ დაკარგავთ შანსს.




### მორიელი

უმიზეზო სევდას ოჯახში განიქარვებთ, სწორედ შინ მოიპოვებთ სიმშვიდეს. ოთხშაბათიდან იწყება პოზიტიური ცვლილებები.




### მშვილდოსანი

მჭევრმეტყველებითა და მიმზიდველობით საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდებით. გაფაციცდით... შეფი არ გააღიზიანოთ...




### თხის რქა

ლიდერის თვისებებს გამოავლენთ; ყველას მომავლის იმედს შთააგონებთ და აიყოლიებთ... განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ ოჯახის წევრებს.




### მერწყული

თქვენი მიძინებული ნიჭი გაიღვიძებს... სცადეთ თავი ახალ სარბიელზე, შედეგი უეჭველად დადებითი იქნება.




### თევზები

საქმიანი საუბარი სამშაბათისთვის გადადეთ, ყველა პრობლემას ბოლო მოეღება და სასურველ შედეგსაც მიაღწევთ. ნუ დააკლდებით მხიარულ წვეულებას.

**გისურვებთ წარმატებებს!**


## ფირმა «გარანტი»

აწარმოებს ბრტყელი სახურავების, ღია აივნების, საცურაო აუზების



ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოებს იმპორტული მასალით,

საუკეთესო ხარისხით. გარანტია — 10 წელი.

ანგარიშსწორება ნებისმიერი ფორმით.

სამუშაოები სრულდება რესპუბლიკის ფარგლებში.

მის: წერეთლის გამზ. №142, „სამთო ქიმიის“ შენობა, მე-3 სართ, ოთახი 78

სარეალიზაციოდ გვაქვს იმპორტული ჰიდროსაიზოლაციო მასალები

☎ 34-05-52; 63-05-26; 77-43-85-69

**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;

— ექოსკოპია, თანამედროვე იაპონური აპარატურით;

— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით და აპარატურით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის მეთოდით, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №20 (სპორტის სასახლის უკან) 10-14 სთ.

## ლითონის საამქრო

ფარდა-ჟალუზი; ლითონის კარი; „გარმოშკა“; ჟალუზი; ფანჯრის უძრავი გისოსი; ავტოფარეხი. აგრეთვე, ნებისმიერ სართულზე დაგიმონტაჟებთ აივანს.

## ხის საამქრო

კარ-ფანჯარა; დარაბა, ავეჯი.

მის: მუხიანი, მე-4ა მ/რ მე-4 კორპ.

☎ 63-67-52; 63-53-05; 877-41-87-75

## მეტისმეტი - რეტისრეტიო

ირლანდიელებს მთელ მსოფლიოში პირ-წავარდნილი ლოთების სახელი აქვთ გავარდ-ნილი. ეს მათ ახალი წლის დღეებშიც დაა-დასტურეს, თანაც ერთობ დიდი წარმატები-თაც.

პატარა სოფელ როსლის მცხოვრებნი ახალ ათასწლეულს სამჯერ შეხვდნენ — სოფლის ტერიტორია სამ ზონად დაყვეს: ხმელთაშუა ზღვის, გრინვიჩისა და ალასკის ზონად. სამივე სხვადასხვა საათის სარტყელს შეესაბამება. ამ-იტომ საათის ისრების გადაადგილების შესა-ბამისად, როსლელები ერთი „რეგიონიდან“ მეორეში გადადიოდნენ. პირველად ახალ წელს ირლანდიელები დილის 10 სთ-ზე შეხვდნენ. მეორედ — შუაღამისას, თავანყვეტილი ლო-თობა კი მეორე დღის 11 სთ-ზე, მესამე ზო-ნის ახალ წელს გააგრძელეს. სწორედ ამაზე იტყვიან, მეტისმეტი — რეტისრეტიო.

*პოსლენდიე ნოვოსტი №1*



## ქორწილსა და გაყრას შორის 20 კილოგრამია

მსოფლიოში ერთადერთ გამხ-დართა თანამეგო-ბრობის (საყ-ოველთაოდ გავრ-ცელებული მსუ-ქნების კლუბების ალტერნატივა) პრეზიდენტმა, ავსტრიელმა მაქსიმილიან ფლეკმა, ჩანს, გადა-წყვიტა, რომ მთელი პლანეტის მშვენიერი სქე-სის წარმომადგენლები ტანწერწეტები გახა-დოს. იგი შესაშური გულმოდგინებით იცვ-ლის ცოლებს, რომელთაც ძირითადად სიმ-ფონიური მუსიკის კონცერტებზე პოულობს, თანაც თითოეული მათგანი ფლეკთან ქორ-წინებამდე ჭარბწონიანი იყო.

მორიგ საცოლეს ფლეკი პირობას უყენებს — იმ შემთხვევაში შეირთავს, თუ 1 წლის განმავლობაში ოციოდე კილოგრამს ჩამ-ოიკლებს. შეძლებულ და ერუდირებულ მა-მაკაცთან ბედნიერი ქორწინების პერსპექტი-ვა ბევრ ქალბატონს ხიბლავს და ისინიც მკაცრ დიეტას იცავენ.

— სიყვარული ჭარბი წონის საწინააღმ-დეგოდ შესანიშნავი საშუალებაა, — ამბობენ კლუბის წევრები, რომელთაც მაქსიმილიან ფლეკი ხელმძღვანელობს.

*ტელეობსერვატორი*

## 1999 წლის ანტინობელიანტები



ყოველ წელს ამერიკის ერთ-ერთ უძველეს ჰარვარდის უნივერსიტეტში ეწყობა პრემიის გადაცემა, რომელსაც მეცნიერული სამყარო დიდი მოუთმენლობითა და ხალისით ელის. ეს გახლავთ „ანტინობელის პრემია“. მას ანი-ჭებენ ყველაზე უჩვეულო გამოკვლევისთვის.

პრემია პერიოდული ხასიათისაა. მისი მინიჭება საკმაოდ სოლიდურ ჟიურის ევალე-ბა, რომელიც ნობელის ლაურეატისა და ორი, სრულიად შემთხვევითი, რომ იტყვიან, „ქუ-ჩიდან მიწვეული“ პიროვნებისგან შედგება. პრემიის გადაცემა ხდება ჰარვარდის უნივერ-სიტეტის ერთ-ერთ ყველაზე დიდ, პომპეზურად მორთულ აუდიტორიაში, თანაც საზეიმო ვი-თარებაში. ცერემონიას სულ ცოტა, 1.200 სტუ-მარი ესწრება, რომლებიც მთელი მსოფლიოდან იკრიბებიან. მათ შორის არიან ცნობილი მეც-ნიერები, მეცენატები, სამეცნიერო ჟურნალ-ების რედაქტორები. არც წლევანდელი წელი იყო გამონაკლისი. ჟიურის თავმჯდომარემ, 1978 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა (ფიზ-იკის დარგში) რობერტ უილსონმა დაასახელა 1999 წლის კონკურსის გამარჯვებულები. პირველი ადგილი მიეკუთვნა ამერიკელ ზოოლოგს რეი გროსლოპს, რომელმაც აფ-რიკული და ინდური სპილოების ანალური ხვრელების ზომები შეისწავლა. მეორე ადგ-ილი დაიკავა ნორვეგიელმა მეცნიერმა არვიდ ვატლემ, მან გამოკითხვა ჩაატარა თავის თან-ამემამულეთა შორის საკითხზე — რომელი ჭურჭელი ურჩევნიათ შარდის ანალიზის ჩასა-ბარებლად. შედეგი გამოქვეყნდა ნორვეგიის „სამეცნიერო ასოციაციის ჟურნალში“. ექიმმა ვატლემ დაამტკიცა, რომ მისი თანამემამულეები შარდის ანალიზს ყველაზე ხშირად აბარებენ ქაშაყის კონსერვის ქილებით.

ანტინობელის პრემიის ლაურეატი გახდა აგრეთვე იაპონელი ტაკეში მაკინო, რომელ-მაც გამოიგონა „ერთგულების აეროზოლი“. საქმე ის გახლავთ, რომ აეროზოლით სარგე-ბლობის შედეგად (ინტიმურ ადგილას შეშხ-აპუნებით), მამაკაცი გარკვეული დროით კარ-გავს პოტენციას.

დაბოლოს, პრემია მიენიჭა კორეელ ჰიუკ ჰო კვანს, რომელმაც კლასიკური სტილის კოს-ტიუმი შექმნა. კოსტიუმი იმითაა საინტერესო, რომ პატრონის მოძრაობისას ქსოვილი სხვა-დასხვა სასიამოვნო არომატს აფრქვევს.

*ნიუზუიქ, 3 იანვარი*

## მიცვალებული ბედნიერი უნდა იყოს



მადაგასკარში, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით, სიკვდილისა და მიცვალებულის მიმართ სხვა დამოკიდებულებაა. მიცვალებულებს აქ ღმერთთან აიგივებენ. ადგილობრივ მოსახ-ლეობას საფლავის მოვლა და მიცვალებულისთვის ჩასატარებელი ადათ-წესები 400 დოლარზე მეტი უჯდება. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საფლავები მადაგასკარში ხშირად საცხოვრებელ სახ-ლებზე უფრო კეთილმოწყობილია. ზამთრობით ყოველი ოჯახი აწყობს „ფამადიხანს“ („ძვლების გადაბრუნება“). ოჯახის წევრები ღამეს ლხინით ათენებენ, დილით ამოალაგებენ მიცვალებულის ძვლებს, განმენდენ, ახალ სუდარაში გაახვევენ. „განწმენდილებს“ კვლავ მიწას მიაბარებენ თავის საყვარელ ნივთებთან ერთად (სიგარეტი, ყავა, ტკბილეული). ამ სასიხარულო მოვლენის აღნიშ-ვნის შემდეგ ოჯახი იწყებს ფულის შეგროვებას მორიგი „ფამადიხანისთვის“.

*ნოვიე იზვესტია №236*

## კანონი კანონია

კანონი კანონია, ხშირად გავიგონებთ ხოლმე თქმულს. მაგრამ კანონი ყოველთვის როდია სამართლიანი, განსაკუთრებით, არაბეთის ქვეყნებში.

ერ-რიადში მიმავალმა დაქირავებულმა ფილიპინელმა მუშამ მეუღლისთვის კანფეტები იყ-იდა. საუდის არაბეთში ჩასული იგი საბაჟოს მოსამსახურეებმა დააკავეს ალკოჰოლის საზღ-ვარზე უკანონოდ გადმოტანისთვის. სასჯელად საბრალოს 4 თვიანი პატიმრობა და 75 წკეპლა ერგო.

შოკოლადის კანფეტები ლიქიორიანი აღმოჩნდა, რისთვისაც „დამნაშავეს“ ყურადღება არ მიუქცევია. ასე რომ, ერ-რიადში უმჯობესია უსაჩუქროდ ჩავიდეს კაცი. კანონი — კანონია.

*ნოვოსტი მირა №1*

## შერლოკ ჰოლმსს ვაჟი ჰყავდა?

შერლოკ ჰოლმსის შვილი? შესაძლებელია კი ეს?

თუ კონან დოილს დავუჯერებთ, ეს შეუ-ძლებელია. უდიდესი მაძებრის ასკეტური და პრაგმატული გონება რომანტიკულ გრძნობას ვერ აიტანდა; იგი ქაოსს შეიტანდა მის დედუ-ქციურ აზროვნებაში. და მაინც, იქნებ ამგ-ვარი რამ შესაძლებელია?

ცნობილია, როგორი მოკრძალებით მოიხ-სენიებენ ინგლისელები ჰოლმსს. ბევრი ბრიტ-ანელი (განსაკუთრებით, ახალგაზრდობა) დარ-წმუნებულია, რომ გენიალური მაძებარი რე-ალურად არსებობდა.

შერლოკ ჰოლმსის ამბავმა ბევრი ანალიტი-კოსი ჩააფიქრა და აიძულა, კვლევა დაეწყო. ერთ-ერთმა მათგანმა შეძლო არა მარტო ჰოლმ-სის დაბადების ზუსტი თარიღის დადგენა, არამედ ერთადერთი სასიყვარულო ეპიზოდის გამოჩხრეკა ცნობილი მაძებრის ცხოვრებიდან.

თურმე, როცა 1891 წლის 4 მაისს ჰოლმსი სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს მორი-არტისთან ბრძოლის დროს და თავიდან აიცი-ლა მორანის შურისძიება, ერთხანს ირენ ადლ-ერის ვილაში იმალებოდა (მოთხრობის, „სკან-დალი ბოჰემიაში“, მთავარი გმირი). იძულებით შვებულებას უშედეგოდ არ ჩაუვლია. მის გვერ-დით იყო ქალი, რომლის მიმართ სახელ-განთქმული დეტექტივი გულგრილი არ გახლ-დათ. ირენ ადლერიც სიმპათიით იყო მის მი-მართ გამსჭვალული. მათ ერთმანეთი შეჰყვარე-ბიათ და თურმე 1892 წელს ირენს ვაჟი გაუჩნ-და, რომელსაც დაარქვა შერლოკ ჯონ პემიშ მაიკროფტ ვერნე ჰოლმს-ადლერი... ცოტა არ იყოს, გრძელი სახელია, მაგრამ სავსებით შეეფ-ერება ვიქტორიანულ ინგლისს.

*პოსლედნიე ნოვოსტი №51*



## ცეკვა-თამაში საუკეთესო წამალია

დღეს ყველაზე გავრ-ცელებული დაავადებაა ნერ-ვული დაძაბულობა. არც დიდსა და არც პატარას არა აქვს უზრუნველი ცხ-ოვრება.

ყველგან სტრესია ჩასაფრებული. სერიო-ზულ ფსიქიკურ აშლი-ლობას რომ ავარი-დოთ თავი, ჯერ მოვ-დუნდეთ და შემდეგ დავიწყოთ ცეკვა...

შევარჩიოთ სასია-მოვნო მუსიკა და რიტ-მი და შედეგს მაშინვე ვიგრძნობთ. სხეული თვით იპოვის საჭირო მოძრაობებს. ზურგი (ხერხემალი) სწორდება, ფილტვები იწმინდე-ბა და სუნთქვა ხშირდება... ნერვული დაძაბ-ულობა ნელ-ნელა მოგვეხსნება.

სიმღერაც ხელს უწყობს სტრესისგან გათ-ავისუფლებას. სიმღერის პროცესში ადამიანი ემოციურად დუნდება და იმუხტება დადები-თი ემოციებით.

აღმოსავლური მედიცინა გვირჩევს, ხშირ-ხშირად „ვამუშაოთ“ ხელები, რათა ენერგეტ-იკული არხები გაიწმინდოს, რაც მოგვაშორებს ყოველდღიურ საზრუნავს და უსიამოვნო ფიქრებს.

*ოტდოხნი №52*

## ახალი ემბაკონა

სამხრეთამერიკელმა ნარკოდილერებმა ნარკოტიკების ტრანსპორტირების ახალი ხე-რხი მოიგონეს. საპასუხისმგებლო გაფრენის წინ, მაფიის მიერ მოსყიდული ქირურგები პა-ციენტს ამოკვეთენ ბრმა ნაწლავს, რომელსაც, როგორც ცნობილია, არავითარი ბიოლოგიური ფუნქცია არ აკისრია და მის მაგივრად მუცელ-ში ათავსებენ ჰეროინიან კონტეინერს.

ამერიკელმა მებაჟეებმა მაინც მიაკვლიეს დილერების ამ ხრიკს. ახლა აშშ-ის ნებისმიერ საერთაშორისო აეროპორტში საეჭვო მგზა-ვრებს მუცელს უსინჯავენ — ახალი ნაწიბუ-რები ხომ არ აქვთო. თუკი ასეთს გამოავლე-ნენ, რენტგენით აშუქებენ. ისიც უნდა აღინ-იშნოს, რომ ჯერჯერობით მხოლოდ ძალიან გამოცდილ ექიმებს ძალუძთ განსაზღვრონ, ადამიანს საკუთარი ბრმა ნაწლავი აქვს თუ ხელოვნური.

*მეგაპოლის-ექსპრესი №43*

## შამანი ინტერნეტში



კომპიუტერული ქსელი ინტერნეტი თავის მომხრეებს უფრო მეტ და უნიკალურ შესაძლებლობებს სთავაზობს. ინტერნეტში ლოცულობენ, იღებენ ექიმის კონსულტაციებს, ამ ბოლო დროს კი ნამდვილ შამანთანაც კი საუბრობენ. ამ ასპარეზზე პირველი გამოვიდა პერუელი შთამომავლობი-თი შამანი დონ ანტონიო მონტერო პისკო, რომელმაც ინ-ტერნეტში საკუთარი საიტი შექმნა.

ახლა ინტერნეტის მეშვეობით დონ ანტონიო მსურ-ველებს რჩევებს აძლევს. თავის თანამემამულეებს იგი სამკურნალო ბალახის შეგროვებასა და გამოყენების საიდ-უმლოს ასწავლის. განსაკუთრებულ შემთხვევაში პრაქტიკუ-ლი მაგიისა და სულებთან ურთიერთობის გაკვეთილებს იძლევა. სამწუხაროა, რომ დონ ანტონიომ ინგლისური ენა არ იცის და ურთიერთობისთვის თარჯიმანს იხმობს.

*ნლო №50*

## სამკურნალო სამკაულები



უძველესი დროიდან ცნობილია, რომ ოქრო და ვერცხლი სხვა-დასხვა დაავადებისთვის სამკურნალო საშუალებაა.

დადგინდა, რომ ამ ლითონებისაგან დამზადებული საიუველირო ნაკეთობანიც გამოდგება სამკურნალოდ.

ოქროსა და ვერცხლთან სისტემატური კონტაქტი ამშვიდებს ნერვულ სისტემას. ოქროს სამკაული გულ-მკერდის არეში (ჯვარი, მედალიონი, ძეწკვი) შველის არითმიას და კურნავს გულის ნების-მიერ დაავადებას.

*ლიზა №52*



**თარაზულად:** 4. უნცია, კილო; 6. ომი, თუშეთი; 9. ქათამი, გნოლი; 10. ქინძი, ტყემალი; 14. ელექტროდი, კათოდი; 15. ალაზანი, ფოთი; 17. სახარება, მარკოზი; 19. მეტრი, ჰექტარი; 21. აგარა, ვარძია; 23. ჯოჯოხეთი, ვაშლი; 24. ჯამბაზი, ჯოკერი; 28. ღვინო, ჯინი; 30. რალი, ცხენი; 33. რემა, ცხვარი; 34. კაზინო, ქალალდი; 35. ბლოკი, ტალახი; 36. მცხეთა, ინდოეთი; 39. „დამაკმაყოფილებელი“, ხუთი; 40. რვეული, რომანი; 41. კავკასიონი, ციმბირი.

**შვეულად:** 1. ბალახი, ჩალა; 2. რენუარი, მანე; 3. „პელე“, „ლამბადა“; 5. მღვდელი, ისრაელი; 7. ფორთოხალი, მანდარინი; 8. ცხოველი, ნიჟარა; 11. ბათუმი, ყირიმი; 12. სამურაი, „კუ“; 13. მაკედონელი, პუშკინი; 16. დარდანელი, პირენე; 18. მაშა, ლანცეტი; 20. ჭიქა, ლუდი; 22. „ჩებურაშკა“, ბუბუ; 25. იანვარი, გაზაფხული; 26. პატარძეული, სიღნაღი; 27. კვერცხი, „ჭეშმარიტად!“; 29. მოთხრობა, რაიკინი; 31. იმერეთი, თელავი; 32. ველი, ამერიკა; 37. ლიანა ისაკაძე, ჩინეთი; 38. ლაშქარი, დავით აღმაშენებელი.

**წინა ასოციაციის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. პადრე; 6. ანაშა; 9. აქლემი; 10. აბზაცი; 14. ოზონი; 15. ჭრაქი; 17. ოქრო; 19. კიბე; 21. ეტალონი; 23. ნარინჯი; 24. სტაფილო; 28. სლალომი; 30. ოშკი; 33. სოკო; 34. ბომბი; 35. არენა; 36. ასტამი; 39. ლივრეა; 40. პიტნა; 41. არმია.

**შვეულად:** 1. გერი; 2. საკე; 3. ლექტორი; 5. არმაზი; 7. შიბაქი; 8. სიცილია; 11. ენოტი; 12. ირანი; 13. ლომონოსოვი; 16. ლერმონტოვი; 18. ალუბალი; 20. ნანტი; 22. ჯვარი; 25. ქლიბი; 26. ქმარი; 27. ეკლესია; 29. მორიელი; 31. ჰოლმსი; 32. ანაისი; 37. ბზა; 38. ტბა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორიჯვართან იდგა და გულჯავრიანი გაჰყურებდა ოსმალთა ხელში მოქცეულ გორის ციხეს. საიმედოდ გამაგრებულან. მათი ზარბაზნები ფხიზლად აკონტროლებენ ციხის მისადგომებს და სათოფეზე ვერავინ მიეკარება. ოღონდ სარჩო-სანოვაგე უჭირთ. დროდადრო ოსმალთა რაზმი ტოვებს ციხეს საჭმელ-სასმლის მოსაპოვებლად. ახლომახლო მდებარე სოფლებს არბევენ და ნაშოვრით დატვირთულნი ისევ ციხეს მიაშურებენ.

ქართლის მეფე სვიმონ პირველი (1558-1600) გორიჯვართან იდგა და გულჯავრიანი გაჰყურებდა გორის ციხეს. ქართლის მეფე ჰქვია და ქართლის მთავარი ციხეები კი, უკვე რამდენი წელია, ოსმალებს უჭირავთ და დაცლას არ ჩქარობენ. მეფე გაჰყურებს გორის ციხეს და ოცნებობს ქართლიდან ოსმალთა განდევნაზე.

1595 წელს სვიმონ მეფე ხმას აწვდენს რომის პაპს: „ვგონებ, თქვენც შეიტყობდით, რაოდენი შეწუხება და ტანჯვა გამოვიარეთ, მაგრამ მაინც გული არ გავიტეხეთ... დავღვრი ჩემს სისხლსა ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმული იესო ქრისტეს და ღვთის სიყვარულისათვის. ვიდრე პირში სული მიდგას, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე".

## მწვანილი მინდაო

სვიმონ მეფე გორიჯვართან იდგა და გულჯავრიანი გაჰყურებდა გორის ციხეს. თავისი კაეშნის დასაძლევად ერთადერთი წამალი ეგულებოდა ამქვეყნად, ყველაზე უებარი და მრავალჯერ ნაცადი წამალი, რომელიც დათრგუნავდა გულზე მოწოლილ ვარამს, თუნდაც დროებით დაავიწყებდა მწარე სინამდვილეს და ტკბილ ბურანში შეაცურებდა.

ქართველი მემატიანის სიტყვით, სვიმონ მეფემ „ჭამა თრიაქი და გამხიარულდა".

მერე ისევ გაუხედავს გორისაკენ და თვალში მოხვედრია, რომ ბოსტნებში ახალი მწვანილი მოსულიყო. გაზაფხულის პირი იდგაო, დასძენს მთხრობელი და გვიხსნის, რომ თრიაქის მჭამელს მყისვე მოშივდება ხოლმე. საგზალი როგორ არ ექნებოდათ, მაგრამ მეფეს მაინცდამაინც სურნელოვანი მწვანილი მოენატრა. თრიაქისაგან დაბინდულ გონებას სიფრთხილე მოუდუნდა. წყეულმა წამალმა მართლაც ეშმაკის კვალზე დააყენა მეფე.

გაგულისებით მიმართა თავის ამალას: „ესე როგორ გეკადრებათ ქართველთა, რომე მე მწვანილი მინდა და თქვენ გორიდან მწვანილს ვერ მომიტანთო".

მეფე იყო და მწვანილს ნატრობდა! ხათრს როგორ გაუტეხდნენ?! საით გაექცეოდნენ თრიაქით გაბრუებული კაცის ახირებას...

სად და როდის შეეყარა ეს ავბედითი სენი სამშობლოსათვის თავდადებულ რაინდს?

## ალამუთის ტყვეობაში

სოფელ ფარცხისთან გამართულ ბრძოლაში (1569წ.) სვიმონ მეფე, მოღალატის გამოისობით, ტყვედ ჩაიგდეს ყიზილბაშებმა და ირანის გზას გაუყენეს. მაშინდელ სატახტო ქალაქ ყაზვინში მყოფი შაჰ-თამაზი უსაზღვრო კმაყოფილებით შეხვდა დატყვევებულ ქართლის მეფეს და კარგა ხანს პატივით ეპყრობოდა.

მისი გათათრება უნდოდაო და მეფე სვიმონ არ გათათრდაო.

ამდენი აღარ აპატიეს და ალამუთის ციხეში უკრეს თავი.

XVII საუკუნის გერმანელი მოგზაური ადამ ოლეარიუსი გადმოგვცემს, რომ სვიმონ მეფე ცნობილი იყო, როგორც გულადი მეომარი და განსწავლული კაცი, კარგი მელექსე და მცოდნე ფილოსოფიისა.

ოლეარიუსის ცნობით, ალამუთის საპყრობილეში პატიმრობისას ქართველი მეფე დაუახლოვდა ისმაილ-მირზას (შაჰ-თამაზის ძეს), რომელიც თავისი ველური და თავაწყვეტილი ბუნების გამო ჩაემწყვდიათ იქ; თურმე, მეკობრეთა რაზმებს მიუძღვებოდა ოსმალეთის საზღვრისაკენ, ზავს არღვევდა, დათარეშობდა და ყველას ძარცვავდა, მტერსა თუ მოყვარეს.

სვიმონ მეფეს სეფიანთა ირანის ტახტის მემკვიდრის დიდი ნდობა და პატივისცემა მოუხვეჭია.

ისმაილ-მირზამ დაიყოლია ქართლის მეფე, რომ გამაჰმადიანებულიყო. შეჰფიცა, როგორც კი თავისუფლებას მომანიჭებენ და ტახტზე ამიყვანენ, გულუხვად დაგასაჩუქრებ და სამშობლოში მეფედ გაგისტუმრებო. სვიმონმა ქედი მოიხარა და მოჩვენებითად გამაჰმადიანდაო.

მაგრამ გამაჰმადიანებას ვინლა ჩივის, როდესაც სწორედ ალამუთის საპყრობილეში მიეჩვია აღმოსავლეთის ქვეყნებში ფართოდ გავრცელებულ თრიაქს ანუ ოპიუმს (ქართულად „აფიონს" ეძახდნენ). ალბათ, ისმაილ-მირზა ეტანებოდა ნარკოტიკს და „ისლამის ბედნიერებასთან" ერთად ამ მავნე ჩვევასაც აზიარა ქართველი მეფე.

ზემოხსენებული ოლეარიუსი წერს, რომ სპარსელთა მტკიცებით, თრიაქი უწყინარ კაცსაც კი საბრძოლველად განაწყობსო, უბრალო მოკვდავს უჩვეულო სიმამაცეს და სულიერ მხნეობას უნერგავსო. სახელოვან სვიმონ მეფეს ერთიც უხვად მოსდგამდა და მეორეც, მაგრამ ხანგრძლივი ტყვეობის სიმძიმილმა აიძულა გაესინჯა აღმოსავლური სატყუარა. ერთხელ გასინჯა, ხანმოკლე ნუგეში ჰპოვა და ველარ დაანება თავი. ჯადო-წამლით თავის შექცევა დაუძლეველ ჩვეულებად და მოთხოვნილებად ექცა.

## და მაშინ დაგმეს მეფე

ქართლის მეფე ოსმალთა ხელში მოქცეულ გორის ციხეს გაჰყურებდა და თრიაქით გაბრუებული გორის ბოსტნებში ახალმოსულ მწვანილს ნატრობდა.

როგორ გაანბილებდნენ!

სწრაფად დაეშვნენ ბოსტნებისაკენ და დაკრიფეს ქორფა მწვანილი.

ოსმალო მეციხოვნეებს, რა თქმა უნდა, არ

# მტრის ბანაკში ელჩად გადაცმული შევიდა დელი-სვიმონი



გამოეპარებოდათ ქართველთა რეიდი. დაუყოვნებლივ ისარგებლეს ხელსაყრელი შემთხვევით და გორის ციხიდან თოფ-ზარბაზნების გრიალი ატყდა.

ისროლეს მრავალი და ამოწყვიტეს ქართველნი მრავალნიო, — გვამცნობს ქართული წყარო. დალუპულან დიდნი და მცირენი, და მათ შორის — გოჩა ბატონიშვილი, პაპის ძმისწული სვიმონ მეფისა.

ასე იაფად, ალბათ, არასოდეს დაღვრილა ქართული სისხლი. ამოწყდნენ არა სამშობლოსათვის, არამედ — მწვანილისათვის. რაოდენ შემაძრწუნებელი სურათია: რჩეულნი რჩეულთაგან იღუპებიან მხოლოდ და მხოლოდ საიმისოდ, რომ მეფემ ქორფა მწვანილით გაიგრილოს თრიაქისაგან გამშრალი პირი.

მართალია, ახირებული წადილი უყოყმანოდ შეუსრულეს, მაგრამ მწვანილისათვის უხვად დაღვრილ სისხლს იოლად ვერ აპატიებდნენ.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „მოართვეს მწვანილი მეფესა და აყვედრეს მოწყვეტა სპათა მისთვის".

ბერი ეგნატაშვილი გულისტკივილითა და აღშფოთებით აღნიშნავს: „და მაშინ დაგმეს მეფე სვიმონ უჭკუობაზედ, რომ მწვანილისათვის ამდენი კარგი კაცი ამოსწყვიტეს".

დასძენს: დელი-სვიმონი ტყუილად არ შეურქმევიათო. თრიაქმა მართლაც შეშალა ჭკუიდან და გაუგონარი დანაშაული ჩაადენინა.

ქართველი მემატიანენი მოურიდებლად ძრახავენ თრიაქით გაბრუებულ მეფეს, მაგრამ, ამავე დროს, მჭევრმეტყველი ქებით ამკობენ მის თავგანწირულ ბრძოლას მტერთან, რამაც უნდა გადაწონოს ის ერთი უმძიმესი ცოდვა.

სვიმონ მეფის მრავალნი საქმენი საგმირონია გვკარნახობენ, რომ შენდობა ვუთხრათ და მივუტევოთ.

მწვანილი მოშივდაო. სინამდვილეში, ეგებ ნამდვილი მეფობა მოშივდა. რასაკვირველია, ეთაკილებოდა, რომ თავის სამეფოში, თავისი ქვეყნის შუაგულში თავის ნებაზე ფეხის გადადგმა არ ძალუძდა. გორის ბოსტნებში მოსული მწვანილი ხელმიუწვდომელი რად უნდა ყოფილიყო ქართლის მეფისათვის?!

გამართლება რა სათქმელია, ვერ გაამართლებ, მაგრამ განა არ შეიძლება, რომ გაუგო?

იგემა კი ესოდენ ძვირად დამჯდარი ნობათი თუ გამოაფხიზლა საკუთარი ნება-სურვილით დატრიალებულმა ტრაგედიამ? ვინ იცის, ეგებ სამუდამოდ შეზიზღდა მწვანილიცა და თრიაქით განცხრომაც.

## ხმალიც უჭრიდა და ჭკუაც

სვიმონ მეფეს მტერმა „დელი-სვიმონი" შეარქვა. ასე ეძახდნენ ყიზილბაშებიც და ოსმალებიც.

თურქულ ენაზე და ამავე ენის თურქმანულ დიალექტზეც, ყიზილბაშთა დედაენა რომ იყო, სიტყვა „დელი" ნიშნავს გახელებულს, ჭკუიდან შეშლილს, მაგრამ ხანდახან სხვა მნიშვნელობასაც ანიჭებდნენ — გულადიო, უანგარიშოდ გამბედავიო, თავზე ხელაღებულიო...

ყიზილბაშებიც და ოსმალებიც „დელი-სვიმონს" ეძახდნენ და ამით გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას და გაოცებას, მოწიწებასა და შიშსაც სახელოვანი მეტოქის ვაჟკაცობის წინაშე.

სვიმონ მეფეს, ალბათ, ეამაყებოდა ეს ორიგინალური მეტსახელი.

ხან ყიზილბაშებს ეომებოდა, ხანაც ოსმალებს. ვინც მისი ქვეყნის დაპყრობას ლამობდა, იმას ეომებოდა მკლავმოუღლელად და თავდაუზოგავად.

არაერთი ომი გადაუხდია, გამარჯვების სიტკბოც უგემია და დამარცხების სიმწარეც. მაგრამ ომში უკანდახევა არ სჩვეოდა. სასტიკად ეჯავრებოდა გაქცევა ბრძოლის ველიდან.

თავგამეტებით ერკინებოდა თუნდაც მრავალრიცხოვან მტერს. ამბობდა: ღვთის წინაშე ცოტა და ბევრი სწორი არისო. არაერთხელ წარბშეუხრელად გაუსწორებია თვალი სიკვდილისათვის.

თავის მეომრებს ასე ამხნევებდა: თქვენ მგელს ემგვანენითო და ისინი ცხვართ ამგვანეთო.

კოხტად და კისკასად ჩაებმებოდა ბრძოლაში. თვისტომთ ხმამაღლა მოუწოდებდა: „დაჰკა აი ამათა!" და მტერი ვერ უძლებდა მისი შუბის ძგერებას.

„დელი-სვიმონი" ერქვა და აბა რა ექნა!

ფარსადან გორგიჯანიძე გვაუწყებს: „მეფემ სვიმონ გარდასდვა თავი. ხონთქრის გასაჯავრებლად და ყაენის საამებლად იქნია ხმალი და მრავალი ურუმი დახოცა".

1582 წელს მუხრანის ველზე სასტიკად დაამარცხა მომხდურნი. ოსმალო ფაშა დატყვევებას ბეწვზე გადარჩაო, — ვკითხულობთ „ქართლის ცხოვრებაში". ხოლო ოსმალო მელექსე წერს: იმ ჯარიდან მეათედიც ვერ გადარჩაო. რა არის ამის მიზეზიო? — გაოცებით წარმოთქვამს და, ცხადია, უკვირს, რომ ლამის ნახევარი ევროპის ბატონ-პატრონ ოსმალთა მოზრდილ ჯარს ქართველებმა შეჰბედეს, შეებრძოლნენ და დაამარცხეს კიდეც.

სვიმონ მეფეს ხმალზე არანაკლებ უჭრიდა ჭკუა. როდესაც ოსმალეთის ხონთქარმა კიდევ ერთხელ გამოგზავნა ლაშქარი საქართველოში, სვიმონმა დაუყოვნებლივ გასწია მტრისაკენ, რომელიც ხატის-სოფლის ბოლოზე დაბანაკებულიყო, მდინარე ხრამის პირას.

ბერი ეგნატაშვილის სიტყვით, „მაშინ მოიხელოვნა და მოირთო ელჩად მეფე სვიმონ და მივიდა ფაშასთანა".

ელჩად გადაცმულმა სვიმონ მეფემ ფაშას მოახსენა სვიმონ მეფის შემონათვალი: შევრიგდეთ და მშვიდობა ჩამოვაგდოთო, ჩემი დამორჩილების ამბავი დიდებულ ხონთქარს სასწრაფოდ აუწყეთო.

საფუძვლიანად დაზვერა ოსმალთა სამხედრო ბანაკი. ყველაფერი კარგად დაიმახსოვრა: სიმრავლე და განლაგება მეომართა, იარალი და სიმაგრეები...

მშვიდობიანად დაბრუნდა თავისიანებთან. იმავე ღამით შემოუარეს ხატის-სოფლის გორას და მოულოდნელად, სულ სხვა მხრიდან, გარიჟრაჟზე თავს დაესხნენ ოსმალებს და მარცხი აგემეს.

...„მაშინ მოიხელოვნა და მოირთო ელჩად მეფე სვიმონ და მივიდა ფაშასთანა"...
...საფუძვლიანად დაზვერა ოსმალთა სამხედრო ბანაკი...
...ქართველ მეფეთაგან, ვგონებ, არავის დასიზმრებია მტრის ბანაკში მზვერავად წასვლა...

ქართველ მეფეთაგან, ვგონებ, არავის დასიზმრებია მტრის ბანაკში მზვერავად წასვლა.

„დელი-სვიმონი" ერქვა და აბა რა ექნა!

სვიმონ მეფის სიცოცხლეშივე იქმნებოდა თქმულებანი, ხალხის სიყვარულს რომ გამოხატავდა...

1590 წელი იდგა. ქართლში ბრუნდებოდა მარცხიანი ლაშქრობიდან. სოფელ კავთისხევში დაუღამდა. გლეხის ოჯახს ესტუმრა. დაღლილი იყო და მოსვენება ენატრებოდა. გლეხის ცოლმა ვერ იცნო მეფე, კარგად კი გაუმასპინძლდა. მერე მეფის და მისი ლაშქრის ამბავი ჰკითხა. სვიმონმა უთხრა, მეფე მშვიდობით გადარჩაო. ქალმა ახლა თავისი ქმრისა და შვილების ამბავი ჰკითხა, აუწერა მათი შესახედაობა. მეფეს ტყუილის თქმა გაუჭირდა და მხრები აიჩეჩა, მაგათი ამბავი არ ვიციო. ვერ აწუგეშა ქალი. მაშინ იმ კავთისხეველმა დედაკაცმა ასე მოახსენა სვიმონს: რაკი ჩვენი მეფე ცოცხალი ყოფილა, ჩემი ქმარიც და ჩემი შვილებიც იმისი ჭირის სანაცვლო იყოსო.

თითქოს მთელი ქვეყნის სათქმელს ამბობდა.

...თანამედროვე ინგლისელი მკლევარი უილიამ ალენი წერს: „დელი-სვიმონი იყო ყველაზე ღირსშესანიშნავი პიროვნება ქართველ მეფე-მთავართა შორის XVI საუკუნეში. მან მრავალგზის დაამარცხა ოსმალები და თავის საბოლოო მიზნად ისახავდა ძველი საქართველოს სამეფოს მიწა-წყლის ხელახლა გაერთიანებას".

## სიკვდილისათვის ვარ გაჩენილიო

ცხრა თვე გრძელდებოდა გორის ციხის ალყა. 1599 წლის გაზაფხულზე, დიდმარხვა რომ დადგა, სვიმონ მეფის ჯარი შემოეცალა ციხეს. ოსმალებმა სიფრთხილეს უკლეს და ერთ მშვენიერ ღამეს ქართველებმა მედგარი იერიშით აიღეს გორის ციხე.

შეშფოთებული ხონთქრის ბრძანებით, თავრიზის ბეგლარბეგი ჯაფარ-ფაშა დიდძალი ლაშქრით შემოესია საქართველოს.

ფარსადან გორგიჯანიძე შენიშნავს: ძველთაგანვე ალგეთზე ომი ქართველთათვის ავად დაცდილი არისო. მაგრამ სვიმონ მეფე ამას არ შეეპუა, არც დამხმარე ძალებს დაელოდა და ჯიქურ შეეგება მტერს.

ოსმალნი ისე ბევრნი იყვნენ, ხელიც რომ არ გამოეღოთ და ქართველებს ათი დღე ეომათ, ერთიანად ვერ ამოულეტდნენო.

ქართველები უზომოდ დაღლილან მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლით. მეფეს შევედრებიან, უკან გავბრუნდეთო და ძლივს დაუყოლიებიათ.

ვიწრო გზაზე რომელიღაც მეომარმა მეფის ცხენს უნებურად თავისი ცხენი შეაძგერა და „დელი-სვიმონი" ცხენიანად გაუვალ ტალახში ჩაეფლო. სცადეს, სამშვიდობოზე გამოეყვანათ, მაგრამ ვერ მოახერხეს. ამასობაში ოსმალები მოუახლოვდნენ საბედისწერო ადგილს. სვიმონი მუხლის თავამდე ტალახში იყო ჩაფლული და ისრებით უმასპინძლდებოდა მტერს.

ოსმალთა ჯარში მყოფმა გამაჰმადიანებულმა ბარათაშვილმა იცნო მეფე და მისი ამბავი ჯაფარ-ფაშას მოახსენა. მან კი ბრძანა, ისარი ან თოფი არავინ ესროლოსო, ტალახი გაჭრან და მეფე გამოიყვანონო.

ბარათაშვილი ეახლა მეფეს და უთხრა: ტყუილად იბრძვი, აღარაფერი გეშველებაო. თქვენი ცოცხლად დარჩენა გვინდა, თორემ თოფს გესვრიან და მოგკლავენო.

გაჯავრებულმა სვიმონ მეფემ უპასუხა: სიკვდილით როგორ მაშინებ, მე სიკვდილისთვის ვარ გაჩენილიო.

ბარათაშვილმა ტკბილი სიტყვით მოულბო გული: რაც დღეს შენ ჰქენი, ვახტანგ გორგასალს არ უქნიაო.

მეფეს ეამა და თქვა: ცოცხალი ჯაფარ-ფაშას მეტს არავის დავნებდებიო.

დამარცხებულმა ასე მიმართა გამარჯვებულს: ნეტაი დედათქვენსაო, რომ ჩემისთანა ნადირი ინადირეო.

ჯაფარ-ფაშამ სპარსული ლექსი შეახსენა: თუ მოხერხებული ჩიტი ბადეში მოხვდა, უნდა მოთმინება იქონიოსო.

სვიმონ მეფემ ხელები გაშალა და თქვა: რომ არ მოვითმინო, სხვა რა გზა მაქვსო.

სტამბოლს ჩაიყვანეს და იედი-კულეს ციხეში მიუჩინეს ბინა.

„დელი-სვიმონის" დატყვევების აღსანიშნავად ოსმალეთის დიდ ქალაქებში სამდღიანი ზეიმი გამოცხადდა.

ქართლის მეფე ველარ ეღირსა ქართლში დაბრუნებას და საპყრობილეში დალია სამშობლოსათვის ტანჯული სული.

*თამაზ ნატროშვილი*

მუდამ ეთერში

105'9 FM

სხვადასხვაგვარი მაგიდის კალენდრები ყოველი საწერი მაგიდისთვის

საბითუმო ფასებში ნაღდზე და გადარიცხვით

მინიმალური რაოდენობა — 10 ცალი

ფასი 70 თეთრიდან

აკურის ქ.8 (სპორტის სასახლის უკან) ტელ: 33-78-07

2000

## ძოძუაშვილმა ნაკრების კანდიდატები დაასახელა

საქართველოს ნაკრების ორი მთავარი მწვრთნელიდან ერთ-ერთმა — რევაზ ძოძუაშვილმა დაასახელა ეროვნული გუნდის 30 კანდიდატი ფეხბურთელი, რომელთაგანაც მწვრთნელთა დუეტი 18 საუკეთესოს ამოარჩევს და კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე იახლებს, სადაც ჩვენს გარდა კიდევ 7 ქვეყნის ნაკრები იასპარეზებს. კვიპროსის ტურნირი ყიფიანისა და ძოძუაშვილის ერთობლივი მუშაობის პირველი სერიოზული გამოცდა იქნება. ეროვნული ნაკრების კანდიდატთა სია კი ასე გამოიყურება.

**მეკარეები:** ნიკა ტოგონიძე („ბათუმი"); **სოსო გრიშიკაშვილი** („დინამო"); **დავით გვარამაძე** („კრილია სოვეტოვი").

**მცველები:** **კახი კალაძე** („დინამო"); **გელა შეყილაძე** („ლიერსი"); **ვახტანგ ხვადაგიანი** („ტორპედო"); **ედიკ საჯაია** („ვიტ ჯორჯია"); **ლევან სილაგაძე, მამუკა წერეთელი** („ალანია"); **გივი დიდავა, მურთაზ შელია, ოთარ ხიზანეიშვილი** („დინამო"); **ზურაბ მენთეშაშვილი** („სკონტი").

**ნახევარმცველები:** **გიორგი ქინქლაძე** („დერბი"); **თემურ ქეცბაია** („ნიუკასლი"); **გოგა გახოკიძე** („მაკაბი"); **გოჩა ჯამარაული** („ციურიხი"); **რატი ალექსიძე, თენგიზ სიჭინავა, ზურაბ ხიზანიშვილი, გიორგი ნემსაძე** („დინამო").

**თავდამსხმელები:** **მიხეილ ყაველაშვილი** („ციურიხი"); **არჩილ არველაძე** („ბრედა"); **ზაზა ჯანაშია** („ლოკომოტივი" მ.) **ზურაბ იონანიძე** („ტორპედო"), **გიორგი დემეტრაძე** („დინამო" კ.); **დავით ჩალაძე** („სკონტო"); **გიორგი ქორიძე** („ვიტ ჯორჯია").

კვიპროსზე წამსვლელთა ვინაობა იანვრის ბოლოს გახდება ცნობილი, ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ თავად ტურნირი 31 იანვარს აიღებს სტარტს და მასში ჩვენი ნაკრების გარდა, კვიპროსის, რუმინეთის, ლატვიის, უკრაინის, მოლდოვას, სლოვაკეთისა და ლიტვის გუნდები იასპარეზებენ.

## „კორინტიანსი" კლუბთა შორის მსოფლიო ჩემპიონია

ბრაზილიაში დასრულდა მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონატი, რომლის მთავარი ინიციატორიც ფიფა გახლდათ. მიუხედავად იმისა, რომ ორი-სამი მატჩი მართლაც დიდებული საფეხბურთო სანახაობა გამოდგა, მთლიანობაში ჩემპიონატმა ალბათ მაინც ვერ გაამართლა. ჯერ ერთი, ვარაუდობდნენ, რომ ისეთ ქვეყანაში, როგორიც ბრაზილიაა, ყველა მატჩი სრული ანშლაგით ჩაივლიდა, ანშლაგი კი არა, რამდენიმე შეხვედრაზე ტრიბუნები სანახევროდაც არ შევსებულა, მაინც და მაინც არც ახალი ტალანტები გამოუვლენია ამ ტურნირს. აშკარად დასახვეწია თავად ჩემპიონატის ჩატარების სისტემა. თავად განსაჯეთ, ისეთი „ხმამაღალი" დასახელების ტურნირში, როგორიც „კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატია", არ მონაწილეობდა მსოფლიოს უძლიერესი ლიგის, იტალიის სერია A-ს არც ერთი გუნდი. ის, რომ ბრაზილიის „კორინტიანსმა" ფინალში თავისივე ქვეყნის კიდევ ერთ წარმომადგენელს — „ვასკუ და გამას" სძლია, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი დარი გუნდები მსოფლიოში აღარ მოიძებნება. „მილანი", „ინტერი", „ბარსელონა", „ბაიერნი", „ლაციო" და ა.შ. ის კლუბებია, რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებიან აღნიშნული ტურნირის ფინალისტებს. ყოველივე აქედან გამომდინარე, ტურნირი თავისსავე სახელს ვერ ამართლებს და თუ მეტად არ დაიხვეწა, დიდი მომავალი არ უწერია. არც საპრიზო ფონდი ყოფილა ისეთი, რომ იმ კლუბებს, რომლებიც თითო ფეხბურთელში 50-60 მილიონ დოლარს იხდიან, ფიფას დანესებული 6 მილიონისათვის „თავი მოეკლათ".



რაც შეეხება თავად ჩემპიონატს, მოგეხსენებათ ტურნირში სულ 8 გუნდი მონაწილეობდა, რომლებიც ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. A ჯგუფს შეადგენდნენ ბრაზილიის „კორინტიანსი", მადრიდის „რეალი", არაბული „ალ ნასარი" და მაროკოს „რაჯა". B ჯგუფში კი ბრაზილიის „ვასკუ და გამა", „მანჩესტერ იუნაიტედი", მექსიკის „ნეკაქსა" და ავსტრალიის „საუტ მელბურნი" გამოდიოდნენ. ჯგუფებში მეორე ადგილზე გასულ გუნდებს მესამეადგილოსნის ვინაობა უნდა გაერკვიათ, ჯგუფებში გამარჯვებულებს კი — ტურნირის ჩემპიონისა.

მოგეხსენებთ მესამე ადგილისათვის მადრიდის „რეალი" მექსიკის „ნეკაქსასთან" პენალტების სერიით დამარცხდა. ფინალში კი ერთმანეთის პირისპირ ბრაზილიური კლუბები — „კორინტიანსი" და „ვასკუ და გამა" წარსდგნენ. უაღრესად ნერვულ ატმოსფეროში ჩავლილი მთელი 90 წუთი უგოლოდ დასრულდა და საქმე პენალტების სერიამდე მივიდა. მაშინ, როდესაც ანგარიში 4:3 იყო „კორინტიანსის" სასარგებლოდ და ერთი დარტყმა ჰქონდა დარჩენილი „ვასკუს", ბურთთან ედმუნდო მივიდა. ამ უკანასკნელისა და რომარიოს დუეტი უდავოდ ჩემპიონატის მშვენება გახლდათ. ედმუნდოს დარტყმული პენალტი მოწინააღმდეგის კარს აცდა და ასე დაიბადა მსოფლიოს პირველი საკლუბო ჩემპიონი — „კორინტიანსი".

*სტატისტიკის მოყვარულებს კი ვთავაზობთ ტურნირის ყველა მატჩის ტექნიკურ შედეგებს:*

**A ჯგუფი**

5 იანვარი. სან პაულუ
რეალი-ალ ნასარი 3:1
კორინტიანსი — რაჯა 2:0
7 იანვარი, სან პაულუ
რაჯა-ალ ნასარი 3:4
რეალი-კორინტიანსი 2:2
10 იანვარი. სან პაულუ
რეალი-რაჯა 3:2
კორინტიანსი — ალ ნასარი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კორინტიანსი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-2 | 7 |
| 2. რეალი | 3 | 2 | 1 | 0 | 8-5 | 7 |
| 3. ალ ნასარი | 3 | 1 | 0 | 2 | 5-8 | 3 |
| 4. რაჯა | 3 | 0 | 0 | 3 | 5-9 | 0 |

**B ჯგუფი**

6 იანვარი. რიო-დე-ჟანეირო
მანჩესტერი — ნეკაქსა 1:1
ვასკუ და გამა — საუტ მელბურნი 2:0
9 იანვაარი. რიო-დე-ჟანეირო
მანჩესტერი — ვასკუ და გამა 1:3
ნეკაქსა — საუტ მელბურნი 3:1
11 იანვარი, რიო-დე-ჟანეირო
მანჩესტერი — საუტ მელბურნი 2:0
ვასკუ და გამა — ნეკაქსა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვასკუ და გამა | 3 | 3 | 0 | 0 | 7-2 | 9 |
| 2. ნეკაქსა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| 3. მანჩესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| 4. საუტ მელბურნი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:7 | 0 |

**მატჩი მესამე ადგილისათვის**
14 იანვარი. რიო-დე-ჟანეირო
რეალი-ნეკაქსა 1:1 (პენ 3:4)

**ფინალი**
15 იანვარი. რიო-დე-ჟანეირო
ვასკუ და გამა-კორინტიანსი 0:0 (პენ. 3:4).

## «ჩელსის» ალექსიძის შეძენა სურს

შესაძლოა, თემურ ქეცბაიასა და გიორგი ქინქლაძეს პრემიერლიგაში კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი — თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი რატი ალექსიძე შეემატოს, რომლის მიმართაც დაინტერესება გამოთქვა ინგლისური ფეხბურთის ერთ-ერთმა ლიდერმა, ლონდონის „ჩელსიმ". ალექსიძე სამი წლის წინ ვარჯიშობდა „ჩელსის" ახალგაზრდულ გუნდში, შემდეგ კი საქართველოში დაბრუნდა და ამ ხნის განმავლობაში თბილისის „დინამოში" გამოდიოდა. უკანასკნელ ხანს საუბარი იყო მის გადასვლაზე ვლადიკავკაზის „ალანიაში", თუმცა საშობაოდ უკეთესი ვარიანტიც გამოჩნდა — ქართველს ლონდონიდან შეეხმიანენ და ოფიციალურად გამოთქვეს ალექსიძის შეძენის სურვილი. თუმცა მოგეხსენებათ, ინგლისის შრომის დეპარტამენტი ბრიტანეთში სამუშაო ვიზას არც თუ იოლად იძლევა. იქაურმა ჩინოვნიკებმა დაადგინეს, რომ რატის ეროვნულ ნაკრებში, მატჩების 75%-ში არ უასპარეზია. ეს კი იქაური კანონებით იმას ნიშნავს, რომ ფეხბურთელი პრემიერლიგაში თამაშის უფლებას ვერ მიიღებს. თუმცა, გამონაკლისებიც დაშვებულა. „ჩელსის" ხელმძღვანელობამ აპელაციით მიმართა შრომისა და დასაქმების დეპარტამენტს და არგუმენტად ის წარუდგინა, რომ ალექსიძეს თითქმის ყოველთვის იწვევდნენ ეროვნულ გუნდში, მაგრამ უფრო ხშირად ახალგაზრდულ ნაკრებში ათამაშებდნენ. აპელაცია 21 იანვარს განიხილება და საბოლოო პასუხსაც მაშინ შევიტყობთ, მანამდე კი „ჩელსის" იტალიელმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ განაცხადა, — კარგად ვიცნობ ალექსიძის შესაძლებლობებს და ასეთი ფეხბურთელი „ჩელსის" დღეს ძლიერ ესაჭიროებაო. ვიალი ინგლისში ფრიად პატივსაცემი კაცია და გამორიცხული არ გახლავთ, ინგლისელმა კანონმდებლებმა მისი მოთხოვნა დააკმაყოფილონ.



## ტრანსფერები იშლება?

ჩაიშალა საქართველოს ნაკრების კაპიტნის გიორგი ნემსაძის გადასვლა სამარის „კრილია სოვეტოვში", სადაც სამი ქართველი ფეხბურთელი — დავით გვარამაძე, ზურა ფოფხაძე და მამუკა ნიკლაური თამაშობენ. „კრილიას" მწვრთნელმა სტარუხინმა ნემსაძის აყვანა მას შემდეგ გადაიფიქრა, რაც აზერბაიჯანელი კასიმოვი შეიძინა და უკვე კონტრაქტიც გაუფორმა. ჩვენი ნაკრების კაპიტანი კი კვლავ უკლუბოდაა, შეგახსენებთ, რომ მას შემდეგ, რაც ნემსაძის ყოფილმა კლუბმა „რეჯინამ" იტალის სერია B დატოვა, ქართველი ფეხბურთელი თბილისში დაბრუნდა და ამჟამად „დინამოსთან" ერთად ვარჯიშობს.

მეტად საეჭვო გახდა კახი კალაძის გადასვლა იტალიის „მილანში". შეგახსენებთ, რომ საახალწლოდ ზოგიერთმა საინფორმაციო წყარომ გაავრცელა ცნობა, რომ კალაძე უახლოეს მომავალში შეუერთდებოდა იტალიის ჩემპიონს. საქმე ის გახლავთ, რომ „მილანმა" „ბოლონიადან" შეიძინა იტალიური წარმოშობის არგენტინელი მცველი ფაბრიციო კოლოჩინი, აქედან გამომდინარე ძაკერონის გუნდს არაევროკავშირული ქვეყნიდან ფეხბურთელის შეძენის უფლება არა აქვს. თუმცა არის კიდევ ერთი ვარიანტი, თუ კოლოჩინი ორმაგ მოქალაქეობას მიიღებს, იგი ლეგიონერად აღარ ჩაითვლება და კალაძის ტრანსფერი ისევ შესაძლებელი გახდება. შეგახსენებთ, რომ „მილანს" კიევის „დინამოდან" სერგეი რებროვის ყიდვაც ჰქონდა გადაწყვეტილი.

## დინამო დააქვეითეს

22 იანვარს მოსკოვში სტარტს აიღებს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის თასის მორიგი გათამაშება, სადაც ყოფილი საბჭოეთის რესპუბლიკების სხვა ჩემპიონებთან ერთად თბილისის „დინამოც" იასპარეზებს. ჩვენი ჩემპიონი ამ ტურნირზე შარშან მეტად სამარცხვინოდ გამოვიდა და ამიტომ წელს ე.წ. მეორე ლიგაში მოუწევს თამაში. ტურნირის ორგანიზატორებმა „დინამო" D ჯგუფში გაამწესეს, სადაც ჩვენებთან ერთად დუშანბეს „ვარზობი", პავლოდარის „ირტიში" და ბიშკეკის „დინამო" ითამაშებენ. ამ ჯგუფში გამარჯვებას რომ დიდი ფასი ჰქონდეს, ზემოთ ნახსენებ მეტოქეებზე უკეთესს ვერც ინატრებ, ვერ გეტყვით, რამდენად წაადგება ასეთ „პრესტიჟულ" გუნდებთან თამაში ჩვენს ჩემპიონს, რომელიც ტურნირს 22 იანვარს დაიწყებს ბიშკეკის „დინამოსთან", 23-ში, „დინამო" „ვარზობს" დაუპირისპირდება, 25-ში კი — „ირტიშს". იმედია გაისად უფრო ძლიერ გუნდებთან მოგვიწევს თამაში. სხვა ჯგუფების შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:

**A ჯგუფი**

სპარტაკი (რუსეთი), ჟალგირისი (ლიტვა), ზიმბრუ (მოლდოვა) ქაფაზი (აზერბაიჯანი)

**B ჯგუფი**

დინამო (უკრაინა), ბატე (ბელორუსი), სკონტო (ლატვია), შირაქი (სომხეთი)

**C ჯგუფი**

დუსტლიკი (უზბეკეთი), ლევადია (ესტონეთი), ნისა (თურქმენეთი), რუსეთის ახალგაზრდული ნაკრები (უკონკურსოდ).

ტურნირის საპრიზო ფონდი 100.000 დოლარია.

## «მილანმა» ვეა ინგლისელებს ათხოვა

### ლიბერიელმა პირველივე მატჩში გადამწყვეტი გოლი გაიტანა



იტალიის ჩემპიონმა „მილანმა" სეზონის ბოლომდე ლონდონურ „ჩელსიში" გაანათხოვრა კლუბის ლიბერიელი ფორვარდი, 1995 წლის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი ჯორჯ ვეა. მას შემდეგ, რაც „მილანმა" უკრაინელი ანდრეი შევჩენკო და ესპანელი ხოსე მარი შეიძინა, ფაქტობრივად, ვეა მეხუთე თავდამსხმელად იქცა გუნდში, ძირითად შემადგენლობაში ადგილიც დაკარგა და თავად გამოთქვა გუნდის დატოვების სურვილი. თავდაპირველად, მისი შეძენის მთავარ კანდიდატად მარსელის „ოლიმპიკი" ითვლებოდა და იტალიურმა გაზეთებმა ისიც კი დაწერეს, — ლიბერიელმა კარიერის დასრულება საფრანგეთში გადაწყვიტაო, თუმცა „ჩელსის" ხელმძღვანელებმა სულ რაღაც ერთ დღეში დაითანხმეს მილანელი კოლეგები და ვეა გადაიბირეს, მიზეზიც ნათელია — „ჩელსის" ხუთი ძირითადი თავდამსხმელიდან მხოლოდ ნორვეგიელი ფლო თამაშობს სტაბილურად, სატონი და ფორსელი ტრავმირებულნი არიან, კაზირაგი მხოლოდ გაზაფხულზე განაახლებს ვარჯიშს, მეორე იტალიელი ჯან ფრანკო ძოლა კი უკვე ვეტერანად ითვლება და უჭირს, ერთდროულად გამოვიდეს პრემიერლიგაში, ინგლისის თასისა და ჩემპიონთა ლიგის გათამაშებებში. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგაში ვეა „ჩელსის" ღირსებას ვერ დაიცავს, რადგან წელს ამავე ტურნირში „მილანის" რიგებში გამოდიოდა. ვეას დებიუტი „ჩელსიში" 13 იანვარს შედგა და შთამბეჭდავი გამოდგა. „ჩელსისა" და „ტოტენჰემის" შეხვედრაში ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვეს მასპინძლებმა, ვეამ მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე „ტოტენჰემს" თავით გაუტანა გოლი და ახალ გუნდს სამი ქულა შეჰმატა.

## ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელები

*პოპულარულმა გერმანულმა საფეხბურთო ჟურნალმა „კიკერმა" ოფიციალურად გამოაქვეყნა მსოფლიოს 10 უძვირფასესი ფეხბურთელის სია.*

1. **კრისტიან ვიერი** (იტალია)
ლაციო — ინტერი — 91(მლნ მარკა)
2. **ნიკოლა ანელკა** (საფრანგეთი)
არსენალი — რეალი — 66
3. **მარსიო ამორუზო** (ბრაზილია)
უდინეზე — პარმა — 64
4. **დენილსონი** (ბრაზილია)
სან პაულუ — ბეტისი — 62
5. **ხუან სებასტიან ვერონი** (არგენტინა)
პარმა — ლაციო — 53
6. **ვინჩენცო მონტელა** (არგენტინა)
სამპდორია — რომა — 50
7. **რონალდო** (ბრაზილია)
ბარსელონა — ინტერი — 48
8. **რივალდო** (ბრაზილია)
დეპორტივო — ბარსელონა — 47
9. **დარკო კოვაჩევიჩი** (იუგოსლავია)
სოსიედადი — იუვენტუსი — 41
10. **ანდრეი შევჩენკო** (უკრაინა)
დინამო (კ) — მილანი — 41

## მილუტინოვიჩი ჩინეთის ნაკრების მწვრთნელია



უკანასკნელი ორი ათწლეულის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი სერბი ბორა მილუტინოვიჩი ამიერიდან ჩინეთის ეროვნულ ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. იუგოსლავმა სპეციალისტმა მსოფლიო პოპულარობა მას შემდეგ მოიპოვა, რაც უაღრესად საპატიო შედეგებს მიაღწია მექსიკის, კოსტა რიკის, აშშ-ის და ნიგერიის ეროვნულ ნაკრებებთან მუშაობისას. შეგახსენებთ, რომ მილუტინოვიჩის ხელმძღვანელობით მექსიკის ნაკრებმა 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე მეოთხედფინალს მიაღწია, ფინალური სტადიის ჯგუფური ტურნირის ბარიერი დაძლია 1990 წელს მილუტინოვიჩის განვრთნილმა კოსტა რიკის ნაკრებმა, მერვედფინალში გავიდა და მსოფლიოს მომავალ ჩემპიონთან 0:1 წააგო 1994 წელს აშშ-ის გუნდმა, მერვედფინალში გავიდა აგრეთვე უკანასკნელ მსოფლიო ჩემპიონატზე ნიგერიის ნაკრები.

„ჩემს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი წინადადება მივიღე" — განაცხადა მილუტინოვიჩმა, „ჩინეთის ნაკრებს არასოდეს უთამაშია მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაზე, ამიტომ მომავალი სამუშაო მეტად საინტერესოდ მესახება, დიდი ამოცანების გადასაჭრელადდ გუნდს აუცილებლად გამოცდილი მწვრთნელი ესაჭიროება, ჩემი ხელმძღვანელობით სხვადასხვა გუნდებს 229 საერთაშორისო მატჩი აქვს ჩატარებული. ვფიქრობ, რომ ეს მთავარი მიზეზია იმისა, რომ ჩინეთის ნაკრები მანდეს".

მილუტინოვიჩის წინამორბედის — ინგლისელი ბობი ჰაპტონის ხელმძღვანელობით ჩინელებმა ოლიმპიადის საგზური ვერ მოიპოვეს და ბრიტანელი სპეციალისტი შინ გაისტუმრეს, ახალი მწვრთნელზე კი უდიდეს იმედებს ამყარებენ.

## ანელკა ფეხბურთს ორი-სამი თვით ჩამოშორდა

მადრიდის „რეალის" ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი ფრანგი ნიკოლა ანელკა, რომელმაც ბრაზილიაში დასრულებულ კლუბთა მსოფლიო ჩემპიონატზე 3 გოლი გაიტანა, უახლოეს დღეებში საოპერაციო მაგიდაზე დაწვება; ქირურგიული ჩარევის შემდეგ კი მინიმუმ ორი თვის განმავლობაში გაივლის სარეაბილიტაციო კურსს. შეგახსენებთ, რომ ფრანგმა ფეხბურთელმა „რაჯასთან" შეხვედრაში მძიმე ტრავმა მიიღო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ესპანეთის ჩემპიონატის პირველ ნახევარში ანელკას „რეალში" თავი არაფრით გამოუჩენია და უახლოესი ორი-სამი თვის მანძილზე საერთოდ ვეღარ ითამაშებს, შეიძლება ითქვას, რომ „რეალში" გატარებული პირველი სეზონი ანელკასთვის მეტად უიღბლო გამოდგება.

*მოამზადა მათე კბილაძემ.*

## №2 (171) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 553 მკითხველი გამოეხმაურა. 4 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 174-მა ქალმა და 375-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„ბლოკი „საქართველოს აღორძინების“ რომელი წევრისადმი ხართ კეთილგანწყობილი ყველაზე მეტად?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, მკითხველთა უმრავლესობა ყველაზე მეტად ჯუმბერ პატიაშვილისადმია კეთილგანწყობილი. **6,92** საშუალო ქულით იგი პირველ ადგილზეა. მიუხედავად ამისა, ყველაზე მეტი მაქსიმალური ქულით მკითხველმა ასლან აბაშიძე შეაფასა, მას რესპონდენტთა 38%-მა დაუწერა მაქსიმალური — 9 ქულა, ჯუმბერ პატიაშვილს — 25%-მა. 6,79 საშუალო ქულით ასლან აბაშიძე მეორე ადგილზეა. მუხრან მაჭავარიანი მესამე ადგილზეა, საშუალო ქულაა 6,50. მხოლოდ ორმა მკითხველმა (0,37%) დაუწერა მას მინიმალური — 1 ქულა. აქ ჩამოთვლილ „ამღორძინებელთა“ შორის ყველაზე ახალგაზრდა — გიორგი თარგამაძე — მკითხველთა საკმაო სიმპათიებს იმსახურებს. 4,90 საშუალო ქულით იგი მეოთხე ადგილზეა, თუმცა, მისთვის მიკუთვნებულ მაქსიმალურ ქულებს (6%) მინიმალური ქულები (9%) სჭარბობენ.

ჩვენი მკითხველები, როგორც ჩანს, ნაკლებ კეთილგანწყობილნი არიან აკაკი ასათიანის, ელიზბარ ჯაველიძისა და ვახტანგ ბოჭორიშვილის მიმართ. ამ უკანასკნელს მხოლოდ სამმა მკითხველმა (0,55%) დაუწერა მაქსიმალური — 9 ქულა, მინიმალურით კი, რესპონდენტთა 12%-მა შეაფასა. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა ელიზბარ ჯაველიძემ დაიმსახურა (18%).

ქალებისა და მამაკაცების პასუხებს შორის განსხვავება ასეთია:

ქალები ყველაზე უფრო კეთილგანწყობილნი არიან ჯუმბერ პატიაშვილის, ასლან აბაშიძის, მუხრან მაჭავარიანის, გიორგი თარგამაძისა და აკაკი ასათიანის მიმართ. სულ ბოლო — მეცხრე ადგილზე, მათთან ზურაბ ქაფიანიძეა.

მამაკაცებთან კი საუკეთესო ხუთეული ასე გამოიყურება:

ჯუმბერ პატიაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ასლან აბაშიძე, გიორგი თარგამაძე და ზურაბ ქაფიანიძე. მეცხრე ადგილზე აქ ვახტანგ ბოჭორიშვილია.

როგორც ვხედავთ, ჯუმბერ პატიაშვილისა და გიორგი თარგამაძის მიმართ ქალებისა და მამაკაცების განწყობა ერთმანეთს ემთხვევა.

### ბლოკი „საქართველოს აღორძინება“




საპრიზოს ზუსტად არც ერთი ბარათი-რეიტინგი არ დაემთხვა. ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი 73 წლის თბილისელი **ივერი თოხაძეა.** მან, საპრიზო ვარიანტისაგან განსხვავებით, აკაკი ასათიანს სამის ნაცვლად ერთი ქულა (მეცხრე ადგილი) მიაკუთვნა, ვახტანგ ბოჭორიშვილს კი ერთის ნაცვლად — სამი (მეშვიდე ადგილი).

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში სამშაბათს, 18 იანვარს, 17 საათზე.

## №3 (172) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

### 100 ლარი

თქვენს მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ მკითხველის რეიტინგში.

№3 (172) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 19 იანვრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 20 იანვრის 13 საათამდე.

© თბილისი, 1997

თემა №3 (172) —
**მინისტრები**

**თქვენი აზრით, ვინ არის თავისი საქმის საუკეთესო შემსრულებელი** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას 9 ქულა, მომდევნოს 8 — და ა.შ. 1-მდე.

№3(172) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

| N | მინისტრი | ქულა |
|---|---|---|
| 1 | ალეკო კარტოზია (განათლების მინისტრი) | |
| 2 | ვახტანგ ქუთათელაძე (ჯანმრთელობის მინისტრი) | |
| 3 | მიხეილ მაჭავარიანი (შემოსავლების მინისტრი) | |
| 4 | დავით თევზაძე (თავდაცვის მინისტრი) | |
| 5 | ირაკლი მენაღარიშვილი (საგარეო საქმეთა მინისტრი) | |
| 6 | კახა თარგამაძე (შსს მინისტრი) | |
| 7 | ავთანდილ ჯორბენაძე (ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი) | |
| 8 | დავით ონოფრიშვილი (ფინანსთა მინისტრი) | |
| 9 | ბაკურ გულუა (სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი) | |

მკითხველის რეიტინგი *

თქვენი აზრით, რა არის პოლიტიკური ელიტის შემოსავლის წყარო?

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს.

## დამატებითი კითხვის შედეგები

დამატებით კითხვას — **„ვის თანაუგრძნობთ რუსეთ-ჩეჩნეთის ომში?“** — 535-მა მკითხველმა უპასუხა.

რესპონდენტთა უმრავლესობა — 49% ამ ომში არც ერთ მხარეს არ თანაუგრძნობს. 45% თანაგრძნობას უცხადებს ჩეჩნებს. მკითხველთა მხოლოდ 6% გულშემატკივრობს რუსებს. თუმცა, როგორც ადრინდელმა გამოკითხვამ გვიჩვენა, ამ ომში რუსების გამარჯვებაში მკითხველთა 33%-ს არ ეპარება ეჭვი. ჩეჩნების გამარჯვებას კი რესპონდენტთა 27% ვარაუდობს.




## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



მიხეილ მაჭავარიანი და დავით ონოფრიშვილი



ედუარდ შევარდნაძე და ვანო ზოდელავა

*წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 164 მკითხველი გამოეხმაურა. მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.*

**ვ.ზ.** — ეს, ჩემო ბატონო, ასლან ბაბუს სიზმრებია, ეს კიდევ ჯუმბერ ილიჩის სიზმრებია, ეს კიდევ შალვა ნათელაშვილის სიზმრებია; ამათ ბატონო სულ ყველას პრეზიდენტობა უნდათ“.

*მ/ფ „სიზმარა“*

***მამუკა იაშვილი, თბილისი***

**ე.შ.** — რა არის ეს?

**ვ.ზ.** — თქვენი მხარდამჭერი ინტელიგენციის 15 კაციანი სიაა.

**ე.შ.** — დანარჩენები?!

**ვ.ზ.** — დანარჩენებმა სიბნელეში, გათოშილი თითებით ხელი ვერ მოაწერეს.

***თამაზ დუნდუა, თბილისი***

**ე.შ.** — ეს რა არის, ვანიჩკა? ქორწილი გამომაპარეთ თუ რავაა თქვენი საქმე?

**ვ.ზ.** — კითხულობს: „შენ ჯვარს იწერდი იმ ღამეს მერი“.

***გალა ქტიონიშვილი, თბილისი***

**ვ.ზ.** — ა, ბაბუ, ნახე სულ ახალი სიზმარი.

**ე.შ.** — რაია ვანიკო აგი?

**ვ.ზ.** — აგერ, უკან რო ზის „დენის“ მინისტრი, მაგას დაესიზმრა 2005 წელს პრეზიდენტი ვიქნებიო.

**ე.შ.** — მაგას კი მივუქსევ სააკაშვილს, მარა მე რა ვქნა 2005-ში?

**ვ.ზ.** — ნუ გეშინია ბაბუ, ასეთი იდეა მაქვს: რითი ხარ ვითომ თურქმენბაშიზე ნაკლები?!

***„სიზმარა“, თბილისი***

**ვ.ზ.** — ბატონო ედუარდ, ლექსი დავწერე თქვენზე და ზურაბ ჟვანიაზე.

**ე.შ.** — ყოჩაღ, ჩემო ვანო, მალე მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ გაგიშვებ.

***პაატა წიქარიშვილი, ხაშური***

**ე.შ.** — რავა ხართ ბიჭო, მეგრელები?

**ვ.ზ.** თქვენ რომ გაგიხარდებათ, გურულებს, ისე.

**ე.შ.** — რავა, დაწყდით სუყველა?

*(ანეკდოტი).*

***თამუნა, თბილისი***

**ვ.ზ.** — ბატონო ედუარდ, უკულმა გიჭირავთ.

**ე.შ.** — უკულმადაც კარგად ვხედავ მე!

*ქ/ფ „ყვარყვარე“*

***გიორგი სამსიანი, თბილისი***

**ე.შ.** — ერთი-ორი ჩიჩოლინა გაგვეყვანა პარლამენტში ჩემო ვანო და არ მოგვიწევდა ჩუმად „პლეი-ბოის“ თვალიერება!

***გიორგი დოხნაძე, თბილისი***

**ვ.ზ.** — ამბროსიჩ, ამ მუხლის ამოღება და სამუდამოდ პრეზიდენტად დარჩენა ერთია! მერე აფხლაკუნოს ოპოზიციამ ფეხები.

***გელა მეგრელიშვილი, გურჯაანი***

**ვ.ზ.** — კონსტიტუციის ახალი ვარიანტია ამბროსიჩ, ჩემი რედაქციით.

**ე.შ.** — რა გქვია კაცო შენ?

**ვ.ზ.** — ვანო.

**ე.შ.** — სამსახურში რას გეძახიან?

**ვ.ზ.** — მერის.

**ე.შ.** — ჰოდა, სანამ ქეთინოდ არ გადაუქცევიხარ ამ დამშეულ ხალხს, დროზე მოსპე ეს სისულელე.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

**ე.შ.** — რა ვერ გაიგე, ჩემო ვანიჩკა: პენსიებზე რომ გაქვს ამდენი ნულიანები, ესენი გადმოიტანე აქანე და პრეზიდენტის ნაძვის ხისთვისაც შესრულდება მილიონი. ასე არ ჯობია?!

***ზაზა კომლაძე, თბილისი***

**ე.შ.** — კარნავალზე არ მოდიხარ?

**ვ.ზ.** — მერე კოსტიუმი რომ არ მაქვს?

**ე.შ.** — შე კაცო, აგერ შალვას ორი აქვს და ერთს გათხოვებს. „კომბლე“ იქნები და აბა შენ იცი, ასლან „დრაკულას“ სისხლი თუ შეამჩნიო, ჩემი იქნება, ხომ იცი. უთაქე და უთაქე, რაც ღონე გაქვს.

***ვალერი ჯ. ზესტაფონი***

**ვ.ზ.** — ბაბუ, ეს ერთხელაც გადამაწერინე და გეფიცები, მერე ვიმეცადინებ.

**ე.შ.** (თავისთვის) — ამისთანა ხალხში მესამე კი არა, მეოთხე სროკზეც არ მეყოლება ალტერნატივა.

***გ. მამისაშვილი, თბილისი***

**ვ.ზ.** — მესამედ?

**ე.შ.** — ჩუმად-ჩუმად, არვინ გაგვიგოს!

*ქ/ფ „ქეთო და კოტე“*

***„სააკაძე“, კასპი***



***

ინგლისში ჩატარებულმა გამოკითხვამ გამოავლინა ჰოლივუდის 3 ყველაზე სექსუალური წყვილი. პირველ ადგილზე არიან ტომ კრუზი და ნიქოლ კიდმანი, მეორეზე — ბრედ პიტი და ჯენიფერ ენისტონი. მესამე ადგილი დაიკავეს ჰიუ გრანტმა და ლიზ ჰერლიმ.



### ფოტო განწყობისთვის



სად იწყება ხელი და...
სად მთავრდება ფეხი...

### იცით თუ არა, რომ...

ზაფხულში ეიფელის კოშკი 3სმ-ით მაღალია, ვიდრე ზამთარში.

დედამიწის მოსახლეობის 2/3-ს არ სურს იცოცხლოს 100 წლამდე.

თუ ჭრილობაზე ობობის ქსელს დავიდებთ, სასწრაფოდ შევაჩერებთ სისხლდენას.


## წამალი „სალხინო“ — მართლაც ქართული ფლორის საოცრება

თუ გსურთ განიკურნოთ პროსტატიტის, ცისტიტის, ქალური დაავადების და სხვა შარდსასქესო ორგანოების დაავადებებისაგან, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, სათესლე ჯირკვლებში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, სქესობრივი კავშირის დროს თესლის ნაადრევი გამოყოფა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ სამკურნალო და პროფილაქტიკური თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მილებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

**ჩვენი მისამართია: დავით აღმაშენებლის 115, პოლიციის ეზოში, ფირმა „სალხინო“**


***

ჟან-პოლ გოტიემ ერთი კვირის განმავლობაში 8 კგ დაიკლო. შეკითხვაზე, თუ რა გზით მოახერხა მან ასეთი შედეგის მიღწევა, გოტიემ უპასუხა, რომ 7 დღის განმავლობაში ის მხოლოდ წითელი ფერის ხილით იკვებებოდა.



ჯანმრთელობისთვის
არახელსაყრელი
გეომაგნიტური პერიოდი
19/I 23.00-დან-20/I 01.00-მდე;
21/I 08.00-11.00სთ-მდე;

„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები, რომლებიც იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

*„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება:* თბილისში *— ხუთშაბათობით 13 საათიდან. მათი განთავსების ადგილებია მეტროების — „მარჯანიშვილი“; „ვაგზლის მოედანი“; „თავისუფლების მოედანი“; „რუსთაველი“; „ღრმაღელე“; „ნაძალადევი“; „ახმეტელი“; „ავლაბარი“, „300 არაგველი“, „ვარკეთილი“; „სამედიცინო ინსტიტუტი“, „პოლიტექნიკური“, „ისანი“; „სამგორი“; „გოცირიძე“; — მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; გამსახურდიას და ვაჟა-ფშაველას პროსპექტების გადაკვეთაზე, საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ქავთარაძის ქუჩაძე — იზოტოპების ინსტიტუტთან და ბოლო გაჩერებაზე, ორთაჭალაში — გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან); დიდუბის ავტოსადგურთან; დიღმის მასივში პოლიკლინიკის წინ, დიდ დიღომში, იოანე პეტრიწის ქ. №3 — სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ — ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან; დიდუბის მეტროს წინ, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში — მეგობრობის გამზ. მილიციასთან; უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; ვაკეში — კავსაძის ქუჩაზე; ბაგებში — გაჩერებასთან. წყნეთის ქუჩა; კეკელიძის ქუჩა.*

***ქალაქებში და რაიონებში:*** რუსთავი, მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, თერჯოლა, სამტრედია, აბაშა, ლანჩხუთი, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, საგარეჯო, სიღნაღი, ახმეტა, წნორი, ლაგოდეხი, ყვარელი, გურჯაანი, თელავი — ***არსებული „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით, 10 საათიდან.***

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## ③ უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

სიტყვა და საქმე

*გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)*

*გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება*

№3 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 20 იანვრის (ხუთშაბათი), 13.00 სთ-მდე.

## კროსვორდი



**თარაზულად:** 1. პერსონაჟი რომანისა „დათა თუთაშხია“; 4. ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ნათესაობით ბრუნვასთან ხმარებული თანდებული ქართულ ენაში; 10. დიდი გერმანელი, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა ათასწლეულის ათ ყველაზე გამოჩენილ ადამიანთა შორის (გამოკითხვა ჩაატარა ბრიტანულმა „სანდი თაიმსმა“); 11. ტყავის პარკი; 14. საკრავი; 16. ძველ საქართველოში გავრცელებული ხმალი; 20. ბეჭდვითი ორგანო, რომელიც მთავრობის ორგანოდ არ ითვლება, თუმცა მის თვალსაზრისს გამოხატავს; 21. ვისაც თვითმფრინავებთან აქვს საქმე; 22. ქვიშიანი თავთხელი ზღვის სანაპიროზე მდინარის შესართავთან; 25. როდოსელი მოქანდაკეების მიერ შექმნილი სკულპტურული ჯგუფი (ითვლება ძველი ბერძნული ხელოვნების ერთ-ერთ უთვალსაჩინოეს ნიმუშად); 26. განუწყვეტელი შეტევა (კრივში); 33. სამხედრო ჯავშნიანი გემი, რომლის დანიშნულებაა, მოსპოს ნაპირთან მოქმედი გემები; 34. პიჯაკის სახეობა; 35. მეცნიერება, რომელიც სწავლობს ბიოლოგიურ სისტემებსა და პროცესებს საინჟინრო ამოცანათა გადასაწყვეტად; 36. სახლის გვერდზე მიშენებული პატარა საცხოვრებელი შენობა; 37. გამოტოვებული სიტყვა მამია გურიელისეულ სტრიქონებში: „დაე, იცვალოს გარემოება, თუნდ ხალხის ხმამაც მოგცეს ზიანი, თვით ნუ იცვლები! მოვა დროება, გიცნობენ რომ ხარ...“; 38. იტალიელი მწერალი, ცნობილი ავანტიურისტი (XVIIIსაუკ.).

**შვეულად:** 2. ლითონი; 3. რელიგიური ფერწერის დარგი; 5. ნამოსასხამი (მეფის ძალაუფლების სიმბოლო); 6. საკონდიტრო ნაწარმი; 7. მარადმწვანე დეკორატიული ხე; 8. დაბალი (ხალხი, წოდება); 12. ქართული შამპანური; 13. რუსი კომპოზიტორი, დირიჟორი, პედაგოგი; 15. ქართული ხალხური სიმღერა; 17. იაპონიის ექს-პრემიერ-მინისტრი; 18. კოლოფი პაპიროსის, სიგარის ან სიგარეტის თან სატარებლად; 19. კინოფესტივალი (სასაუბრო სიტყვა); 23. სოფელი მარნეულის რაიონში; 24. სამხედრო-თავადაზნაურული წოდების წარმომადგენელი, მძიმედ აღჭურვილი მხედარი; 27. კოლექტივი ადამიანებისა, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, ერთად შრომობენ და ქონებაც საერთო აქვთ; 28. უმაღლესი მთის მასივი ალპებსა და დასავლეთ ევროპაში; 29. კაზაკთა ახალშენი, სოფელი; 30. დენთით დატენილი ჰილზი სიგნალიზაციისათვის; 31. თავხედურად გულახდილი; 32. სასამსახურო სადგომი გემზე;

## წინა კროსვორდის პასუხები:

**თარაზულად:** 5. ამულეტი; 6. პორტლანდცემენტი; 7. არტერია; 9. ზემდეგი; 13. რაფსოდია; 15. სილიკატი; 17. ტყვია; 18. იმამი; 21. „ევრო“; 22. საუნა; 23. უსური; 24. პინა; 26. პიგმეი; 27. რულეტი; 28. ამიაკი; 30. პანამა; 33. ქსელი; 35. სალტე; 36. ალბათ; 37. ძეგლი; 38. წრედი; 39. აზოტი; 40. მუკპი.

**შვეულად:** 1. ეჩმიაძინი; 2. ბუტლეგერი; 3. მონოგრაფია; 4. პანტოგრაფი; 8. ეროსი; 10. დოინა; 11. ტრავერსი; 12. პირამიდა; 14. დუმ-დუმი; 16. „ლომგული“; 19. ფაიანსი; 20. ფურცელი; 21. ებანოიძე; 25. აკადემია; 29. ავჭალა; 31. ნოქარი; 32. ბელტი; 34. გაგუა;

*გ. გასიტაშვილი*


წინ მთელი წელი
და დიდი სიამოვნებაა

იანვარი
18
2000
სამშაბათი

კვირის პალიტრა



„კვირის პალიტრის“
კედლის კალენდარი

არ დააგვიანოთ! შეიძინეთ!
იგი მთელ მე-2000 წელს
გაგილამაზებთ...

იყიდება საგაზეთო ქსელში


***

*გურიაში ასეთი რამ გავიგონე — სტუმრებთან გატარებული დრო ასაკს არ ემატებაო... აბა, თქვენ იცით, ფართოდ გაუღეთ სტუმარს კარი.*

***



მამაკაცი ეუბნება ცოლს:

— მას შემდეგ, რაც ჩვენს ვაჟს ყოველ კარგ ნიშანში 5 ლარს ვაძლევთ, ის მხოლოდ ხუთებს იღებს!!!

— იქნებ გაგვერკვია, მასწავლებლებიც ხომ არ გაჰყავს წილში???


გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები:
ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი
სარედაქციო კოლეგია
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ რედაქცია: 33-39-54
რეკლამა: 98-74-44
palitra@access.sanet.ge
სარეგისტრაციო ნომერი 1518
„კვირის პალიტრა“
გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა „კოლორში“.